საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი

გ. გრიგოლია

ეგრის-დაზიკის სამეფოს საისტორიო გეოგრაფიის პრობლემები

„მეცნიერება“
თბილისი
1994

63.4(2ს)
ბ 822

ნაშრომში განხილულია გვიანრომაული და ადრებიზანტიური ხანის ეგრის-ლაზიკის სამეფოს საისტორიო გეოგრაფიის პრობლემები.

უახლესი არქეოლოგიური აღმოჩენების, წერილობითი წყაროების ახლებური ინტერპრეტაციისა და შესაბამისი ტოპონიმიკური მასალის შესწავლის საფუძველზე, მოხდა ციხე-ქალაქების — პეტრასა და სებასტოპოლისის — ახლებური ლოკალიზაცია.

სათანადო ყურადღება ეთმობა კოლხეთის სამეფოს სამხრეთ-დასავლეთ საზღვრების ცვალებადობის სურათის გაშუქებას და ძირითადი საგზაო მაგისტრალების მიმართულებათა გარკვევა-დაზუსტებას. მოცემულია ეგრის-ლაზიკის სამეფოსა და რომის იმპერიას შორის ახ. წ. II—VI სს. არსებულ სამხედრო-პოლიტიკურ ურთიერთობათა გარკვევის მცდელობა.

რედაქტორი ისტ. მეცნ. დოქტორი მ. ი ნ ა ძ ე

რეცენზენტები ისტ. მეცნ. დოქტორები: გ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე,
დ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი

ბ $\frac{0503020906}{М\ 607(06)—94}$ 58—93 © გამომცემლობა „მეცნიერება“, 1994

ISBN 5—520—01543—0

ვუძღვნი მამის კონსტანტინე
გრიგოლიას ნათელ ხსოვნას
ავტორი

შ ე ს ა ვ ა ლ ი

საყოველთაოდ ცნობილია, რომ საქართველო უძველესი კულტურის მქონე ქვეყანაა. მისი მთა, მისი ბარი, მისი აღმოსავლეთი თუ დასავლეთი ამის მაუწყებელი სხვადასხვა ხასიათისა და ასაკის ისტორიულ-არქეოლოგიური ძეგლებით არის მოფენილი.

როგორც მრავალფეროვანია საქართველოს ბუნება, მისი სანახები, ასევე მრავალსახოვანია მისი კულტურული ძეგლები. ქართლ-კახეთში, მესხეთ-ჯავახეთში, მთაში, ბარში თუ ისტორიული კოლხეთის ტერიტორიაზე, თითქმის ყოველ ნაბიჯზე შეიძლება შეხვდეთ ჩვენი ნათელმოსილი წინაპრების დაუღალავი შრომითა და ბრძოლით შექმნილ ხვადასხვა დროის სამოსახლოებს, საწარმოო ნაშთებს, სამეურნეო, კულტო და სხვა ხასიათის არქეოლოგიურ ძეგლებს. სწორედ ამიტომ არის, რომ ხშირად გავიგონებთ სავსებით სამართლიან გამოთქმას: „დალოცვილია საქართველოს მიწა, სადაც არ უნდა დაარტყა ბარი, ყველგან რაღაც ახალ, საინტერესო რამეს წააწყდებიო“.

მადლიანი ქართული მიწის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის ეს უტყუარი საბუთები მით უფრო საინტერესოა, რომ ყველა კუთხის მსგავსი ხასიათის ძეგლები, გეოგრაფიული ზონალობისა თუ ფიზიკურ-კლიმატური პირობების გავლენით, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ნიშან-თვისებებით ხასიათდება. სამაგალითოდ შეიძლება განვიხილოთ დასავლეთ საქართველო. გარკვეული თვალსაზრისით, ეს უნიკალური გეოგრაფიული რეგიონი ჩრდილოეთიდან შემოზღუდულია კავკასიონის მაღალი მთებით, სამხრეთიდან მცირე ანუ „ანტიკავკასიონით“ (აჭარა-ლაზეთის მთიანეთი), აღმოსავლეთიდან ამ ორი მთიანეთის შემაერთებელი ლიხის ქედით და დასავლეთით მისი სამკუთხა კონფიგურაციის მქონე ვრცელი გავაკება შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს ებჯინება. ამ მიკრო რეგიონში, სადაც ერთიმეორის გვერდით საფეხურებად არის წარმოდგენილი: დაბლობი, გორაკ-ბორცვიანი ზოლი, მთიანეთი და მაღალმთიანეთი, ადამიანი ქვის

ხანის უძველეს საფეხურზე (აშელი) დასახლებულა და აქვე გაუვლია განვითარების ყველა საფეხური.

როგორც უტყუარი ფაქტიური მონაცემებით დასტურდება, გეოლოგიური, ფიზიკურ-გეოგრაფიული და სამეურნეო პირობების გავლენით, როგორც ჩანს, ძველი ქვის ხანის ადამიანს, სამოსახლოების შერჩევისას, უპირატესობა მიუცია საშუალო სიმაღლის მთიანი ზოლის მდინარეთა ხეობებში გავრცელებული მაღალი ტერასებისა და მღვიმეფარდულებისათვის (ეხები). მომდევნო ხანაში კი ფართოდ აუთვისებია გორაკ-ბორცვიანი ზოლი და ჰიფსომეტრულად ყველაზე დაბალი დონის აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის გავაკება, რომელიც კოლხეთის დაბლობის სახელით არის ცნობილი.

ყველგან იქ, სადაც ამა თუ იმ ტერიტორიას თანამედროვე ცივილიზაციის მსახვრალი ხელი ჯერ კიდევ არ შეხებია, უძველესი ნამოსახლარები (რომლის ირგვლივ თავს იყრის ყველა ხასიათის ძეგლი) კარგად არის წარმდგენილი ბუნებრივი თუ ხელოვნური ბორცვების სახით, იმ განსხვავებით, რომ ბუნებრივ ბორცვებზე წარმოქმნილი, შედარებით ადრეული ასაკის გორანამოსახლარები, უპირატესად, ქვეყნის შიდა რაიონებში გვხვდება. კოლხეთის დაბლობზე კი მხოლოდ და მხოლოდ ხელოვნურად შექმნილ გორაკ-ბორცვებზე წარმოქმნილი ნამოსახლარებია მოჭარბებული.

ამ ნამოსახლართა აბსოლუტური უმრავლესობა წარმოშობილია ვაკე ადგილზე, სამოსახლოს დამცავი თხრილიდან ამოღებული ნიადაგის მოზვინვითა და დროთა განმავლობაში კულტურული ფენების დაშრევების შედეგად.

როგორც ცნობილია, კოლხეთის ბარის ფარგლებში ამ რიგის პირველი სამოსახლოები ჩნდებიან ადრე და შუაბრინჯაოს ხანაში, რაც, ფაქტიურად, დასტურდება ოჩამჩირის ბორცვების, ანაკლიას დიხაგუძუბასა და ქობულეთის ისპაანის ნამოსახლართა სახით. ასევე ერთეულების სახით გვხვდება შუა და გვიანბრინჯაოს ხანის ფენების შემცველი გორანამოსახლარები (ანაკლიას დიხაგუძუბა II, თეკლათის ნაოხვამუ, გალის ფიჩორის ნამოსახლარი, ჭალადიდის ზურგა, საგვიჩიოს კონძა, ნოსირის ბორცვების ჯგუფი და სხვ.) კოლხეთში. ყოველ შემთხვევაში, გვიანბრინჯაოს ხანისათვის კოლხეთის ბარი ჯერ კიდევ არ იყო ფართოდ ათვისებული.

ამ მხრივ სურათი არსებითად იცვლება წინარეანტიკურ და ანტიკურ ხანაში. თუ ენგურ-რიონის შუამდინარეთში გამოვლენილი სურათის მიხედვით ვიმსჯელებთ, ამ პერიოდში გორანამოსახლარები სო-

კოებივით არიან მოფენილნი, რაც რეგიონში მომხდარი დემოგრაფიული აფეთქების უტყუარი მაჩვენებელია.

ცალკეულ ნამოსახლართა რიცხობრივ მატებასთან ერთად, არსებითი მნიშვნელობა ენიჭება იმ ფაქტს, რომ ამ დროის კოლხეთის ბარში თვისებრივად იცვლება სამოსახლოთა მასშტაბები, დაგეგმარება, ურთიერთმიმართება. ისინი მთელი რიგი სპეციფიკური ნიშან-თვისებებით ხასიათდებიან, რაც უცხოა ერთეული გორანამოსახლარის სახით წარმოდგენილ, უფრო ადრინდელი ხანის ნამოსახლარებისათვის.

წინარეანტიკური ხანიდან მოყოლებული, კოლხეთის ნამოსახლარები ბორცვების ჯგუფებით არიან წარმოდგენილნი, ე. ი. ცალკეული სამოსახლო, იშვიათი გამონაკლისის გარდა, შედგება ორი, სამი, ოთხი და მეტი ბორცვისაგან. როგორც წესი, ასეთი ნამოსახლარი ბორცვების ჯგუფიდან ერთ-ერთი მათგანი ყოველთვის გამოირჩევა სიმაღლით (ზოგჯერ 5—6 მ აღემატება), მზღუდავი თხრილის სიდიდით თუ რაოდენობით (ზოგ ძეგლს ორი თხრილი საზღვრავს) და მას დასახლებაში ცენტრალური ადგილი უკავია. ასეთებია: სირიაჩქონის ოხოჯე, საგვიჩიოს ზურგა (სენაკის რ-ნი), ქვალონის დიხაზურგა, ნამარანუ (აბაშის რ-ნი), ხეთას ოტორონჯე (ხობის რ-ნი) და სხვ.

კოლხეთის დაბლობის ხსენებული სამოსახლოების მეორე თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ სამოსახლო ბორცვების ჯგუფს გარს აკრავს ერთიდან ხუთ ჰექტრამდე ფართობის მქონე, საერთო რელიეფიდან ოდნავ შემაღლებული, თხრილშემოვლებული, წაგრძელებული მოედნები, რომლებიც არხების საერთო სისტემით არიან დაკავშირებულნი სამოსახლოსთან. ასეთი მოედნები, როგორც წესი, თითქმის თავისუფალია კულტურული ნაშთებისაგან; მიმდებარე გარემოსთან შედარებით, მათი ნიადაგი უფრო მშრალია და, როგორც ჩანს, კონკრეტული სამოსახლოს სამეურნეო ფართობებს წარმოადგენენ. რაც უფრო დიდია სამოსახლო, მით, უფრო დიდია მისი სამეურნეო ფართობი და რთულია მისი საარხო სისტემა. ასეთი ნამოსახლარებია: დღვაბა, წინაგოლა, ბულიცხუ, ოტორონჯე, ოყუნე, ქვემო ქვალონი, ნამარანუ, საგვიჩიო, ნანდეუ, ნაღმიპიჯი და სხვ.

ნამოსახლარი ბორცვები, სამეურნეო მოედნები, მათთან დაკავშირებული არხები და თხრილები, ე. ი. სამოსახლოს სრული კომპლექსი, უმთავრესად, კოლხეთის დაბლობის მხოლოდ იმ მონაკვეთებშია შემორჩენილი, რომლებიც ადამიანის აქტიური საყოფაცხოვრებო თუ სამეურნეო საქმიანობის სფეროში ჯერ არ მოქცეულა. ასეთებია: ლანჩხუთის რაიონის მდ. ფიჩორის მარცხენა სანაპირო, რიონ-ფიჩორის

შუამდინარეთი, ხობის რაიონის ტყის მასივები და ზუგდიდის რაიონის ზღვისპირეთის მომიჯნავე ზოლი. ამ ნაკრძალი ფართობების გაუვალი ჭაობები და ხშირი ტყის საფარი, მართალია, ერთი მხრივ, აძნელებს ხსენებული ძეგლების მეცნიერულ შესწავლას, მაგრამ, მეორე მხრივ, იგივე ფაქტორები საიმედოდ იცავენ ცივილიზაციის გამანადგურებელი ზემოქმედებისაგან ამ უნიკალურ ძეგლებს.

სენაკისა და ხობის რაიონის ტყეებში არსებული ზოგიერთი ნამოსახლარი (საგვიჩიო, ნალმიპიჯი, ოტორონჯე), ყველა თავისი კომპონენტით, დღემდე იმდენად კარგად არის შემონახული, თითქოს სულ ცოტა ხნის წინ მიეტოვებინოს იგი ადამიანს. ერთი ასეთი ნამოსახლარის აეროფოტო, ალბათ, ფასდაუდებელი მასალა იქნებოდა ყველა რანგის მეცნიერული თუ სახელმძღვანელო ნაშრომისათვის.

კოლხეთის ბარის გორანამოსახლართა კიდევ ერთი საინტერესო თავისებურებაა გარკვეული შუალედებით გავრცელება რომელიმე პატარა მდინარის, ან მასთან დაკავშირებული არხის გასწვრივ. ცალკეულ სამოსახლოს შორის საშუალო მანძილი 1,5—2,0 კმ-ია, მაგრამ არა უმეტეს სამი კილომეტრისა.

შედარებით უკეთ შემონახული ძველი ნაარხალები შემორჩენილია სენაკისა და აბაშის რაიონებში. ესენია: სოფლების — III ნოსირის, ზანათისა და ძიგურის — ტერიტორიაზე გამავალი დიდი მარაგანის არხი, სოფ. წყემის ტერიტორიაზე დადასტურებული. პატარა ტეხურად წოდებული არხი, სოფ. სუჯუნაში გამავალი უჩაღალი და ნაესაკაოქოლობანის არხი — ნოღელა. მათ შორის პირველი სამი მდ. ტეხურიდან იღებს სათავეს და მდ. აბაშას უერთდება, ხოლო ნოღელა ცხენისწყლიდან იღებს სათავეს და უფრო ქვემოთ ერთვის რიონს.

ნოღელას არხზე დევს ქოლობანისა და ნაესაკაოს (ოჭინკე) დიხაგუძუბები. პატარა ტეხურზე განლაგებულია სოფ. წყემის ბორცვების ჯგუფი, ხოლო დიდი მარაგანის არხის გასწვრივ განლაგებულია: სოფ. III ნოსირის დიხაგუძუბები, სოფ. ძიგურის უსახელო ბორცვი, სოფ. ზანათის გორანამოსახლარი — ნამანცხვარი, ზანათის მეორე ბორცვი— დოონი და ამავე სოფლის ადრეფეოდალური ხანის ნამოსახლარი.

კიდევ უფრო კარგად არის შემონახული ძველი ნამოსახლარები და ნაარხალები კოლხეთის დაბლობის ზღვისპირეთის მომიჯნავე ზოლში, სადაც ხობის, ფოთის, სენაკისა და ლანჩხუთის რაიონების ქვედა-ტყიანი ზოლი მრავალრიცხოვანი არხებით არის დასერილი. კოლხეთის დაბლობის ქვედა ზოლში საარხო სისტემების მთავარი შემკრები მდინარეული არტერიებია: მდ. ფიჩორი, მდ. ყორათის წყალი და მდ. მუნ-

ჩია. ეს პატარა და მდორე მდინარეები გეოგრაფიულად მკვეთრად არიან გამიჯნულნი ერთიმეორისაგან დიდი მდინარეებით და თითოეული მათგანი ბატონობს გარკვეულ „ქვეყანაში“. ფიჩორის „ქვეყანა“ მოქცეულია მდ. სუფსასა და რიონს შორის, ყორათის წყლის „ქვეყანა“— რიონსა და ხობს შორის, ხოლო მუნჩია ბატონობს ხობსა და ენგურს შორის მოქცეულ „ქვეყანაზე“.

მათი ბატონობა კონკრეტულ „ქვეყანაში“ იმაში გამოიხატება, რომ ამ გეოგრაფიულ ერთეულში თავმოყრილი გორანამოსახლარები, თავისი საარხო სისტემით, მათთან არიან დაკავშირებულნი, მიუხედავად იმისა, ნამოსახლარები ფიზიკურად დიდ მდინარეებთან უფრო ახლოს მდებარეობენ თუ არა.

კოლხეთის გორანამოსახლარების მიდრეკილება შედარებით პატარა და მდორე მდინარეებისაკენ ნაკარნახევი უნდა იყოს მოსახლეობაში ამ მდინარეების პრაქტიკული მნიშვნელობით, როგორც ახლო და შორეულ მეზობლებთან, თუ გარე სამყაროსთან დამაკავშირებელი საგზაო საშუალებები. როგორც ჩანს, ძველი კოლხებისათვის შეუძლებელი უნდა ყოფილიყო ჰიპოკრატესეული, ერთ ხეში ამოღებული ნავების საშუალებით დიდ მდინარეებზე დაღმა და განსაკუთრებით, აღმა ცურვა, მათი ჩქარი დინების გამო.

არხებს ასევე დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა კოლხთა სამოსახლო ტერიტორიის ჭარბი ტენისაგან განთავისუფლების საქმეში; პერიოდულად, ალბათ, მოსახლეობის რაციონის თევზის პროდუქტით შემავსებელი საშუალებაც უნდა ყოფილიყო, მაგრამ, როგორც მიღებულია, არხებისა და თხრილების უმთავრესი ფუნქცია მაინც სამოსახლოს დაცვა უნდა ყოფილიყო ნადირისა თუ მტრის თავდასხმის შემთხვევაში.

ჰიპოკრატეს ცნობების სისწორე, კოლხეთში არსებული ბუნებრივი პირობებისა და მოსახლეობის ცხოვრების წესების შესახებ, კიდევ ერთხელ დაადასტურა ჩვენში მრავალრიცხოვანი არხებისა და მათზე მოწყობილი სამოსახლოების აღმოჩენამ.

კოლხეთის ბარის დიდი მდინარეებით გამიჯნული გარკვეული ტერიტორიები, თავისი სამოსახლოებით და პატარა მდინარეებით (ფიჩორი, ყორათის წყალი, მუნჩია და სხვ.), რთული საარხო სისტემებითა და სამეურნეო ფართობებით, ისეთივე სოციალურ-ტერიტორიული ერთეულები ჩანან „წინარე ისტორიულ“ ხანაში, როგორიც მთიან ზოლში ან აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში გავრცელებული „ხევის ქვეყ-

ნები“ არიან, თავისი რიგითი ნამოსახლარებითა და დიდ-პატარა ცენ-ტრებით.

კოლხეთის ნამოსახლარებს შორის გარეგნული სხვაობა აშკარად შეინიშნება, რაც, პირველ რიგში, მდგომარეობს ბორცვების რაოდენ-ობაში, თვით სამოსახლო ფართობის საერთო მოცულობაში და სამეურ-ნეო სავარგულების მასშტაბებში.

ჩვენ მიერ მოხილული ტერიტორიის ფარგლებში, იმ მრავალრი-ცხოვან რიგით სამოსახლოებს შორის (ზემოთ აღნიშნული ნიშნების მიხედვით) სამი მსხვილი სამოსახლო ცენტრი გამოიყოფა, რომლე-ბიც გარკვეული შუალედებით არიან განლაგებულნი მდ. ფიჩორის (ნამარანუ), მდ. რიონის (საგვიჩიოს ბორცვების ჯგუფი) და მდ. ხობის (ოტორონჯე) აუზებში.

უდავოა, რომ ხსენებულ ძეგლებს გარკვეულ რეგიონში, ეკონო-მიკურად, პოლიტიკურად და, ალბათ, რელიგიურადაც გაბატონებული მდგომარეობა ჰქონდათ მოპოვებული და წინარეანტიკური და ანტი-კური ხანიდან მაინც ქალაქურ ცენტრებად გადაქცევის ტენდენცია უნ-და გასჩენოდათ.

საფიქრებელია, რომ სწორედ ამ გორანამოსახლარების წიაღშია ჩამარხული ის ეკონომიკურ, სოციალურ, თუ პოლიტიკურ ურთიერ-თობათა საფუძვლები, რამაც რეალურად არსებულ თუ ლეგენდარულ „ოქროთი მდიდარ კოლხეთს“ შორს გაუთქვა სახელი.

სწორედ ასეთი, წინარე ანტიკური ხანის გორანამოსახლარების შემდგომი განვითარების ბაზაზე უნდა აღმოცენებულიყო კოლხეთის სამეფოს ისეთი მსხვილი პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და რელიგიური ქალაქური ცენტრები, როგორიც არის ვანის ნაქალა-ქარი (ო. ლორთქიფანიძე, ნ. ხოშტარია), საირხე (ჯ. ნადირაძე), მთის-ძირი — დაბლაგომი (ც. თოლორდავა, გ. გამყრელიძე), დაფნარი (ნ. კი-ლურაძე), ქობულეთ-ფიქვნარი (ა. კახიძე) და სხვ.

გვიანელინისტურ ხანაში, მას შემდეგ, რაც დიდი კოლხეთის სა-მეფო დაქვეითებას იწყებს და, როგორც ფიქრობენ, სკეპტუხიებად დაიშალა, ტომთა რამდენიმე გაერთიანება (ლაზები, აფსილები, აბაზ-გები, სანიგები) გამოდის ისტორიულ სარბიელზე. მათ შორის პირველი საუკუნეებიდან განსაკუთრებით ძლიერდებიან, ხოლო IV საუკუნის დამლევისათვის თითქმის მთელი დასავლეთ საქართველოს გამაერთია-ნებლის როლში გვეელინებიან ლაზები, რომელთა მიერ შექმნილ სა-ხელმწიფოს ქართული წყაროები ეგრისს უწოდებს, ხოლო ბერძენი და ბიზანტიელი ავტორები ლაზიკის სახელით იხსენიებენ.

ხსენებულ საუკუნეებში ეგრის-ლაზიკის სამეფოს ეკონომიკური და პოლიტიკური ძლიერების უტყუარი მანიშნებელია მის სხვადასხვა რეგიონში ერთდროულად (IV ს.) მსხვილი სამშენებლო საქმიანობის წამოწყება და ხარისხობრივად ახალ სიმაღლეზე აყვანა.

როგორც უკანასკნელ წლებში ჩატარებული არქეოლოგიური კვლევის შედეგად ირკვევა, არსებითად, ამ პერიოდში უნდა წარმოქმნილიყო ისეთი მსხვილი ქალაქები, ციხე-ქალაქები, თუ სასაზღვრო ციხეები, როგორიც არის ნოქალაქევ-არქეოპოლისი (პ. ზაქარაია), ძველი ქუთაისი (ო. ლანჩავა), ვარდციხე (ვ. ჯაფარიძე), ციხისძირი (დ. ხახუტაიშვილი, ა. ინაიშვილი, ნ. ინაიშვილი), ბიჭვინთა (ა. აფაქიძე, გ. ლორთქიფანიძე), შორაპანი (ვ. ჯაფარიძე), ვაშნარი (გ. გობეჯიშვილი) და სხვ.

ამ ძეგლების შესახებ დაიწერა არაერთი მონოგრაფიული ნაშრომი და ცალკეული საკითხებისადმი მიძღვნილი გამოკვლევა, სადაც, ახალი არქეოლოგიური მასალის საფუძველზე, შემოწმდა, დადასტურდა ან შეიცვალა წერილობითი წყაროების ჩვენებები, მოხდა მათი კორექტირება.

ხსენებული არქეოლოგიური ძეგლების შესწავლის შედეგები, უთუოდ, თვალსაჩინოა და მომავალში ამ რიგის სამუშაოების გაგრძელება-გაფართოება კიდევ უფრო მეტს გვპირდება.

მიღწეული წარმატებების მიუხედავად, არ შეიძლება არ აღინიშნოს ადრეული შუასაუკუნეების ეგრის-ლაზიკის სამეფოს ისტორიულ პრობლემათა კვლევის საქმეში ჯერ კიდევ გაურკვეველი, ბუნდოვანი თუ წინააღმდეგობრივი არაერთი საკითხის არსებობის ფაქტი, სადაც აშკარად იგრძნობა, საისტორიო გეოგრაფიული კუთხით, მთელი რიგი საკითხების ახლებურად გაშუქების აუცილებლობა.

ჩვენი აზრით, საფუძვლიანად უნდა გადაისინჯოს დღეისათვის მიღებული და საყოველთაოდ გაზიარებული, ქალაქ პეტრას ციხისძირთან იდენტიფიკაციის საკითხი, რის საფუძველზეც გაკეთდა შორს მიმავალი დასკვნები ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ და უარი უნდა ითქვას ზოგიერთი პირველხარისხოვანი წერილობითი წყაროსადმი (პროკოპი კესარიელი, აგათია სქოლასტიკოსი) ჩვენში არსებულ ნიჰილისტურ დამოკიდებულებაზე. ასევე, ვფიქრობთ, მეტი ნდობა უნდა გამოვუცხადოთ დიდი გეოგრაფოსისა და ასტრონომის კლავდიოს პტოლემაიოსის გეოგრაფიული სახელმძღვანელოს იმ ადგილს, სადაც ეგრის-ლაზიკის სამეფოს სამხრეთ-დასავლეთ სანა-

პირველ კიდევ ერთი ქალაქის, სებასტოპოლისის არსებობა იგულისხმება.

ქ. სებასტოპოლისის მართებულად ლოკალიზაციის საკითხი მით უფრო საშურია, რომ იგი ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთ სასაზღვრო ხაზთან არის დაკავშირებული და ერთის დადგენა მეორის დაზუსტების საშუალებას იძლევა, საერთო შედეგში კი, გარკვეულ წარმოდგენას შეგვიქმნის ახ. წ. II საუკუნეში ეგრის-ლაზიკის სამეფოს პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ.

ხსენებული ძეგლების ლოკალიზაციის საკითხების ახლებურად გააზრება რამდენადმე ცვლის ეგრის-ლაზიკის სამეფოს სოციალურ-პოლიტიკურ, სავაჭრო-ეკონომიკურ, სამხედრო-სტრატეგიულ საკითხებზე შემუშავებულ ხანდაზმულ თეორიებს და აზუსტებს ეგრის-ლაზიკის მეზობელ ქვეყნებთან დამაკავშირებელი უმთავრესი საგზაო მაგისტრალების მიმართულებას.

უკანასკნელ ხანებში მოპოვებული არქეოლოგიური მასალა, საველე საძიებო სამუშაოების შედეგები და ზოგიერთი წერილობითი წყაროს ახლებური ინტერპრეტაცია ზემოხსენებული საკითხებისა და სხვა ანალოგიური მომენტების საფუძვლიანი კორექტირების საშუალებას იძლევა.

წინამდებარე ნაშრომი, სწორედ, ასეთი მცდელობის შედეგს წარმოადგენს. თუ როგორ გავართვით თავი დასახულ ამოცანას, ამის განსჯა პირუთვნელი მკითხველისათვის მიგვინდია.

ეგრის-ლაზიკის სამეფოს ციხე-ქალაქი პეტრა

ქალაქ პეტრას, როგორც VI საუკუნის ლაზიკის სამეფოს საქალაქო ცენტრს, თავისი არსებობის ძალზე ხანმოკლე ისტორია აქვს. მიუხედავად ამისა, მან მაინც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ადრებიზანტიური ხანის ლაზიკის პოლიტიკურ, ეკონომიკურ თუ რელიგიურ ცხოვრებაში და ბიზანტიისა და სასანიდური ირანის პოლიტიკური ურთიერთობის ისტორიაში. უმთავრესად, სწორედ აქ, ლაზიკაში და კონკრეტულად პეტრასთან შეეჯახა „მსოფლიო ბატონობისათვის" მებრძოლი ეს ორი დიდი მეტოქე. ამდენად, ამ ქვეყნებისა და ლაზიკის ისტორიის გარკვეული ეტაპი მჭიდროდაა გადაჯაჭვული ერთმანეთთან და VI ს-ის მათი ისტორიის ძირითადი პრობლემები, ურთიერთგანპირობებულობის გამო, ყოველთვის ერთ მთლიანობაში განიხილება.

ყოველივე ამის გამო, გასაგებია ის ინტერესი, რომელიც დიდი ხანია არსებობს მეცნიერულ წრეებში ქალაქ პეტრას წარმოშობის ისტორიული აუცილებლობის, მისი შემდგომი ბედისა და ადგილმდებარეობის საკითხებთან დაკავშირებით. განსაკუთრებით მწვავედ დგას და კამათის საგანია პეტრას ლოკალიზაციის მცდელობის საკითხი, რომელსაც დიდი ხნის, სულ ცოტა ორი საუკუნის ისტორია მაინც აქვს. თუ მხედველობაში არ მივიღებთ კიდევ უფრო ადრინდელ მოგზაურთა ცნობებს, პეტრას ლოკალიზაციის საკითხებს რომ ეხებიან.

ჩვენ მხედველობაში გვაქვს მ. სელეზნოვის მიერ გამოქვეყნებული, იერუსალიმის პატრიარქის უფალი დოსითეოზის 1659—1660, 1677 წწ. ამიერკავკასიის ქრისტიანულ ქვეყნებში მოგზაურობის ჩანაწერები, სადაც ქობულეთის აღმოსავლეთით, ერთი — ერთნახევარი საათის სავალ მანძილზე, მითითებულია ციხე ნანგრევები, რომელსაც ავტორი ბიზანტიური ხანის ციხე-ქალაქ პეტრას ნაშთად მიიჩნევს. აქვე საუბარია იმ სისხლისმღვრელ ბრძოლებზე, რომელსაც ადგილი ჰქონდა

პეტრას მიდამოებში, ბიზანტიის იმპერატორ იუსტინიანესა და სპარსეთის მეფის ჯარებს შორის[1].

როგორც ვხედავთ, ამ ჩანაწერებში არ არის პირდაპირი მითითება, თუ კონკრეტულად რომელ პუნქტთან ახდენს დოსითეოზი პეტრას იდენტიფიკაციას, მაგრამ აშკარაა, რომ აქ ციხისძირის ციხის ნაშთები უნდა იგულისხმებოდეს. ქობულეთიდან აღმოსავლეთით, ერთნახევარი საათის სავალ მანძილზე, სწორედ, ციხისძირი მდებარეობს, რომელიც ტოპოგრაფიულადაც უახლოვდება პრკოპისეულ პეტრას აღწერილობას.

მეორე უცხოელი მკვლევარი, რომელმაც გარკვეული ღვაწლი დასდო ქალაქ პეტრას ლოკალიზაციის საკითხს, იყო ფრანგი არქეოლოგი და მოგზაური დიუბუა დე მონპერე. როგორც ცნობილია, ამ მეცნიერმა XIX ს-ის 30-იან წლებში, სპეციალური მიზნით, მოიარა საქართველო და ისეთ მონუმენტურ ძეგლებთან ერთად, როგორიც არის ნოქალაქევ-არქეოპოლისი და ფასისის ციხე-სიმაგრე, ნახა ვაშნარის ნანგრევებიც[2]. დიუბუა ამ ადგილს, ვაშნარის ნაცვლად, „უჯენარს“ უწოდებს, რაც შენიშნა კიდეც ჯერ დ. ბაქრაძემ, ხოლო შემდეგ აკად. ს. ჯანაშიამ, როგორც შეცდომა[3]. ჩვენი აზრით, დიუბუა ამ შემთხვევაში შენიშვნას არ იმსახურებს. საქმე იმაშია, რომ ტოპონიმი ვაშნარი ქართლულენოვანი წარმომავლობის, ბოტანიკური შინაარსის მქონე სიტყვა არ უნდა იყოს, როგორც ეს დღეს არის გაგებული. იგი ლაზურ-ჭანური ენობრივი სამყაროს კუთვნილება ჩანს. თავდაპირველად უნდა გვქონოდა სიტყვა „ვაშინერი“, რაც შინაარსობრივად ამკრძალავი ტაბუს აღმნიშვნელი ტერმინია და რაიმეს სახელის ხსენებას, მიკარებას კრძალავს. დაახლოებით ასეთივე შინაარსისაა „უჯინერი“, რითაც რაიმესადმი მიკარება კი არა, შეხედვაც კი იკრძალება. როგორც ჩანს, ასეთი ეპითეტები დაიმსახურა ვაშნარის ნანგრევებმა, რომელიც დიუბუას დროს დაბურულ ტყეში მდგარა და, ალბათ, ბევრად უფრო ადრე, მოსახლეობა მასში ავი სულების ნამოქმედარსა და საბუდარს ხედავდა. აქედან გამომდინარე, გარკვეული ტერმინებით — „ვაშინერი“,

[1] М. Селезніев. Руководство к познанію Кавказа. Путешествіе патриарха Досифея съ религіозными и политическим состояніемъ Грузии до XVII века. Санкт—Петербургъ, 1847, с. 37.

[2] Dubois de Montpéreux F. Voyage autour du Caucase. t. II. Parus, 1839, p. 85, t. III, p. 86.

[3] Д. Бакрадзе. Археологическое путешествие по Гурии и Адчаръ. СПб, 1878. с. 275; ს. ჯანაშია. ფეოდალური რევოლუცია საქართველოში. შრომები, I, თბ., 1949, გვ. 30.

„უჯინერი“ — იკრძალებოდა კიდეც მასთან მიახლოვება, გაელა, შეხედვა და ა. შ.

თანდათანობით, ალბათ, უფრო მოგვიანებით, შესაძლოა, ეთნიკური ელემენტის ცვლასთან დაკავშირებით ძველმა ტერმინმა „ვაშინერიმა“ დაკარგა თავდაპირველი შინაარსი და მივიღეთ გაქართულებული, ახალი შინაარსის მქონე ტოპონიმი „ვაშნარი“, ე. ი .ადგილი, სადაც ვაშლის ხეები ჭარბობს, ისეთივე, როგორიც არის ფიჭვნარი, მუხნარი, თელავი და სხვ.

როგორც ჩანს, ვაშნარის სწორკუთხაკოშკებიან ციხეს, აგურისსარტყლებიან და გვერდებაკეცილი კრამიტით გადახურულ ტაძარსა და კიბიანი აბანოს ნაშთებს ისეთი დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია დიუბუაზე, რომ იგი, უყოყმანოდ, პეტრად მიუჩნევია. დიუბუამ ანგარიში არ გაუწია პროკოპი კესარიელის ნიშანდობლივ ცნობას, რომლის მიხედვით ციხე-ქალაქი პეტრა, რომელიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს ირან-ბიზანტიას შორის ომიანობის დროს, აგებული იყო უშუალოდ ზღვის სანაპიროზე, კლდოვანი რელიეფის მქონე ბორცვზე[4], მაშინ, როცა მდ. ნატანების ორი უმნიშვნელო შენაკადის — საცივესა და სკურდების შეერთების ადგილას მდებარე ვაშნარის ციხე დაახლოებით 20 კმ-ით არის დაცილებული ზღვას და ოდნავ შემაღლებულ გავაკებაზე მდებარეობს. ყოველივე ამის გამო, პეტრას ლოკალიზაციის დიუბუასეული მცდელობა იმთავითვე არ იქნა გაზიარებული კ. კოხის[5], მ. ბროსეს, დ. ბაქრაძის[6], კალფოღლუს[7], ს. ჯანაშიას[8] და სხვათა მიერ.

იენის უნივერსიტეტის პროფესორმა, თავისი დროის ცნობილმა ბოტანიკოსმა და დენდროლოგმა კარლ ჰაინრიჰ ემილ კოხმა, რომელმაც XIX ს. პირველ ნახევარში იმოგზაურა კავკასიაში, საქართველოს

---

[4] გეორგიკა, ტომი მეორე. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა. თბ., 1965, გვ. 33, შენ. 2.

[5] კ. კ ო ხ ი და ო. ს პ ე ნ ს ე რ ი. ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარი დაურთო ლ. მამულაშვილმა, თბ., 1981, გვ. 183—184.

[6] Д. Б а к р а д з е. указ. соч., с. 277; M. B r o s s e t. Additions et eclaircissements a l' histoire de la Georgie. St.—Pet 1851. p. 98.

[7] И. И. Кальфоглу. Город Петра-Цихис-дзири, Историко-Археологическая заметка.—Известія Кавказского отдела Ипер. географического общества, т. XVIII. 1905—1906, №3. с. 198, 212.

[8] ს. ჯ ა ნ ა შ ი ა. დასახ. ნაშრ. გვ. 30.

ბუნების, ხალხის ყოფის, ცხოვრების, ეკონომიკისა და კულტურის საინტერესო აღწერილობა დაგვიტოვა[9].

სწორედ მან პირველმა გააკრიტიკა დიუბუა დე მონპერეს მცდარი შეხედულებანი პეტრა-ვაშნარის იგივეობის შესახებ. მასვე ეკუთვნის საინტერესო დაკვირვება პეტრას ლოკალიზაციის საკითხზე, როდესაც იგი მდ. ჩოლოქიდან ბათუმისაკენ მიემგზავრებოდა: „მალე საკმაოდ დიდი მოცულობის ციხის ნანგრევებს მივადექით, ე. წ. ციხისჯვარს (კ. კოხი ცდება, აქ უნდა იყოს ციხისძირი — გ. გ.), აქედან შესანიშნავი სანახაობა იშლება: ერთი მხრივ, ზღვა, ხოლო, მეორე მხრივ, ქვეყნის სიღრმეში მდებარე ნაყოფიერი მიდამოები. შესაძლოა, ეს ნანგრევები ბიზანტიელებსა და სპარსელებს შორის წარმოებული ომების დროინდელია, ვინაიდან ისინი განსხვავდებიან ადგილობრივი ქართული წარმოშობის ციხეებისაგან. ისტორიამ შემოგვინახა ბიზანტიელების მიერ აგებული ერთი ასეთი ციხის სახელი. შესაძლოა, დღევანდელი ციხისძირი ბერძნების პეტრა იყოს. პეტრა ზღვის მახლობლად მდებარეობს და რამდენადაც შეიძლება ამჟამად მისი ადგილმდებარეობის დადგენა, ახლანდელი ციხისძირის ნანგრევების ადგილზე უნდა ყოფილიყო აშენებული“[10].

როგორც ამ ამონაწერიდან ვხედავთ, კ. კოხის ვარაუდის საფუძველს ციხისძირის ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა წარმოადგენს, რასაც მხარს უბამს ციხისძირსა და პროკოპისეული პეტრას ტოპოგრაფიული მსგავსებაც. ჩვენთვის გაუგებარია, ციხისძირის ნანგრევების აღწერისას რაში ხედავს იგი ციხის არაქართულ ხასიათს — მასშტაბებში, კედლების წყობაში თუ არქიტექტურულ დეტალებში.

ციხისძირის ხელსაყრელი სტრატეგიული მდებარეობის წყალობით სავსებით ანალოგიურ დასკვნამდე მივიდა XIX ს. მეორე ნახევრის მკვლევარი კავკასიოლოგი ე. ვეიდენბაუმი. მისი დაკვირვებით, „აქ თვით ბუნებას შეუკრავს ზღვისპირა გასასვლელი და მახლობელ მიდამოებში სხვა უკეთესი ადგილი არ არსებობს სანაპიროზე გამავალი გზის ჩამკეტი ციხის ასაგებად“[11].

---

[9] კ. კ ო ხ ი და ო. ს პ ე ნ ს ე რ ი. ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. გვ. 10—259.

[10] იქვე. გვ. 183—184.

[11] Е. Г. В е й д е н б а у м. От Батума до Артвина (путевые заметки). —Кавказские этюды, изследованія и заметки Е. Г. Вейденбаума. Тифлисъ, 1907. с. 320.

საინტერესოა, რომ ყველა მოგზაური თუ მეცნიერი, რომელიც კი ეხება ციხისძირს და პეტრასთან აიგივებს მას, ისე მსჯელობს, თითქოს ყოველივე ეს მათი საკუთარი დაკვირვებისა და კვლევის შედეგი იყოს და არა წინაპართა ნააზრევი.

ასეთი დამოკიდებულების თვალსაჩინო მაგალითია ი. კალფოგლუს სპეციალური ნაშრომი, რომელიც პეტრას ლოკალიზაციის საკითხებს ეხება და ზუსტად იმეორებს ე. ვეიდენბაუმის შეხედულებას ციხისძირზე. ი. კალფოგლუმ ადგილზე დაათვალიერა ციხისძირის ისტორიული ნაშთები, გაითვალისწინა ციხისძირის ნაშთის ადგილმდებარეობა კლდეზე, ზღვისპირას, რაც ახლოს არის სათანადო ცნობასთან პეტრას ტოპოგრაფიის შესახებ და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ციხისძირის ნანგრევები სხვა არაფერია, თუ არა ისტორიული პეტრას ნაშთები[12].

მ. ბროსეს აზრით, პეტრა ახლანდელი ქობულეთის მახლობლად არის საძიებელი, მაგრამ კონკრეტულად სად, ამის შესახებ არაფერი უთქვამს[13].

პროკოპი კესარიელის ერთ-ერთი რუსულად მთარგმნელი გ. დესტუნისი ფიქრობდა, რომ პეტრა აგებული უნდა ყოფილიყო მდ. ნატანების შესართავთან, ადგილ „შეკვეთილში". სწორედ აქ ეგულებოდა მას შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს ნახევარმთვარისებრი მოხაზულობის სამხრეთ წერტილი, სადაც, პროკოპი კესარიელის თქმით, პეტრა იქნა აგებული[14].

1934 წელს პროფ. ს. ყაუხჩიშვილმა გამოაქვეყნა პროკოპი კესარიელის ცნობები საქართველოს შესახებ ქართული თარგმანითურთ, რასაც დაურთო საყურადღებო შენიშვნები და კომენტარები. ნაშრომის ამ ნაწილში ავტორი საგანგებოდ ჩერდება პეტრას ლოკალიზაციის საკითხზე, იძლევა პეტრას ეტიმოლოგიური ძიების საინტერესო ვარიანტს და სავსებით მართებულად დაუკავშირა ლაზიკის ერთ-ერთი საეპისკოპოსო ცენტრი პროკოპისეულ ქ. პეტრას[15].

---

[12] И. И. Кальфоглу. Указ. соч., с. 202.

[13] Д. Бакрадзе. Археологическое путешествие..., с. 275—276.

[14] С. Дестуннис (Комментарии Гавр. Дестуниса). Прокопия Кесарийского История войн Римлян с Персами. Кн. II. СПб., 1880, с. 263—264. прим. 19.

[15] გეორგიკა. II. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა. ტფ., 1934, გვ. 58—60.

ს. ყაუხჩიშვილი გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს ნავსაყუდელის საკითხს. პეტრა, მისი აზრით, ისეთ პუნქტში უნდა ვეძიოთ, „რომელიც ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა ვაჭრობისათვის და სავაჭრო მიმოსვლისათვის და აგრეთვე სამხედრო საქმიანობისათვის, ე. ი. კარგი საზღვაო ნავსადგურის პირობებს აკმაყოფილებდა“, — ამბობს იგი და განაგრძობს: „საკითხის დამატებითმა შესწავლამ მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ პეტრა ახლანდელი ბათუმი უნდა იყოს. ბათუმის შემდეგდროინდელი ეკონომიკური და სამხედრო მნიშვნელობა გვაფიქრებინებს, რომ მას ანალოგიური მნიშვნელობა შეიძლება ჰქონოდა, როდესაც ბიზანტია ვაჭრობის მონოპოლიის ცენტრს ირჩევდა ლაზიკეში და როდესაც სპარსეთი ზღვაზე გასავალს ეძებდა. ასეთი პუნქტი შეიძლება ყოფილიყო ბათუმი“[16].

გარდა ამისა, ს. ყაუხჩიშვილის აზრით, რამდენადაც „პეტრა ბერძნულად ნიშნავს ქვას, კლდეს, უნდა ვიფიქროთ, რომ სიტყვაში ბათომი არის ჩამალული ისეთი ძირძველი სიტყვა, რომელიც ქვას ნიშნავდა. შეიძლება ამისათვის გამოდგეს ის ახსნა, რომელიც ჩვენ ოდესღაც წარმოვადგინეთ, რომ „ბათ“ ფუძე ერთ-ერთ ქართველურ ენაში (სვანურში — გ. გ.) ნიშნავს ქვას“[17].

ამრიგად, სანავსადგურო მონაცემებმა და ეტიმოლოგიურმა ძიებამ ს. ყაუხჩიშვილი ქ. ბათუმში მიიყვანა, რომელიც დასავლეთ საქართველოში დღესაც ერთ-ერთი ძირითადი საზღვაოსნო ცენტრია.

როგორც ზემოთ დავინახეთ, ამ საკითხით დაინტერესებულ პირთა შორის, მართალია აზრთა გარკვეული ხსვადასხვაობა არსებობს, მაგრამ მკვლევართა უმრავლესობა პეტრას აჭარის სანაპიროზე იგულვებს, მდ. ჩოლოკსა და ბათუმს შუა, იქ, სადაც ციხისძირის დიდებული ნანგრევებია შემორჩენილი, ზღვის ნაპირზე აღმართულ კლდოვან ბორცვზე.

არ შეიძლება ორი აზრი არსებობდეს, რომ ციხისძირი, თავისი მდებარეობით, ტოპოგრაფიული მონაცემებით, მასშტაბებით და უკანასკნელი ორი ათეული წლის არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებით, გვიან-რომაული და ადრებიზანტიური ხანის, უთუოდ, მნიშვნელოვანი ძეგლია.

საქართველოს ისტორიაში ციხისძირის ადგილისა და როლის გარკვევის საქმეში დიდი წვლილი შეიტანა აკად. ს. ჯანაშიას ვრცელმა

16 გეორგიკა. II, გვ. 77.

17 გეორგიკა. II. გვ. 58—60; ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი. რას მოგვითხრობენ ძველი ბერძნები საქართველოს შესახებ. თბ., 1964, გვ. 60.

და საფუძვლიანმა გამოკვლევამ. მან, ბერძნულ-რომაული, ქართულ-სომხური წერილობითი წყაროების შესწავლის, არქეოლოგიური მასალის მოშველიებითა და ფოლკლორული მონაცემების გათვალისწინებით, მეცნიერულად დაასაბუთა ციხისძირის როგორც პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და სამხედრო-სტრატეგიული ცენტრის მნიშვნელობა[18].

ს. ჯანაშიას მტკიცებით, სწორედ ციხისძირი უნდა იყოს ციხე-ქალაქი პეტრა, რომელმაც „იმდროინდელ დასავლეთ საქართველოს ცხოვრებაში დიდი როლი ითამაშა, რამდენადმე მსგავსი თბილისის როლისა აღმოსავლეთ საქართველოსათვის“[19].

აკად. ს. ჯანაშიას მეცნიერული კვლევის შედეგები პეტრას ლოკალიზაციის საკითხებთან დაკავშირებით დღეისათვის საყოველთაოდ გაზიარებულია და სახელმძღვანელო დებულებადაა აღიარებული. ყოველ შემთხვევაში, „...ყველა აქამდის არსებულთაგან უფრო სრული და ღამაჯერებელი ჩანს“[20].

ს. ჯანაშიას შემდეგ არაერთი მკვლევარი დაუბრუნდა პეტრას ლოკალიზაციის საკითხს და სპეციალური ნაშრომი მიუძღვნა მას. ესენია: ნ. ხოშტარია[21], პ. ინგოროყვა[22], ნ. ლომოური[23], მ. სულეიმანოვი[24],

---

18 ს. ჯ ა ნ ა შ ი ა. დასახ. ნაშრ., გვ. 32—44.

19 იქვე. გვ. 30.

20 ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი. „ს. ჯანაშია, საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე“ (რეცენზია). — მიმომხილველი. III, თბ., 1953, გვ. 291.

21 ნ. ხ ო შ ტ ა რ ი ა. ციხისძირის ისტორიისათვის არქეოლოგიური მასალების მიხედვით. — ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის მეოთხე სამეცნიერო სესიის თეზისები, 1953; მისივე. ციხისძირი. თბ., 1962.

22 პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა. გიორგი მერჩულე. თბ., 1954, გვ. 230, 234.

23 ნ. ლ ო მ ო უ რ ი. ქალაქი პეტრა და მისი მდებარეობა. — თბილისის უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტთა II სამეცნიერო კონფერენციის შრომები. ნაწ. I. 1948, გვ. 24—27.

24 მ. ს უ ლ ე ი მ ა ნ ო ვ ი. პეტრა (ციხისძირი). — აჭარის სახ. მუზეუმის შრომები. ტ. II. ბათუმი, 1957, გვ. 5—41.

ვ. სიჭინავა[25], ი. სიხარულიძე[26], ნ. ბერძენიშვილი[27], ალ. ქათამაძე[28], ა. ინაიშვილი[29], დ. ხახუტაიშვილი[30], დ. მუსხელიშვილი[31], რ. გვერდწითელი[32], კ. მელითაური[33], ვ. ლექვინაძე[34] და სხვა.

ყველა ეს ავტორი სავსებით იზიარებს პეტრა-ციხისძირის იგივეობის ს. ჯანაშიასეულ ვარაუდს და საკუთარი სპეციალობისდა მიხედვით ახალი მასალებით ამდიდრებს და აღრმავებს მას.

---

25 ვ. სიჭინავა. ახალი ცნობები (ციხისძირი) პეტრას ისტორიისათვის (ადგილის ლოკალიზაციის საკითხი). — აჭარის სახ. მუზეუმის შრომები. ტ. II. ბათუმი, 1957, გვ. 51—52.

26 ი. სიხარულიძე. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა. II, გვ. 97—103; მისივე. — აჭარის მატერიალური კულტურის ძეგლები. ბათუმი, 1962, გვ. 25—26.

27 ნ. ბერძენიშვილი. ს. ჯანაშია, საქართველო ადრინდელი ფეოდალიზმის გზაზე (რეცენზია). — მიმომხილველი. III. თბ., 1953, გვ. 291; მისივე. ლაზიკის ისტორიული გეოგრაფიისათვის. — ქუთაისის ნ. ბერძენიშვილის სახ. ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის მასალები. თბ., 1968, გვ. 21—45.

28 ალ. ქათამაძე. პეტრა ციხე-ქალაქის შესახებ. — საბჭოთა აჭარა. № 178, 1963, 9 სექტემბერი.

29 ა. ინაიშვილი. ციხე-ქალაქ პეტრას ნავსადგურის საკითხისათვის. — სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები. II. თბ., 1971, გვ. 74—88; მისივე. პეტრას საეპისკოპოსო კათედრის საკითხისათვის ციხისძირის გათხრების შედეგების მიხედვით. — სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები. II. 1971. გვ. 91—107; მისივე. პეტრა — ციხისძირის 1962—1965 წწ. ჩატარებული გათხრების შედეგები.— სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები. IV. თბ., 1974, გვ. 102—153; მისივე. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს უძველესი ნამოსახლარებისა და ნაქალაქარების არქეოლოგიური კვლევა-ძიების ძირითადი შედეგები (1959—1971). — სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები. III. თბ., 1973, გვ. 3—7.

30 დ. ხახუტაიშვილი, ა. ინაიშვილი, ქართული მატერიალური კულტურის საყურადღებო ძეგლები. — საბჭოთა აჭარა, 1962/VIII, № 17; დ. ხახუტაიშვილი. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური ექსპედიციის 1979 წ. მუშაობის ძირითადი შედეგები. — სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები. XV. თბ., 1982, გვ. 3—17.

31 დ. მუსხელიშვილი. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები. თბ., 1977, გვ. 102, 104, 108, 228.

32 Р. Гвердцители. Соображения по изучению реставрации храма Цихисдзири. 1963—1964 гг. рукопись: Его же. Соображения по изучению и реставрации бани Цихис-Дзири за 1963—1964 гг. (рукопись).

33 К. Н. Мелитаури. Крепости дофеодальной и раннефеодальной Грузии. II. Тбилиси, 1971, с. 16—20.

34 В. А. Леквинадзе. О постройках Юстиниана западной Грузии.— Виз. вр., т. 34. М., 1973. с. 169—186.

მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ პირველი ქართველი არქეოლოგი ქალის ნ. ხოშტარიას დამსახურება ციხისძირის ისტორიულ-არქეოლოგიური და ეტიმოლოგიური ძიების თვალსაზრისით. ნ. ხოშტარია შემთხვევით აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალის შესწავლისა თუ უსაფალოდ მის მიერ ჩატარებული არქეოლოგიური ძიების საფუძველზე დაასკვნის, რომ ციხისძირი უძველესი სამოსახლო პუნქტია და უკვე ჩვენი წელთაღრიცხვის დამდეგისათვის შესაძლოა ერისთავის საკომი რეზიდენცია ყოფილიყო[35].

ნ. ხოშტარიას აზრით, ბერძნულ წყაროებში მოხსენიებული ციხე-ქალაქის სახელი პეტრა, შესაძლოა, ადგილობრივი (ლაზური) სახელწოდების — „ქობულეთის“ — თარგმანს წარმოადგენს. როგორც ირკვევა, ლაზურად სიტყვა ქობული და ქუაბული ნიშნავს ქვას (მრგვალ ქვას)[36].

მკვლევრის აზრით, პეტრა თანამედროვე ციხისძირი უნდა იყოს და მდებარეობდა იქ, სადაც შემონახულია ძველი ციხის ნაშთები[37].

რაც შეეხება ქალაქ პეტრას, ნ. ხოშტარიას მიაჩნია, რომ აქ საეჭვოა თანამედროვე ცისის მიდამოები იგულისხმებოდეს, რადგან რელიეფის დასერილობა, კლდოვანი ზედაპირი, ნავსადგურის უქონლობა „არასოდეს არ ქმნიდა პირობებს ქალაქის მჭიდრო სამეურნეო ცხოვრების სხვა დარგების განვითარებისათვის“[38].

ნ. ხოშტარიას ქ. პეტრა ციხის ჩრდილოეთით მდებარე ზღვისპირა დაბლობში (ბობოყვათი, ქობულეთი, ფიქვნარი) ეგულება, რაც თითქოს დასტურდება კიდეც არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად[39].

ადგილ ციხისძირისა და მისი შემოგარენის თანმიმდევრულ, ფართო მასშტაბის არქეოლოგიურ კვლევა-ძიებას საფუძველი ჩაეყარა 60-იანი წლების დასაწყისში, მას შემდეგ, რაც ჩამოყალიბდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტისა და ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ერთობლივი ექსპედიცია, რომელიც დღესაც წარმატებით განაგრძობს მუშაობას. თავდაპირველად ექსპედიციას საერთო ხელმძღვანელობას უწევდა აკად.

---

35 ნ. ხ ო შ ტ ა რ ი ა. ციხისძირის ისტორიისათვის არქეოლოგიური მასალების მიხედვით. — ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის მეოთხე სამეცნიერო სესია. 1953, გვ. 17.

36 ნ. ხ ო შ ტ ა რ ი ა. ციხისძირი. 1962, გვ. 35.

37 ნ. ხ ო შ ტ ა რ ი ა. დასახ. ნაშრ. გვ. 34.

38 იქვე. გვ. 34.

39 იქვე. გვ. 34—35.

ნ. ბერძენიშვილი (1962—1964 წწ.), შემდეგ ა. ინაიშვილი (1965—1978 წწ.), ხოლო დღემდე მას ხელმძღვანელობს ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი დ. ხახუტაიშვილი. სწორედ მათი ხელმძღვანელობითა და უშუალო მონაწილეობით აჭარის სხვადასხვა ნაწილში მრავალი განსხვავებული ხასიათისა და ასაკის პირველხარისხოვანი ძეგლი იქნა გამოვლენილი და შესწავლილი, მაგრამ ამჯერად მათ შესახებ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ.

ხსენებული ექსპედიციის ერთ-ერთი ძირითადი საკვლევი ობიექტი იყო და არის ციხისძირის თანამედროვე ნანგრევები და მისი შემოგარენი, სადაც გამოვლინდა ძვ. წ. I ათასწლეულის საწყისი საუკუნეების, ადრეანტიკური, ელინისტური და გვიანრომაული ხანისათვის დამახასიათებელი ფენების შემცველი გორანამოსახლარი, რომლის ბაზაზეც უნდა განვითარებულიყო ქალაქი[40].

უშუალოდ ნაციხარის ტერიტორიაზე გაითხარა ორი კოშკითა და ორმაგი კედლით გამაგრებული ციტადელი, რომელსაც აღმოსავლეთ ნაწილში დატანებული აქვს 2,80 მ სიგანის კარი. სწორედ ამ კარის მარჯვენა მხარეს აღმოჩნდა კედლის ქვის წყობაში ჩასმული, კრამიტით გამოყვანილი რელიეფური ჯვარი, რომელიც რამდენადმე ბოლნურს ემსგავსება[41]. აღსანიშნავია, რომ არქიტექტორ რ. გვერდწითელს სტამბოლში ანალოგიური დეტალი დაუდასტურებია იუსტინიანეს დროის (527—565 წწ.) ერთ-ერთ ციხეზე[42]. ე. ი. ციხისძირის ციტადელის კარიბჭის ნაწილიც VI საუკუნით უნდა დათარიღდეს. დაახლოებით V—VI სს. თარიღდებიან აგრეთვე ციტადელის ფარგლებში გამოვლენილი: კოშკები, სამნავიანი დიდი და მცირე ბაზილიკა, აბანო და სხვა არქიტექტურული ნაგებობანი[43]. ძეგლის გამთხრელის ა. ინაიშვილისა

---

40 ა. ინაიშვილი. მასალები ციხისძირის გორა-ნამოსახლარიდან. — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მეთორმეტე რესპუბლიკური სამეცნიერო სესიის მოხსენებათა მოკლე შინაარსი. თბ., 1973, გვ. 149.

41 ა. ინაიშვილი. პეტრა-ციხისძირის 1962—1965 წწ. ჩატარებული გათხრების შედეგები. — სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები. IV. 1974, გვ. 139—140, ტაბ. V. 1.

42 Р. Гвердцители. Указ. соч., с. 12; К. Мелитаури. Указ. соч., с. 16.

43 ა. ინაიშვილი. დასახ. ნაშრომი. გვ. 138, 145; В. А. Лекванадзе. Указ. соч., с. 174—179; К. Мелитаури. Указ. соч., с. 18; Р. Гвердцители, Соображения по изучению к реставрации храма.. 1963—1964 гг.

და აქვე მომუშავე არქიტექტორების — კ. მელითაურის, ვ. ლექვინაძის და რ. გვერდწითელის — აზრით, ციხისძირის აკროპოლისში გამოვლენილი სამნავიანი, გარედან ხუთწახნაგა აფსიდიანი ბაზილიკა უნდა ყოფილიყო პეტრას ის საეპისკოპოსო ტაძარი, რომელიც წერილობით წყაროებში (ნოტიციებში) არაერთგზის იხსენიება[44].

ციხისძირის აკროპოლისის თანადროული საყურადღებო ძეგლები აღმოჩნდა მის ჩრდილოეთიდან მომიჯნავე ზღვისპირა გავაკებაზე, ადგილ ბობოყვათში. აქ, ქ. კიევის სანერგეს ტერიტორიაზე, 1959 წ. აღმოჩნდა და 1966 წ. გაითხარა სამნავიანი ბაზილიკა და მოპოვებული იქნა V—VI სს. მდიდარი არქეოლოგიური მასალა. ესენია: წელში გამოყვანილი ამფორები, სოლენის ტიპის კრამიტი, დამღიანი (თხის ჩლიქის გამოსახულებით) აგური, მინის ჭურჭლის ნატეხები, მოზაიკის ნაშთები, ქვის კაპიტელი, მარმარილოს სვეტის ნატეხი, ქვაზე ნაკვეთი „ბოლნური“ ჯვარი, აკლდამა[45] და სხვ.

ა. ინაიშვილის აზრით, ბობოყვათის სამნავიანი ბაზილიკა წარმოადგენს ნაქალაქარზე აგებულ ძეგლს, რომელიც შესაძლოა აკროპოლისის სამნავიანი ბაზილიკის თანადროული ან უშუალოდ მისი მომდევნო ხანისა (VI საუკ. II ნახევარი) იყოს[46].

არქეოლოგიური ზედაპირული ძიებისა და ბობოყვათის დაბლობზე ბაზილიკური ნაშთების აღმოჩენის ფაქტმა მკვლევარი საბოლოოდ დაარწმუნა, რომ ქალაქი პეტრა ვრცელდებოდა ბობოყვათის დაბლობზე, ციხისძირის ციხიდან მდინარეების — დეხვასა და კინტრიშის — მიმართულებით[47]. როგორც ზემოთ დავინახეთ, პეტრას ლოკალიზაციის საკითხებით დაინტერესებულ მეცნიერთა ერთი ჯგუფი, ითვალისწი-

---

44 ა. ინაიშვილი. პეტრას საეპისკოპოსო კათედრის საკითხისათვის ციხისძირის გათხრების შედეგების მიხედვით. — სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები. II. თბ., 1971. გვ. 105—106; Р. Гвердцители. Указ. соч.; В. Леквинадзе. О постройках..., с. 174—179; К. Мелитаури. Крепости..., с. 16—20.

45 ა. ინაიშვილი, დ. ხახუტაიშვილი, ა. კახიძე. 1966 წელს ციხისძირისა (პეტრა) და ფიჭვნარის ნაქალაქართა არქეოლოგიური შესწავლის შედეგები. — ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის XVI სამეცნიერო სესია, მიძღვნილი 1960 წლის საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი, მოკლე ანგარიშები. თბ., 1967, გვ. 66—68.

46 იქვე; ა. ინაიშვილი. პეტრას საეპისკოპოსო კათედრის საკითხისათვის, ციხისძირის გათხრების შედეგების მიხედვით. გვ. 91—97.

47 ა. ინაიშვილი. ციხე-ქალაქი პეტრას ნავსადგურის საკითხისათვის. — სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები. II. თბ., 1971, გვ. 82.

ნებს რა ციხისძირის ციხის ტერიტორიულ შეზღუდულობას (1.5 ჰექტარი), ნავსაყუდელის უქონლობას და რელიეფის დანაწევრებას, თანამედროვე ნანგრევებს აკროპოლისის ნაშთად მიიჩნევს[48], ხოლო ქალაქის ტერიტორიას ბობოყვათის დაბლობში და მის ჩრდილოეთით ვარაუდობს[49]. ამ ვარაუდის სისწორეს თითქოს ადასტურებს კიდეც ბობოყვათის ხსენებული აღმოჩენები და მიმდინარე წლის არქეოლოგიური გათხრების შედეგები. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური ექსპედიციის ციხისძირის რაზმმა 1983 წ. ბობოყვათის ტერიტორიაზე აღმოაჩინა და გათხარა მოზაიკურიატაკიანი აბანო და გვიანანტიკური ხანის სამაროვანი[50].

ამრიგად, უკანასკნელ წლებში მიღწეული შედეგების მიხედვით, ციხისძირის ტერიტორიაზე, ფაქტობრივად, დადასტურდა დიდი, ქალაქური დასახლების არსებობა, რომელსაც გააჩნია ორმაგი კედლებითა და კოშკებით გამაგრებული აკროპოლისი, თავისი სამნავიანი ბაზილიკით, აბანოთი და რაღაც სამეურნეო ნაგებობებით და აქვე, დაბლობში, საკუთრივ ზღვისპირას გაშლილი ქალაქი ტაძრით, აბანოთი, აკლდამით, სამაროვნით და სხვ.

ერთი სიტყვით, ციხისძირის ციხის ეფექტური ნაშთების შესწავლისა და უკანასკნელ წლებში ფართოდ გაშლილი არქეოლოგიური კვლევა-ძიების საფუძველზე, უდავოდ დასტურდება. რომ ამ პუნქტში, გვიანრომაულ და ადრებიზანტიურ ხანაში, არსებობდა რომელიღაც ქალაქი თუ ქალაქური ტიპის მსხვილი დასახლება.

ციხისძირი რომ დიდმნიშვნელოვანი ძეგლია, ეს კარგად დასტურდება როგორც მიწისზედა არქიტექტურული, ისე არქეოლოგიური მასალის საფუძველზე და აქ საკამათოც არაფერია, რასაც ვერ ვიტყვით პეტრა-ციხისძირის იდენტიფიკაციის საკითხზე. პეტრა-ციხისძირის იგივეობის საკითხი, რომელსაც თითქმის ორსაუკუნოვანი ტრადიცია გააჩნია, წინააღმდეგობათა ქსელით არის გარემოცული და ნაკლებად დამაჯერებელია.

---

48 ს. ჯანაშია. შრომები. I. გვ. 42—43.

49 ნ. ხოშტარია. დასახ. ნაშრ., გვ. 34; მ. სულეიმანოვი. პეტრა ციხე. — აჭარის ასსრ სახელმწიფო მუზეუმის შრომები. II. ბათუმი, 1957, გვ. 25—26; ა. ინაიშვილი. პეტრა-ციხისძირი. 1962—1965 წწ. ჩატარებული გათხრების შედეგები. გვ. 121.

50 ნ. ინაიშვილი. ციხისძირის გვიანანტიკური ხანის აბანოები. — სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები. ტ. 17. გვ. 1988, გვ. 76—85.

ციხისძირთან პეტრას იდენტიფიკაციის გავრცელებულ მოსაზრებას არ იზიარებს გამოჩენილი გერმანელი ბიზანტიოლოგი ბერტჰოლდ რუბინი, რომელსაც იუსტინიანეს ეპოქისადმი მიძღვნილ ერთ-ერთ კაპიტალურ ნაშრომში გამოქვეყნებულ რუკაზე, ციხისძირის გვერდით, პეტრა აქვს აღნიშნული, მაგრამ იქვე უზის დიდი კითხვის ნიშანი[51]. ტექსტში იგი სინანულით აღნიშნავს, რომ პეტრას ლოკალიზაციის საკითხი დღემდე გადაუჭრელია, რაც ართულებს ისტორიული გეოგრაფიის თუ პოლიტიკური საკითხების გაშუქებასო[52]. არსებულ ეტაპზე პეტრას ლოკალიზაციის საკითხთან დაკავშირებული ხსენებული ავტორის მოსაზრება სავსებით მისაღებად გვეჩვენება.

პეტრა-ციხისძირის იდენტიფიკაციის, უკვე საყოველთაოდ მიღებული და გაზიარებული, სახელმძღვანელო დებულებისადმი ჩვენი სკეპტიკური დამოკიდებულების საფუძველს რაიმე განსაკუთრებული ორიგინალობისაკენ სწრაფვის ტენდენცია არ გააჩნია. ეს არის სავსებით რეალურად არსებული საკვლევი საკითხის ირგვლივ წინააღმდეგობრივი ფაქტების ანალიზის საფუძველზე მიღებული შეხედულება.

ჩვენი აზრით, პეტრას ლოკალიზაციის ხსენებულ ვარიანტს გააჩნია თავისი მყარი და სუსტი მხარეები. პირველი მდგომარეობს იმაში, რომ ადგილზე არსებობს შესანიშნავი არქეოლოგიური ძეგლი, რომლის ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობები თითქოს პასუხობს ქალაქ პეტრას წყაროსეულ ჩვენებებს, რაც წარმოადგენს მეცნიერთა ყურადღების გამახვილების საფუძველს ციხისძირისაკენ.

ლოკალიზაციის სისუსტე კი, პირველ ყოვლისა, იმით არის განპირობებული, რომ წერილობითი წყაროების ჩვენებათა გამოყენება ხდება ფრაგმენტულად, მხოლოდ სასურველი ადგილების გამოყენებით და საწინააღმდეგო ცნობების გვერდის ავლით. ცალკეული გამონაკლისის გარდა, წინასწარ არ ხდება იმ პუნქტების, ტომების განსახლების, გზებისა და მდინარეების ადგილმდებარეობის გარკვევა, რომელიც, წერილობითი წყაროების ჩვენებით, საძიებო ქალაქის ლოკალიზაციის საფუძველს წარმოადგენენ.

საუბარი რომ ძალზე ზოგადი არ გამოგვივიდეს, საჭიროდ მიგვაჩნია გარკვეული თანმიმდევრობით განვიხილოთ ყველა ფაქტი და წე-

---

[51] Berthold Rybin. Das zeitalter Jystinians, Erster Band. Berlin, 1960, Karte 8.

[52] იქვე. გვ. 115.

რილობითი წყარო, სადაც ქალაქ პეტრაზეა საუბარი: თუ სად, როდის და რატომ შენდება ეს ქალაქი, როგორი იყო იმ დროისათვის ლაზების განსახლების ეთნიკური საზღვრები, სად გადიოდა ძირითადი, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზები, რომელი იყო ქვეყნის მთავარი მდინარეები, სად მდებარეობდა ლაზების ძირითადი ციხე-ქალაქები და სხვ. ერთი სიტყვით, პირველი რიგის ამოცანად მიგვაჩნია საკითხის კომპლექსური შესწავლა, წერილობითი წყაროების გამოწვლილვითი ანალიზისა და ყველა სხვა რიგის (არქეოლოგიური თუ საისტორიო გეოგრაფიის) ფაქტიური მასალის გათვალისწინების საფუძველზე.

როგორც ცნობილია, ქ. პეტრას პირველ მოხსენიებას ვხვდებით იუსტინიანე კეისრის 535 წლით დათარიღებულ ნოველაში, სადაც საუბარია პოლემონის პონტოს ქალაქებზე: ნეოკესარიაზე, კომანაზე, ტრაპეზუნტზე, კერასუნტზე, პოლემონიონზე, პიტიუნტზე და სებასტოპოლისზე. ნოველის ავტორის თქმით, „მათ შემდეგ მდებარეობს ჩვენი ლაზიკე, სადაც არის ქალაქი პეტრა, რომელსაც ჩვენგნით ხვდა წილად ქალაქი გამხდარიყო და დარქმეოდა და რომელსაც მიენიჭა ჩვენი უზენაესის სახელიც და ეწოდება იუსტინიანე“[53].

ცნობაში არაფერია ნათქვამი პეტრას ლოკალიზაციის საკითხის სასარგებლოდ, მაგრამ იგი მაინც მნიშვნელოვანია ჩვენთვის, რადგან ამ წყაროდან პირველად ვგებულობთ, რომ პეტრა ლაზიკის ქალაქია. იგი აშენებული უნდა იყოს VI საუკუნის 30-იან წლებში, ალბათ, სპარსეთის მეფის, კავადის იმ ექსპანსიური პოლიტიკის საწინააღმდეგოდ, რომელსაც მოჰყვა ჯერ მეფობის გაუქმება ქართლში (523 წ.), ხოლო შემდეგ ლაზიკის ფარგლებში სპარსელების შემოჭრა და სანაპირო ციხეების — სკანდესა და შორაპანის — დაჭერა.

იმ ბერძენ მწერალთა შორის, რომლებმაც მდიდარი და მრავალფეროვანი მასალა დაგვიტოვეს ლაზიკის ისტორიის შესახებ და რომელთა თხზულებებმაც მოაღწიეს ჩვენამდე, „პროკოპი კესარიელი უნდა ჩაითვალოს ყველაზე უფრო ნაყოფიერ და სანდო ისტორიკოსად“[54].

ლექსიკოგრაფ სვიდას ცნობით, „პროკოპი ბრწყინვალე პალესტინის კესარიიდან, რიტორი და სოფისტი; აღწერა რომაული ისტორია, ესე იგი, პატრიკიოს ველიზარის ომები, რომლებიც რომსა და

---

53 გეორგიკა. II. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა. თბ., 1965, გვ. 33—35.

54 გეორგიკა. II. გვ. 38.

ლიბიაში მოხდა. ცხოვრობდა იუსტინიანე მეფის დროს, ველიზარის მდივნის (მრჩევლის) თანამდებობას ასრულებდა და მას ახლდა ყველა ომში და მისი საქმიანობაც აღწერა"[55].

როგორც ქართველი მკვლევრები ფიქრობენ, მიუხედავად იმისა, რომ თვითონ პროკოპის არ მიუღია მონაწილეობა ბიზანტია-სპარსეთის ომებში და არ ყოფილა ლაზიკაში, თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის წყალობით, ჰქონდა საშუალება გასცნობოდა ომის მსვლელობის ნამდვილ სურათს, რადგან მისთვის ხელმისაწვდომი იყო სახელმწიფო კანცელარიის ოპერატიული მოხსენებები, სახელმწიფო არქივებისა და სამხედრო შტაბების საიდუმლო მასალები.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ პროკოპი კესარიელი ცხოვრობდა VI საუკუნის I ნახევარში, როდესაც ბიზანტია-სპარსეთის ომები ძალზე გამწვავებულია, ლაზიკაში მისი ერთ-ერთი ციხე-ქალაქის, პეტრას ხელში ჩაგდების მიზნით, რომელიც სპარსეთისათვის რომის იმპერიაში შეღწევის გასაღებს წარმოადგენდა, ხოლო რომისათვის — პირიქით, რომის იმპერიის ჩრდილო კარის ჩამკეტ ბურჯსა და ლაზიკაში მისი პოლიტიკური და ეკონომიკური ბატონობის ცენტრს წარმოადგენდა. პროკოპის თხზულება იუსტინიანეს დროინდელი ომების შესახებ სამართლიანად არის მიჩნეული საუკეთესო წყაროდ ბიზანტიისა და საქართველოს VI საუკუნის პირველი ნახევრის ისტორიისათვის. აგათია სქოლასტიკოსის მიხედვით, „ვინაიდან რიტორ პროკოპი კესარიელს ზედმიწევნით აქვს აღწერილი უმეტეს წილი იუსტინიანეს დროის მომხდარი ამბებისა, აღარ არის საჭირო მეც შევეხო მათ, რადგან მათზე საკმარისად არის ნათქვამი"[56].

ამასთანავე, პროკოპის ომების „ისტორია", როგორც ს. ყაუხჩიშვილი აღნიშნავს, არ არის მარტო ფაქტების გადმოცემის წყარო. ამბის უკეთესად გასაშუქებლად იგი იძლევა დაწვრილებით გეოგრაფიულ და ეთნოგრაფიულ აღწერებს იმ ადგილებისას, სადაც საომარი ოპერაციები მიმდინარეობდა[57].

აქვე, თუ კიდევ ერთხელ გავიხსენებთ მენანდრეს[58] და ლექსიკო-

---

55 იქვე.

56 გეორგიკა. III. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ბერძნული ტექსტი თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა. თბ., 1936, გვ. 25.

57 გეორგიკა. II. 1935, გვ. 13.

58 ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტ. 3, 1936, გვ. 202.

გრაფ სვიდას[59] შეფასებას პროკოპისადმი, დავრწმუნდებით, რომ პროკოპი, როგორც ისტორიკოსი, სრული ნდობით სარგებლობდა ჯერ კიდევ მისივე თანამედროვე მწერალთა და მეცნიერთა შორის.

ასევეა დღესაც. „პროკოპი კესარიელი, როგორც ცნობილია, საერთოდ და კერძოდ, ლაზიკის იმდროინდელი ვითარების გასარკვევად ფრიად კომპეტენტური ისტორიკოსია“[60]. ს. ყაუხჩიშვილის აზრით, საქართველოს ისტორიის საკითხებზე მსჯელობისას „პროკოპი კესარიელი უნდა ჩაითვალოს ყველაზე უფრო ნაყოფიერ და სანდო ისტორიკოსად“[61].

პროკოპი კესარიელის, როგორც ისტორიკოსის, მიმართ ამგვარი პოზიტიური დამოკიდებულების მიუხედავად, ჩვენივე ისტორიკოსთა შრომებში ხშირად ვხვდებით პროკოპის ცნობებისადმი კრიტიკულ, მე ვიტყოდი, გადაჭარბებულ კრიტიკულ დამოკიდებულებას. ერთნი უსაყვედურებენ ავტორს ლიტერატურული და რეალურად არსებული ფაქტების აღრევას[62], მეორენი — თითქოს, მის ცნობებში არსებულ ურთიერთსაწინააღმდეგო ფაქტებს[63] და ა. შ. აღსანიშნავია, რომ პროკოპი კესარიელის „შეცდომების“ დიდი ნაწილი თავმოყრილია მისი ისტორიის იმ ნაწილში, სადაც საუბარია ირან-ბიზანტიას შორის გაჩაღებული საომარი მოქმედების პირველ ეტაპზე, პეტრას ხელში ჩასაგდებად რომ მიმდინარეობს (541—551 წწ.). შემდგომში კი, როცა ბრძოლის ასპარეზი რიონ-ფასისის ხეობაში (არქეოპოლისის მიდამოებში) გადაინაცვლებს, ანალოგიურ ფაქტებს თითქმის აღარ ვხვდებით. ეს ფაქტი, უთუოდ, დამაფიქრებელია. თითქოს გეოგრაფიული გარემოიგივეა, ომები კვლავ ფასისის აუზში მიმდინარეობს. წყაროს ავტორი კვლავ პროკოპი კესარიელია, მისი ინფორმატორებიც, ალბათ, უცვლელნი რჩებიან, შრომის ხარისხი კი მკვეთრად იცვლება; ყოველ შემთხვევაში, ფაქტები აღარ ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს, სწორად ასახავენ ისტორიულად არსებულ რეალურ ვითარებას და, ბუნებრივია, ჩვენც უყოყმანოდ ვღებულობთ მათ.

---

59 გეორგიკა. II. გვ. 38.

60 დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები. I. თბ., 1977, გვ. 102.

61 გეორგიკა. II. 1965, გვ. 106—109 (შენიშვნა); ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი. საქართველოს ისტორიის საკითხები. 1975, გვ. 476.

62 ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი. ლაზიკის ისტორიული გეოგრაფიისათვის. — მასალები. თბ., 1968. გვ. 22—23.

63 დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი. დასახ. ნაშრომი. გვ. 102.

რაშია საქმე, რამ გამოიწვია წყაროს ცალკეული ნაწილის ასეთი ზარისხობრივი ტრანსფორმაცია, ან იქნებ არ გვესმის პროკოპი სწორად და ასეთი გადახრები შესაძლოა მისი ჩვენებების არასწორი ინტერპრეტაციის შედეგი იყოს, როგორც ამას ვარაუდობს პროფ. დ. მუსხელიშვილი[64].

ასეა თუ ისე, ამას პროკოპი კესარიელის წყაროსა და მისი სათუო ადგილების კიდევ ერთი გადასინჯვა დაგვანახვებს, ამჟამად უკვე ახალი, თვითკრიტიკული კუთხიდან ჩატარებული. ეს შეეხება პროკოპი კესარიელის პირდაპირ და განსაკუთრებით, არაპირდაპირ ჩვენებებს.

პროკოპი კესარიელი ქ. პეტრას პირველად თავისი შრომის იმ ნაწილში მოიხსენიებს, სადაც საუბარია ბიზანტიის მიერ გატარებულ ეკონომიკურ პოლიტიკაზე ლაზეთში[65]. პროკოპის თქმით, იუსტინიანე კეისარს ვერცხლისმოყვარეობის, უდიერი ქცევისათვის თუ სხვა ცოდვებისათვის ლაზეთიდან გამოუწვევია სტრატეგოსი პეტრე არზანიელი და მის ნაცვლად, სხვა მთავრებთან ერთად, აგზავნის ვინმე იოანეს, ციბედ წოდებულს, არაწარჩინებულთა და არასახელოვანთა შთამომავალს, რომელსაც, როგორც ვხედავთ, დიდი წარმატებისათვის მიუღწევია თავისი პოლიტიკური და ეკონომიკური ნიჭის წყალობით. „მანვე დააჯერა მეფე იუსტინიანე ლაზების ქვეყანაში ზღვისპირა ქალაქი აეშენებინა, სახელად პეტრა. იქ იჯდა ის, ვითარცა აკროპოლისში და სძარცვავდა ლაზთა ქონებას. ვაჭრებს ხომ უკვე ნება აღარ ჰქონდათ კოლხიდაში შეეტანათ მარილი და სხვა საქონელი, რაც ლაზებისათვის აუცილებლად საჭიროა, არც აქედან შეეძლოთ რაიმე ეყიდინებინათ, არამედ მან (ე. ი. იოანემ) შემოიღო ეგრეთ წოდებული მონოპოლია“,[66] — მოგვითხრობს პროკოპი.

ამ ცნობებიდან ბევრი რამ არის საყურადღებო როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური თვალსაზრისით, რაზეც ქვემოთ გვექნება საუბარი. ამჯერად კი იმით ვკმაყოფილდებით, რომ მივიღეთ პირველი ინფორმაცია პეტრას ზღვისპირა მდებარეობის შესახებ, რასაც არაერთგზის იმეორებს პროკოპი შემდგომშიც.

„პეტრა ზღვისპირა ქალაქია კოლხეთში, ეგრეთწოდებულ ევქსინის პონტოსთან; ის უმნიშვნელო იყო წინათ. ხოლო იუსტინიანე მეფემ,

---

[64] დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი. დასახ. ნაშრომი. გვ. 104.
[65] გეორგიკა. II. გვ. 21—22.
[66] იქვე. გვ. 74.

გარე ზღუდისა და სხვა მინაშენების საშუალებით, გაამაგრა და ყოველმხრივ გაამშვენიერა კიდეც“[67].

პროკოპი კესარიელის მიერ მოწოდებული ამ მეორე ცნობიდან ვგებულობთ, თუ რას წარმოადგენდა თავდაპირველად პეტრა და რა სამშენებლო სამუშაოები ჩაატარა აქ იუსტინიანემ. როგორც ჩანს, პეტრას ადგილზე თავდაპირველად მცირე, სოფლური ტიპის დასახლება უნდა არსებულიყო, რომელიც იუსტინიანეს გარეზღუდით, მინაშენებითა და სხვა სიკეთით ყოველმხრივ გაუმშვენებია კიდეც. ამ ბოლო ფრაზაში, ალბათ, იგულისხმება ტაძრის, სასახლის, აბანოს, მოკირწყლული ქუჩებისა და მოედნების მშენებლობა, რაც დამახასიათებელია ბერძნულ-რომაული ტიპის ქალაქებისათვის.

კიდევ უფრო საინტერესო ცნობებია დაცული პროკოპის შრომის მომდევნო ნაწილში პეტრას შესახებ. ამ შემთხვევაში საქმე ეხება ქალაქის ტოპოგრაფიას, რაც ნიშანდობლივია მისი ლოკალიზაციისათვის. „ქალაქი პეტრა მიუვალია ჯერ ერთი ზღვის მხრიდან, მერე ციცაბო კლდეებით, რომელიც იქ ყოველმხრივ არის აღმართული: აქედან არის, რომ მას ეს სახელწოდება ხვდა წილად. მხოლოდ ერთი შესავალი აქვს მას დაბლობში. ისიც არცთუ ისე ფართო: ვინაიდან მის ორივე მხარეს არაჩვეულებრივი კლდეებია დაკიდებული. რადგან იმათ, რომელთაც ქალაქი პირველად ააშენეს, წინასწარ განჭვრიტეს, რათა ზღუდის ის ნაწილი არ ყოფილიყო ადვილი იერიშებისათვის, და გრძელი კედლები გააკეთეს აქ დიდ მანძილზე, მისავალის თითოეული კლდის გასწვრივ და ამ კედლების ორივე მხარეს ორი კოშკი ააგეს ჩვეულებრივი წესით კი არა, არამედ სხვანაირად“[68].

როგორც ვხედავთ, აქ დეტალურად არის აღწერილი ქალაქის ტოპოგრაფია, მისი ყოველმხრივ ქარაფოვან-კლდოვანი რელიეფი, რომელსაც მხოლოდ ერთი შესავალი გააჩნია დაბლობში, ისიც კლდეებითა და კოშკებით გამაგრებული. თუკი პროკოპისეულ ნიშანდობლივ აღწერას დავუჯერებთ, ქალაქი ქარაფოვანი, ნიადაგს მოკლებული შიშველი კლდეების გარემოცვაში ყოფილა აგებული და არა უბრალო ბორცვოვან ზოლში, როგორსაც ვხვდებით ციხისძირის მიდამოებში. ციხისძირს მხოლოდ დასავლეთ ნაწილში, ზღვისაკენ მიმართულ კიდეზე გააჩნია მაღალი ქარაფი, სხვა მხრივ კი, მისი, ზომიერად დახრილი ფერდები სუბტროპიკული ზონისათვის დამახასიათებელი, ხშირი მცე-

---

67 გეორგიკა. II. გვ. 83.

68 გეორგიკა. II. გვ. 85—86.

ნარეული საფარით არის შემოსილი. ასეთია ციხისძირ-ბათუმს შორის მოქცეული მთელი სანაპირო ზოლი და, არა გვგონია, არსებითად შეეცვალა ციხისძირის რელიეფი, იქ XIX ს. 90-იან წლებში (1889—1895 წწ.), ბათუმის ნავსადგურის სამშენებლო მასალით მომარაგების მიზნით არსებულ ქვის კარიერებს"[69]. გარდა ამისა მოყვანილ ცნობაში პირდაპირ არის ნათქვამი, რომ ქალაქი პეტრა მთლიანად, და არა მარტო მისი აკროპოლისი, კლდეზეა გაშენებული, მაშინ, როცა პეტრა-ციხისძირის იდენტიფიკაციის მომხრე მკვლევრები ციხისძირის ციხის ტერიტორიაზე გულისხმობენ პეტრას აკროპოლისს, ხოლო თვით ქალაქი ზღვისპირა დაბლობში, ბობოყვათ-ქობულეთ-ფიჭვნარის მიმართულებით ეგულებათ[70], რაც არ შეეფერება პროკოპისეულ ჩვენებას, როცა ქალაქის მიუვალობაზე საუბრობს.

ინფორმაცია, პეტრას ლოკალიზაციას რომ უწყობს ხელს, სულ უფრო ვრცელი და მრავალფეროვანი ხდება პროკოპის ომების ისტორიის იმ ნაწილში, სადაც საუბარია სპარსელების მეორე შემოჭრაზე კოლხეთში და მათ წინააღმდეგ ამჯერად უკვე ლაზებისა და რომაელების ერთობლივ მოქმედებაზე, როგორც უშუალოდ პეტრასთან, ისე ლაზიკისა და იბერიის საზღვრებთან. საჭიროა ამთავითვე ითქვას, რომ პროკოპი კესარიელს წერის თავისებური მანერა გააჩნია. იგი, როდესაც რაიმე საკითხზე საუბრობს, ხშირად წყვეტს მსჯელობას და, რათა უფრო იოლი და უკეთ გასაგები გახდეს ძირითადი საკითხი, აკეთებს ისტორიულ, ეთნოგრაფიულ, თუ ისტორიულ-გეოგრაფიულ ექსკურსს იმ მხარისა და მისი შემოგარენის შესახებ, სადაც ვითარდება მოქმედება. ამჯერადაც არ ღალატობს იგი ჩვეულ ტრადიციას და დეტალურ აღწერას იძლევა ქ. პეტრასთან დაბანაკებულ და ლაზიკის ვიწროებში ჩასაფრებულ ლაზებისა და რომაელების წინააღმდეგ იბერიიდან მომავალი სპარსეთის ჯარის მარშრუტისას: რა გზით მიემართებიან ირანელები პეტრასკენ, ან რა გზით შემოვიდნენ ისინი ლაზიკაში, როცა მათ რომაელებისაგან გამდგარი ლაზები მიუძღოდნენ. რათა უფრო იოლი გასაგები გახდეს ამ გზის მიმართულების გარკვევა, პროკოპი დეტალურად აღწერს გზაზე შემხვედრ მდინარეებს, მოგვითხრობს მათ ფიზიკურ თვისებებზე, მიმართულებაზე, საიდან იღებენ ისინი სათავეებს, სად არის მათი შესართავი, რომელი ქვეყნებისა თუ ტო-

---

69 ვ. სიჭინავა. დასახ. ნაშრ. გვ. 42—43.

70 ს. ჯანაშია. შრომები I. გვ. 42; ნ. ხოშტარია. ციხისძირი. 1962, გვ. 35; ვ. სიჭინავა. დასახ. ნაშრ. გვ. 25—26.

მების დასახლებათა მახლობლად მიედინებიან და სხვა. ყოველივე ეს ფასდაუდებელ ინფორმაციას იძლევა ლაზიკის სამეფოსა და ქალაქ პეტრას ლოკალიზაციისათვის რომ არის საჭირო.

საშაგალითოდ მოვიყვანთ ამ რიგის ვრცელ ამონაწერს პროკოპის შრომიდან: „მდინარე ბოასი გამოდის სადღაც ჭანეთის საზღვრების მახლობლად არმენიელთა ადგილებში, რომლებიც ფარანგიონის მახლობლად ცხოვრობენ. თავში ის კარგა მანძილზე მარჯვნივ მიმდინარეობს. თხელია და არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს არავისათვის ფონში გასასვლელად, ვიდრე იმ ადგილამდე, სადაც მარჯვნივ იბერთა საზღვრები არის, ხოლო პირისპირ კავკასიის მთა თავდება. აქ ბევრი სხვადასხვა ტომი ცხოვრობს. მათ შორის ალანებიც და აბაზგებიც, რომლებიც ქრისტიანები არიან და ძველითგანვე რომაელთა მეგობრები, აგრეთვე ზიქნიც და მათ შემდეგ ჰუნებიც, რომელთაც საბირები ეწოდებათ. მის შემდეგ, რაც ეს მდინარე მიადწევს იმ ადგილს, სადაც კავკასიისა და იბერიის საზღვრებია, აქ, რადგან მას ბევრი სხვა წყალიც ემატება, ის იზრდება ძალიან და, ნაცვლად ბოასისა ამოვრიდან ფაზისად წოდებული, განაგრძობს მდინარეობას, ნაოსნობისათვის გამოსადეგია, ვიდრე ევქსინად წოდებულ ზღვამდე, სადაც მისი შესართავია და მის ორივე მხრით ლაზიკე არის. მაგრამ მარჯვნივ მთელი ის ქვეყანა დიდ მანძილზე, ვიდრე იბერიის საზღვრებამდე, დასახლებულია ადგილობრივი მოსახლეობით. ლაზთა სოფლები ხომ ყველა აქ მდებარეობს მდინარის აქეთა ნაპირას და ქალაქებიც მათ ძველთაგანვე აქ აუშენებიათ, მათ შორის არის არქეოპოლისი, ძალიან გამაგრებული, სებასტოპოლიც არის აქ და პიტიუნტის სიმაგრეც, ხოლო სკანდა და სარაპანი — იბერიის საზღვრებისაკენ. ყველაზე შესანიშნავი ქალაქები კი მაინც არის აქ როდოპოლისი და მოხირისი. მდინარის მარცხნივ, ისეთ მანძილზე, რომელსაც ერთ დღეში გაივლის მსუბუქად დატვირთული კაცი, ლაზიკის საზღვრებია, ხოლო ეს მხარე მოსახლეობას მოკლებული ჩანს. ამ მხარის მეზობლად რომაელები ცხოვრობენ, რომელთაც პონტოელები ეწოდებათ. ლაზიკის მიწა-წყალზე, იმ ადგილას, სადაც ადამიანს არასოდეს არ უცხოვრია, იუსტინიანე მეფემ ჩემს დროს ქალაქი პეტრა გააშენა. აქ იოანე, ეგრეთ წოდებული ციბე, მონოპოლიონის დამაწესებელი — როგორც ეს ჩემ მიერ ზემოთ იყო მოხსენიებული — ლაზთა განდგომის მიზეზი შეიქმნა. ქალაქ პეტრადან პირდაპირ რომ მიდიხარ სამხრეთისაკენ, გვხვდება რომაელთა საზღვრები, აქ კი ადგილები მჭიდროდ არის დასახლებული: რიზედ წოდებული და ათინა და ზოგი სხვა ვიდრე ტრაპეზუნამდე.

როდესაც ლაზები წინ მიუძღოდნენ ხოსროს, მათ გადავლეს მდინარე ბოასი და ისე მივიდნენ პეტრაში, რომ ფაზისი მარჯვნივ ჰქონდათ, თითქოს იმიტომ, რომ მათ წინასწარ განჭვრიტეს, რომ მდინარე ფაზისის გადასასვლელად არც დრო და არც შრომა დასჭირდებოდათ მეტი, ხოლო ნამდვილად იმიტომ, რომ არ სურდათ სპარსელებისათვის ეჩვენებინათ თავიანთი საბინადროები, თუმცა ლაზიკე ყველგან, მდინარე ფაზისის როგორც აქეთა, ისე იქითა მხარეზე, გაუვალია. ქვეყნის ორსავე მხარეს უზარმაზარი კლდეებია, რომლებიც იქ დიდ მანძილზე ვიწროებს ქმნიან, ასეთ გზებს რომაელები „კლისურებს" უწოდებენ ელინური გამოთქმით. მაგრამ რადგან მაშინ ლაზიკე დაუცველი აღმოჩნდა, სპარსელები მათ წინამძღოლ ლაზებთან ერთად სწრაფად გაჩნდნენ პეტრაში"[71].

როგორც ვხედავთ, მოყვანილი ამონაწერი მრავალმხრივი ძვირფასი ინფორმაციის შემცველია პეტრას ლოკალიზაციის თვალსაზრისით. აქ ვხვდებით პირდაპირ მითითებას საძიებო ქალაქის ადგილმდებარეობის შესახებ, მოცემულია დასავლეთ კავკასიონის ზოგადი და ლაზიკის კონკრეტული ნაწილის აღწერილობა, საუბარია იბერიისა და რომაული სამფლობელოების საზღვრებზე და სხვა; მაგრამ ეს ცნობა განსაკუთრებით იმ მხრივ არის საყურადღებო, რომ პროკოპის აღწერილი აქვს ერთ-ერთი მდინარე, ე. წ. ბოას-ფასისი, რომლის თანამედროვე მდინარესთან სწორი იდენტიფიკაციის შემთხვევაში, მყარი საყრდენი ორიენტირი გვექნებოდა ხელთ არა მარტო პეტრას, არამედ ქვეყნის საზღვრების, მისი ქალაქებისა და ციხეების განლაგების, გზების მიმართულებისა, და სხვათა საჩვენებლად.

როგორც ცნობილია, დროთა განმავლობაში დიდი ცვლილებები ხდება ხალხთა პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში. მაშინ, როდესაც ისპობა და ჩნდება ახალი სახელმწიფოები, ირღვევა ისტორიულად დადგენილი საზღვრები, ხდება ხალხთა გადასახლება, ინგრევა და ჩნდება ახალი ქალაქები და სხვა, სრულიად უცვლელი რჩება გეოგრაფიული ერთეულები: მთები, ზღვები, მდინარეები და სხვა, რომელთა ლოკალიზაცია უტყუარი ამოსავალია უკვე მისამართდაკარგული პუნქტების ადგილმდებარეობის დასადგენად.

სწორედ ასეთი არსებითი მნიშვნელობა აქვს მოყვანილ ცნობაში მოხსენიებულ მდ. ბოასს. როგორც დავინახეთ, პროკოპი ამ მდინარის აღწერას იწყებს სათავიდან: „მდ. ბოასი გამოდის სადღაც ჭანე-

---

[71] გეორგიკა. II. გვ. 100—102.

თის საზღვრების მახლობლად არმენიელთა ადგილებში, რომლებიც ფარანგიონის მახლობლად ცხოვრობენ"[72]. ვფიქრობთ, ძალზე ნიშანდობრივი აღწერაა მდინარის სათავისა. აქ დასახელებულია ჭანების საცხოვრისის საზღვრები, არმენიელთა ადგილები და ბოლოს ადგილი ფარანგიონი[73].

ფარანგიონს იხსენიებს პროკოპი რამდენჯერმე და ყოველთვის „ბოლონის" სიმაგრესთან დაკავშირებით. ფარანგიონი ცნობილია ოქროს მადნებით და, როგორც ს. ყაუხჩიშვილი ფიქრობს, სწორედ მის დასაცავადაა აგებული ციხე ბოლონი[74]. ნ. ადონცის აზრით, ფარანგიონი იგივეა, რაც სომხური „სპერ", კლასიკური „სისპირისი"[75].

ასეთი ნიშანდობლივი მითითების შემდეგ ძნელია არ გავიზიაროთ ზემოდასახელებული მკვლევრების აზრი, რომ მდ. ბოასი ახლანდელ ჭოროხს უდრის[76]. აღსანიშნავია, რომ დიდი გეოგრაფოსი ვახუშტი ბატონიშვილიც მდ. ჭოროხის ერთ-ერთ სათავედ ისპირის მდინარეს თვლის[77].

მდ. ბოასის სათავეზე საუბრის შემდეგ პროკოპი დეტალურად აღწერს მდინარის მომდევნო ნაწილს, რომელიც კარგა მანძილზე მარჯვნივ მიმდინარეობს და ყველგან ადვილი გადასალახია, ვიდრე არ მიაღწევს იმ ადგილს, სადაც მარჯვნივ იბერთა საზღვრებია. აქ, რადგან მას ბევრი წყალიც ემატება, ის იზრდება ძალიან და ნაცვლად ბოასისა, ამიერიდან ფაზისად წოდებული, განაგრძობს დინებას, ნაოსნობისათვის გამოსადეგია, ვიდრე ექვსინად წოდებულ ზღვამდე[78].

ჭოროხის პროკოპისეული აღწერილობა სავსებით წააგავს XIX საის მოგზაურების — ოსმან ბეისა[79] და დ. ბაქრაძის[80] — ცნობებს ამ მდინარის შესახებ.

---

72 იქვე. გვ. 100.

73 იქვე.

74 გეორგიკა. II. გვ. 6. შენ. 1.

75 Н. Адонц. Арменія в. эпоху Юстиніана. С.-П., 1808, с. 25. 52

76 გეორგიკა. II. გვ. 107, შენ. I, ბ; ს. ჯანაშია. შრომები. VI. შავიზღვისპირეთის საისტორიო გეოგრაფია. თბ., 1988, გვ. 261—270.

77 ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. თბ., 1941, გვ. 139.

78 გეორგიკა. II. გვ. 101.

79 Д. Чл. Осман-бей. Лазистан.—Известія Имп. Русского геогр. общ., т. X. С.-П., 1874, с. 356—364.

80 Д. Бакрадзе. Археологическое путешествие по Гурии и Адчаре, с. 78.

მდ. ჭოროხის კალაპოტი ბაიბურთამდე ფართოა და დინებაც შედარებით მდორეა დიდ მანძილზე, ართვინთან კი იგი ექცევა ვიწროებში, მთებთან — აჯირახსა და მეზლასთან — იცვლის მიმართულებას ჩრდილო-აღმოსავლეთიდან ჩრდილო-დასავლეთისაკენ და დიდი სისწრაფით მიექანება ზღვისაკენ.

ჭოროხის მთავარი შენაკადებია: თორთომის წყალი, ოლთისის წყალი, აჭარის წყალი, იმერხევის წყალი, მაჭახლის წყალი და სხვა. ართვინიდან ქვემოთ, მდინარეზე მთელი წლის მანძილზე მიმოდიან დიდი ზომის ნავები ანუ კიუკები, გარდა ზაფხულის დამდეგისა, როდესაც იწყება წყალდიდობა.

როგორც ჩანს, სწორედ ართვინთან გულისხმობს პროკოპი იბერიის საზღვრებს და სწორედ აქედან მოკიდებული ღებულობს ფასისის სახელს წყალუხვი ბოას-ჭოროხი.

სხვა შემთხვევაში, ჭანების ტომის ადგილსაცხოვრისის აღწერისას, პროკოპი კესარიელი ფასისის სახელით მოიხსენიებს ჭოროხის სათავესაც და მთლიანად მდინარესაც, რომელიც გამოდის ჭანეთის მთებიდან: „არმენიის ადგილებიდან პერსარმენიაში რომ მიდიხარ, მარჯვნივ არის ტავრი, მიმავალი იბერიაში და იქ მოსახლე ხალხებამდე. როგორც ეს მე ცოტა ზემოთ ვთქვი; ხოლო მარცხნივ მეტად დაქანებული, დიდ მანძილზე გაჭიმული გზა არის, და აღმართულია მეტად ციცაბო და მუდამ ნისლითა და თოვლით დაფარული მთები, საიდანაც გამოდის მდინარე ფაზისი და მიდის კოლხეთის ქვეყნისაკენ. აქ მოსახლეობენ ჭანების ტომი, თავიდანვე ბარბაროსები, რომელნიც არავის ქვეშევრდომები არ არიან, წინა ხანებში სანებად წოდებულნი“[81].

„მეცნიერებაში დამკვიდრებულია აზრი, რომ ფაზისი ძველ ბერძნებში ეწოდებოდა ოთხ მდინარეს: ყუბანს, რომელიც, უმეტეს შემთხვევაში, ჰიპანისის სახელით იყო ცნობილი, არაზანს ანუ არაქსს, ჭოროხსა და რიონს, და თვითეული მათგანის ასეთი სახელდებისათვის მონახულია სათანადო ინდიციები ბერძენ მწერალთა ნაშრომებში“[82].

ხშირად ფაზისის სახელით მდ. ჭოროხი იხსენიება, რაც, უმეტესწილად, ცხადი ხდება ხოლმე იმის წყალობით, რომ ამ ფაზისის სათა-

---

81 გეორგიკა. II. გვ. 52—53.

82 მ. ბ ე რ ძ ნ ი შ ვ ი ლ ი. ქალაქ ფაზისის ისტორიისათვის. თბ., 1969, გვ, 89; თ. მ ი ქ ე ლ ა ძ ე. ფასიანების სადაურობისა და ადგილსამყოფელის გარკვევის საკითხისათვის. — მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის. ნაკვ. 32. თბ., 1955, გვ. 31—32; ს. ჯ ა ნ ა შ ი ა. დასახ. ნაშრომი, გვ. 261—270.

ვედ სდებენ არმენიის ან მოსხიკის მთებს. თუ ქსენოფონტეს არ ჩავთვლით, ამ სახელით იგი გვხვდება ძვ. წ. III საუკუნიდან ვიდრე ახალი წელთაღრიცხვის VI საუკუნემდე, დაწყებული ერატოსთენედან და გათავებული პროკოპი კესარიელით[83].

ამრიგად, პროკოპი კესარიელი არც პირველია და არც უკანასკნელი (ესტათე თესალონიკელი), რომელიც მდ. ჭოროხს ფასისის სახელით მოიხსენიებს. როგორც ჩანს, ტრადიცია, რომელიც ჭოროხს ფასისის სახელით მოიხსენიებდა, დიდი ხნის წინ ჩამოყალიბდა და სავსებით სწორად ასახავდა რეალურად არსებულ ვითარებას. ჭოროხის ხეობა ხომ სწორედ ის ტერიტორიაა, რომელიც წყაროებში ფასიანთა ტომის საცხოვრებლად არის მიჩნეული[84].

ისიც უდავოა, რომ არსებობდა მეორე ფასისიც, რიონ-ფასისი და, შესაძლოა, უფრო პოპულარულიც, მის შესართავთან მოსახელე სავაჭრო ქალაქის არსებობის გამო. ამ ორ ფასისის სათავეს ზოგჯერ ურევენ კიდეც ერთიმეორეში ძველი ავტორები[85], განსაკუთრებით ისინი, ვინც მხოლოდ ლიტერატურული წყაროებით სარგებლობენ, მაგრამ ესეც იმის დასტურია, რომ არსებობდა რამდენიმე მოსახელე მდინარე, თორემ ერთის არსებობის შემთხვევაში აღრევა აზრობრივადაც სავსებით გამორიცხულია.

მკვლევართა დაკვირვებით, ფასი, რომლის შვილი იყო კოლხების ეთნარქოსი კოლხი, ღმერთი ყოფილა[86], რაც საფუძველს არ არის მოკლებული. თ. მიქელაძის აზრით, ფასი წყლის ღმერთი უნდა ყოფილიყო[87], ჩვენ კი იგი ადამიანის დამცველ, ბოროტ ძალებთან მებრძოლ, ხმელეთის მოურავ, ადამიანსა და ღმერთებს შორის კავშირის დამამყარებელ არწივისებურ მითოლოგიურ ფრინველად გვესახება. საფიქრებელია, რომ სწორედ ეს ღვთაებაა წარმოდგენილი წინარე ანტიკური და ანტიკური ხანის ბრილის, სოხუმის, საირხის, ვანის, დაფნარისა და სხვა არქეოლოგიურ მასალებში თავმობრუნებული, ფრთაგაშლილი არწივის სახით.

უთუოდ საგულისხმოა ის ფაქტი, რომ კოლხეთის ლეგენდარული

---

83 ნ. ბერძენიშვილი. დასახ. ნაშრ. გვ. 93—94.

84 თ. მიქელაძე. დასახ. ნაშრ. გვ. 23—37.

85 ფლავიუს არიანე. მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო. თარგმანი, გამოკვლევა, კომენტარები და რუკა ნათელა კეკაყმაძისა, თბ., 1961; გვ. 86; თ. ყაუხჩიშვილი. სტრაბონის გეოგრაფია. თბ., 1957, გვ. 123.

86 თ. მიქელაძე. დასახ. ნაშრ. გვ. 34.

87 იქვე.

მეფე აიეტი, რომელიც მზის შვილია, არწივის სახელს ატარებს. ინტერესს მოკლებული არ არის ის ფაქტიც, რომ ჰესიოდე ალექსანდრიელი პონტოს ხალხებზე საუბრისას ახსენებს რაღაც ფრინველს, ფასის სახელწოდებით[88], და ისიც, რომ ქართულმა ფოლკლორმა ფართოდ შემოგვინახა ღვთაებრივი თვისებების მქონე მითოლოგიური ფრინველი ფასკუნჯის სახით, მაგრამ ყოველივე ამის შესახებ დაწვრილებით სხვა დროს.

სხვა საქმეა, ფასი ფრინველია თუ წყლის ღვთაება, მაგრამ ერთი კი ცხადია, რომ იგი კოლხური წარმართული პანთეონის ერთ-ერთი ბინადარი ჩანს და, შესაძლოა, არა მარტო კოლხეთისა, არამედ მთელი კავკასიური სამყაროსი. მას, როგორც ღვთაებას, ამ გარემოში ეკუთვნის ყველაფერი ის, რაც კი საგანგებო ნიშნით არის გამორჩეული: სიმაღლით, სილამაზით, გემოვნებით, დინების სისწრაფით, წყალუხვობით და სხვა. ასეთია მთები: რაჭაში ფასის მთა და იმავე სახელწოდების მთა აბასთუმანთან, სოფლები: ფასკაუ ყაბარდოში, ფასრაღი კვაისასთან (ჯეჯორას ხეობა), ფასანაური ხევში და მდინარეები: ფასის-ყუბანი, ფასის-არაქსი, ფასის-რიონი და ფასის-ჭოროხი ანუ ბოას-ფასისი.

სწორედ ეს უკანასკნელი, ბოას-ფასისია ის მდინარე, რომელიც, პროკოპი კესარიელის ნიშანდობლივი აღწერილობის მიხედვით, ზუსტად თავსდება ჭოროხის გეოგრაფიულ ჩარჩოებში და ყველა ის ფიზიკური და საგზაო-სატრანზიტო თვისება გააჩნია, რაც ნიშანდობლივია თანამედროვე ჭოროხისათვის.

ასეთი დაშვების საწინააღმდეგოდ ხშირად მიუთითებენ პროკოპის შრომის კიდევ ერთ ადგილზე, სადაც ბოასის გაგრძელებად აკამფსისი ჩანს. ამ ცნობაში მოცემულია პონტოს სანაპიროს აღწერილობა, საუბარია ტრაპიზონის საზღვრებზე და მის ქალაქებზე — ტრაპეზუნტზე, სუსარმენეზე, რიზეზე და სხვა: „ამ ადგილების მარჯვნივ აღმართულია ჭანების მთები, რომელთა გადაღმა რომაელთა ქვეშევრდომი არმენიელები ცხოვრობენ. ამ ჭანეთის მთებიდან ჩამოდის მდინარე, სახელად ბოასი, რომელიც მის შემდეგ, რაც გამოიელის მრავალ ჭალას და შემოუვლის მთაგორიან ადგილებს, ლაზიკის სოფლების მახლობლად გასწევს და ერთვის ეგრეთწოდებულ ევქსინოს პონტოს, მაგრამ უკვე აღარ ეწოდება ბოასი. ვინაიდან, როდესაც ის ზღვის მახლობლად მიდის, იცვლის ამ სახელს და იქიდან სახელწოდებას მიირქმევს: სა-

---

[88] В. Латышев. Известия древних писателей греческих и латинских о Скифии и Кавказе. Т. I, вып. 3-й, с. 355.

ხელს ის თავის მიმდევართაგან იძენს. მას, სხვათა შორის, ადგილობრივი მცხოვრებლები აკამფსის უწოდებენ იმის გამო, რომ მისი დამორჩილება ზღვასთან შეერთების ადგილას შეუძლებელი ხდება, ვინაიდან ისეთი სისწრაფითა და სიმწვავით უერთდება და ისეთი დიდი ხმაურობით მიიწევს წინ, რომ ზღვის კარგა მოშორებით მიმდინარეც შეუძლებელს ჰქმნის ზღვაში შეცურვას; ასე რომ, პონტოს იმ ადგილას მცურავნი ვერც შიგ ლაზიკეში ახერხებენ შენავებას, ვერც იქიდან გამოსვლას და ვერც ახლოს გაცურვას. ვინაიდან არსად არ შეუძლიათ დაიმორჩილონ წყლის მდინარება, არამედ შორს უნდა ავიდნენ ზღვაში. სადმე შუა პონტოში მივიდნენ და ასე აიცდინონ მდინარის შესართავი. აი, ის, რაც მინდოდა მეთქვა მდინარე ბოასის შესახებ"[89].

როგორც მოყვანილი ცნობიდანაც ჩანს, ამ მდინარის სათავე და ზემო წელი იგივე ბოასია, რომელზეც ადრეც ჰქონდა საუბარი პროკოპის. ეს არავისათვის არ არის საკამათო. რაც შეეხება მდინარის ქვემო წელს, იგი ამჯერად, ფასისის ნაცვლად, აკამფსისის სახელით იხსენიება: უფრო სწორად, მთლიანად ქვემო წელი კი არა, არამედ უშუალოდ შესართავი მონაკვეთი. აბა, დავაკვირდეთ თხრობის ამ ნაწილს: „...რომელიც მას შემდეგ, რაც გამოივლის მრავალ ჭალას და შემოუვლის მთაგორიან ადგილებს, ლაზიკის სოფლების მახლობლად გასწევს და ერთვის ეგრეთწოდებულ ევქსინოს პონტოს, მაგრამ უკვე აღარ ეწოდება ბოასი. ვინაიდან, როდესაც ის ზღვის მახლობლად მიდის, იცვლის ამ სახელს და იქიდან სხვა სახელწოდებას მიირქმევს: სახელს ის თავის მიმდევართაგან იძენს. მას, სხვათა შორის, ადგილობრივი მცხოვრებლები აკამფსისს უწოდებენ"[90]. როგორც ჩანს, აკამფსისი ბოასის სულ ბოლო მონაკვეთს ეწოდება, შესაძლოა, იმ წერტილიდან მოყოლებული, როცა იგი ორ ტოტად იყოფა. საგულისხმოა, რომ, კ. მიულერის დაკვირვებით, აკამფსისი ეწოდებოდა ჭოროხის აღმოსავლეთ ტოტს, დასავლეთი ტოტი კი მდ. აფსაროსია[91]. იქნებ სწორედ ეს ტოტი იგულისხმება პროკოპის გამოთქმაში — „სახელს ის თავის მიმდევართაგან იძენს"-ო[92].

---

[89] გეორგიკა. II. 1965, გვ. 122—123.

[90] გეორგიკა. II. გვ. 123.

[91] ENG, t. V, 174. (ფლავიუს არიანე. მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო. გვ. 64. მიხედვით).

[92] გეორგიკა. II. გვ. 122.

ლექსიკოგრაფ სვიდას მიხედვით, აკამფსისი ქალაქის სახელია[93].

ასევე საყურადღებოა, რომ აკამფსისი ქართველ მკვლევართა ერთი ნაწილის მიერ გაგებულია, როგორც „ფას"-ფუძიანი ტოპონიმი. პავლე ინგოროყვას მიხედვით, ჭოროხის ისტორიული სახელწოდების — აკამ-ფსისის — პირველადი ვარიანტი უნდა იყოს აკამ-ფასისი[94]. ანალოგიურ დასკვნამდე მიდის პროფ. თ. მიქელაძე „ფას"-ფუძიანი სახელების გავრცელების საზღვრების დადგენისას. მისი აზრით, აკამ-ფსისი ანუ აკამ-ფასისი იგივე მდ. ჭოროხია[95].

ჩვენი დაკვირვებით, ასევე „ფას" ფუძე უნდა ედოს საფუძვლად მდ. ჭოროხის მარცხენა ტოტის აფსაროსის სახელწოდებას — ა-ფსაროსი ან ო-ფსარუ-სი, სადაც, თუ თავსართი ა//ო ქართული სა პრეფიქსის შესატყვისია, იგი უნდა ნიშნავდეს ფასის კუთვნილ ან ფასიანელების კუთვნილ მდინარეს. თუ ეს ასეა, მაშინ პროკოპი კესარიელის შრომის ეს ადგილიც ისე უნდა გავიგოთ, რომ ამ შემთხვევაშიც მდ. ბოასის გაგრძელება, კვლავ სახენაცვალი ფორმებით წარმოდგენილი, მდინარე ფასისია. ინტერესს არ არის მოკლებული აგრეთვე პროკოპის ცნობის კიდევ ერთი ადგილი, სადაც განმარტებულია, თუ რატომ უწოდებენ მდინარე აკამფსისს ასე: „მას, სხვათა შორის, ადგილობრივი მცხოვრებლები აკამფსისს უწოდებენ იმის გამო, რომ მისი დამორჩილება, ზღვასთან შეერთების ადგილას, შეუძლებელი ხდება..."[96]. აქედან გამომდინარე, აკამფსისი მდინარის საკუთარი სახელი კი არ არის, არამედ ზედსართავი სახელია, რაც ბოასის გარკვეული მონაკვეთის ფიზიკურ თვისებას ასახავს.

საგულისხმოა აგრეთვე წყაროში ხმარებული გამოთქმა — „სხვათაშორის, ადგილობრივი მცხოვრებლები აკამფსის უწოდებენ". კონტექსტის მიხედვით, ეს ისე უნდა გავიგოთ, თითქოს პროკოპი დარწმუნებულია, რომ მისმა მკითხველმა იცის ამ მდინარის ნამდვილი, ოფიციალური სახელი (ალბათ, ფასისი) და აქვე, სხვათა შორის, დამატებით გვაცნობს მდინარის ადგილობრივ, კუთხურ, შინაურ სახელსაც. ანდა მეორე, პროკოპის ამით სურს მკითხველს შეახსენოს ხსენებული მდინარის ადრინდელი, ლიტერატურული სახელი, რითაც

---

93 გეორგიკა. IV. ნაკვ. 2. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა. თბ., 1952, გვ. 315.

94 პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა. გიორგი მერჩულე. თბ., 1954, გვ. 184.

95 თ. მ ი ქ ე ლ ა ძ ე. დასახ. ნაშრ. გვ. 31—32.

96 გეორგიკა. II. გვ. 129.

კიდევ ერთხელ ამახვილებს მის ყურადღებას, რომ მან იცოდეს: მის მიერ აღწერილი ბოას-ფასისი თუ ბოას-აკამფსისი ეს ის მდინარეა, რომელსაც მისი წინამორბედი მწერლები (ფლავიუს არიანე, პლინიუსი, კლავდიოს პტოლემაიოსი) ძველად აკამფსისს უწოდებდნენ.

ამასთანავე, ისიც არის გასათვალისწინებელი, რომ მდ. ჭოროხის ხეობა, ანტიკური ხანიდან მოკიდებული მაინც, დასახლებული იყო არაერთი ეთნიკური ჯგუფით, როგორიც არიან ფასიანელები, არმენიელები, ჭანები, ლაზები, იბერ-მესხები, ბიძერ-ზიდრტები და სხვ. ამდენად, გამორიცხული არ არის, ცალკეულმა ასეთმა ეთნიკურმა ჯგუფმა თავისი შეხდულებისამებრ შეარქვა მდინარის ცალკეულ ნაწილებს განსხვავებული საკუთარი სახელი, ისე როგორც ენგურს სხვადასხვა სახელს უწოდებენ სვანები და მეგრელები, თერგს — მოხევეები და ჩერქეზები[97], ბზიფს — სვანები და აფხაზები[98] და ა. შ. ანალოგიური ტრადიცია კიდევ უფრო ფართოდ ყოფილა გავრცელებული XIX ს. ბოლო მეოთხედშიც კი მდ. ჭოროხის ზემო წელის შენაკადთა ხეობებში. გ. ყაზბეგი, რომელმაც იმოგზაურა შავშეთში და ლაზეთში, ხაზგასმით აღნიშნავს, რომ აქაურ მდინარეებს არ გააჩნიათ ერთი საერთო სახელი, მათ ყოველი სოფელი, გარკვეული საგნისა თუ ნიშნის მიხედვით, აძლევს საკუთარ სახელს[99].

არ არის გამორიცხული, ასეთივე ვითარებასთან გვქონდეს საქმე პროკოპის დროსაც. მაგრამ, ასეა თუ ისე, ერთი ცხადია, რომ მისი ფასისი, ბოას-ფასისი და ბოას-აკამფსისი ერთი და იგივე მდინარეა და უფრო თანამედროვე მდ. ჭოროხს შეესატყვისება, ვიდრე რიონ-ფასისს, როგორც ამას ფიქრობს ზოგიერთი ჩვენი წინამორბედი მკვლევარი.

აკად. ს. ყაუხჩიშვილი, ეკამათება რა ჰიუფშმანს, ასეთი დაშვების უარსაყოფად ყურადღებას ამახვილებს პროკოპის ცნობის ერთ ადგილზე, სადაც ნათქვამია: „მას შემდეგ, რაც ეს მდინარე მიაღწევს იმ ადგილს, სადაც კავკასიისა და იბერიის საზღვრებია, აქ..., ნაცვლად ბოასისა, ამიერიდან ფაზისად წოდებული, განაგრძობს მდინარებას“ და დასძენს, რომ ასეთი საზღვრები „ჭოროხის ხეობაში საძიებელი

---

[97] ვახუშტი ბატონიშვილი. დასახ. ნაშრ. გვ. 66; ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. ტ. VIII. 1975, გვ. 72,

[98] დ. მუსხელიშვილი. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები. II. გვ. 55—57; ვახუშტი. დასახ. ნაშრ. გვ. 172—173.

[99] Г. Казбек. Три месяца в Турецкой грузии. Из дневника путешественника. Тифлис, 1875, с. 27.

არ არის...", რაშიც ვერ დავეთანხმებით პატივცემულ მკვლევარს. ჩანს შას, უმთავრესად, მხედველობაში აქვს და უადგილოდ ეჩვენება აქ კავკასიის საზღვრების მოხსენიება, თორემ მან კარგად იცის, რომ, სწორედ ჭოროხისა და მისი შენაკადების შუა და რამდენადმე ქვემო წელზე უნდა გასულიყო იბერია-ლაზიკის საზღვარი, სადაც ადრე შუასაუკუნეებში ჩამოყალიბდა ტაოსა და კლარჯეთ-შავშეთის სამეფო-სამთავროები[100]. რაც შეეხება კავკასიის საზღვრების ხსენებას, აქ შეიძლება ასეთი ახსნა მოეძებნოს. ჯერ ერთი, იქნებ პროკოპის თავდაპირველად ეწერა — „იქ, სადაც კავკასიის იბერიის საზღვრებია", და გვიანი ხანის გადამწერებმა კავკასია-იბერიის შუა შეცდომით ჩასვეს „და" კავშირი, ანდა, შესაძლოა ამ შემთხვევაშიც, ისევე როგორც ხშირად, პროკოპი იშველიებს ლიტერატურულ ცნობებს. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ძვ. წ. V—IV სს. ლოგოგრაფოსი ჰეროდორე, რომლის მიხედვით, „კავკასია არმენიელთა ქვეყნიდან კოლხთა მხარემდეა გადაჭიმული..."[101] ვფიქრობთ, ასეთი შესაძლებლობა არ არის გამორიცხული, ყოველ შემთხვევაში, კიდევ უფრო გაუგებარია „კავკასიის" საზღვრების ძიება ყვირილა-რიონის შესართავის მიდამოებში, რომელსაც არაფერი აქვს საერთო არც არმენიელთა და არც ჭანების სამოსახლოებთან, საიდანაც, პროკოპისა და არაერთი სხვა ავტორის ცნობით, ბოას-ფასისი იღებს სათავეს. მიუღებლად გვეჩვენება აგრეთვე ყვირილა-ფასისის და ბოას-ფასისის გაიგივება იმ საფუძველზე, რომ Bóas ბერძნულად ყვირილს ნიშნავს და ამდენად, შეიძლება ბოასი ყვირილას თარგმანი იყოს[102].

სავსებით შესაძლებელია ბოასი, მართლაც, თარგმანი იყოს, მაგრამ ამ შემთხვევაში ზემო იმერეთის მდინარე ყვირილას სახელწოდების თარგმანთან კი არ უნდა გვქონდეს საქმე, არამედ ჭანეთის ყვირილასთან ანუ ჭოროხის სათავეებთან. როგორც ჩანს, ძველად ასევე უნდა რქმეოდა ჭოროხის ზემო წელს, რაზეც მიგვანიშნებს იმერხევისა და ამდენად, მდ. ჭოროხის ერთ-ერთი მარჯვენა შენაკადის მდ. ყვირილას სახელწოდება და აქვე ამავე სახელწოდების (ყვირას) უღელტეხილისა და სოფლის არსებობა.

---

100 დ. მუსხელიშვილი. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები. II. 1980, გვ. 155—205, რუკ. IV, V.

101 ნ. ლომოური. ბერძენი ლოგოგრაფოსების ცნობები ქართველი ტომების შესახებ. — მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის. ნაკ. 35. 1963, გვ. 32.

102 გეორგიკა. II. 1965, გვ. 108, შენ. 1.

გ. ყაზბეგის აღწერილობით, მდ. ყვირილა სათავეს იღებს არსიანის ქედიდან, რომელიც დასავლეთითაა მიმართული, ეკუთვნის იმერხევს და ართვინს, ზემოთ მიერთვის მდ. ჭოროხს. მისი ხეობა მდიდარია თბილი, გოგირდოვანი და მჟავე წყლებით და მინერალური რესურსებით[103].

ერთი სიტყვით, ჭოროხის ხეობაშიც, მართალია, სათავეებთან კი არა, შუაწელზე, მაგრამ მაინც დამოწმებულია ჰიდრონიმი ყვირილა და ტოპონიმები: სოფ. ყვირილა და უღელტეხილი ყვირა[104], რაც, გარკვეულად, უკავშირდება ბოასის სახელწოდებას. ჩვენი აზრით, ხსენებული ტოპონიმები ეთნიკური წარმომავლობისაა და დაკავშირებული უნდა იყოს ოკენიტის ჭანების სახელწოდებასთან. პროკოპი კესარიელი, არმენიელთა მეზობელი ჭანების აღწერისას, საუბრობს რა მათი ცხოვრების მძიმე პირობებზე და მათი მთების შეუვალობაზე, დასძენს: „აქ ქვეყანა სამ ჯვარედინ გზად არის დასერილი. აქედან იწყებენ ხომ გაყრას რომაელთა, პერსარმენიელთა და თვით ჭანთა საზღვრები. აქ იუსტინიანემ ძალიან მტკიცე ციხე ააგო, რომლებიც წინათ არ ყოფილა, სახელად ჰორონონი, და ამით საფუძველი ჩაუყარა ზავის საქმეს. პირველად ხომ აქედან გახდა შესაძლებელი ჭანეთში შესვლა. აქვე ჩააყენა ჯარის მთავარი, რომელსაც დუკს ეძახიან. ერთ სოფელში, რომელიც ჰორონონისაგან ორი დღის სავალი გზით არის დაშორებული და სადაც საზღვრებია ეგრეთწოდებული ოკენიტის ჭანებისა (ჭანები ხომ მრავალ ტომად განიყოფებიან)..., გაღმა მთის ძირას ბოსლებია, სადაც ეგრეთწოდებული ოკენიტის ჭანების საქონელია მოთავსებული.

საქონელს ისინი ინახავენ იმისათვის, რომ წველონ ხოლმე და მისი ხორცით გამოიკვებონ თავი. შემდეგ მთის ძირისა, სადაც დავაკებულ ადგილას სოფელი კენა არის, დასავლეთის მიმართულებით რომ იარო, არის ერთი ციხე, სახელი მისი სისილისსონი“[105].

ამრიგად, პროკოპი კესარიელი ჭოროხის აუზში, მის სათავეებთან მოიხსენიებს ოკენიტის ჭანებს, რომლებსაც ეკავათ ღართის ველი და ხალდო-ძორი ანუ ხალდის ხეობა[106]. ტერმინში „ოკენი“ ო თავსართს

---

[103] Г. Казбек. Указ. соч., с. 50—59.

[104] იხ. საქართველოს სსრ რესპუბლიკის რუკა, 1931 წ.

[105] გეორგიკა. II. 1934. გვ. 187—188.

[106] Н. Адонц. Арменія в эпоху Юстиниана. СПб., 1980, с. 62—63.

ქართული სა პრეფიქსის შესატყვისად მიიჩნევენ, შესაბამისად, ოკენი ნიშნავს საკენოს, ე. ი. კენებით თუ კიანებით დასახლებულ მხარეს[107].

Kyanos-ის სახელწოდებით ბერძენი, რომაელი და ბიზანტიელი მწერლები (პტოლემაიოსი, პლინიუსი, სტეფანე ბიზანტიელი) აღნიშნავენ კოლხეთის ერთ-ერთ მდინარეს, რომელსაც, უპირატესად, მდ. ჰიპოსთან და ფასისთან კავშირში ახსენებენ[108]. ეს მდინარე, ჩვენი აზრით, უნდა იყოს მდ. ყვირილა.

საკითხისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს არქანჯელო ლამბერტის ერთ ცნობას, სადაც ნათქვამია: „ხოფის შემდეგ რომ მდინარეა, მკვიდრნი უწოდებენ მას ჭანისწყლად და რუკებზე კი იწერება Cianis. ეს მდინარე შეერთვის ხოფს და ამასთან ერთად, შეერთვის ზღვას. ჩვენი აზრით, ეს სახელი იმიტომ ეწოდება ამ მდინარეს, რომ მასთან მოდის სავაჭროდ თავისი პატარა ნავებით და ჩერდება ერთი მეზობელი ხალხი, რომელსაც ჰქვია ჭანი"[109]. როგორც სწორად შენიშნავს თ. მიქელაძე, აქ მთავარი არაა ავტორისეული ეტიმოლოგია, არამედ ფაქტიური ხასიათის ცნობა, რომ Cianis ჭანის წყალს აღნიშნავს და, მაშასადამე, კიანოს ჭან ეთნიკური სახელის შესაბამის ფორმადაა მისაჩნევი[110].

როგორც ჩანს, კაინ/კენ//კიანის//კიანოს ჭანთა ეთნიკური სახელის უძველესი ფორმაა და მათ სამოსახლოს, შესაბამისად, შეერქვა ასეთი სახელი — კენ//კიანოს. ე. ი. ეთნონიმი იქცა გეოგრაფიული ერთეულების — მდინარის, სოფლის, უღელტეხილისა და ა. შ. სახელად. უნდა ვიფიქროთ, რომ დროთა განმავლობაში დავიწყებული იქნა ამ ტოპონიმების ეთნიკური წარმომავლობა და რამდენადაც მეგრულ ანუ ლაზურ-ჭანური კიანი კივილსა და ყვირილსაც ნიშნავს[111], ქართულენოვანი ჯგუფების მიერ იგი გაგებული იქნა, როგორც ყვირილი//ყვირილა, ხოლო ბერძნებმა თარგმნეს ბოასის შინაარსით.

ამრიგად, რამდენადაც სწორედ ჭოროხი იღებს სათავეს ჭანების

---

107 თ. მ ი ქ ე ლ ა ძ ე. სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის უძველესი მელითონე ტომების ზოგიერთი საკითხი. — მაცნე. 1. 1967. გვ. 91.

108 Plin., N H, VI, 13; ნ. ლ ო მ ო უ რ ი. კლავდიოს პტოლემაიოსის „გეოგრაფიული სახელმძღვანელო", ცნობები საქართველოს შესახებ. გვ. 45; გეორგიკა. III. გვ. 274; თ. მ ი ქ ე ლ ა ძ ე. დასახ. ნაშრ. გვ. 106—107.

109 ა რ ქ ა ნ ჯ ე ლ ო ლ ა მ ბ ე რ ტ ი. სამეგრელოს აღწერა. თბ., 1938, გვ. 175.

110 თ. მ ი ქ ე ლ ა ძ ე. დასახ. ნაშრ. გვ. 101.

111 არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა. ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი. თბ., 1938, გვ. 298.

ანუ კენ//კიანების ტერიტორიიდან, ბუნებრივია, იმთავითვე სწორედ მას შერქმეოდა კიანიოსის ანუ იგივე ბოასის სახელი[112].

ბოას-ფასისი რომ ნამდვილად მდ. ჭოროხია და არა ყვირილა-რიონი, როგორც ეს ადრე იყო გაგებული, ამას კიდევ ერთხელ მოწმობს პროკოპი კესარიელის შრომის არაერთი ადგილი. ეს ეხება ლაზებისა თუ მისი მეზობელი ტომების განსახლებას, ლაზების ქალაქებისა და ციხეების დახასიათებას თუ სპარსეთის ჯარის სალაშქრო მარშრუტების აღწერილობას პეტრასთან დაკავშირებით.

ყოველივე თქმულის ნათელსაყოფად მივყვეთ და თანმიმდევრულად განვიხილოთ ეს ადგილები, როგორც მდ. ჭოროხთან, ისე რიონ-ყვირილასთან მიმართებაში.

პროკოპი კესარიელი შრომის იმ ნაწილში, სადაც საუბარია ხოსროს მიერ ქ. პეტრასა და შემდეგ რომაელთა (დაგისთეს ხელმძღვანელობით) და სპარსთა (მერმეროეს სარდლობით) ჯარების ახალი კონცენტრაციის შესახებ, იძლევა ცნობებს მდინარე ბოასის, ლაზთა დასახლებული ადგილების (მათი ქალაქებისა და ციხე-ქალაქების) შესახებ: „...ბოასი, ამიერიდან ფაზისად წოდებული, განაგრძობს მდინარეობას ნაოსნობისათვის გამოსადეგი ვიდრე ევქსინად წოდებულ ზღვამდე, სადაც მისი შესართავია, და მის ორივე მხრით ლაზიკე არის. მაგრამ მარჯვნივ მთელი ის ქვეყანა დიდ მანძილზე, ვიდრე იბერიის საზღვრებამდე, დასახლებულია ადგილობრივი მცხოვრებლებით, ლაზთა სოფლები ხომ აქ ყველა მდებარეობს მდინარის აქეთა ნაპირას და ქალაქებიც მათ ძველთაგანვე აქ აუშენებიათ, მათ შორის არის არქეოპოლისი ძალიან გამაგრებული, სევასტოპოლიც არის აქ და პიტიუნტის სიმაგრეც, ხოლო სკანდა და სარაპანი — იბერიის საზღვრებისაკენ. ყველაზე შესანიშნავი ქალაქები კი მაინც არის აქ როდოპოლისი და მოხირისი. მდინარის მარცხნივ, ისეთ მანძილზე, რომელსაც ერთ

---

112 არ არის გამორიცხული, რომ ასევე ჭანების განსახლების ფარგლებში უნდა ყოფილიყო მოქცეული რაჭა-ერწოს მთიანეთი, სადაც სათავეს იღებს ყვირილა, და აფხაზეთის მაღალმთიანი ზოლიც, სადაც ე. წ. „აწანგვარებია“ გავრცელებული, რომლებიც წარმოადგენენ ყორულად ნაგებ ქვის ოთხკუთხა და მრგვალ, დაბალ ნაგებობებს. აკად. ს. ჯანაშია „წანიგუარას“ თარგმნის როგორც „წანის სადგომს“; ხოლო წანს ჭანურ ტომად მიიჩნევს (იხ. მისი თუბალ-თაბალი, ტიბარენი, იბერი, გვ. 195, 196). ნიშანდობლივია, რომ ეს „წანიაგურები“ განსაკუთრებით თავმოყრილია მდ. საკენის ხეობაში (იხ. თ. მიქელაძე. სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის უძველესი მელითონე ტომების ისტორიის ზოგიერთი საკითხი გვ. 92—93, შენ. 34).

დღეში გაივლის მსუბუქად დატვირთული კაცი, ლაზიკის საზღვრებია, ხოლო ეს მხარე მოსახლეობას მოკლებული ჩანს. ამ მხარის მეზობლად რომაელები ცხოვრობენ, რომელთაც პონტოელები ეწოდებათ. ლაზიკის მიწა-წყალზე, იმ ადგილას, სადაც ადამიანებს არასოდეს არ უცხოვრიათ, იუსტინიანე მეფემ ჩემს დროს ქალაქი პეტრა გააშენა"[113].

მდ. ფასისის ნაპირებზე ლაზების დისპროპორციული განსახლების ასეთივე სურათს იძლევა პროკოპის შრომის სხვა ადგილიც, სადაც საუბარია ევქსინის პონტოსპირა ხალხებსა და მათ მეზობლებზე.

„...ზოგიერთები ამბობენ (გულისხმობენ ესქილეს, ჰეროდოტეს), რომ აქ ფაზისი ორად ჰყოფს ხმელეთს. ჩამომდინარე წყლის მარცხნივ არის აზია, ხოლო მარჯვნივ ევროპად იწოდება. ევროპის ნაწილშია ლაზთა ყველა საბინადრო ადგილი, ხოლო მეორე ნაწილში არც რაიმე ქალაქი აქვთ ლაზებს, არც სიმაგრე და არც დაბა მოხსენიების ღირსი, გარდა იმისა, რომ რომაელებმა იქ პეტრა ააშენეს წინათ"[114].

როგორც ვხედავთ, პროკოპის შრომის აქ მოყვანილი ორივე ადგილი შინაარსობრივად ერთგვაროვანია და ძალზე საინტერესო, მრავალფეროვან ინფორმაციას იძლევა ლაზიკის ისტორიისა და განსაკუთრებით, ისტორიული გეოგრაფიისათვის. აქ საუბარია ლაზიკის სამხრეთ საზღვარზე, ციხე-ქალაქთა რაგვარობაზე, მათ განლაგებაზე, მოსახლეობის განსახლებაზე და სხვ. მაგრამ, სამწუხაროდ, როგორც ფიქრობენ, სწორედ შრომის ეს ნაწილია ე. წ. „შეცდომებითა" და ურთიერთსაწინააღმდეგო დებულებებით სავსე, რაც პროკოპისადმი და საერთოდ, ბერძენ მწერალთა ცნობებისადმი სკეპტიკურად განაწყობს მკვლევართა დიდ ნაწილს. აკად. ს. ყაუხჩიშვილის აზრით, „ეს ცნობები ბევრგან არეულია, ერთიმეორეს არ ეთანხმება, ან ჩვენს თანამედროვე საისტორიო მწერლობაში შემოწმებული არაა"[115]. აკად. ნ. ბერძენიშვილი მისთვის დამახასიათებელი მთელი სიღრმე-სიგანით იხილავს ადრებიზანტიური ხანის ლაზიკის ისტორიის საკითხებს და საერთოდ, ნდობას უცხადებს პროკოპის ცნობებს საქართველოს რომ ეხება, მაგრამ საკამათო ადგილების შესახებ შენიშნავს, რომ, როგორც „ჩანს, (პროკოპი) შტაბში წარმოდგენილ მოხსენების საფუძველზე ადგენს თავის მოთხრობას და ერთიმეორეში ურევს ცნობებს..."[116] და იქვე

---

113 გეორგიკა. II. გვ. 100—101.

114 გეორგიკა. II. გვ. 127.

115 იქვე. გვ. 97.

116 ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი. საქართველოს ისტორიის საკითხები. 1975, გვ. 476.

მიგვითითებს, რომ მეტი სიფრთხილით მოვეკიდოთ ბერძენ მწერალთა ცნობებს[117].

ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს დ. მუსხელიშვილის, როგორც ისტორიული გეოგრაფიის წამყვანი სპეციალისტის, შეხედულებას პროკოპი კესარიელის ცნობების რაობა-ღირებულების შესახებ, მით უფრო, რომ იგი სავანგგებოდ ჩერდება მოყვანილი ცნობების საჩოთირო ადგილებზე და მას შემდეგ, რაც ნდობას უცხადებს პროკოპი კესარიელს, როგორც კომპეტენტურ ისტორიკოსს, იქვე დასძენს, რომ „რიონის მარცხენა ნაპირის სრული დაუსახლებლობის შესახებ მისი აზრი შეცდომა უნდა იყოს"-ო, რასაც ფაქტიური მასალით ადასტურებს[118]. თუმცა იქვე დასძენს, რომ „პროკოპი კესარიელის ზემოხსენებულ ჩვენებებზე დამყარებული წარმოდგენა მარცხენა რიონისპირეთის დაუსახლებლობის შესახებ ადრებიზანტიურ ხანაში, ფაქტიურად, შესაძლებელია ამ ჩვენებათა არასწორი ინტერპრეტაციის შედეგი იყოს"-ო[119], რაშიც შეუძლებელია არ დავეთანხმოთ პატივცემულ ავტორს.

როგორც უკვე ითქვა, ჩვენი აზრით, მთავარი შეცდომა ის არის, რომ პროკოპისეული ბოას-ფასისი არასწორადაა გაიგივებული რიონ-ყვირილასთან.

პროკოპის ცნობით, ფაზისის მარჯვენა ნაპირზე „მთელი ის ქვეყანა დიდ მანძილზე ვიდრე იბერიის საზღვრებამდე დასახლებულია ადგილობრივი მცხოვრებლებით"[120]. თუკი ფასისი რიონია, როგორც ეს ამჟამად არის მიღებული, სრულიად გაუგებარია, რა უნდა რიონის მარჯვნივ იბერიის საზღვრებს; როგორც ანტიკური, ისე ბიზანტიური და მომდევნო ხანებისათვის ასეთი საზღვრების ძიება რიონის მარჯვენა ნაპირზე უაზრობაა. რა მიმართულებითაც არ უნდა წავიდეთ, რამდენიც არ უნდა ვიაროთ, რიონის მარჯვენა სანაპიროზე, ვერც ერთ წერტილში იბერიის საზღვრებს ვერ მივადგებით. მით უფრო, ვიცით, რომ პროკოპისავე არაერთგზისი ჩვენებით ასეთი სასაზღვრო ხაზი, ხსენებული დროისათვის, სკანდა-შორაპანთან გადის[121]. ეს პირდაპირ არის მითითებული პროკოპის ცნობის იმ ნაწილში, სადაც საუბარია

---

117 იქვე. გვ. 446.

118 დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები. I. თბ., 1977, გვ. 102.

119 იქვე. გვ. 103—104.

120, გეორგიკა. II. გვ. 100.

121 გეორგიკა. II. გვ. 35—36; დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი. დასახ. ნაშრ. გვ. 105.

ფასისის მარჯვენა ნაპირზე გაშენებულ ქალაქებზე და ციხეებზე: „მათ შორის არის არქეოპოლისი, ძალიან გამაგრებული, სევასტოპოლიც არის აქ და პიტიუნტის სიმაგრეც, ხოლო სკანდა და სარაპანი — იბერიის საზღვრებისაკენ. ყველაზე შესანიშნავი ქალაქები კი მაინც აქ როდოპოლისი და მოხირისია“[122]. როგორც ცნობილია, როდოპოლისი თანამედროვე ვარციხეა რიონისა და ყვირილა-ხანისწყლის შესართავთან, მოხირისს კი დაბლაგომთან ვარაუდობენ[123]. ე. ი. ორივე ეს ქალაქი რიონის მარცხენა სანაპიროზე მდებარეობს, რომ არაფერი ვთქვათ სკანდასა და შორაპანზე. პროკოპის ცნობის მიხედვით კი, ისინი მდ. ფასისის მარჯვენა სანაპიროზეა მითითებული. აქაც აშკარა შეუსაბამობაა ფასის-რიონის მიმართ. ჯერ კიდევ იუსტინიანეს ნოველების ავტორმაც იცის, რომ „არქეოპოლისი და როდოპოლისი, უდიდესი და ძველი სიმაგრეებია“[124], ხოლო შემდეგ პროკოპი კესარიელი პირდაპირ მიუთითებს და ხაზს უსვამს, რომ ყველაზე შესანიშნავი ქალაქები კი მაინც არის აქ როდოპოლისი და მოხირისი“[125]. ყოველივე ეს იცის პროკოპიმ, უფრო სწორად, მისმა ინფორმატორმა. მაგრამ, თუ ეს ფასისი რიონია, მაშინ შეცდომას უშვებს, როცა მათ მდინარის მარჯვენა ნაპირის ქალაქებად მიიჩნევს, რაც ნაკლებად სარწმუნოა. აქაც ისეთივე დასკვნა უნდა გაკეთდეს, როგორიც ლაზიკა-იბერიის საზღვრებთან დაკავშირებით მივიღეთ: კერძოდ, ამ ეტაპზე პროკოფის ფაზისი რიონი არ არის.

საკითხით დაინტერესებულ მკვლევრებს განსაკუთრებით აღელვებთ პროკოფის ცნობის ის ადგილი, სადაც საუბარია მდ. ფასისის მარცხენა სანაპიროზე, რომელიც „მოსახლეობას მოკლებული ჩანს და ამ ნაწილში არც რაიმე ქალაქი აქვთ ლაზებს, არც სიმაგრე და არც დაბა მოხსენიების ღირსი“[126].

თუ პროკოპისეული ფასისი თანამედროვე რიონია, საქმე ეხება იმერეთის დიდ ნაწილს, მთელ გურიასა და აჭარას, ე. ი. ისტორიული კოლხეთის საუკეთესო ნაწილს, სადაც, როგორც უკანასკნელი დროის არქეოლოგიური ძიების შედეგები მოწმობენ, აღმოცენდნენ ადრეანტიკური და ელინისტური ხანის ქალაქური ცენტრები: ვანი, დაბლა-

---

122 იქვე. გვ. 101.
123 იქვე. გვ. 208, შენ. 1.
124 იქვე. გვ. 35—36.
125 იქვე. გვ. 101.
126 იქვე. გვ. 127.

გომი, ფასისი, ფიქვნარი და აფსაროსი, რომ არაფერი ვთქვათ ამ ტერიტორიებზე გამოვლენილ უფრო ადრეულ ძეგლებზე, ქვის ხანიდან მოკიდებული ბრინჯაო-რკინის ხანის ჩათვლით. ყველა ეპოქაში ეს მხარე საკმაოდ დაწინაურებული ჩანს როგორც ეკონომიკურად, ისე კულტურულად და პოლიტიკურად. აკად. ნ. ბერძენიშვილი, ლაზიკის ისტორიულ-გეოგრაფიულ საკითხებზე მსჯელობისას, არაერთხელ ეხება ამ მხარეს და ხაზს უსვამს მის ძველ მორწმულობას[127]. მისი აზრით, ეს ის მხარეა, რომელიც თავდაპირველად ჰეგემონობდა და მათი „ქვეყნები" ქალაქური ცენტრებით საზოგადოებრივ-სამეურნეო, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ლოგიკური გამოხატულებაა[128]. ნ. ბერძენიშვილის აზრით, მიუხედავად იმისა, რომ უფრო გვიან, ე. ი. პროკოპის დროს, ჰეგემონობა ჩრდილოეთის, ე. ი. რიონის მარჯვენა სანაპიროს ხელში უნდა იყოს გადასული, მარცხენა სანაპიროზე მაინც „შემორჩენილა" და ისევ ყვავის ვარდციხე მისი „ქვეყნით"[129]. აქვე ასახელებს იგი ტელეფისის ციხეს, ვაშნარს, ათასგზის წონის და ზომავს, პროკოპის ხსენებული ცნობის წინააღმდეგობის მრავალგვარ ახსნას იძლევა, მაგრამ აშკარად იგრძნობა, რომ თვითვე არ არის კმაყოფილი მიღებული დასკვნებით[130].

როგორც ზემოთ არაერთგზის აღვნიშნეთ, პროკოპის ცნობა ფასისის მარცხენა სანაპიროს რომ შეეხება, საგანგებოდ განიხილა პროფ. დ. მუსხელიშვილმა და წერილობითი და მატერიალური მასალის მოშველიებით დაასაბუთა, რომ აქ შეცდომაა დაშვებული და რიონის მარცხენა სანაპირო პროკოპის დროსვე საკმაოდ დასახლებული და ათვისებული ჩანს[131]. ამ მიზნით მან, პირველ რიგში, გამოიყენა ისევ პროკოპის თანამედროვე და უშუალო გამგრძელებლის აგათია სქოლასტიკოსის ცნობები, რომლის მიხედვით რიონის მარცხენა სანაპიროზე არსებობდა ტელეფისის ციხე (აიგივებდნენ სოფ. ტოლებთან)[132], ქოთნების სავაჭრო ადგილი, ე. ი. ქიტროპოლია, მთელი რიგი პატარა ქალაქები[133], ციხე-ქალაქი ფასისი (დღ. ფოთი) თავისი სოფლებით[134]

---

127 ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი. დასახ. ნაშრ. გვ. 446.

128 იქვე. გვ. 447.

129 იქვე. გვ. 446; ვ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე. ვარდციხის ნაქალაქარი. თბ., 1989.

130 იქვე. გვ. 472—479.

131 ა გ ა თ ი ა ს ქ ო ლ ა ს ტ ი კ ო ს ი. გეორგიკა III. გვ. 311—316.

132 იქვე. გვ. 30—34.

133 იქვე. გვ. 106—107.

134 იქვე. გვ. 112—113.

და „ქრისტიანეთა შორის ძალიან განთქმული ტაძარი, რომელიც ქალაქს ბევრად არ იყო დაშორებული[135]. ბუნებრივია, ასეთი „სახელგანთქმული ტაძარი“ უდაბურ ადგილზე არ იქნებოდა აგებული[136].

არქეოლოგიური ძეგლებიდან იგი უთითებს ასევე ადრებიზანტიური ხანით დათარიღებული ტოლების ციხეზე და გურიის სოფ. შუხუთში აღმოჩენილ, IV—V სს. წარჩინებულ ლაზის აგარაკზე[137].

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, დ. მუსხელიშვილი სავსებით სწორად დაასკვნის, რომ ლაზეთის რიონის მარცხენა სანაპირო საკმაოდ მჭიდროდ ჩანს დასახლებული ამ ხანაშიც[138], რაშიც შეუძლებელია არ დაეთანხმო ავტორს. აქვე უნდა გავიხსენოთ ბათუმის მახლობლად, ყოროლის წყლის შესართავთან მდებარე ბორცვზე, ე. წ. „თამარის ციხეზე“ გათხრილი, ოთხკუთხაკოშკებიანი რომაული კასტელის ტიპის სიმაგრე, რომელიც ახ. წ. VI ს-ით თარიღდება და პროფ. ვ. ლექვინაძის აზრით, უნდა იყოს პროკოპის ნაშრომში „მშენებლობათა შესახებ“ მოხსენიებული ლოსორიონი[139]. სხვა საქმეა, რამდენად სწორია ლოსორიონის იდენტიფიკაცია თამარის ციხესთან, მაგრამ რიონის მარცხენა სანაპიროზე ასეთი მნიშვნელოვანი ძეგლის არსებობა თავისთავად საყურადღებოა. აქ, მდ. სკურდუმის და ნატანების შესართავთან, მდებარეობს ახ. წ. V—VI სს. დათარიღებული კიდევ ერთი და ალბათ, არაუკანასკნელი ძეგლი — ვაშნარის ნაქალაქარი, რომელსაც თავისი სწორკუთხაკოშკიანი ციხე-გალავნით, კრამიტით გადახურული, ხუთწახნაგა აფსიდიანი ტაძრითა და კიბიანი აბანოს ნაშთებით, ისეთი დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია ფრანგ მოგზაურსა და არქეოლოგ დიუბუა დე მონპერეზე, რომ მან იგი ნაქალაქარ პეტრად მიიჩნია, რაზეც ზემოთ გვქონდა საუბარი.

განა შეეძლო პროკოპის, უფრო სწორად, მის ინფორმატორებს, რომლებიც ლაზიკიდან აწვდიდნენ ცნობებს, რიონის მარცხენა სანაპიროზე, იქ, სადაც ძირითადი საომარი ოპერაციები მიმდინარეობდა 10 წლის განმავლობაში და სადაც მდებარეობს ქ. ფასისი, ქალაქი

---

135 დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი. დასახ. ნაშრ. გვ. 104.

136 გ ე ო რ გ ი კ ა. III. გვ. 311—316.

137 П. П. З а к а р а я, В. А. Л е к в и н а д з е. Археологические раскопки в селе шухуте.—მაცნე. 1966, №1, გვ. 133—135.

138 დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი. დასახ. ნაშრომი. გვ. 104.

139 В. А. Л е к в и н а д з е. О постройках Юстиниана в западной Грузии.—Виз. врем. 34. М., 1973, с. 172—173.

ვაშნარი, ქრისტიანებს შორის ძალზე სახელგანთქმული ტაძარი, ტელეფისისა და თამარის ციხე, ეთქვა, რომ ლაზიკის ეს ნაწილი თხლად არის დასახლებული და არაფერია იქ მოხსენიების ღირსიო. ვფიქრობთ. რომ არ შეეძლო. სხვა რომ არაფერი გვქონდეს, მარტო ფასისი, მონუმენტური ვაშნარი, ვარდციხის ნაქალაქარი[140] და თამარის ციხე აცლის საფუძველს პროკოპის ხსენებული ცნობის რიონის მარცხენა სანაპიროსადმი მიყენების მცდელობას და პროკოპისეული ფასისისა, და რიონის იდენტიფიკაციის საწინააღმდეგო კიდევ ერთი არსებითი ხასიათის ფაქტია. აშკარაა, რომ ბიზანტია-სპარსეთის პირველი ომების დროს მოხსენიებული ფასისი არ არის რიონი. როგორც უკვე ითქვა, პროკოპის ბოას-ფასისი ყველა მონაცემით თანამედროვე ჭოროხია, როგორც მისი ნიშანდობლივი სათავეებით, ისე ქვემო წელის სპეციფიკური ფიზიკური ნიშნებით. პროკოპისეული ბოას-ფასისი რომ მდ. ჭოროხია და არა ყვირილა-რიონი, ამას კარგად მოწმობს მისი შრომის კიდევ ერთი ადგილი, სადაც საუბარია ფასისის გაუვალ კლდოვან ნაპირებზე. ჩვენ ხაზგასმით გვინდა აღვნიშნოთ, რომ აქ საუბარია ბოასის გაგრძელება ფასისზე, რომელიც, აკად. ს. ყაუხჩიშვილის აზრით, ყვირილას შესართავს ქვემოთ რიონს უნდა შეესატყვისებოდეს. პროკოპის ცნობა შეეხება სპარსეთის მეფის ხოსროს პირველ შემოსვლას ლაზიკაში ლაზების მეგზურობით და მის მიერ განვლილ მარშრუტს იბერიიდან პეტრასაკენ: „როდესაც ლაზები წინ მიუძღვებოდნენ ხოსროს, მათ გადავლეს მდინარე ბოასი და ისე მივიდნენ პეტრაში, რომ ფაზისი მარჯვნივ ჰქონდათ, თითქოს იმიტომ, რომ მათ (იგულისხმება ლაზები — გ. გ.) წინასწარ განჭვრიტეს, რათა მდინარე ფაზისის გადასასვლელად არც დრო და არც შრომა დასჭირდებოდათ მეტი, ხოლო ნამდვილად იმიტომ, რომ არ სურდათ სპარსელებისათვის ეჩვენებინათ თავიანთი საბინადროები, თუმცა ლაზიკე ყველგან, მდინარე ფაზისის როგორც აქეთა, ისე იქითა მხარე, გაუვალია. ქვეყნის ორსავე მხარეს უზარმაზარი კლდეებია, რომლებიც აქ დიდ მანძილზე ვიწროებს ქმნიან, ასეთ გზებს რომაელები „კლისურებს“ უწოდებენ— ელინური გამოთქმით“[141].

როგორც ცნობილია, კლისურები ანუ ვიწროები, რთული კლდოვანი რელიეფით, რიონის ქვემო წელისათვის არ არის დამახასიათებელი. ქუთაისს ქვემოთ იგი გამოდის კოლხეთის დაბლობზე და დაახლო-

---

140 ვ. ჯაფარიძე. ვარდციხის ნაქალაქარი. თბ., 1989.

141 გეორგიკა, II. გვ. 102.

ებით 80—90 კმ მანძილზე ზღვის შესართავამდე, მეანდრებად დახვეული, თავისუფლად დანავარდობს გაშლილ ვაკეზე, მარჯვნივ თუ მარცხნივ, რისი მოწმობაცაა აბაშა-ფოთის რაიონში არაერთგან შემორჩენილი მისი მკვდარი კალაპოტები, ე. წ. „ნარიონალები". ამდენად, აშკარაა, რომ პროკოპის ცნობა რიონს არ გულისხმობს. იგი ზედმიწევნით ასახავს ჭოროხის გეოგრაფიულ თავისებურებას, თუნდაც მდინარის ქვემო წელზე. მდ. ჭოროხი, სათავიდან თითქმის შესართავამდე, სწორედ, ასეთ კლდოვან ვიწროებში მიედინება და შესართავიდან სულ რაღაც ხუთიოდე კილომეტრის მოშორებით, გაივაკებს და ორ ტოტად გაყოფილი შეერთვის ზღვას.

ართვინიდან ქვემოთ, ვიწროების მიუხედავად, ჭოროხი სანაოსნო ხდება და აქედან თუ არა, ფორჩხადან მოკიდებული მაინც (რომლის მარჯვნივ იბერთა საზღვრები იგულისხმება) ჭოროხს ფასისის სახელი უნდა ეტარებინა. სწორედ ეს მდინარე იღებს სათავეს ჭანების (სანების) სამოსახლოების მახლობლად, არმენიის მთებში, სწორედ იგი მიედინება დიდ მანძილზე მარჯვნივ და აქ, სადაც პირდაპირ კავკასიონია, უხვევს დასავლეთისაკენ; სწორედ აქვე იგულისხმება იბერიის საზღვრები, რომლის „გასწვრივ ცხოვრობენ ძველითგანვე იბერთა ქვეშევრდომი მესხები"[142]. სწორედ მისი კალაპოტია დინების მთელ სიგრძეზე გაუვალი და კლდოვანი და სწორედ მის მარჯვენა ნაპირზე, „ყველგან სიმაგრეებიც გაუკეთებიათ ლაზებს, რათა ნავებით მომავალი მტრისათვის ხმელეთზე გადასვლა არ ყოფილიყო შესაძლებელი"[143].

აღსანიშნავია, რომ ჭოროხის ქვემო წელის მარჯვენა ნაპირზე, სამ ადგილას არის დადასტურებული ციხის ნაშთების არსებობა. ესენია: ერგე ანუ ნიკატაური, ჯოჭოს წყლისა და ჭოროხის შესართავთან[144], გვარა, მაჭახელის წყლისა და ჭოროხის შესაყართან[145] და ბაშქო მათ შუა ტერიტორიაზე. ძნელი სათქმელია, თუ რა დროისაა ერგე და ნი-

---

142 იქვე. გვ. 127.

143 იქვე. გვ. 113.

144 ი. სიხარულიძე. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა. II. 1959, გვ. 37; მისივე. საიდან წარმოიშვა სოფლის სახელი ნიკიტაური. — „ოქტომბრის გზით" (ხელვაჩაური). 1977, 2 აგვისტო, № 31.

145 ი. სიხარულიძე. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა. წიგნი I. ბათუმი, 1958, გვ. 183; მისივე. აჭარის მატერიალური კულტურის ძეგლები. ბ. — თუმი, 1962, გვ. 22; Кавказские этюды. I. Исследования и заметки Е. Г. Ве баума. I. 1901, с. 127.

კატაური, მაგრამ გვარა, როგორც წყობით, ისე კონსტრუქციით აშ-კარად ადრეული შუა საუკუნეების ძეგლია და გამორიცხული არ არის, რომ პროკოპი კესარიელს ეს ციხე და მსგავსი ძეგლები ჰქონდა მხე-ველობაში, როცა ჭოროხის მარჯვენა სანაპიროს დამცველ ციხეებზე აქვს საუბარი.

ფასისისა და ჭოროხის იგივეობის სასარგებლოდ მეტყველებს აგრეთვე პროკოპის მიერ ფასისის ქვემო წელზე არსებული ფონის ორგზის მოხსენიება. პირველად მაშინ, როცა ფასისის მარჯვენა ნა-პირზე დაბანაკებული გუბაზი ფონით მოულოდნელად გადაიყვანს ჯარს მდინარის მარცხენა ნაპირზე და რომაელებთან ერთად გაანადგურებს მერმეროეს მიერ ლაზიკის სოფლების სარბევად დატოვებულ 5000 კა-ცისაგან შემდგარ რაზმს[146]. ხოლო მეორედ, თვით მერმეროე სარ-გებლობს ამ ფონით: ფეხით გადალახავს ფასისს, გადალახავს მეორე მდინარე რეონს და ჯარი მიჰყავს ერთი ქალაქის — არქეოპოლისის — წინააღმდეგ[147]. საყურადღებოა, რომ ასეთი ფონი დღესაც არსებობს ჭოროხის ქვემო წელზე, სოფ. ზემო მარადიდის მახლობლად, შუახევის წყალთან, რომლითაც უსარგებლიათ დ. ბაქრაძეს[148] და ე. ვეიდენ-ბაუმს, ბათუმიდან ართვინამდე მოგზაურობის დროს. ე. ვეიდენბაუ-მის ცნობით, ჭოროხი იმ ადგილზე ფართოა, მდორედ მიედინება, თხე-ლია და წარმოქმნის ფონს. აქ გადაუყვანიათ მათ ცხენები ერთი ნა-პირიდან მეორეზე[149].

არც ერთი ამ ჩვენებათაგანი, პროკოპისეულ ფასისთან კავშირში რომ აღინიშნება, არ არის ნიშანდობლივი ყვირილა-რიონისათვის, რაც იმის უდავო დასტურია, რომ პროკოპი თავისი ისტორიის პირველ ნა-წილში, იქ, სადაც აღწერილია ბიზანტია-სპარსეთის ომები ქ. პეტრას ხელში ჩაგდების მიზნით, ყვირილა-რიონს არ შეხებია და მისი ბოს-ფასისი მხოლოდ და მხოლოდ ჭოროხია. ასეთი დაშვების შემთხვევაში პროკოპის შრომის ზემოთ განხილული ყველა ცნობა იკავებს კუთვ-ნილ ადგილს და ერთი შეხდვით, საპირისპირო და გაუგებარი ადგილები მარტივად გასაგები ხდება. მაგალითად, არავინ იკამათებს იმაზე, რომ ჭოროხის მარჯვნივ არის და ადრეც ასე უნდა ყოფილიყო ლაზთა ძი-რითადი სამოსახლოები, რომ ეს მხარე მჭიდროდ უნდა ყოფილიყო

---

[146] გეორგიკა. II. გვ. 113.

[147] იქვე. გვ. 182.

[148] Д. М. Бакрадзе. Указ. соч., с. 34.

[149] Кавказские этюды. I. 1901, с. 122—131.

დასახლებული და, ბუნებრივია, აქვე უნდა აეშენებინათ ლაზებს თავისი ქალაქები და ციხეები: არქეოპოლისი, სევასტოპოლისი, პიტიუნტი, ფასისი, მოხირისი, როდოპოლისი, სკანდე და სარაპანი იბერიის საზღვრებისაკენ. თითქოს არც იმან უნდა დაგვაეჭვოს, რომ ჭოროხის ანუ ძველი ფასისის მარცხენა სანაპირო, მართლაც, თხლად ჩანს დასახლებული. ლაზიკის ეს მხარე ტერიტორიულადაც მცირეა. პროკოპის თქმით, მას ერთ დღეში გაივლის მსუბუქად დატვირთული კაცი[150]. ე. ი. ლაზიკის სამხრეთი საზღვარი ჭოროხიდან სამხრეთით 30—35 კმ უნდა ყოფილიყო მოცილებული.

მართალია, ამჟამად ლაზიკის ამ მხარის შესწავლაზე ხელი არ მიგვიწვდება, მაგრამ მაინც უნდა ვენდოთ პროკოპის ცნობას, რომ აქ არც რაიმე ქალაქი ჰქონიათ ლაზებს, არც სიმაგრე და არც დაბა მოხსენიების ღირსი[151]. ყოველ შემთხვევაში, რაიმე მნიშვნელოვანი მიწისზედა ძეგლი ან საყურადღებო შემთხვევითი არქეოლოგიური აღმოჩენა ამ მხარიდან ჩვენთვის უცნობია და არც ბერძნული წყაროები მიუთითებენ აქ რაიმე მნიშვნელოვანი ცენტრების არსებობაზე. გამონაკლისს წარმოადგენს ციხე-სიმაგრე აფსარუნტი, რომელშიც, ფლავიუს არიანეს ცნობით, რიმაელთა ხუთი კოჰორტი მდგარა[152]. აფსაროსი რომის იმპერიის საზღვრების დამცველ სიმაგრეთა სისტემაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პუნქტი იყო. მას არაერთგზის იხსენიებენ ბერძენი ავტორები (პლინიუსი, სტეფანე ბიზანტიელი და სხვ.), იგი აღნიშნულია „პევტინგერის ტაბულის“ სახელით ცნობილ რუკაზეც[153]. მასზე საგანგებოდ ჩერდება პროკოპი კესარიელიც და ახასიათებს მას, როგორც ძველ ხალხმრავალ ქალაქს: „ეს ქალაქი ძველად მრავალმცხოვრებიანი ყოფილა. მას გარშემო უვლიდა მრავალი კედელი და შემკული იყო თეატრითა და იპოდრომით და მას სხვა მრავალი რამეც ჰქონდა, რაც, ჩვეულებრივ, ქალაქის სიდიდის მომასწავებელია. ამჟამად აქედან სხვა არაფერია დარჩენილი, გარდა ნაშენობათა საძირკვლებისა“[154].

აფსარუნტ-აფსაროსი ყველა მონაცემის მიხედვით ემთხვევა თანამედროვე გონიოს ციხეს, რომელიც 1,5 კმ-ითაა ჭოროხის შესარ-

---

150 გეორგიკა. II. გვ. 101.

151 იქვე. გვ. 127.

152 ფ ლ ა ვ ი უ ს ა რ ი ა ნ ე დასახ. ნაშრ. გვ. 35.

153 ნ. ლ ო მ ო უ რ ი. ძველი საქართველოს სავაჭრო გზების საკითხისათვის. — ისტ. ინსტიტუტის შრომები. ტ. IV, ნაკვ. I. 1958, გვ. 99—118.

154 გეორგიკა. II. გვ. 123—124.

თავს დაშორებული სამხრეთისაკენ[155], ე. ი. მდინარის მარცხენა ნაპირზეა და აქ რომ სხვა მნიშვნელოვანი რამ ყოფილიყო, ვფიქრობთ, ასევე არ გამორჩებოდა პროკოპის აღუნიშნავი.

ჭოროხის მარცხენა სანაპირო სუსტი ეკონომიკური საფუძვლის მქონე მცირე „ქვეყანა“ ჩანს, რომელმაც ვერ შეძლო მსხვილი პოლიტიკური, კულტურული და სტრატეგიული ცენტრების შექმნა.

XIX ს. გამოჩენილი ქართველი მეცნიერისა და მოგზაურის გიორგი ყაზბეგის ცნობით, ლაზიკის ამ ნაწილში (საუბარია მდ. ჭოროხის მარცხენა ნაპირზე, ხოფასა და მის შემოგარენზე) იმდენად მცირეა მიწათმოქმედებისათვის საჭირო სამეურნეო ფართობები, რომ მას არ შეუძლია გამოკვებოს მოსახლეობის ერთი მეოთხედიც კი, რაც აიძულებს ლაზების დიდ ნაწილს ვაჭრობითა და ზღვაოსნობით ირჩინონ თავი[156].

როგორც ჩანს, სწორედ ეს ვითარებაა ასახული პროკოპის ცნობის იმ ნაწილში, სადაც ფასისის მარცხენა სანაპიროს თხლად დასახლებაზეა საუბარი და არა მთლიანად გაუდაბურება-გაუკაცრიელებაზე.

ერთი სიტყვით, პროკოპის ყოველი ცნობა, რაც გაუგებარი და ურთიერთსაწინააღმდეგოა რიონ-ფასისთან კავშირში, სავსებით ნათელი და ლოგიკურია ფასის-ჭოროხთან მიმართებაში. ჩვენ მხედველობაში გვაქვს პროკოპის შრომის ის ნაწილი, რომელშიც აღწერილია ლაზიკაში ბიზანტია-ირანს შორის ომების პირველი ეტაპი, პეტრას დაპატრონებისათვის რომ წარმოებს ათი (541—551) წლის განმავლობაში, რაც ბოლოს და ბოლოს რომაელთა გამარჯვებითა და პეტრას განადგურებით დამთავრდა. დროის ამ მონაკვეთის ყველა ეპიზოდში ხსენებული ფასისი, ბოას-ფასისი იქნება ეს თუ ბოას-აკამფსისი, ყოველთვის ჭოროხს გულისხმობს.

მეორე ეტაპზე კი, როდესაც ბრძოლები წარმოებს არქეოპოლისთან, ფასისის ციხესთან, მოხირისთან თუ სხვა პუნქტებთან, ნახსენები მდინარე ფასისი, უდავოდ, რიონს შეესატყვისება და აქ სადავო და გაუგებარიც არაფერია.

ერთი სიტყვით, პროკოპის დროსაც, ისევე როგორც უფრო ადრეც, ერთდროულად ფასისის სახელით იხსენიება კოლხეთის ორი მდინარე: ჭოროხი და რიონი, რაც აშკარად ჩანს კიდეც მისი შრომის ერთი

---

155 ს. ჯ ა ნ ა შ ი ა. ფეოდალური რევოლუცია საქართველოში. — შრომები. I. თბ., 1949, გვ. 32; ნ. ლ ო მ ო უ რ ი. დასახ. ნაშრ. გვ. 105.

156 Г. К а з б е к. Три месяца в Турецкой Грузии, 1875, с. 101—102.

ადგილიდან. ცნობა ეხება სპარსეთის ჯარების მსვლელობის მარშრუტს, მერმეროეს ხელმძღვანელობით პეტრას დასახმარებლად რომ მიემართება. ისინი შემოდიან ლაზიკაში (იგულისხმება ძველი გზით იბერიიდან), მაგრამ გზაში იგებენ, რომ პეტრა უკვე აიღეს რომაელებმა (ბესას მთავარსარდლობით) და ციხის კედლები მიწასთან გაასწორეს, „რომ მტერს კვლავ არ გაეჭირვებინა საქმე რომაელებისათვის“[157].

„მან (იგულისხმება მერმეროე — გ. გ.) გაიგო ყველაფერი, რაც მოხდა და სრულიად შეცვალა ეს გზა, რადგან იცოდა, რომ მდინარე ფაზისის იქითა მხარეს ლაზებს, პეტრას გარდა, სხვა არც ერთი დასახლებული ადგილი არ მოეპოვებოდათ[158], ის გაბრუნდა და დაიჭირა იბერიიდან კოლხიდის ქვეყანაში გადასასვლელი ადგილები, სადაც ფაზისის გადასვლა შეიძლება ფონით, გადალახა ეს მდინარე ფეხით, გადალახა აგრეთვე მეორე მდინარეც, სახელად რეონი — არც ეს არის იქ სანაოსნო — და ფაზისის მარჯვენა მხარეს რომ აღმოჩნდა, წაიყვანა ჯარი ერთი ქალაქის, არქეოპოლისის, წინააღმდეგ, რომელიც არის მთავარი და უდიდესი ქალაქი ლაზების ქვეყანაში“[159].

შრომის ეს ადგილი დიდი ხანია მეცნიერთა შორის აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. პროკოპის გამომცემელი ჰაური ფიქრობს, რომ პროკოპიმ შეცდომით ორი წყარო აურია ერთმანეთში და მერმეროე ორ მდინარეზე გაატარაო. აკად. ს. ყაუხჩიშვილი არ იზიარებს ჰაურის შეხდულებას და ამ ცნობის საკუთარ ინტერპრეტაციას გვთავაზობს. მისი აზრით, იბერიიდან გადმოსულმა სპარსელებმა ჯერ მდ. ყვირილა გადალახეს, რომელიც მას ფაზისად მიაჩნია, და შემდეგ მდ. რიონი[160]. როგორც ვხედავთ, პატ. მკვლევარი ეწინააღმდეგება ადრე გამოთქმულ თავისსავე მოსაზრებას ბოას-ფასისთან დაკავშირებით, რომლის მიხედვით ყვირილა ბოასია და არა ფასისი[161].

ჩვენი აზრით, უნიკალურ ჩვენებასთან გვაქვს საქმე, რაც კოლხეთში ორი ფასისის არსებობას დოკუმენტურად ასაბუთებს. პირველი ფასისი აშკარად ჭოროხია, მეორე კი რიონ-ფასისი უნდა იყოს. მართალია, პროკოპი მეორე ფასისს რეონს უწოდებს, მაგრამ იმთავითვე მასში ფასისს გულისხმობს, რაც კარგად ჩანს შოყვანილი ცნობის ერთი

---

157 გეორგიკა. II. გვ. 180.

158 უნდა გავიგოთ „ლაზებს პეტრას გარდა სხვა არც ერთი გამაგრებული ადგილი არ მოეპოვებოდათ“.

159 გეორგიკა. II. გვ. 181—182.

160 იქვე. გვ. 230, შენ. 1.

161 იქვე. გვ. 106—109, შენ. 1.

ადგილიდან, სადაც ნათქვამია: „...გადალახა აგრეთვე მეორე მდინარეც სახელად რეონი — არც ეს არის იქ სანაოსნო — და ფაზისის მარჯვენა ნაპირზე რომ აღმოჩნდა...“ ე. ი. პირდაპირ არის ნათქვამი, რომ ეს მდინარეც ფასისია, ორი ფასისის ერთდროულად მოხსენიებით მოსალოდნელი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, ერთ-ერთს გამოუნახა ასევე ადგილობრივი მეორე სახელი და დროებით იგი უწოდა. სხვა ყველა შემთხვევაში კი პროკოპი რიონს ფასისის სახელით იხსენიებს.

პირველ ეტაპზე, პეტრასთან წარმოებული ომების დროს, პროკოპი ფასისის აუზში, მდინარის მარცხენა ნაპირზე, არც ერთ სხვა პუნქტს არ იხსენიებს. სპარსელები აქ იმდენ სურსათსაც კი ვერ შოულობენ, რომ 30000-იანი ჯარი გამოკვებონ და იძულებულნი ხდებიან 25000 წაიყვანონ დვინში (სომხეთი) და მხოლოდ 5000 დატოვონ ლაზიკაში, რომელიც შემდეგ რომაელებისა და ლაზების გაერთიანებულმა ძალებმა გაანადგურა[162].

მეორე ეტაპზე, ფასისის აუზში, მდინარის მარცხენა ნაპირზე, იქ, სადაც იხსენიება ციხე კუტაიონი, ფასისის ციხე, მოხირისი, სკანდე, შორაპანი, უქიმერიონი და სხვა[163], სპარსელები არათუ აღარ გარბიან ლაზიკიდან სურსათის ნაკლებობის გამო, არამედ მთელი ჯარით იზამთრებენ კუტაიონის ციხეში[164], სადაც მოხირისი ჯარისათვის მატერიალურ, სასურსათო მძლავრ ბაზას წარმოადგენს[165]. პეტრასთან ბრძოლების დროს სპარსელთა ჯარში საბრძოლო სპილოები არ ჩანს, მეორე ეტაპზე კი სპარსელებს ლაზიკაში 8 სპილო შემოჰყავთ[166] და მასზე ამხედრებულები იბრძვიან არქეოპოლისთან თუ ფასისთან.

ყველა მონაცემით აშკარაა, რომ პირველი ეტაპის ლაზიკა სულ სხვა ქვეყანაა, სხვა გზებითა და სხვა ეკონომიკური ბაზისის მქონე, უფრო მწირია და სუსტადაა დასახლებული. მეორე ეტაპის ლაზიკა კი სხვაა — მჭიდროდაა დასახლებული, გააჩნია მძლავრი ეკონომიკური ქვეყანა მრავალი ციხე-ქალაქითა და იბერიასთან დამაკავშირებელი უკეთესი გზებით. ჩვენი ღრმა რწმენით, პირველი მდ. ჭოროხ-ფასისის ქვემო წელის რეგიონია, მეორე კი — მოიცავს რიონ-ფასისის აუზს ქუთაისიდან მოკიდებული შესართავამდე.

---

162 გეორგიკა. II. გვ. 116—117.
163 იქვე. გვ. 188—210.
164 იქვე. გვ. 194—195.
165 იქვე. გვ. 208—210.
166 იქვე. გვ. 182.

მართალია, სიტყვა გაგვიგრძელდა მდ. ფასისის ლოკალიზაციის საკითხებზე, მაგრამ, რამდენადაც პროკოპი კესარიელის, ისევე როგორც აგათია სქოლასტიკოსისა და საერთოდ, ყველა ბერძენი მწერლის ისტორიულ-გეოგრაფიული ხასიათის ჩვენებათა ამოსავალ, ძირითად ორიენტირს ეს მდინარეები წარმოადგენენ, პირველ რიგში, მათი ადგილმდებარეობის დაზუსტების გარეშე, ყოველგვარი ლოკალიზაციის საკითხის დასმა ძირშივე მცდარი იქნებოდა. მით უფრო ეს ითქმის ქალაქ პეტრაზე, რომელსაც პროკოპი კესარიელი ყოველთვის მდ. ფასისთან კავშირში იხსენიებს და მისი ნიშანდობლივი ლოკალიზაცია მხოლოდ და მხოლოდ ფასისთან მიმართებით არის შესაძლებელი. სწორედ ასეთი განზომილების საფუძველზეა მიღებული დღეისათვის საყოველთაოდ გაზიარებული დებულება პეტრა-ციხისძირის იდენტიფიკაციის შესახებ, რაც ჩვენ დამაჯერებლად არ გვეჩვენება, მთელი რიგი მიზეზის გამო. ამ მიზეზთა შორის უმთავრესი მაინც ის არის, რომ ქ. პეტრა შეცდომით დაკავშირებულია მდ. რიონ-ფასისთან, რომელიც ლაზიკაში ირან-ბიზანტიის ომების I ეტაპზე არ ფიგურირებს. როგორც ზემოთ დავინახეთ, ამ ეტაპის ძირითად მდინარედ ჰოროხ-ფასისი ჩანს და პეტრას ლოკალიზაციის საკითხების კვლევისას სწორედ ეს ორიენტირი უნდა იქნეს გამოყენებული.

პროკოპის შრომის განხილული ნაწილიდან უკვე ვიცით, რომ პეტრა ზღვისპირა ქალაქია, რომელიც აუგია იუსტინიანეს სტრატეგოსი ციბეს შეგონებით და იგი სტრატეგიულ და ეკონომიკურ ცენტრად უქცევია[167]. თავდაპირველად ამ ადგილზე უმნიშვნელო, პატარა, ციხეფლისებური ტიპის დასახლებაც უნდა ყოფილიყო, ხოლო იუსტინიანე კეისარს გარეზღუდითა და მინაშენებით გაუმაგრებია და გაუმშვენიერებია[168]. სტრატეგიული თვალსაზრისით, პეტრა ყოველმხრივ მიუვალი ციხე-ქალაქი ჩანს, ზღვის მხრიდან შვეული ქარაფებით დაცული, ხოლო დანარჩენი სამი მხრიდან — ციცაბოდ აღმართული კლდეებით. ეს ტოპოგრაფიული თავისებურება იმდენად ნიშანდობლივი ჩანს, რომ, პროკოპის ცნობით, სწორედ ამ ნიშნის მიხედვით შერქმეულა მას პეტრას სახელი, რაც ბერძნულად კლდეს ნიშნავს[169]. ჩვენი აზრით, პეტრა ანუ კლდეკარი თუ კლდეეთი თავდაპირველად ადგილის სახელი ჩანს, რაც ქალაქის აშენების შემდეგ უნდა ქცეულიყო ქალაქის

---

167 გეორგიკა. II. გვ. 74.
168 იქვე. გვ. 83.
169 იქვე, გვ. 85—86.

საკუთარ სახელად. როგორც 535 წ. დათარიღებული ერთ-ერთი ნოველიდან ვგებულობთ, ოფიციალურად ამ ქალაქს, იუსტინიანეს პატივსაცემად, იუსტინიანე რქმევია[170]. ქალაქ პეტრას ტერიტორია რომ კლდოვანია და მოკლებულია ნიადაგის საფარს, ეს პეტრასთან მომხდარი ირან-ბიზანტიის ბრძოლის ერთ-ერთი ეპიზოდიდანაც ჩანს, რომელიც ეხება მერმეროეს მთავარსარდლობით სპარსელების ახალი ძალების მოსვლას პეტრაში ალყაშემორტყმული ნაწილების დასახმარებლად. როდესაც მერმეროე ციხეში შევიდა, მხოლოდ 150 კაცი დახვდა უვნებლად გადარჩენილი, „დანარჩენი ყველანი დახოცილიყვნენ. ამათი გვამები გადარჩენილებს კლდის იქით კი არ გადაეყარათ, არამედ, თუმცა მათ აღრჩობდა მყრალი სუნი, მაგრამ იტანდნენ ამას ყოველგვარი მოლოდინის გარეშე, რადგან მეტი წილი სპარსელებისა დაღუპული იყო, მტერს ამის დანახვაზე არ შემატებოდა გარემოცვის სიმხნევე“[171].

როგორც ვხედავთ, პეტრაში მყოფი სპარსელები მიცვალებულთა დამარხვასაც ვერ ახერხებენ და იძულებულნი არიან ლეშის ლპობით მოწამლული ჰაერი ისუნთქონ, რაც ქალაქში ნიადაგმოკლებული, კლდოვანი საფუძვლის არსებობაზე მეტყველებს. ადგილის ასეთი ფიზიკური ნიშან-თვისება საგულისხმო და გასათვალისწინებელია ლოკალიზებული ქალაქის ადგილმდებარეობის დაკონკრეტებისათვის. პროკოპი კესარიელის შრომაში, ამა თუ იმ გეოგრაფიული პუნქტის ადგილმდებარეობის ჩვენებისას, ხშირად ვხვდებით მითითებას — მდინარიდან მარჯვნივ, მდინარიდან მარცხნივ, მდინარიდან სამხრეთით, მდინარიდან ჩრდილოეთით, მდინარიდან ერთი ან რამდენიმე დღის სავალზე და ა. შ. ამდენად, თუკი დანამდვილებით ვიცით ამოსავალი მდინარის მდებარეობა ნაჩვენები მიმართულებისა და მანძილების გათვალისწინებით, საჭირო პუნქტის მიკვლევა დიდ სიძნელეს აღარ წარმოადგენს. არაერთი ასეთი ჩვენება მოიპოვება ნაშრომში პეტრასთან დაკავშირებით, რომლის ძირითად ამოსავალს ანუ მთავარ ორიენტირს მდ. ფასისი წარმოადგენს.

რამდენადაც ქ. პეტრა პროკოპის ისტორიაში, უმთავრესად, ბიზანტია-ირანის ბრძოლების პირველი ეტაპის ამბებთან დაკავშირებით იხსენიება, მისი ამოსავალი მდ. ფასისი, როგორც ზემოთ დავინახეთ, ყოველთვის თანამედროვე ჭოროხს უდრის. „მდინარიდან მარცხნივ

---

170 გეორგიკა. II. გვ. 34—35.

171 იქვე. გვ. 111.

(საუბარია ბოას-ფასისზე — გ. გ.) ისეთ მანძილზე, რომელსაც ერთ დღეში გაივლის მსუბუქად დატვირთული კაცი, ლაზიკის საზღვრებია, ხოლო ეს მხარე მოსახლეობას მოკლებული ჩანს. ამ მხარის მეზობლად რომაელები ცხოვრობენ, რომელთაც პონტოელები ეწოდებათ. ლაზიკის მიწა-წყალზე, იმ ადგილას, სადაც ადამიანებს არასოდეს არ უცხოვრიათ, იუსტინიანე მეფემ ჩემს დროს ქალაქი პეტრა ააშენა"[172].

აი ასეთია პროკოპის შრომის კიდევ ერთი საინტერესო ადგილი, საიდანაც პირველად ვგებულობთ, რომ პეტრა სასაზღვრო ქალაქია და აუშენებიათ ისეთ ადგილზე, სადაც ადამიანს წინათ არასოდეს უცხოვრია. ეს უკანასკნელი წინადადება ისე კი არ უნდა გავიგოთ, თითქოს პეტრა სრულიად უკაცრიელ, უდაბურ რეგიონში აეშენებინოთ, როგორც ეს ზოგ შემთხვევაში ესმით ხოლმე, არამედ მასში უნდა დავინახოთ ქალაქის მშენებლობის კონკრეტული ტერიტორიის მითითება. შესაძლოა, ასეთი ადგილი დასახლებული ტერიტორიის მახლობლად ან შუაგულშიც კი მდებარეობდეს, მაგრამ კონკრეტულად ის ადგილი აუთვისებელი იყოს. ასეთად გვეჩვენება ტყე, ბორცვი, მთის თხემი, კლდოვანი ფერდი და ა. შ., რომელიც, სამეურნეო თვალსაზრისით უვარგისობის გამო, ადრე შეიძლება არ ყოფილიყო გამოყენებული. ნუ დაგვავიწყდება, რომ პეტრა მკაცრ, კლდოვან რელიეფზე დაფუძნებული ქალაქია და მისი აგება სტრატეგიული მიზნებით არის განპირობებული: მიუვალია, გზის ჩამკეტია, საზღვრის მოდარაჯეა და ა. შ. მართალია, ცნობაში ლაზიკის სასაზღვრო ხაზი ზუსტად არ არის მითითებული, მაგრამ ცნობილია, რომ მდ. ფასისის მარცხნივ ერთი დღის სავალ მანძილზე მდებარეობს.

პროკოპი კესარიელს არაერთხელ აქვს ნაჩვენები და სხვა ბერძენი ავტორების მითითებიდანაც ვიცით, რომ ერთი დღის სავალი მანძილი დაახლოებით 30 კმ უდრის. ე. ი. ლაზიკის სასაზღვრო ხაზი და ამდენად, ქალაქი პეტრაც, მდ. ფასისიდან ანუ ჭოროხიდან სამხრეთით 30 კმ-ზეა საძიებელი, დაახლოებით იმ ადგილას, სადაც ამჟამად ისტორიულად ცნობილი დაბა და ნავსადგური ხოფა-ხუფათი მდებარეობს. ამ ადგილის მახლობლად რომაელები მოსახლეობენ, რომლებსაც პონტოელები ეწოდებათო, აზუსტებს პროკოპი. თუ ვინ არიან ეს რომაელები, პონტოელებად რომ იწოდებიან, ან სად მოსახლეობენ, ამას ვგებულობთ პროკოპის ცნობის მომდევნო ნაწილიდან.

---

172 გეორგიკა. II. გვ. 101.

„ქალაქ პეტრადან პირდაპირ რომ მიდიხარ სამხრეთისაკენ, გვხვდება რომაელთა საზღვრები, აქ კი ადგილები მჭიდროდ არის დასახლებული: რიზედ წოდებული და ათინა და ზოგი სხვა, ვიდრე ტრაპეზუნამდე“[173].

ე. ი. ირკვევა, რომ პროკოპის მიერ ცოტა ზემოთ ნახსენები რომაელები ანუ პონტოელები ეს ის ხალხია, რომლებიც ტრაპეზუნტის, რიზესა და ათენას სანახებში მოსახლეობენ, პეტრადან სამხრეთით დაახლოებით დღე, დღენახევრის სავალზე ანუ 40—45 კმ დაშორებით.

ხოფის სექტორში, იქ, სადაც პეტრას არსებობა ივარაუდება, რომაელების მეზობლობა სავსებით ლოგიკურად გამოიყურება, რაც, პეტრა-ციხისძირის იდენტიფიკაციის შემთხვევაში, რამდენადმე უჩვეულო ჩანს, მათ შორის მანძილი სულ ცოტა 100—120 კმ-ით მაინც განიზომება.

თავისი შრომის სხვა ადგილას პროკოპი კიდევ უფრო ვრცლად ჩერდება პონტოელთა გავრცელების არეალზე, რაც რამდენადმე გვიადვილებს ლაზიკის სასაზღვრო ხაზის დაზუსტებას სამხრეთით და ამდენად, პეტრას ლოკალიზაციის საკითხის დადგენაში გვეხმარება.

„ამათ შემდეგ ცხოვრობენ ეგრეთწოდებული პონტოელები ვიდრე ტრაპეზუნტის ქალაქამდე და მის საზღვრებამდე.. ტრაპეზუნტელთა საზღვრები ვრცელდება დაბა სუსარმენემდე და ეგრეთწოდებულ რიზემდე, რომელიც ლაზიკაში ზღვით მიმავლისათვის ორი დღის სავალი გზით არის დაშორებული ტრაპეზუნტს... რიზეს მოსდევს მიწა-წყალი ერთი ხალხისა, რომლებიც რომაელებსა და ლაზებს შორის მოსახლეობენ. იქ მდებარეობს ერთი სოფელი, სახელად ათინა... ათინას შემდეგ მდებარეობს არქაბე და აფსარუც, რომელიც კაი სამი დღის სავალი გზით არის რიზეს მოშორებული. ის ძველად აფსურტად იწოდებოდა“[174]. შემდეგ პროკოპი, ლიტერატურული ცნობების მიხედვით, იძლევა აფსარუნტის ეტიმოლოგიას, აღწერს მას როგორც დიდსა და ხალხმრავალ ქალაქს, რომლისგანაც მის დროს მხოლოდ ნაშენობათა საძირკვლები ყოფილა დარჩენილი, რაზეც ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი.

ამ ცნობაში მთავარი ის არის, რომ პროკოპიმ ახსენა ერთი ხალხი, რომელიც თურმე რომაელებსა და ლაზებს შორის მოსახლეობს და აქვთ სოფელი ათინა. თუ ვინ არიან ისინი, პროკოპი ამის შესახებ არა-

---

[173] გეორგიკა. II. გვ. 102.

[174] გეორგიკა. II. გვ. 121—123.

ფერს ამბობს. როგორც ჩანს, ეს ხალხი იმდენად მცირერიცხოვანი ანდა ისეთი ნარევია, რომ პროკოპის მათი რომელიმე ეთნიკური ნიშნით გამოყოფა და ასე სახელდება საჭიროდ არ მიაჩნია. რამდენადაც ცნობილია, ამ ადგილებში სხვადასხვა დროს მოსახლეობენ სანები — სანიგები[175], მაკრონები ანუ იგივე ჭანები[176], ძიდრიტები[177], ანუ ბიძერები[178], ლაზები, რომაელები და სხვ. შესაძლოა, მოცემულ მომენტში სწორედ ამ ხალხების სიმბიოზთან გვქონდეს საქმე.

პროკოპისავე ცნობით, პოლიტიკურად ეს ხალხი თვითთავადნი არიან. „იქაური მცხოვრებლები არც რომაელთა და არც ლაზთა მეფის ქვეშევრდომები არიან, გარდა იმისა, რომ, რადგან ისინი ქრისტიანები არიან, ლაზთა ეპისკოპოსები უწესებენ მათ მღვდელმსახურებას. ისინი ისწრაფვიან ორივესთან მშვიდობიან და მეგობრულ ურთიერთობაში იყვნენ და ყოველთვის თანხმდებიან ხოლმე მიაცილონ ერთი მხრიდან მეორესთან მიმავალი მოციქულები. ასე იქცევიან ისინი ჩვენს დრომდე: ისინი თავისი მსუბუქი ხომალდებით მიაცილებენ ხოლმე ერთი მეფის გზირებს, რომელნიც მეორე მეფესთან მიდიან. დღემდე ისინი არავითარ გადასახადს არ იხდიან. ამ ადგილების მარჯვნივ აღმართულია მეტად ციცაბო მთები და გადაჭიმულია უმეტესად უდაბური ადგილები. ამის გადაღმა ცხოვრობენ ეგრეთწოდებული პერსარმენიელები და არმენიელები, რომლებიც რომაელების ქვეშევრდომები არიან და რომელთა მიწა-წყალი იბერიის საზღვრამდე ვრცელდება“[179].

ამრიგად, პროკოპი ზუსტ ცნობებს გვაწვდის ტრაპეზუნტელთა საზღვრებზე, რიზე-სუსარმენემდე რომ აღწევდა, რომლის იქით რომაელებსა და ლაზებს შორის აღნიშნავს პოლიტიკურად დამოუკიდებელ „ერთ ხალხს“, რომლებსაც, როგორც ქრისტიანებს, მღვდელთმსახურებას უნიშნავენ ლაზთა ეპისკოპოსები. აკად. ნ. ბერძენიშვილის აზრით, ეს უკანასკნელი მომენტი იმაზე უნდა მიგვითითებდეს, რომ ე. წ. „ერთი

---

175 ევსევი კესარიელი (260—340 წწ.). — გეორგიკა. I. ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცეს და განმარტება დაურთეს ალ. გამყრელიძემ და სიმონ ყაუხჩიშვილმა. თბ., 1961, გვ. 32.

176 სტრაბონი. XII. 3, 18; დ. მუსხელიშვილი. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის საკითხები. I. 1977, გვ. 92.

177 ფლავიუს არიანე. მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო. 1961, გვ. 42, 90.

178 იქვე. გვ. 85.

179 გეორგიკა. II. გვ. 125.

ხალხი“ ლაზებთან უფრო ახლო უნდა იდგნენ (ალბათ, ეთნიკურად), ვიდრე რომაელებთან[180].

ამ ხალხის ტერიტორიაზე პროკოპი ასახელებს სოფ. ათინას, რომლის შემდეგ მდებარეობს არქაბე და ქალაქ აფსარუს ნაშთები. ათინასთან ერთად არქაბესა და აფსარუს მოხსენიების ფაქტი ადრე გარკვეულ საცდურს ჰქმნიდა, რის საფუძველზეც ეს ორი პუნქტი ამ ხალხის კუთვნილებად იყო გამოცხადებული და, შესაბამისად, მათი ჩრდილოეთი საზღვარი მდ. აფსაროსამდე, კიდევ მეტი, პეტრა-ციხისძირამდე იყო მიტანილი[181]. ჩვენი აზრით, მოყვანილი ცნობის განხილული ადგილი ასეთი დაშვების შესაძლებლობას არ იძლევა. აქ, უბრალოდ, პროკოპიმ, ახსენა რა ათინა, იქვე შეეხო მეზობლად მდებარე არქაბესა და აფსარუნტს და ერთი ხელის მოსმით მოითავა ზღვისპირეთში არსებული, მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი პუნქტების ჩამოთვლა, რის შემდეგ უკვე გადადის თვით ლაზიკის, მისი შიდა ქვეყნების — სკვიმიასა და სვანიას, მისი მეზობლების — მესხებისა და ლაზების ქვეშევრდომი აფსილების ქვეყნების აღწერასა და მათი ხალხების პოლიტიკურ-სოციალური მდგომარეობის, სამეურნეო საქმიანობისა და რელიგიური კუთვნილების დახასიათებაზე. ამასთანავე, აფსაროსს, როგორც ლიტერატურაში ფართოდ ცნობილ პუნქტს, კიდევ ერთხელ იყენებს ლაზიკის სამხრეთი სასაზღვრო ხაზის დასაზუსტებლად[182].

„ქალაქ აფსარუნტიდან ქალაქ პეტრამდე და ლაზთა საზღვრებამდე, სადაც ევქსინოს პონტო თავდება, ერთი დღის სავალი გზა არის. პონტო რომ თავდება, ქმნის ნახევარმთვარის მსგავს ნაპირს“[183].

იმასთან დაკავშირებით, რომ მოყვანილ ცნობაში აფსარუნტიდან ლაზიკის საზღვრებისა და პეტრას მიმართება არ არის ნაჩვენები და პროკოპი კესარიელსაც პონტოსა და ლაზიკის აღწერისას ორიენტაცია სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ აქვს აღებული, ჩვენი წინამორბედი მკვლევრების ყურადღება აფსაროსის ჩრდილოეთ მხარეზე გამახვილდა. ამას დაემატა კოლხეთის ორი ფასისისადმი არადიფერენცირებული

---

180 ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. 1975, გვ. 484;

181 ნ. ბერძენიშვილი. დასახ. ნაშრომი. გვ. 484; Г. А. Меликишвили. К истории древней Грузии, 1959, с. 65; საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტომი II. 1973, გვ. 252; დ. მუსხელიშვილი. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები. I. 1977, გვ. 107.

182 გეორგიკა. II. გვ. 126—127.

183 იქვე. გვ. 126.

მიდგომა და ყოველივე ამან, ბოლოს და ბოლოს, პეტრას ციხისძირთან იდენტიფიკაციამდე მიგვიყვანა. როგორც ზემოთ დავინახეთ და ქვევითაც არაერთგზის შევეხებით, პეტრას ამგვარ ლოკალიზაციას მრავალი წინააღმდეგობა გააჩნია თავისთავად, და მან პროკოპის შრომის ბევრი საინტერესო ადგილი გაუგებარი გახადა.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ პროკოპის ისტორია პერიპლუსის სტილის ნაშრომი არ არის. მართალია, ავტორი ძირითადად იცავს თანმიმდევრული აღწერის პრინციპს, მაგრამ მასში ხშირად ვხვდებით აქედან გადახვევების შემთხვევებსაც.

სამაგალითოდ შეიძლება დავასახელოთ უკვე განხილული ცნობა, პონტოსა და ლაზიკის აღწერას რომ ისახავს მიზნად. პროკოპი იწყებს პონტოდან, ახსენებს „ერთ ხალხს", შემდეგ აღწერს ზღვისპირა ლაზიკას, გადადის სკვიმიაზე და სვანიაზე, აქედან კვლავ ბრუნდება ზღვისპირა ლაზიკაში, იბერიის გასწვრივ მცხოვრები მესხების აღწერის მიზნით, შემდეგ ეხება იბერიას, აქედან კვლავ პეტრასა და ზღვისპირა ლაზიკას ახსენებს, რომლის პირისპირ ლაზების ქვეშევრდომი აფსილები ეგულება. ასეთი წიაღსვლები, გადახვევები, თუ უკუსვლები ხშირია პროკოპის ნაშრომში და ყველა კონკრეტულ შემთხვევაში უნდა იქნეს გათვალისწინებული.

ჩვენი აზრით, ცნობაში, სადაც პეტრა და ლაზიკის საზღვრები აფსარუნტიდან ერთი დღის სავალ მანძილზეა ნაჩვენები, უფრო ზემოთ მოყვანილი ცნობის განმეორება უნდა დავინახოთ, ოღონდ პირველ შემთხვევაში თუ მდ. ფასისი იყო ამოსავალი, საყრდენი ორიენტირი, მეორე შემთხვევაში, ამ მიზნით უკვე მკითხველი საზოგადოებისათვის ისტორიიდან კარგად ცნობილი ქალაქი აფსარუნტია გამოყენებული. ქ. აფსარუნტიდან ანუ თანამედროვე გონიოდან სამხრეთით ისევ და ისევ ხოფას სანახები მდებარეობს და ამდენად, ქალაქი პეტრაც და ლაზიკა — „ერთი ხალხის" საზღვარიც — ამ სექტორშია საძიებელი, ალბათ, ხოფა-არქაბეს შუა"[184].

პეტრა და ლაზიკის საზღვრები რომ ხოფას ფარგლებშია საძიებელი და არა აფსარის ჩრდილოეთით, ამას კარგად მოწმობს მოყვანილი ცნობის კიდევ ერთი ადგილი, სადაც ნათქვამია, რომ აფსარუნტიდან ლაზთა საზღვრები სწორედ იმ ადგილზეა, სადაც ევქსინის პონტო თავდება და ნახევარმთვარის მსგავს ნაპირს ქმნის. თუ სად მთავრდება პონტო და ნახევარმთვარისებურ სანაპიროს რა ნაწილში მდებარეობს პეტრა,

---

[184] გეორგიკა. II. გვ. 126—127.

ამას კიდევ უფრო აზუსტებს პროკოპის შრომის სხვა ადგილი. „მაშასადამე, ფაზისი იქ მომდინარე, როგორც ეს ჩემს მიერ მოთხრობილია, ერთვის ევქსინის პონტოს, იქ, სადაც ეს უკანასკნელი თავდება. ნახევარმთვარის იმ ერთ დასაწყისში, რომელიც აზიისა არის, მდებარეობს ქალაქი პეტრა, ხოლო მის პირისპირ, მეორე ნაპირას, ევროპის ნაწილში აფსილების ქვეყანაა“[185].

ამ ცნობის ღირებულება მრავალმხრივია. პირველ რიგში, ვგებულობთ, თუ სად გულისხმობს პროკოპი ევქსინის პონტოს დასასრულს, ან ნახევარმთვარის დასაწყის წერტილს, სადაც ერთვის ფასისი და სადაც მდებარეობს პეტრა. ამ შემთხვევაში ორიენტირად პროკოპი იყენებს აფსილების ქვეყანას, რომელიც ნახევარმთვარისებური სანაპიროს მეორე ბოლოში მდებარეობს.

შატერიალური კულტურის ძეგლებისა და წერილობითი წყაროების გამოწვლილვითი შესწავლის საფუძველზე პროფ. დ. მესხელიშვილის მიერ ნავსებით ნათლად არის გარკვეული, რომ VI—VII სს. აფშილეთის ეთნოგრაფიული ტერიტორია მდებარეობს მდ. ღალიძგასა და გუმისთას აუზს შუა[186], რომელიც მოიცავს თანამედროვე გულრიფშისა და სოხუმის რაიონებს. თუ ზუსტად გავავლებთ ხაზს, თვალნათლივ დავინახავთ, რომ აფშილების სამოსახლოს პირისპირ, ე. წ. ნახევარმთვარის მეორე ბოლოში მდებარეობს ხოფა-აფსარის რაიონი. ყოველ შემთხვევაში, რამდენიც არ უნდა ვეცადოთ, აფშილეთის პირისპირ ვერავითარ შემთხვევაში ვერ მოვათავსებთ ციხისძირს, რომელიც ნახევარმთვარის სიღრმეში მდებარეობს, აქ არც სხვა რაიმე თვალსაჩინო გეოგრაფიული ნიშანია, რომლის მიხედვით პონტოსათვის მიჯნის დადება შეიძლებოდეს.

პონტოს დასასრულში რომ ნამდვილად ჭოროხის აუზი იგულისხმება, ამას პირდაპირ ადასტურებს აგრეთვე ფლავიუს არიანეს პერიპლუსის ერთი ადგილი, რომელიც, სწორედ, ამ რეგიონს შეეხება. „აფსაროსამდე ჩვენ მივცურავდით აღმოსავლეთისაკენ, ევქსინის მარჯვნივ, ხოლო აფსაროსი მე მეჩვენა პონტოს სიგრძის უკიდურეს საზღვრად. აქედან უკვე ჩრდილოეთისაკენ მივცურავდით მდინარე ქობოსამდე“[187]. ზუსტად იგივეს იმეორებს V ს. მისივე ანონიმიც: „აფსა-

---

185 გეორგიკა. II. გვ. 128.

186 დ. მ ე ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები. თბ., 1977, გვ. 117—118.

187 ფ ლ ა ვ ი უ ს ა რ ი ა ნ ე. მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო. გვ. 43.

როსამდე აღმოსავლეთით მივცურავდით ევქსინის მარჯვენა მხარეს. აფსაროსი მე მეჩვენა პონტოს სიგრძის საზღვრად, რადგან უკვე აქედან ჩვენი მოგზაურობა ჩრდილოეთით წარიმართა"[188]. როგორც ჩანს, შეხედულება ჭოროხის რეგიონზე, როგორც პონტოს საზღვარზე, პროკოპიზე დიდი ხნით ადრე ჩამოყალიბდა. ეს კარგად იცოდა კესარიელმა და მდ. ფასისის, ლაზიკის საზღვრისა და პეტრას ადგილმდებარეობის მისათითებლად გამოიყენა. ძალზე საგულისხმოა, რომ პროკოპი ზუსტად ჭოროხის ანუ აფსაროსის აუზში უთითებს ფასისის შესართავს, რაც პირველი ეტაპის ფასისისა და ჭოროხის იდენტიფიკაციის ჩვენი თეორიის სასარგებლოდ მეტყველებს. ამავე ცნობის მიხედვით, აქვეა ლაზიკის საზღვარი და ქალაქი პეტრაც, მაგრამ უშუალოდ მდინარესთან კი არა, არამედ ქ. აფსარუნტის ნანგრევებიდან და მდინარე ფასისიდან სამხრეთით ერთი დღის სავალზე, დაახლოებით 30 კმ მანძილზე, იქ, სადაც ამჟამად პატარა ქალაქი ხოფა მდებარეობს.

როგორც არიანესა და ანონიმის მიხედვით ირკვევა, პონტოს დასასრულის აფსართან მინიშნების ტრადიციას საფუძვლად უნდა დასდებოდა ზღვის სანაპირო ხაზის მიმართულების ცვლილება ამ ნაწილში, აღმოსავლეთიდან ჩრდლოეთისაკენ. ამის გარდა, აგბათ, ისიც იყო გათვალისწინებული, რომ, სწორედ, ეს რეგიონი, ჭოროხის მარცხენა ნაპირიდან მოკიდებული არქაბე-ათინამდე მაინც, იმდენად მჭიდროდ არის დასერილი ლაზისტანის ქედიდან ზღვისაკენ პერპენდიკულარულად დაშვებული ტოტებით, რომ დაახლოებით 10—20 კმ სიგანის ზღვისპირა ზოლი თითქმის გაუვალი ხდება. განსაკუთრებით ეს ითქმის ხოფა-არქაბეს შუა სივრცეზე, სადაც მაღალი ქედები შიშველი კლდეების სახით პირდაპირ ზღვაში ეშვებიან და 10—15 კმ სიგრძეზე ზღვისპირეთი ფეხით მოსიარულეთათვისაც კი გაუვალია. ერთი სიტყვით, პონტოს ამ ნაწილში ლაზიკის მთათა სისტემით წარმოქმნილია რელიეფურად გამოხატული ვრცელი ბუნებრივი საზღვარი, რომელიც ერთ გეოგრაფიულ რეგიონს გამოყოფს მეორისაგან. შესაძლოა, ეს ფიზიკური ნიშან-თვისებაც ჰქონდათ მხედველობაში ბერძენ ავტორებს (ესქილეს, ჰეროდოტეს, არისტოტელეს, ესქილეს ძველ სქოლიასტს, იუნიანეს, იუსტინეს, აგათიმეროსს, არიანეს, პერიპლუსის ანონიმს, პროკოპი კესარიელს და სხვ.), როდესაც ისინი აზიისა და ევროპის გამყოფად მდ. ფასისს ასახელებენ. ყოველ შემთხვევაში, მათ მიერ

---

188 იქვე. გვ. 90.

პონტოს აქ დამთავრება, თუნდაც ამ ნიშნის მიხედვით, ლოგიკური ჩანს.

ამ ბუნებრივი ზღუდის ერთ თავში ათინა და რიზე მდებარეობს, მეორე ნაწილის ჩამკეტი კი თანამედროვე პატარა სავაჭრო ქალაქი და ნავსადგური ხოფაა, რომელიც ერთპიროვნულად ბატონობს ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ მიმავალ როგორც სახმელეთო, ისე საზღვაო გზაზე. გარდა ამისა, ხოფა უმოკლესი გზით უკავშირდება ჭოროხის ხეობას სოფ. ფორჩხასთან. ჭოროხის ზემო წელისაკენ მიმავალი გზა ართვინთან იყოფა ორად, ერთი ჭოროხის გაყოლებით მიემართება ყარსი, არდაგანი და სომხეთისაკენ, ხოლო მეორე იმერხევით, ყვირილას ხეობით და არსიანის უღელტეხილით გადადის ფოცხოვის ხეობაში, საიდანაც ახალციხე, ახალქალაქი, წალკა-მანგლისის გზით ჩადის თბილისში.

საფიქრებელია, რომ, სწორედ, ამ გზით წაიყვანეს ლაზებმა მეფე ხოსრო-ანუშირვანი პეტრას წინააღმდეგ.

როგორც პროკოპის ცნობიდან ვგებულობთ, სპარსელებმა გადალახეს ბოასი (ჩვენი გაგებით, ჭოროხის ზემო წელი) „...და ისე მივიდნენ პეტრაში, რომ ფასისი მარჯვნივ ჰქონდათ. თითქოს იმიტომ, რომ მათ (ლაზებმა — გ. გ.) წინასწარ განჭვრიტეს, რათა მდინარე ფაზისის გადასასვლელად არც დრო და არც შრომა დასჭირდებოდათ მეტი, ხოლო ნამდვილად იმიტომ, რომ არ სურდათ სპარსელებისათვის ეჩვენებინათ თავიანთი საბინადროები“[189].

როგორც ჩანს, იბერიიდან ლაზიკის ამ ნაწილში სხვა გზაც შემოდიოდა (ალბათ, ქვაბლიანის ხევით გოდერძის უღელტეხილზე და აქედან აჭარისწყლის ხეობაში), მაგრამ ლაზებს შეგნებულად აუვლიათ მისთვის გვერდი და ირანელები მდინარე ფასისის ზემო წელისკენ ანუ ბოასისაკენ წაუყვანიათ. როგორც უკვე ითქვა, ჭოროხს ასე უნდა რქმეოდა ართვინიდან სათავეებამდე. ჩვენი ვარაუდით, სპარსელებს ჭოროხი უნდა გადაელახათ ართვინის ზემოთ, 10—15 კმ მოშორებით, იქ, სადაც იმერხევისა და ჭოროხის შესართავია. შემდეგ ფასისის მარცხენა ნაპირით ქვემოთ ეშვებიან ფორჩხამდე და აქედან, უმოკლესი გზით (40—45 კმ.), ჩათის უღელტეხილის გადავლითა და მ. ხოფას ხეობით, მიდიან პეტრაში.

ჩანს, რომ იგივე გზა გაიარეს ლაზიკაში მეორედ შემოსულმა სპარსელებმა, ამჟამად უკვე მერმეროეს მთავარსარდლობით რომ მი-

---

189 გეორგიკა. II. გვ. 102.

ემართებოდნენ რომაელების მიერ ალყაშემორტყმული პეტრას დასახმარებლად. პროკოპის ცნობით, „იმან (მერმეროემ — გ. გ.) არ მოინდომა ლაზიკის სოფლებზე გაეარა სადმე, რათა მას რაიმე დაბრკოლება არ შეხვედროდა“[190], და ისე იარა პეტრამდე, რომ „ფასისი მარჯვნივ ჰქონდა“.

ამრიგად, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ჭოროხის სახით გაგვაჩნია ის მყარი, საიმედო ნიშანსვეტი, რომელიც საძიებო ქალაქ პეტრას არსებობას ხოფას სანახებში მიგვითითებს.

ხოფადან ჭოროხისაკენ და აქედან აღმოსავლეთით იბერიისაკენ, სამხრეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით არმენიისა და პერსარმენიისაკენ მიმავალი გზა რომ არ არის ახალი და ძველთაგანვე არსებობდა, ამის შესახებ არაერთ ცნობას ვხვდებით ქართლის ცხოვრებაში. მაგრამ განსაკუთრებით საყურადღებოა ერთი მათგანი, სადაც მოთხრობილია 1116 წ. დავით აღმაშენებლის მიერ ბასიანში თურქთა დიდი ჯარის განადგურების შესახებ: „ტაოს ჩამოდგეს დიდნი თურქნი ხარგებითა, რამეთუ ზამთრისა სიფიცხესა და მთათა სიმაგრესა მიენდვნეს. ხოლო მეფემან მოიხელოვნა ესრეთ, რამეთუ სპათა ქართლისათა მზაობა უბრძანა, და თუით ქუთათისს წამოვიდა, რომლითა უეჭველ ყუნა იგინი. და თუესა თებერვალსა აცნობა ქართველთა და მესხთა, რათა კლარჯეთს დახუდენ პაემანსა, და თუით შუიდითა სპითა ხუფთითა ჭოროხის პირი წავლო. და შეკრბეს ერთად და უგრძნაულად დაესხა მათ ზედა, უშიშად გულ-დებითა მსხდომარეთა ბასიანამდე და მთად კარმიფორისად“[191].

უდავოდ ნიშანდობლივი მითითებაა ხუფათის გზაზე, რომლითაც მეფე დავით აღმაშენებელი გადადის ჭოროხის ხეობაში და კლარჯეთში ხვდება ქართლიდან და მესხეთიდან მოსულ ლაშქარს. როგორც ჩანს, გზა ხუფათიდან და იბერიიდან ჭოროხისაკენ იმდენად ყოფილა გაკვალული, რომ ზამთრის პერიოდშიც კი არ ფერხდებოდა მასზე ხალხთა დიდი მასების მოძრაობა. ასეთია იგი განვითარებულ შუა საუკუნეებში და ასეთივე უნდა ყოფილიყო უფრო ადრეც, პროკოპის დროსაც. ამ გზის ერთ ბოლოში მდებარეობს ხოფა, სადაც ჩვენ პეტრას არსებობას ვვარაუდობთ (იხ. რუკა).

---

190 გეორგიკა. II. გვ. 106—107.

191 ქართლის ცხოვრება. ანა დედოფლისეული ნუსხა. ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, თბ., 1942, გვ. 211—212; 215.

ხოფა თავისი ხელსაყრელი მდებარეობის გამო საკვანძო პუნქტია, სადაც თავს იყრიან ჩრდილოეთიდან (ეგრისი), აღმოსავლეთიდან (იბერია), სამხრეთ-დასავლეთიდან (არმენია, პერსარმენია) და სამხრეთიდან (რომის პროვინციები) მომავალი სახმელეთო გზები. გარდა ამისა, ხოფას, როგორც სანაპირო ქალაქს, გააჩნია კარგი ნავსადგური და დღესაც თანამედროვე თურქეთის უკიდურესი ჩრდილო ზოლის საზღვაო ჭიშკარია. ასეთი ხელსაყრელი სტრატეგიული მდებარეობით უნდა იყოს შეპირობებული ის ფაქტი, რომ ქართული წერილობითი წყაროების მიხედვით ხოფა აქტიურად მონაწილეობს შუასაუკუნეების საქართველოს პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ ცხოვრებაში, როგორც მნიშვნელოვანი საზღვრისპირა ქალაქური დასახლება[192]. ვახუშტი ბატონიშვილი აქ ქალაქს გულისხმობს და მას ხოფჯას უწოდებს: „გონიის დასავლეთით მიერთვის ზღვას მდინარე... ამ მდინარის იქით არის ხოფჯა, ქალაქი მცირე, ზღვის კიდესა ზედა. აქ მოერთვის მდინარე ხობჯისა“[193]. ერთი სიტყვით, ხოფა სახმელეთო და საზღვაო გზათა შესაყართან მდებარეობს და მას გააჩნია როგორც სავაჭრო-სატრანზიტო, ისე სამხედრო-სტრატეგიული ღირსებები, ე. ი. ყოველივე ის უმთავრესი, რაც აპრიორულად უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული პეტრას მაშენებელი ციბე-იუსტინიანეს მიერ.

როგორც ცნობილია, მკვლევართა უმრავლესობა, პეტრას ლოკალიზაციის საკითხებზე მსჯელობისას, ერთხმად აყენებს მასთან ნავსადგურის არსებობის აუცილებლობას. მათი აზრით, პეტრა „...ესეთი პუნქტი უნდა ყოფილიყო, რომელიც ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა ვაჭრობისათვის და სავაჭრო მიმოსვლისათვის და აგრეთვე, სამხედრო საქმიანობისათვის, ე. ი. კარგი საზღვაო ნავსადგურის პირობებს აკმაყოფილებს“[194].

სანავსადგურო მონაცემების არარსებობის გამო აკად. ს. ყაუხჩიშვილმა ზურგი შეაქცია საყოველთაოდ მიღებულ და გაზიარებულ ტრადიციას პეტრა-ციხისძირის იგივეობის შესახებ და ამ ფაქტორის ძიებამ იგი ბათუმში მიიყვანა, მიუხედავად იმისა, რომ ბათუმი სხვა მხრივ ვერ აკმაყოფილებს ქ. პეტრასადმი წაყენებულ მოთხოვნებს.

---

192 ს. ჯანაშია. შრომები. VI. შავიზღვისპირეთის საისტორიო გეოგრაფია. თბ., 1988, გვ. 251—252.

193 ქართლის ცხოვრება. ტ. IV. — ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ., 1973, გვ. 689.

194 გეორგიკა. II. გვ. 34.

პეტრასთან ნავსადგურის აუცილებლობაზე მიუთითებს პროფ. ნ. ლომოურიც, რომელიც ასეთად ჩაქვის დაბლობს მიიჩნევს[195].

პროფ. ი. სიხარულიძე თავდაპირველად იზიარებდა ნ. ლომოურის ვარაუდს, მაგრამ შემდეგ რამდენადმე განსხვავებული მოსაზრება წამოაყენა. მისი აზრით, ქ. პეტრას ეჭირა ბობოყვათის მიდამოები, რომლის ნავსადგური უნდა ყოფილიყო მდინარეების — დაგვასა და კინტრიშის — შესართავები[196].

ციხისძირის ნავსადგურის ძიებას, ისევე როგორც საერთოდ ციხისძირ-პეტრას იდენტიფიკაციის საკითხების კვლევას და არქეოლოგიურ შესწავლას, დიდი ღვაწლი დასდო ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ყოფილმა დირექტორმა აწ განსვენებულმა ა. ინაიშვილმა. მან სპეციალური წერილიც გამოაქვეყნა „ციხე-ქალაქ პეტრას ნავსადგურის საკითხისადმი“ მიძღვნილი, რომელშიც, საკმაოდ ვრცელი მსჯელობის შემდეგ, იზიარებს ი. სიხარულიძის ვარაუდს[197] და დასძენს: პეტრასთან ნავსადგური კი არ უნდა ყოფილიყო, არამედ უბრალოდ ნავმისადგომები, რისთვისაც შეეძლოთ გამოეყენებინათ დეხვა-კინტრიშ-აჭყვას შესართავები[198]. ობიექტური თუ ვიქნებით, უნდა ვაღიაროთ, რომ ციხისძირში და მის შემოგარენში ნავსადგურისათვის საჭირო ფიზიკური პირობები არ არსებობს და ზემოთ ხსენებული ავტორების ვარაუდი ასეთის არსებობის სურვილის ფარგლებში რჩება

სულ სხვა მდგომარეობაა ხოფასთან. როგორც ცნობილია, აქ არსებობს საკმაოდ ღრმა და მოხერხებული ბათუმის მსგავსი უბე, რომელიც სავსებით აკმაყოფილებს თანამედროვე კარგი ნავსადგურისადმი წაყენებულ მოთხოვნებს და არაფერი დაუდგებოდა წინ ასეთივე მნიშვნელობით მის გამოყენებას ადრეც, როდესაც ნაოსნობა შედარებით მცირე ზომის ხომალდებით ხორციელდებოდა და საკაბოტაჟო ხასიათი ჰქონდა.

ხოფასთან ხელსაყრელი ნავთსაყუდელის არსებობის შესახებ საყურადღებო ცნობები ქართულმა წერილობითმა წყაროებმაც შემოგვინახა, რაც სათანადოდ არის შეფასებული აკად. ს. ჯანაშიას ნაშ-

---

195 ნ. ლ ო მ ო უ რ ი. ქალაქი პეტრა და მისი ადგილმდებარეობა. გვ. 34.

196 ი. ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმია. წიგნი II. ბათუმი, 1959, გვ. 99.

197 ა. ი ნ ა ი შ ვ ი ლ ი. ციხე-ქალაქ პეტრას ნავსადგურის საკითხისათვის. — სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები. II. 1971, გვ. 74—90.

198 იქვე. გვ. 87.

რომში — შავიზღვისპირეთის საისტორიო გეოგრაფიას რომ ეხება[199]. როგორც სამართლიანად შენიშნავს ავტორი, ხოფა, ხოფათ//ხუფთას სახელით, საკმაოდ ხშირად ფიგურირებს ფეოდალური საქართველოს პოლიტიკურ მოვლენებში, რაც „დაკავშირებული უნდა იყოს მის ნაკ-სადგურის, მნიშვნელობასთან“[200]. მას მხედველობაში აქვს „მატიანე ქართლისაის“ ის ადგილი, სადაც საუბარია თბილისის ჩასაბარებლად მიმავალი ბაგრატ IV-ის (1020—1072 წ.) მიერ ხუფათში გამართულ ბრძოლაზე: „გურიელნი აზნაურნი და ლომსიანნი მოაყენნა (ვარ.: მოიყუანნა) ხუფათის (ხუფათს?) და დაუდგეს ფილაკავანი და ბრძოდეს“[201]. მისივე კომენტარით, კონსტანტინოპოლიდან დაბრუნებული იგივე ბაგრატი, ეტყობა, აქ ჩამომხტარა ნავიდან[202]. „გამოგზავნა ბერძენთა მეფემან დიდითა დიდებითა, ნიჭითა და განძითა მიუწდომელითა, მიეგება ყოველი ლაშქარი აფხაზეთისა ზღვის პირსა ხუფათისა (ხუფათს? ვარ.: ხუფთას“)[203]. ერთი სიტყვით, ხოფასთან ნავსადგურის არსებობა ყოველმხრივ ეჭვგარეშე ფაქტია, რაც დოკუმენტურადაც დასტურდება.

პროკოპი კესარიელის არაერთგზის ჩვენების მიხედვით, პეტრა სასაზღვრო ქალაქია ლაზების ქვეყანაში, რომაელთა მეზობლად, რომლის აშენების აუცილებლობაში სტრატეგოს ციბეს დაურწმუნებია იმპერატორი იუსტინიანე. „მანვე დააჯერა მეფე იუსტინიანე ლაზების ქვეყანაში ზღვისპირა ქალაქი აეშენებინა, სახელად პეტრა. იქ დაჯდა ის, ვითარცა აკროპოლისში და სძარცვავდა ლაზთა ქონებას. ვაჭრებს ხომ უკვე ნება აღარ ჰქონდათ კოლხიდაში შეეტანათ მარილი და სხვა საქონელი, რაც ლაზებისათვის აუცილებლად საჭიროა, არც აქედან შეეძლოთ რაიმე ეყიდინებინათ...“ საინტერესოა, რით დაარწმუნა ამ „გაქნილმა“ მოხელემ იმპერატორი, რომელმაც დააკმაყოფილა მისი სურვილი, ანუ რა იყო ის მთავარი მომენტი, რამაც განაპირობა ქ. პეტრას აშენება. მკვლევართა ერთობლივი აღიარებით, პეტრა შენდება კონკრეტულ ისტორიულ პერიოდში, რომელიც, უმთავრესად, ბიზან-

---

199 ს. ჯანაშია. შრომები. VI. შავიზღვისპირეთის საისტორიო გეოგრაფია. თბ., 1988, გვ. 257—258.

200 იქვე.

201 იქვე.

202 იქვე.

203 იქვე.

ტიის თავდაცვით და სავაჭრო მომენტს გულისხმობს[204], სასანიდური ირანის აგრესიული პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელმაც დაიპყრო სომხეთის დიდი ნაწილი, მეფობა მოსპო ქართლში (523 წ.) და ეგრისში გაბატონებით სურს ზურგიდან მიაყენოს გადამწყვეტი დარტყმა მის ძირითად მოწინააღმდეგეს რომის იმპერიას.

ბუნებრივია, იუსტინიანე, შესაბამისად, ახორციელებს რადიკალურ კონტრღონისძიებებს უკვე კარზე მომდგარი საშიშროების წინააღმდეგ, რის გამოც თავდაპირველად ცდილობს ლაზიკის სასაზღვრო ციხეების — სკანდესა და შორაპანის — გამაგრებას, უკვე რომაული გარნიზონების საშუალებით. მაგრამ, როგორც ჩანს, მალე დარწმუნდა იუსტინიანე, რომ ეს ღონისძიება არ იყო ეფექტური არმენიაში და იბერიაში გაბატონებული საშიში მტრის შესაჩერებლად, რომელსაც ლაზიკის ცენტრალური რაიონების გვერდის ავლით იბერიიდანაც (ახალციხის გადასასვლელებით) და სომხეთიდანაც (ჭოროხგზა) შეეძლო გაჭრილიყო ზღვის სანაპირო ზოლში, უშუალოდ რომის პროვინციების საზღვართან. სწორედ ამიტომ და არა სურსათის ნაკლებობის გამო, როგორც ეს პროკოპის ჰგონია, იუსტინიანეს გამოჰყავს ჯარები სკანდედან და შორაპნიდან[205] და სასწრაფოდ აშენებს ახალ ზღუდეს ქალაქ პეტრას სახით, რომელიც საიმედოდ ჩაკეტავდა რომის ჩრდილოეთ პროვინციებში შემავალ ყველა გზას, ლაზების განდგომის შემთხვევაშიც კი (მით უფრო, რომ ლაზებს ასეთი ტენდენცია არაერთხელ გამოუმჟღავნებიათ)[206]. არც სკანდეს, არც შორაპანს, არც ფასისს, არც ციხისძირს და არც ლაზიკის სხვა რომელიმე ციხეს არ შეიძლებოდა ჰქონოდა ასეთი მნიშვნელობა რომის პროვინციებიდან თუნდაც მათი გარკვეული მანძილით დაშორების გამო. როგორც ჩანს, ამიტომ გახდა საჭირო ახალი ქალაქის აშენება უფრო ხელსაყრელ სტრატეგიულ ადგილზე, ზღვის სანაპირო ზოლში. ვფიქრობთ, სწორედ, ასეთი ადგილის შერჩევაში მდგომარეობს სტრატეგოსი ციხეს დამსახურება, რომელიც, ალბათ, კარგად იცნობდა რომისა და ლაზიკის შავი ზღვის სანაპირო ზოლის რელიეფს, სადაც, ყველა სტრატეგიული ნიშნით (ზღვის სიახლოვე ქედებთან, კლდოვანი რელიეფი, სახმელეთო და საზღვაო გზების შეხვედრის წერტილი, რომის პროვინციის კლდეკარი,

---

204 ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. VIII. გვ. 471; გეორგიკა. ტ. II. გვ. 74.

205 გეორგიკა. II. გვ. 52.

206 ს. ჯანაშია. შრომები. I. გვ. 35; ნ. ბერძენიშვილი. დასახ. ნაშრ. გვ. 471; გეორგიკა. II. გვ. 35, შენ. 1.

ხელსაყრელი კლიმატი და სხვ.), შეუდარებელია ხოფას რაიონი, ანუ მდ. აფსაროსის (ჭოროხი) აუზი. აქ არის ქედებით გამოყოფილი გეოგრაფიული საზღვრები, რომელსაც ემთხვევა ბიზანტია-ლაზიკის პოლიტიკური სასაზღვრო ზოლიც, უძველესი დროიდან (ჰეროდოტე, ფსევდო სკლიაქს კარიანდელი, არიანე და სხვ.) V—VI სს. ჩათვლით. ამის შესახებ ბერძენ ავტორთა წერილობითი ცნობებიც გაგვაჩნია. ჩვენ მხედველობაში გვაქვს IV საუკუნის მეორე ნახევრის სახელგანთქმული რომაელი ისტორიკოსი ამიანე მარცელინი, რომელიც მოგვითხრობს ირანის შაჰი შაჰურისაგან 368 წელს ლტოლვილი სომხეთის მეფე პაპისა და სხვა სომეხი წარჩინებულების შესახებ, რომლებმაც „სცადეს შეეფარებინათ თავი მაღალ მთებში, რომლებიც ჩვენებს (ე. ი. რომაელთა მიწებს — გ. გ.) ...ლაზიკისაგან ჰყოფენ. იქ ხუთ თვეს იფარავდნენ თავს ულრან ტყეებსა და დაკლაკნილ სერებში და თავს აღწევდნენ მეფის მრავალ ცდას მათი დაჭერისათვის“[207]. როგორც მკვლევრები ფიქრობენ, ის მაღალი მთები, რომლებიც გამოყოფდნენ რომაელთა სამფლობელოს ეგრისის სამეფოსაგან, უნდა მდებარეობდეს ჭოროხის შესართავის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ზღვის მახლობლად[208]. ეს უნდა იყოს ლაზიკის, ანუ ე. წ. პონტოს ქედი და მისი განშტოებები, რომლის ბოლოში, საზღვაო და სახმელეთო გზების გასაყართან, ხოფა მდებარეობს, ადრე კი აქ ქალაქი პეტრა უნდა აეგოთ, როგორც რომის პროვინციებისაკენ მიმავალი გზებისა და კლდეკარის ჩამკეტი (იხ. რუკა).

ხოფასთან ლაზიკის სასაზღვრო ზოლის არსებობის შესახებ კიდევ უფრო ზუსტ მითითებას ვხვდებით V საუკუნის ავტორის დანიელ მესვეტის ცხოვრებაში, სადაც ნათქვამია: „მათ დღეთა შინა მოვიდა, ღობაზიანოს მეფე აფხაზთა ხილვად ნეტარისა ლეონ (იგულისხმება ლეონ I, 457—474 წწ; — გ. გ.). ხოლო აქუნდა ორთავნ ამათ მეფეთა საურავი რაიმე ქვეყანათა დაწყნარებისათჳს და ზღვათა განყოფისა: სადამდის არს საბერძნეთისა ანუ მეგრელთა აფხაზეთის სამეფოსა: და უთხრეს წმიდასა და მონასა ღმრთისასა დანიელს და იგი იქმნა შუამდგომელ მათდა. და დადვეს საზღვრად ციხე ხუფათი: და აღუთქვეს ურთიერთას მშვიდობა და სიყვარული ამისითა სიტყჳთა: და შთამო-

---

207 ამიანე მარცელინი. გეორგიკა. I. თბ., 1961, გვ. 128.

208 Г. А. Меликишвили. დასახ. ნაშრომი. გვ. 91, 381; ნ. ლომოური. ეგრისის სამეფოს ისტორია. 1968, გვ. 70; დ. მუსხელიშვილი. დასახ. ნაშრომი. გვ. 91.

ვდა მეფე ქალაქად და განუტევა ღობაზიონ მამულსა თჳსსა"[209]. ბიზანტიელი მწერლის პრისკე პანიონელის მიხედვით, გუბაზის ჩასვლა კონსტანტინოპოლში მომხდარა დიდი ხანძრის შემდეგ (465 წ.)[210]. ე. ი. გუბაზისა და ლეონის დაზავება და ხუფათზე საზღვრის დადება უნდა მომხდარიყო 465—474 წწ. შუა პერიოდში. არც ბიზანტიური და არც ქართული წყაროების მიხედვით არ ჩანს ამის შემდეგ, პროკოპის დრომდე, ე. ი. ნახევარი საუკუნის განმავლობაში, რაღაც ისეთი მნიშვნელოვანი პოლიტიკური ცვლილება მომხდარიყოს, რომ საზღვარი ლაზიკასა და ბიზანტიას შორის ციხისძირთან გადაეტანათ, რაც თავისთავად გამოდის პეტრას ციხისძირთან ლოკალიზაციის შემთხვევაში. და თუ ასეთი რამ მოხდა, მას, უთუოდ, ახსენებდა პროკოპი, როგორც არაერთგზის საუბრობს იგი ჭანების დამორჩილების შესახებ ბიზანტიელების მიერ[211].

განა საგულისხმო არ არის ის ფაქტი, რომ იუსტინიანეს პოლიტიკით აღშფოთებული, სპარსეთში, ხოსროსთან საჩიველად მისული ლაზების მოხსენებაში არაფერია ნათქვამი რომაელთა მიერ ლაზიკის ტერიტორიის ხელყოფის შესახებ, მაშინ, როცა მათ მიერ ჩადენილი ბოროტებიდან თითქმის არაფერი გამორჩენიათ: „რა არ ჩაიდინა მან (იგულისხმება იუსტინიანე — გ. გ.) ისეთი, რაც წინათ აკრძალული იყო? ან რამდენი კარგი მოწყობილი საქმე არ დაანგრია მან? განა იმან არ დაგვადგა ჩვენ სახარკო გამოსაღები, რასაც წინათ ადგილი არ ჰქონია, და ჩვენი მოსაზღვრე, წინათ თვითთავადი ჭანები არ დაიმორჩილა, ხოლო საცოდავ ლაზთა მეფეს რომაელი სარდალი არ ჩაუყენა?... ჩვენ მეფეს ხომ მეფობის გარეგნული ნიშნები დაუტოვეს, ხოლო ძალაუფლება საქმეებში თვითონ მიითვისეს: მეფეც მოსამსახურის როლში იმყოფება და განმკარგულებელი სტრატეგოსის ეშინია. უამრავი ჯარიც ჩაგვიყენეს, მაგრამ არა იმიტომ, რომ დაიცვან ეს ჩვენი ქვეყანა შემწუხებლისაგან..., არამედ რათა დავემწყვდიეთ ჩვენ როგორც სადილეგოში და ჩვენს ქონებას დაპატრონებოდნენ"[212]. როგორც ვხედავთ, აქ სახელმწიფო ტერიტორიის მიტაცებაზე ნათქვამი

---

209 კ. კეკელიძე. ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. VII. თბ., 1961, გვ. 5—6.

210 გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტომი პირველი. ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცეს და განმარტებები დაურთეს ალ. გამყრელიძემ და სიმონ ყაუხჩიშვილმა. თბ., 1961, გვ. 259.

211 გეორგიკა. II. გვ. 31, 69.

212 იქვე, გვ. 68—69, 75—78.

არაფერია და ამ დროისათვის არც არსებობდა პოლიტიკური პირობები ასეთი ქმედებისათვის.

უდავოა, რომ V საუკუნის მეორე წახევრიდან მაინც ლაზიკის სახელმწიფო პოლიტიკური საზღვარი, სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, ხოფას სექტორზე გადის. VI საუკუნეშიც არაფერი მიგვანიშნებს მის ცვალებადობაზე და როგორც ქართული წერილობითი წყაროებიც მოწმობენ, ასევე რჩება განვითარებულ შუა საუკუნეებშიც[213].

რამდენადაც პროკოპის არაერთგზის ჩვენებით პეტრა ზღვისპირა, სასაზღვრო ქალაქია, საზღვარი კი, როგორც დავინახეთ, ხოფას სექტორში გადის, სავსებით ბუნებრივია ჩვენი მცდელობა ციხე-ქალაქი პეტრას ლოკალიზაციაც ხოფასთან მოვახდინოთ.

როგორც უკვე ითქვა, პეტრა მკაცრი კლდოვანი რელიეფის გარემოცვაში აგებული ციხე-ქალაქია. „ქალაქი პეტრა მიუვალია. ჯერ ერთი, ზღვის მხრიდან, მერე ციცაბო კლდეებით, რომელიც იქ ყოველმხრივ არის აღმართული: აქედან არის, რომ მას ეს სახელწოდება ხვდა წილად...“[214]. ე. ი. კლდოვანი რელიეფი იმდენად ნიშანდობლივი ყოფილა ქალაქის შემოგარენისათვის, რომ იგი ადგილის საკუთარ სახელად (პეტრა) ქცეულა, ისევე როგორც სამხრეთ იორდანიაში: მდ. სიქის ხეობაში არსებულ რომაული ხანის კლდეში ნაკვეთ ქალაქს შეერქვა პეტრა.

კიდევ ერთხელ უნდა გავუსვათ ხაზი, რომ პროკოპისეულ პეტრას ტოპოგრაფიულ დახასიათებას ძალზე უახლოვდება ხოფას სანაპიროზე არსებული ფიზიკურ-გეოგრაფიული სურათი. ტრაპიზონიდან მოყოლებული ქ. სოჩის ჩათვლით, ზღვის სანაპირო ზოლში ძნელია მოიძებნოს მეორე ისეთი მკაცრი, კლდოვანი რელიეფის მქონე ფართობი, როგორიც ხოფა-არხავეს შორის მოქცეული, 10—12 კმ სიგანის მონაკვეთია; დღეს აქ, ზღვის სანაპიროზე სამანქანო ტრასაა გაჭრილი, მაგრამ XIX საუკუნეში საცალფეხო ბილიკიც კი არ არსებულა, რის შესახებაც არაერთი მოგზაურის ცნობა შეიძლება დავიმოწმოთ.

სამაგალითოდ შეიძლება დავასახელოთ იენის უნივერსიტეტის პროფესორის, ბოტანიკოსისა და დენდროლოგის კარლ ჰაინრიხ კოხის დღიურები, რომელმაც 1843—1844 წწ. იმოგზაურა შავიზღვისპირეთ-

---

213 ქართლის ცხოვრება. ანა დედოფლისეული ნუსხა. ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით. თბ., 1942, გვ. 186, 211—212.

214 გეორგიკა. II, გვ. 85.

ში. ჩვენთვის ამჟამად საინტერესოა კოხის ვიზუალური დაკვირვების შთაბეჭდილებები ჭოროხიდან ხოფამდე და აქედან ათენამდე: „მეორე დღეს ხოფასაკენ განვაგრძეთ გზა: იგი ამ ადგილიდან ექვსი საათით არის დაშორებული. თანდათანობით ქრება დაბლობი და პონტოს მთები სულ უფრო უახლოვდება პონტოს სანაპიროს. ხოფის დასავლეთით მდებარე მთა სულ უფრო და უფრო უახლოვდება, და ისეთ შთაბეჭდილებას ქმნის, თითქოს ზღვიდან ამოდისო; ამის გამო გზა ზღვის ნაპირის გაყოლებით სულ უფრო და უფრო ძნელი სავალი ხდება. აქ ცხენითაც ვერ გაივლი კაცი. კლდეზე ფეხით სიარულიც კი ჭირს"[215]. რადგან ხოფადან ათენისაკენ ხმელეთის გზა ძალზე რთული სავალი ყოფილა, კოხი იალქნიანი ნავით გამგზავრებულა და შიშნარევი აღფრთოვანებით აღწერს კლდოვანი სანაპირო ხაზის სიმკაცრესა და სილამაზეს: „თუმცა განთქმული ყირიმის სანაპიროები და ზღვიდან ამოსული ჩერქეზეთი, თავისი მაღალი მთებით, უკვე ნანახი გვქონდა, ასეთი სილამაზე და მრავალფეროვნება ჯერ მაინც არსად გვინახავს... ზღვიდან უზარმაზარი კლდეები აღმართულიყო... ვაი ჩვენი ბრალი, ამ საშიშ ადგილებში უეცრად ქარიშხალი რომ ამოვარდნილიყო. ასეთი კლდეების სიახლოვისას ყველა ცდა გადარჩენისათვის უშედეგო იქნებოდა; ნავი კლდეს დაეჯახებოდა და დაიშლებოდა იმავე ნაფოტებად, რომლებისგანაც ის დურგალს წვალებით შეეკრა. ჩვენმა თანამგზავრებმა გვითხრეს, რომ იმ ადგილებში ყოველწლიურად ბევრი გემი და ნავი იღუპება. მათი მონაყოლი ახლაც შიშის ზარს გვცემს"[216]. როგორი რომანტიული და ნიშანდობლივი აღწერაა ხოფას კლდოვანი სანაპიროსი, რომელიც ასე უახლოვდება პროკოპისეული პეტრას ძირითად ტოპოგრაფიულ ნიშნებს.

ასეთ, კლდოვან-ქარაფოვანი რელიეფის მქონე ტერიტორიას, რომელიც მკვეთრად გამოირჩევა და ალბათ, ასევე გამოირჩეოდა ადრეც შავიზღვისპირეთის სხვა სანაპიროს რბილი სუბტროპიკული მცენარეულსამოსიანი გარემოსაგან, ბუნებრივია, შერქმეოდა კლდოვანისა თუ კლდეეთის სახელი, რაც ბერძნულად პეტრად გამოითქმის.

საყოველთაოდ ცნობილია, თუ რა დიდმნიშვნელოვანია ლოკალიზაციისა და საერთოდ, საისტორიო გეოგრაფიის საკითხების კვლე-

---

215 კოხისა და სპენსერის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო ლონდა მამაცაშვილმა. თბ., 1981, გვ. 196, 199.

216 კოხისა და სპენსერის ცნობები..., გვ. 199—200.

ვისას ტოპონიმიკური და არქეოლოგიური მასალა, რომელიც საკვლევი ობიექტის ადგილზეა მოპოვებული.

სამწუხაროდ, ობიექტური მიზეზების გამო, ჯერჯერობით არ მოგვეცა საშუალება ხოფას მიდამოებში საძიებო სამუშაოების ჩატარებისა, მაგრამ XIX—XX საუკუნეების ცნობილ მეცნიერ-მოგზაურთა (დ. ბაქრაძე, ი. ყიფშიძე, გ. ყაზბეგი, დ. კლდიაშვილი, ნ. მარი და სხვ.) ჩანაწერებში და სხვა ისტორიულ ნაშრომებში ამ ხასიათის საყურადღებო მასალა საკმაოდ მოიპოვება.

წერილობით წყაროებში აღწერილი პუნქტებიდან პეტრას ლოკალიზაციის საკითხებთან დაკავშირებით განსაკუთრებით საყურადღებოდ გვეჩვენება ხოფას შემოგარენში, სოფ. პირონითსა და სოფ. კისეს შორის, ზღვისპირას აღმართული კლდოვანი ბორცვი, რომელზეც, გ. ყაზბეგის ცნობით, მთელ ჭანეთში საუკეთესო ეკლესია მდგარა[217].

დ. ბაქრაძის მოწმობით, რომელიც მეჯლისის წევრის, ორთახოფელი წარმოშობის ხასან-აღა მურად-ოღლის (მისი ქართული გვარი ყოფილა მოურავიშვილი) მონაყოლს ემყარება, ამ ადგილს ჯიხა რქმევია[218], რაც აქ ოდესღაც ციხის არსებობაზე მიგვანიშნებს. ამასვე მოწმობს, აგრეთვე, აქვე ახლოს მდებარე სოფლის სახელწოდება ყალა-დიბი თუ კულე-დიბი, რაც თურქულად ციხისძირს ნიშნავს[219]

საგულისხმოა, რომ განვითარებულ და გვიან შუასაუკუნეებში ქართული თუ უცხოური წყაროები, პოლიტიკურ მოვლენებთან თუ სამხედრო ოპერაციებთან დაკავშირებით ხოფას არაერთგზის მოხსენიების მიუხედავად, აქ ციხის არსებობას არ მიუთითებენ, რაც იმას გვაფიქრებინებს, რომ ტოპონიმ ჯიხას და ციხისძირის გაჩენა დაკავშირებული უნდა იყოს რომაელების მიერ აქ პეტრას ციხის აკროპოლისის აშენებასთან, რომელსაც თვითვე ანგრევენ 551 წ. მას შემდეგ, რაც რომაელთა მთავარსარდალმა ბესამ სპარსელები დაამარცხა და აიღო ციხე, „...პეტრას ზღუდე კი მიწასთან გაასწორა, რომ მტერს კვლავ არ გაეჭირვებინა საქმე რომაელებისათვის“[220].

---

[217] Г. Казбек. Три месяца в турецкой Грузии, с 103; ი. სიხარულიძე, ჭანეთი (ლაზეთი) — საისტორიო გეოგრაფიის მასალები. I. ბათუმი, 1977, გვ. 68—69.

[218] დ. ბაქრაძე. დასახ. ნაშრ. გვ. 27.

[219] მ. სვანიძე. საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან XVI—XVII სს. თბ., 1971, გვ. 84, შენ. 148.

[220] გეორგიკა. II. გვ. 180.

ალბათ, რომაელთა ასეთი ქმედების შედეგი უნდა იყოს ისიც, რომ ნაციხარის მატერიალური ნაშთები მოგზაურთა და მკვლევართა-თვის დღემდე შეუმჩნეველი რჩება, მაშინ, როდესაც ტოპონიმიკა აქ ოდესღაც ასეთი ობიექტის არსებობას უცილობლად ადასტურებს.

პეტრა-ხოფას იდენტიფიკაციის საკითხთან დაკავშირებით განსაკუთრებით საინტერესო და მრავალმხრივ ანგარიშგასაწევია პროფ. ი. სიხარულიძის მიერ ჭანეთის საისტორიო გეოგრაფიის მასალების შესწავლისას მოძიებული და ჩაწერილი, შეიძლება ითქვას, ჩვენთვის უნიკალური ცნობა, რომლის მიხედვით, ხოფას შემოგარენში, ჯიხასა თუ ნოჯიხევის (ასეა აღნიშნული ივ. ჯავახიშვილის 1923 წ. გამოცემულ ისტორიულ რუკაზე) მახლობლად არსებობს პატარა მდინარე, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა დღესაც პეტროღალს უწოდებს, რაც პეტრას, ანუ კლდის წყალს ნიშნავს[221].

ამ საინტერესო უბანში ჰიდრონიმი პეტრო//პეტრას დადასტურება, სხვა მონაცემებთან ერთად, ვფიქრობთ, კიდევ ერთი საიმედო საფუძველია ხოფას შემოგარენში, ადგილ ნოჯიხევთან პეტრას იდენტიფიკაციის სამტკიცებლად.

პეტრას ნაქალაქარის კონკრეტულ, მიკრო ტერიტორიაზე ლოკალიზაციასთან დაკავშირებით, ვფიქრობთ, ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს გ. ყაზბეგის ხსენებული ცნობა ხოფასთან (ნოჯიხევის ბორცვზე) მთელ ჭანეთში საუკეთესო ეკლესიის არსებობის შესახებ[222].

როგორც ბიზანტიური წერილობითი წყაროების მიხედვით ირკვევა, პეტრა ერთდროულად წარმოადგენდა სავაჭრო-ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სამხედრო-სტრატეგიულ და საეკლესიო ცენტრს, სადაც არსებობდა ლაზიკის ეპარქიის — ფასისის სამიტროპოლიტოს ოთხი საეპისკოპოსოდან (როტოპოლისი, აბისენი, ზიგანევი, პეტრა) ერთ-ერთი, პეტრას საეპისკოპოსო[223].

პეტრას საეპისკოპოსოს შესახებ საისტორიო წყაროს კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ცნობილი საეკლესიო ნუსხები — „ეკთეზისები" — წარმოადგენენ. ლაზთა ეპისკოპოსი იოანე პეტრელი, ლაზთა მეორე ეპისკოპოს თეოდორე ფასისელთან ერთად, უკვე VII საუკუ-

---

221 ი. სიხარულიძე. ჭანეთი (ლაზეთი) — საისტორიო გეოგრაფიის მასალები. I. ბათუმი, 1977, გვ. 64—65.

222 Г. Казбек. Указ. соч., с. 103.

223 გეორგიკა. II. თბ., 1965, გვ. 34.

ნეში იხსენიება. კერძოდ, 692 წ. ისინი დასწრებიან საეკლესიო კრებას და კრების დადგენილებისათვის მოუწერიათ ხელი[224].

პ. ინგოროყვას აზრით, პეტრას საეპისკოპოსო კათედრას ემორჩილებოდა ვრცელი ტერიტორია: „...თანამედროვე ციხისძირი, ბათუმის ზონაში; ამ საეპისკოპოსოს ფარგლებში შედიოდა გარდა ბათუმის მხარისა, გურია-აჭარისა, აგრეთვე ჭანეთ-ლაზია, რიზეს მხარე, რომელზეც ვრცელდებოდა იურისდიქცია ლაზიკის, მიტროპოლიტისა“[225]. ლაზიკის ეპარქიაში შემავალი საეპისკოპოსოების სამწყსოების ტერიტორიალური განვრცობის შესწავლა უაღრესად მნიშვნელოვან მასალას იძლევა ლაზიკის სამეფოს საზღვრების დასაზუსტებლად.

პეტრას ლოკალიზაციის ჩვენეული ვარიანტის მიხედვით, პეტრას საეპისკოპოსო ლაზიკის ეპარქიის განაპირა საეკლესიო ცენტრი ჩანს, რომელიც კათედრალური ტაძრის არსებობასაც გულისხმობს. გამორიცხული არ არის, რომ გ. ყაზბეგის მიერ ხოფას ჯიხაზე დამოწმებული „მთელ ჭანეთში საუკეთესო ეკლესია“ პეტრას ეპისკოპოსის საჯდომი ყოფილიყო. თუ ეს ასეა, მაშინ სავსებით გასაგები ხდება პროკოპის ცნობის ის ადგილი, რომლის მიხედვით რიზესა და ლაზიკას შორის მოსახლე ერთ თვითთავად ხალხს, „რადგან ისინი ქრისტიანები არიან, ლაზთა ეპისკოპოსები უწესებენ მათ მღვდელმსახურებას“[226].

რიზე-ათენას ეს ტერიტორიები ხომ უშუალოდ ეკვრის ხოფას შემოგარენს და აქ არსებულ პეტრას საეპისკოპოსოს მესვეურებს, თუნდაც მარტო ფიზიკური (ალბათ, ეთნიკურიც) სიახლოვის გამო, ალბათ, სხვა საეპისკოპოსოებზე (როდოპოლისი, აბისენი, ზიღანევი, ტრაპეზუნტი) მეტად მიუწვდებოდა ხელი თავისი გავლენის გასავრცელებლად.

სამწუხაროდ, ობიექტური მიზეზების გამო, ჯერჯერობით არ მოგვეცა საშუალება ხოფას მიდამოებში საველე სამუშაოების ჩატარებისა, ან აქ არსებული ტაძრის ვიზუალური შესწავლისა, მაგრამ იმედს ვიტოვებთ, რომ ასეთი შესაძლებლობის გაჩენის პირველივე შემთხვევაში ჩვენი ვარიანტის დამადასტურებელი მასალები არ დააყოვნებს.

დასასრულს, ხსენებულ საკითხზე ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად მიღებული დასკვნები შემდეგი სახით შეიძლება

---

[224] Ю. Кулаковский. История Византии. III. Киев, 1899, с. 277—278.

[225] პ. ინგოროყვა. გიორგი მერჩულე. თბ., 1954, გვ. 230.

[226] გეორგიკა. II. გვ. 125.

წარმოვიდგინოთ: ბიზანტია-სპარსეთს შორის წარმოებული ოცწლიანი ომის პირველ ეტაპზე, პეტრას გარშემო რომ მიმდინარეობდა, ხსენებული მდ. ბოას-ფასისი ჭოროხია და არა რიონი. მისგან სამხრეთით, 25—30 კმ მანძილზე, ანუ ერთი დღის სავალზე, ლაზიკა-პონტოს ქედიდან ჩამოსული განშტოებები განივად კეტავს ზღვის სანაპირო ზოლს და მკვეთრად გამოკვეთილი კლდოვანი რელიეფით გამოირჩევა. ამ ადგილზე მდებარეობს თანამედროვე პატარა ქალაქი ხოფა, რომლის ტოპოგრაფია ზედმიწევნით შეეფერება პროკოპის მიერ ქ. პეტრას ადგილმდებარეობის აღწერილობას და სავსებით ამართლებს პეტრას ანუ კლდეეთის სახელწოდებას.

ლაზიკის ქედის განშტოებებით ხოფასთან განივად გადაკეტილი ზღვის სანაპირო ზოლი წარმოადგენს ისტორიული საქართველოს ფიზიკურ-გეოგრაფიულ საზღვარს, რომელსაც პოლიტიკური სასაზღვრო ხაზიც უნდა დამთხვეოდა. ასე იყო შუა საუკუნეებში და აქვე გადიოდა რომისა და ლაზიკის სამეფოების გამყოფი ხაზი V—VI საუკუნეებშიც.

ხოფა მნიშვნელოვან საზღვაო და სახმელეთო გზათა შესაყართან მდებარეობს, სადაც თავს იყრის მნიშვნელოვანი საგზაო მაგისტრალები: ჩრდილოეთიდან (ლაზიკა), სამხრეთიდან (რომის იმპერია), აღმოსავლეთიდან (იბერიიდან) და სამხრეთ-აღმოსავლეთიდან (არმენია და პერსარმენია). მას აქვს კარგი ნავსადგური და კონტროლს უწევს საზღვაო მაგისტრალსაც. ყველა ამ ნიშან-თვისების გამო ხოფა წარმოადგენს მნიშვნელოვან ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სტრატეგიულ საკვანძო პუნქტს, რამაც, როგორც ჩანს, ადრევე მიიქცია რომაელთა ყურადღება და აქვე, ერთ-ერთ კლდოვან, ზღვისპირა მაღალ ბორცვზე, ააგო ციხე-ქალაქი პეტრა, ამ ბორცვზე. არსებობს მნიშვნელოვანი საეკლესიო ნაგებობა, რომელიც შეიძლება ლაზიკის ეპარქიაში შემავალ პეტრას საეპისკოპოსო რეზიდენციის ნაშთიც იყო.

ხოფას ზღვისპირა მიკრორაიონში დამოწმებულია ტოპონიმი: ჯიხა (ციხე), ყალა-დიბი (ციხისძირი) და, რაც მთავარია, ჰიდრონიმი-პეტროღალი (პეტრას წყალი) ანუ კლდის წყალი, რაც, სხვა მონაცემებთან ერთად, საიმედო საფუძველია ხოფასთან. ქ. პეტრას იდენტიფიკაციის სამტკიცებლად (იხ. რუკა).

საკითხის ასე დასმის შემთხვევაში იხსნება ყველა წინააღმდეგობა და გაუგებრობა, რომელიც, თითქოს, არსებობდა პროკოპი კესარიელის შრომის პირველ ნაწილში, როდესაც პეტრას ადგილმდებარეობის დადგენის მცდელობა, ლაზიკის სამეფოს სასაზღვრო ხაზის დაზუსტე-

ბა, პეტრას საეპისკოპოსო ცენტრის სამწყსოს არიალისა და სხვა საკითხების კვლევა ფასის-რიონის მიმართებაში განიხილებოდა.

პროკოპის წყაროს ბოას-ფასისის მდ. ჭოროხთან იდენტიფიკაციისა და ქ. პეტრას ხოფასთან ლოკალიზაციის შემდეგ საესებით ლოგიკური ჩანს მდ. ფასისის სათავეების ჭანეთ-არმენიის მთებში ძიება, მდინარის სანაპიროების არათანაბარი დასახლების, ლაზიკის მთავარი ქალაქებისა და იბერიის საზღვრების მიმართულების პროკოპისეული ჩვენება და სხვ.

ამ ვარიანტში პროკოპი კესარიელის შრომის ყველა საეჭვო-სადავო ადგილი გამჭვირვალე ხდება და კიდევ მეტი ნდობა უნდა გამოეცხადოს მას, როგორც ადრებიზანტიური ხანის ეგრის-ლაზიკის სამეფოს ისტორიის საიმედო პირველწყაროს.

პეტრას ახლებური ლოკალიზაციიდან გამომდინარე, ბუნებრივად დაისშის ლოგიკური კითხვა: მაშ, რას წარმოადგენს ადრე პეტრად მიჩნეული ციხისძირის დიდებული ძეგლი, რომლის არქეოლოგიური შესწავლის საფუძველზე, განსაკუთრებით უკანასკნელ წლებში, გვიანრომაული და ადრებიზანტიური ხანის ბრწყინვალე მასალები გამოვლინდა.

სწორედ, ამ პრობლემის გარკვევის მცდელობას ეძღვნება ჩვენი შრომის მომდევნო ნაწილი, ქ. სებასტოპოლისის ლოკალიზაციის საკითხებთან რომაა დაკავშირებული.

ციხისძირ-სებასტოპოლისი

სახელგანთქმული ალექსანდრიის სამეცნიერო სკოლის წარმომადგენელთა შორის საპატიო ადგილი ეკუთვნის ახ. წ. II საუკუნის შუა ხანების (120—160 წწ.) მოღვაწეს, მეცნიერ გეოგრაფოსს და ასტრონომს კლავდიოს პტოლემაიოსს.

როგორც მეცნიერები ფიქრობენ, ვიდრე კოპერნიკამდე, პტოლემაიოსი ითვლებოდა გეოგრაფიული და ასტრონომიული ცოდნის ურყევ ავტორიტეტად. მისი მოღვაწეობის ხანა ემთხვევა სწორედ იმ პერიოდს, როდესაც დასრულდა იმპერიის ხანგრძლივი ომები მითრიდატე ევპატორთან და რომის შემდგომი ექსპანსია აღმოსავლეთში.

პტოლემაიოსი ერთ-ერთი იმათგანია, რომელმაც აღწერა, შეაჯამა და ქაღალდზე გადაიტანა რომის იმპერიის ახალი მონაპოვარი[227].

227 ნ. ლ ო მ ო უ რ ი. კლავდიოს პტოლემაიოსი, „გეოგრაფიული სახელმძღვა-

პტოლემაიოსმა, როგორც შორეული, ისე უშუალო წინამორბედი მკვლევრების (ჰეროდოტე, ლოგოგრაფოსები, ფსევდო-სკილაქს კარიანდელი, სტრაბონი, პლინიუსი) და მისივე თანამედროვე მოღვაწის (საქართველოს შავიზღვისპირეთის თვითმხილველის), კაბადოკიის მმართველის ფლავიუს არიანეს (131—137 წწ.) ცნობებზე დაყრდნობით, შექმნა თავისი დროის ფუნდამენტური ნაშრომი, ე. წ. „გეოგრაფიული სახელმძღვანელო", რომელიც თავისი ხასიათით მათემატიკური ნაწარმოებია. მასში თვითეული გეოგრაფიული პუნქტი აღნიშნულია მათემატიკურად გამოთვლილი კოორდინატების მიხედვით[228].

რამდენადაც „გეოგრაფიული სახელმძღვანელო" მდიდარია მრავალფეროვანი ნომენკლატურით და ამასთანავე, შეიცავს ძვირფას ცნობებს საქართველოსა და მისი მეზობელი მხარეების შესახებ, იგი მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის ძველი ისტორიისა და განსაკუთრებით, ისტორიული გეოგრაფიის არაერთი საკითხის ახლებურად გასაშუქებლად.

ამჯერად ჩვენ მხედველობაში გვაქვს „სახელმძღვანელოს" ის ნაწილი, რომელიც შეეხება აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში განლაგებულ ქალაქებსა და მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვან პუნქტებს.

როგორც ცნობილია, ფსევდო-სკილაქს კარიანდელის „პერიპლუსისა"[229], დიდი გეოგრაფოსის სტრაბონისა და სხვათა მიხედვით[230], შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე არსებობდნენ ქალაქური ცენტრები: დიოსკურია, თანამედროვე სოხუმის მიდამოებში, გიენოსი ქ. ოჩამჩირესთან, ფასისი მდ. რიონის ძველ შესართავთან (თანამედროვე შესართავიდან აღმოსავლეთით, 10—12 კმ მანძილზე) და პიტიუნტი (თანამედროვე ბიჭვინთა).

ანტიკური ხანით დაინტერესებულ მკვლევართა ერთობლივი აღიარებით, ძვ. წ. II—I საუკუნეებში შეინიშნება ხსენებული ქალაქების

ნელო", ცნობები საქართველოს შესახებ. — მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის. ნაკვ. 32, თბ., 1955, გვ. 39.

228 როგორც პტოლემაიოსის „გეოგრაფიული სახელმძღვანელოს" ქართული მასალების მონოგრაფიულად შემსწავლელი და მთარგმნელი პროფ. ნ. ლომოური ფიქრობს, ავტორის გეოცენტრისტული სისტემის მცდარობის და მის საფუძველზე გამოთვლილი გრადუსების უზუსტობის გამო, მისი კოორდინატები სრულიად გამოუყენებელი რჩება.

229 თ. ყაუხჩიშვილი. ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. I. თბ., 1967, გვ. 48.

230 თ. ყაუხჩიშვილი. სტრაბონის გეოგრაფია. ცნობები საქართველოს შესახებ. თბ., 1957, გვ. 107—198.

დაქვეითება და ზოგიერთ შემთხვევაში, საქალაქო ცხოვრების მოსპობაც კი, რაც ყარგად ჩანს ქობულეთ-ფიჭვნარის ნაქალაქარისა[231] და გიენოსის მაგალითზე[232]. ანალოგიური სურათი დასტურდება ადრეელინისტური ხანის აყვავებულ სავაჭრო ცენტრ დიოსკურიაში, სადაც ძვ. წ. II—I სს. თითქმის ქრება ნამოსახლარის ნიშნები[233]. როგორც ფიქრობენ, ყოველივე ეს გამოწვეული იყო რომსა და პონტოს შორის წარმოებული ხანგრძლივი ომებით, ჩრდილოეთიდან ბარბაროსების ხშირი შემოსევებით და შიდა პროცესების შედეგად ერთიანი ცენტრალიზებული კოლხეთის სამეფოს დაცემით, რომლის დაშლის შემდეგ ჩნდებიან ლაზების, სანიგების, აფსილების, აბაზგების და სხვ. დამოუკიდებელი პოლიტიკური გაერთიანებები.

სურათი არსებითად იცვლება ახ. წ. I—II საუკუნეებში. კოლხეთის ზღვისპირეთში საქალაქო ცხოვრების გამოცოცხლება და აღმავლობა შეინიშნება ახალი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში, სადაც, როგორც არქეოლოგიური მასალებით, ისე წერილობითი წყაროების მითითებით, ძველი ქალაქების ადგილას ახალი ციხე-ქალაქები ჩნდებიან: სებასტოპოლისი, ფასისი, აფსარი, მძლავრი დამცველი კედლით გამაგრებული პიტიუნტი და სხვ.[234]

რომის პოლიტიკური და სავაჭრო ინტერესებიდან გამომდინარე, საქალაქო ცხოვრების აღმავლობა და ახალი ქალაქთმშენებლობა საერთოდ და კერძოდ კოლხეთში სამართლიანად არის დაკავშირებული რომის იმპერატორის ოქტავიანე ავგუსტუსის (ძვ. წ. 63 — ახ. წ. 14) და

---

231 ა. კ ა ხ ი ძ ე. მასალები აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ქალაქების ისტორიისათვის ანტიკურ ხანაში (ქობულეთ-ფიჭვნარი). თბ., 1965, ავტორეფერატი, გვ. 90—91; მისივე. საქართველოს ზღვისპირეთის ანტიკური ხანის ქალაქები. თბ., 1971, გვ. 150.

232 ნ. მ ა თ ი ა შ ვ ი ლ ი. ოჩამჩირის ანტიკური სამოსახლოს კერამიკა. — ასპირანტთა და ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა სამეცნიერო კონფერენციის თეზისები. თბ., 1968, გვ. 28; С. Шамба, Гюэнос—I, Тбилиси., 1988.

233 М. Т р а п ш. Краткий отчёт о результатах археологических исследовании в Сухуми в 1952 году.—Тр. Абхаз. Инст. яз., литер. и истории, т. XXVI, с. 227; М. П. И н а д з е. Причерноморские города древней Колхиды, Тбилиси, 1968, с. 134—139; ა. კალანდაძე, სოხუმის მთის არქეოლოგიური ძეგლები. სოხუმი. 1953.

234 М. П. И н а д з е. указ. соч., с. 239; გ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე. ბიჭვინთის ნაქალაქარი. თბ., 1991; ნ. ლ ო მ ო უ რ ი. კოლხეთის სანაპიროს ბერძნული კოლონიზაცია. თბ., 1962; მისივე. პონტოს სამეფოს ისტორიისათვის. თბ., 1979; ო. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, თ. მ ი ქ ე ლ ა ძ ე, დ. ხ ა ხ უ ტ ა ი შ ვ ი ლ ი. გონიოს განძი. თბ., 1980.

მისი მემკვიდრეების (პოლემონი, პითადორა, პოლემონ II და სხვ.) სახელთან.

როგორც მკვლევრები ფიქრობენ, სწორედ ამით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ როგორც აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, ისე მცირე აზიაში არაერთ ქალაქს ეწოდება მისი სახელი და იხსენიება სებასტოპოლისის, სებასტეას, თუ სებასტეს (ფრიგია) ფორმით[235].

ადრებიზანტიური და რომაული წერილობითი წყაროების მიხედვით, კოლხეთის შავიზღვისპირეთში, ჩვენი აზრით, ორი სებასტოპოლისის არსებობა დასტურდება: ერთი საყოველთაოდ ცნობილი დიოსკურია-სებასტოპოლისია თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე, მეორე კი რამდენადმე უფრო სამხრეთითაა საძიებელი[236]. სწორედ ეს უკანასკნელია ჩვენი დღევანდელი კვლევის საგანი.

აფხაზეთის სებასტოპოლისის ლოკალიზაცია თვით ძველი წერილობითი წყაროების ჩვენებით არის გაიოლებული და იგი, მეტ-ნაკლები სიზუსტით, ძველი დიოსკურიის, ანუ თანამედროვე სოხუმის ფარგლებში თავსდება. ამ ტერიტორიაზე ციხესიმაგრისა თუ ციხე-ქალაქი სებასტოპოლისის არსებობის შესახებ პირველ ცნობას გვაწვდის ახ. წ. I საუკუნის ავტორი პლინიუს სეკუნდა (ახ. წ. 24—79 წწ.), რომლის მიხედვით, ფასისიდან 100000 ნაბიჯზე მდებარეობს ციხესიმაგრე სებასტოპოლისი[237]. სხვა ადგილზე პლინიუსი კიდევ ერთხელ ახსენებს სებასტოპოლისს დიოსკურიასთან კავშირში და ამით, თითქოს, მიგვანიშნებს მათ იგივეობას. მისი თქმით, „დიოსკურიიდან შემდეგი ქალაქია ჰერაკლია. სებასტოპოლიდან დაშორებულია 70000 ნაბიჯით"[238]. პლინიუსისაგან განსხვავებით, არიანე პირდაპირ ამბობს, რომ მისი თანამედროვე სებასტოპოლისი, სადაც მას თვითონ მოუხდა ყოფნა, იგივე ძველი დიოსკურიაა. მისი თქმით, „სებასტოპოლისი ძველად დიოსკურიად იწოდებოდა. მილეტის ახალშენია"[239]. პერიპლუსის

---

235 A. H. Jones. The cities of the eastern Roman provinces. Oxford, 1937, c. 72—73, 77, 173—197, 398; М. Инадзе. Причерноморские города древней Колхиды. Тбилиси, 1968, с 241—242.

236 ნ. ლომოური. კლავდიოს პტოლემაიოსი, „გეოგრაფიული სახელმძღვანელო", ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 42.

237 В. В. Латышев. Известия древних писателей о Скифии и Кавказа. ВДИ, 1949, с. 290.

238 ვ. ლატიშევი. დასახ. ნაშრ. გვ. 291.

239 ფლავიუს არიანე. მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო. თარგმანი, გამოკვლევა, კომენტარები და რუკა ნათელა კეკაღმაძისა. თბ., 1961, გვ. 41—42.

სხვა ადგილას იგი კიდევ ერთხელ იმეორებს, რომ ძველი დიოსკურია მისი თანამედროვე სებასტოპოლისია—„სულ ტრაპეზუნდიდან დიოსკურიამდე, ახლანდელ სებასტოპოლისამდე. არის ორიათას ორას სამოცი სტადიონი“[210]. აღნიშნულ საკითხზე ანალოგიური შეხედულებისაა დიდი გეოგრაფოსი პტოლემაიოსი, რომელსაც თავისი ცნობილი „გეოგრაფიული სახელმძღვანელოს“ მეცხრე თავში, იქ, სადაც საუბარია კოლხეთის საზღვრებზე, ქალაქებსა და მდინარეებზე, პირდაპირ აქვს ნათქვამი — „დიოსკურია ანუ სებასტოპოლისი“-ო[241].

ერთი სიტყვით, დიოსკურია-სებასტოპოლისის იგივეობის საკითხი ერთხმად არის გაზიარებული რომაული ხანის მწერალთა მიერ, რაც, თითქოს, არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მასალითაც დასტურდება და იგი კამათის საგანს არ წარმოადგენს[242].

დიოსკურია-სებასტოპოლისიდან სამხრეთ-დასავლეთით, ზღვის სანაპირო ზოლში, ასეული კილომეტრის დაშორებით, მეორე სებასტოპოლისის არსებობის შესახებ ძალზე საყურადღებო ცნობა მოეპოვება პტოლემაიოსს თავისი „გეოგრაფიული სახელმძღვანელოს“ მეხუთე წიგნის მეექვსე თავში. იქ, სადაც საუბარია კაბადოკიის პონტოს ჩრდილოეთ საზღვრებზე, მის ზღვისპირა მდინარეებსა და ქალაქებზე[243]. ამ ნაწილის სანაპიროს, ტრაპეზუნტს აქეთ, შემდეგი აღწერილობა აქვს: მდ. კისიუსის გასწვრივ — ოფიუსი, ნავსადგ. რიძუსი, ათენის ციხე, კორდილე, მორთულა, მდ. არხაბიოსის შესართავი, ქსილინე, მდ. კისას შესართავი, აფსაროსი, მდ. აფსაროსის შესართავი, მისი შენაკადი მდინარეები გლაუკოსი და ლიკოსი, მდ. აფსაროსის სათავე, მდ. ლიკოსის სათავე და სებასტოპოლისი[244], რომლის ჩრდილოეთით უკვე კოლხეთის საზღვარი იგულისხმება და მითითებულია

---

240 იქვე. გვ. 51.

241 ნ. ლომოური. კლავდიოს პტოლემაიოსი, „გეოგრაფიული სახელმძღვანელო“, ცნობები საქართველოს შესახებ. — მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის. ნაკვ. 32. თბ., 1955, გვ. 45.

242 А. М. Апакидзе, О. Д. Лорткипанидзе. Новые материалы к археологии Диоскурии-Себастополиса.-Тр. Абхаз. инст. яз., литер. и истории, XXXIII—XXXIV, Сухуми, 1963, с. 121—122; М. Трапш. Раскопки древнего Себастополиса в районе в Сухумской крепости в 1959 г., с. 241, 243; А. А. Шервашидзе, Л. Н. Соловьев. Исследование древнего Себастополиса, С. А. 1960, №3, с. 171; В. А. Леквинадзе. Оборонительные сооружения Себастополиса. С. А. 1966, №1, с. 203. 209.

243 ნ. ლომოური. დასახ. ნაშრ. გვ. 41, 42.

244 იქვე. გვ. 42.

ქალაქი და მდინარე ფასისი[245]. ფასისის ზემოთ, ე. ი. ჩრდილოეთით, კოლხეთის ზღვისპირა ზოლში პტოლემაიოსი ასახელებს მდ. ხარიუსტოსის შესართავს, ქალაქ აიას, ნეაპოლისს, სიგანეონს, მდ. კიანეოსის შესართავს, მდ. ჰიპოსის შესართავს და კოლხეთის ჩრდილოეთ საზღვარზე „დიოსკურია ანუ სებასტოპოლისი“[246].

როგორც ვხედავთ, პტოლემაიოსის გეოგრაფიული სახელმძღვანელოს მიხედვით აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში არსებობდა ორი მოსახელე ქალაქი — ორი სებასტოპოლისი; ერთი, როგორც უკვე ითქვა, ისტორიული დიოსკურიის ტერიტორიაზე, მეორე კი უფრო სამხრეთით, სადაც მდ. აფსაროსსა და მდ. ფასისს შორის არის საგულვებელი.

მეორე სებასტოპოლისის ლოკალიზაციის პირველი ცდა მოახდინა „გეოგრაფიული სახელმძღვანელოს“ ქართულად მთარგმნელმა და გამომცემელმა პროფ. ნ. ლომოურმა, რომელმაც პტოლემაიოსის კოორდინატების საფუძველზე შედგენილ ამიერკავკასიის რუკაზე მეორე სებასტოპოლისი დაიტანა აფსაროსის ჩრდილოეთით, დაახლოებით დღევანდელი ბათუმის მიდამოებში[247]. სამწუხაროდ, მან იგივე არ გაიმეორა იმავე ნაშრომზე დართულ, პტოლემაიოსის ცნობების მიხედვით შედგენილ საქართველოს რუკაზე[248], რაც „სახელმძღვანელოს“ ამ ადგილისადმი აკტორის ნიჰილისტურ დამოკიდებულებაზე მიგვანიშნებს. პტოლემაიოსის ამ ცნობისადმი ნ. ლომოურის უნდობლობა კიდევ უფრო ნათლად ჩანს მისი ნაშრომის მეექვსე თავის მეჩვიდმეტე განმარტებაში, სადაც არქანჯელო ლამბერტთან და კიპერტთან კამათის შემდეგ დასძენს: „რას უნდა მივაწეროთ სებასტოპოლისის ამ ადგილას მოთავსება, გაურკვეველია“-ო[249].

უფრო მოგვიანებით კი, იგი ფასისის მახლობლად სებასტოპოლისის მოთავსებას პტოლემაიოსის შეცდომად თვლის და დასძენს: „მით უფრო, რომ სახელოვანი გეოგრაფოსის ნაშრომი შეცდომებისაგან დაზღვეული არ არისო“[250].

---

245 ნ. ლ ო მ ო უ რ ი, დასახ. ნაშრ. გვ. 45,

246 იქვე.

247 იქვე, გვ. 62.

248 იქვე. გვ. 63.

249 იქვე, გვ. 52.

250 ნ. ლ ო მ ო უ რ ი. ძველი საქართველოს საუკრო გზების საკითხისათვის, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის შრომები, IV, ნაკვ. I, თბ., 1958, გვ. 109.

დღეისათვის დაახლოებით ასეთია საყოველთაო დამოკიდებულება პტოლემაიოსის ხსენებული ადგილის მიმართ, რის გამოც კოლხეთის ქალაქებით, გზებითა თუ სხვა ისტორიულ-გეოგრაფიული საკითხებით დაინტერესებული ყველა მკვლევარი დუმილით უვლის გვერდს მას. ბუნებრივია, ამიტომ ვერ ვხვდებით მსჯელობას მის შესახებ ისეთ მონოგრაფიულ ნაშრომშიც კი, როგორიც არის ნ. ლომოურის „ეგრისის სამეფოს ისტორია"[251] და მ. ინაძის ფუნდამენტური გამოკვლევა „ძველი კოლხეთის შავიზღვისპირა ქალაქები", რომლის ბოლო, საკმაოდ მოზრდილი ნაწილი, სწორედ, რომაული ხანის ქალაქების შესწავლისადმია მიძღვნილი[252]. ანალოგიური განწყობილება ეტყობა პროფ. ვ. ლექვინაძის ნაშრომებსაც, რომლის დიდი ნაწილი აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის რომაული ქალაქებისა და „კასტელების" შესწავლისადმია მიძღვნილი[253]. იგივე ითქმის ყველა სხვა მკვლევრის (ა. აფაქიძე, გ. მელიქიშვილი, ო. ლორთქიფანიძე, გ. ლორთქიფანიძე, დ. ხახუტაიშვილი, ა. კახიძე და სხვ.) მიმართ[254]. ასეთ დამოკიდებულებას თავისი ობიექტური მიზეზები აქვს; ამ მიზეზთა შორის უპირველესი და მთავარი მაინც ის არის, რომ, როგორც ნ. ლომოური შენიშნავს, „აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, ჭოროხსა და რიონს შორის მოქცეულ ტერიტორიაზე, მეორე სებასტოპოლისის არსებობის მანიშნებელი პტოლემაიოსისეული ცნობა „მარტოდ მდგომია"[255] და იგი არ დასტურდება „გეოგრაფიული სახელმძღვანელოს" შექმნის ხანასთან ახლო მდგომი პლინიუსის ცნობებით და არც მისი თანამედროვე არიანეს „პერიპლუსშია" რაიმე მის შესახებ ნათქვამი

მეორე, არანაკლებ საგულისხმო წინაღობა ის არის, რომ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის იმ მონაკვეთში, სადაც პტოლემაიოსის აღწერილობითი რიგისა და კოორდინატების მიხედვით სებასტოპოლისია მითითებული, არ მოიძებნება რაიმე ისეთი უსახელო და უმისამართო, რამდენადმე მნიშვნელოვანი, თანადროული ძეგლი, რომლის მისადა-

---

251 ნ. ლ ო მ ო უ რ ი. ეგრისის სამეფოს ისტორია (წარმოქმნიდან ახ. წ. V საუკუნის ბოლომდე). თბ., 1968.

252 М. П. И н а д з е. Указ. соч., с. 227—263.

253 В. А. Л е к в и н а д з е. По поводу римских крепостей в Восточной Причерноморье—САНГ. 1965, т X, с. 247; Онже. Понтийский лимес.—ВДИ, 1969, №2, с. 75.

254 გ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე. ბიჭვინთის ნაქალაქარი. თბ., 1991.

255 ნ. ლ ო მ ო უ რ ი. ძველი საქართველოს საგაჭრო გზების საკითხისათვის. გვ. 109.

გება შეიძლებოდეს „გეოგრაფიული სახელმძღვანელოს“, ე. წ. მეორე სებასტოპოლისისადმი.

ჩვენი აზრით, ხსენებული ორივე წინააღმდეგობა არც ისე სერიოზული ხასიათისაა, რომ არ მოევლებოდეს და თუ უკანასკნელი ხანების ამ რიგის საკითხების კვლევა-ძიების მიღწევებს გავითვალისწინებთ და არსებული წერილობითი წყაროების ხელახალ რევიზიას ჩავატარებთ, ახალი სებასტოპოლისის კოლხეთის სამხრეთ სანაპიროზე დამკვიდრების იმედი არ უნდა გადავიწუროთ.

ბათუმსა და ფოთს შორის მოქცეული ზღვისპირა ზოლი კოლხეთის ვრცელი ქვეყანაა, სადაც, უკანასკნელი წლების განმავლობაში, მრავალი სხვადასხვა პერიოდისა და ხასიათის არქეოლოგიური ძეგლია მიკვლეული. მათ შორის, ჩვენთვის საინტერესო საკითხთან დაკავშირებით, განსაკუთრებით საყურადღებოა ციხისძირის ნაქალაქარი, რომელიც მთელ სანაპიროზე უნიკალური პუნქტია თავისი რელიეფითა და სტრატეგიული მონაცემებით (იხ. რუკა).

ქობულეთ-ციხისძირის მიკრორაიონი კოლხეთის ქვეყნის საყურადღებო უბანია. აქ, კონკრეტულ წერტილში, თავს იყრის გეოგრაფიული სამყაროს სამი მნიშვნელოვანი ტოპოგრაფიული ერთეული: ზღვა, დაბლობი და ბორცვოვანი ზოლი. აქ, მდინარეთა ხეობებით დასერილი, სამეურნეო თვალსაზრისით ნაყოფიერი, დაბალი ბორცვების ჯაჭვი, რომელიც აღმოსავლეთიდან საზღვრავს დაბლობის ვიწრო ზოლს, ციხისძირთან უშუალოდ ადგება ზღვის სანაპიროს და ბობოყვათის უბანზე არსებული ვიწრო საგზაო გასასვლელის (defile) საიმედოდ ჩამკეტ ბურჯად იქცევა.

ციხისძირის ისტორიული მნიშვნელობის კვლევის საქმეში დიდი წვლილი შეიტანა აკად. ს. ჯანაშიამ, როცა იგი პეტრას ლოკალიზაციის საკითხით იყო დაინტერესებული[256]. მან ბერძნულ-რომაული, ქართულ-სომხური წერილობითი წყაროების შესწავლის საფუძველზე, არქეოლოგიური მასალის მოშველიებით და ფოლკლორული მასალის გათვალისწინებით მეცნიერულად დაასაბუთა ციხისძირის, როგორც პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და სამხედრო-სტრატეგიული ცენტრის მნიშვნელობა[257].

---

256 ს. ჯ ა ნ ა შ ი ა. ფეოდალური რევოლუცია საქართველოში. — შრომები. I. თბ., 1949, გვ. 24—49.

257 იქვე.

ციხისძირის მრავალმხრივი მნიშვნელობა საუცხოოდ არის დახასიათებული იმერეთის სამეფოს სარდალ-სახლთუხუცესის ზურაბ წერეთლის წერილში, რომელიც მას (1784 წ.) გადაუცია პოტიომკინისათვის. იგი ურჩევს კინტრიშ-ციხისძირის ტერიტორიაზე ციხე-სიმაგრის აგებას:

„აქ აშენებული ციხე-სიმაგრის სარგებლობა შეუდარებელი იქნება, რადგანაც იმერეთისა, აფხაზეთისა, სამეგრელოსა და გურიისათვის სავსებით შეასრულებს გაუვალი ზღუდის როლს და ყველა ამ ქვეყანას მტკიცედ დაუმორჩილებს რუსეთს. ეს ადგილი ადვილად და მალე დასახლდება ანატოლიელი ბერძნებით, რადგან მას უხვად აქვს სასმელი წყალი და მრავალრიცხოვანი ლითონები, აბრეშუმი, ბამბა, ცვილი, გემთსაშენი ხე-ტყე და სხვ. აქ უკვე იყო ოდესღაც ქალაქი და არც ისე დიდი ხანია, რომ აქვე არსებობდა სოფელი და ვაჭრობა წარმოებდა. ამ ადგილის მდგომარეობა იმდენად ხელსაყრელია, რომ სამს თუ ოთხ წელიწადში ხარჯებს გაასწორებს, მთელ იმერეთში ამაზე უფრო სახეირო ადგილი არ არის. ყირიმიდან, თუ კარგი ამინდია, ხომალდები აქ ორ დღეში მოდიან. ამ ადგილს იმერლები წინათაც აქცევდნენ ყურადღებას, და მამაჩემს, სარდალ ქაიხოსრო წერეთელს, ჯერ კიდევ სოლომონ მეფის სიცოცხლეში უნდოდა ამ განზრახვის განხორციელება. თუ ეს სიმაგრე აგებული იქნა, საქართველო მაშინ თავს დააღწევს ახალციხის თავდასხმებს, რადგანაც ციხისძირი ახალციხის ზურგში იმყოფება. თუ ციხისძირში ციხე-ქალაქი დაარსდება, თურქები იძულებული შეიქმნებიან უომრად დასტოვონ ფოთის ციხე, აგრეთვე, ბათომი და ჩაქვი“[258].

უკეთესი დასაბუთება ციხისძირის ადგილის ღირსებებისა ძნელი წარმოსადგენია. ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სტრატეგიულ მონაცემებს თუ იმასაც დავუმატებთ, რომ იგი ყველაზე ნაკლებ მალარიანი პუნქტია სანაპიროზე, ე. ი. ჰავის დადებითებსაც გავითვალისწინებთ, გასაგები გახდება ადამიანის ინტერესი ამ ქვეყნისადმი, რომლის საცხოვრისად შერჩევის საწყისები ადრებრინჯაოს ხანიდან არის დადასტურებული (ესპანის, ჩაქვის ნამოსახლარები)[259].

---

258 Г. Бутков. Материялы для новой истории Кавказа. II. 1939; ს. ჯ ა ნ ა შ ი ა. დასახ. ნაშრ. გვ. 40—41.

259 ა. ი ნ ა ი შ ვ ი ლ ი. მასალები ესპაანის ძველი სამოსახლოდან, — საველეარქეოლოგიური კვლევა-ძიება 1972 წელს. თბ., 1973, გვ. 112—114; მისივე. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური ექსპედიციის 1972 წლის მუშაობის შედეგები. — სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები. IV. თბ., 1974, გვ.

თვით ციხისძირში, მის ბორცვებზე და უშუალოდ მომიჯნავე დაბლობებზე ინტენსიური ცხოვრება გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანიდან ღებს სათავეს და უწყვეტლივ ვითარდება პროგრესული ხასიათ. ვვიანი შუა საუკუნეების ჩათვლით[260].

არქეოლოგიური მასალის მიხედვით, ციხისძირი განსაკუთრებით დაწინაურებული ჩანს რომაულ და ადრებიზანტიურ ხანაში, როცა იგი პოლიტიკური, ეკონომიკური და სტრატეგიული ცენტრის ნიშნებს ატარებს[261].

ციხისძირის ხელსაყრელი სტრატეგიული მდებარეობა და აქვე ადრებიზანტიური ხანის მონუმენტური ციხის არსებობა, რომელიც საიმედოდ დარაჯობს როგორც სახმელეთო, ისე საზღვაო მაგისტრალს, გახდა იმის საფუძველი, რომ იგი გაიგივებული იქნა იუსტინიანე კეი-

---

154—170; დ. ხ ა ხ უ ტ ა ი შ ვ ი ლ ი. მასალები რკინის წარმოების ადრეული საფეხურის ისტორიისათვის ჩრდილო კოლხეთში. — სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები. IX. თბ., 1980, გვ. 28—29,

260 ა. ი ნ ა ი შ ვ ი ლ ი. მასალები ციხისძირის გორა-ნამოსახლარიდან. — საქ. სსრ მეცნ. აკად. XII სამეცნიერო სესია. თბ., 1973; მისივე. პეტრა-ციხისძირის 1962—1965 წლების არქეოლოგიური გათხრების შედეგები. — სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური ექსპედიციის 1972 წლის მუშაობის შედეგები (მოკლე ანგარიში) — სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები. IV. თბ., 1974, გვ. 154—170; დ. ხ ა ხ უ ტ ა ი შ ვ ი ლ ი. რკინის წარმოების ძველკოლხური ცენტრის არქეოლოგიური გათხრები ჩოლოქ-ოჩხომურის ხეობაში 1970 წელს. — სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები. V. თბ., 1975, გვ. 79—92; ა. კ ა ხ ი ძ ე. საქართველოს შავიზღვისპირა ქალაქები ანტიკურ ხანაში (ქობულეთი-ფიქენარი). თბ., 1971; ა. კ ა ხ ი ძ ე, ნ. ვ ა შ ა კ ი ძ ე. ფიქენარის ელინისტური ხანის სამაროვანზე 1974 წელს წარმოებული არქეოლოგიური გათხრების ძირითადი შედეგები. — სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები. VI. თბ., 1977, გვ. 25—51; თ. მ ი ქ ე ლ ა ძ ე. ძიებანი კოლხეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან. თბ., 1974; Т. М и к е л а д з е. Д. Х а х у т а и ш в и л и. Древнеколхидское поселение Намчедури. Тбилиси, 1985.

261 ნ. ხ ო შ ტ ა რ ი ა. ციხისძირი. 1962; ნ. ი ნ ა ი შ ვ ი ლ ი, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძველი ქალაქები (ციხისძირი). თბ., 1990 (ხელნაწერი); მისივე. Петра-Цихисдзири? Тбилиси, ს. ჯ ა ნ ა შ ი ა. ფეოდალური რევოლუცია საქართველოში. — შრომები, I. თბ., 1949, გვ. 24—49; ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი. ს. ჯ ა ნ ა შ ი ა. „საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე“ (რეცენზია). — მიმომხილველი, III. თბ., 1953, გვ. 291; ა. ი ნ ა ი შ ვ ი ლ ი. ციხე-ქალაქი პეტრას ნავსადგურის საკითხისათვის. — სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები. II. თბ., 1971, გვ. 74—88; მისივე. პეტრას საეპისკოპოსო კათედრის საკითხისათვის ციხისძირის გათხრების შედეგების მიხედვით. — სამხ.-დასავ. საქართველოს ძეგლები. II. 1971, გვ. 91—107.

რის მიერ ლაზიკისა და ბიზანტიის საზღვარზე აგებულ პეტრას ციხე-ქალაქთან, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ბიზანტიასა და სასანიდური ირანის (VI საუკ.) სამხედრო-პოლიტიკურ ურთიერთობაში და ლაზიკის კულტურულ-ეკონომიკურ და რელიგიურ ცხოვრებაში[262].

როგორც ზემოთ დავინახეთ, მასალის გადასინჯვამ და ახლებურად გააზრებამ მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ პეტრა ციხისძირში კი არ არის საძიებელი, არამედ ხოფაში, რომელიც ამჟამად თურქეთის ტერიტორიაზე მდებარეობს და მისი უკიდურესი ჩრდილოეთი ნავსადგურია.

ხოფა-ხუფათი კიდევ უფრო შეეფერება პროკოპი კესარიელისეულ პეტრაციხის აღწერილობას და თავისი მკაცრი, მკვეთრად გამოკვეთილი კლდოვანი რელიეფით ამართლებს თვით სახელწოდება „პეტრას", რაც ბერძნულად კლდეს ნიშნავს. იგი გეოგრაფიულადაც და პოლიტიკურადაც ისტორიული საზღვარია საქართველოსა და ბიზანტიას შორის. აქ არის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი გზათა შესაყარი და იქვეა დამოწმებული ტოპონიმი „პეტრო ღალი"[263] ანუ „კლდის ღელე". რამდენადაც პეტრას მდებარეობა ყოველთვის ფასისთან მიმართებაში განიხილება, ისიც ირკვევა, რომ პროკოპი კესარიელის მიერ აღწერილი ბიზანტია-ირანს შორის წარმოებული ომების პირველ ეტაპზე ნახსენები მდ. ფასისი რიონ-ფასისი კი არ უნდა იყოს, არამედ ფასისჭოროხია[264]. ასეთი კორექტივის შემდეგ, სავსებით გასაგები გახდა პროკოპი კესარიელის მიერ ლაზიკის აღწერისას მოცემული საზღვრების, მისი ქალაქების, დასახლებათა ინტენსივობისა თუ მეზობელ ქვეყნებთან დაკავშირებულ საკითხებში, მთელი რიგი წინააღმდეგობრივი მომენტების გაჩენის გზები, რომელიც ყოველთვის პროკოპი კესარიელის ან მისი ინფორმატორის შეცდომად იყო მიჩნეული[265]. პეტრას ახლე-

---

262 ს. ჯ ა ნ ა შ ი ა. დასახ. ნაშრ. გვ. 1—127.

263 ი. ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე. ჭანეთი (ლაზეთი). — საისტორიო გეოგრაფიის მასალები. I. ბათუმი, 1977, გვ. 60.

264 გ. გ რ ი გ ო ლ ი ა. ძველი კოლხეთის საქალაქო ცენტრების (პეტრა) ლოკალიზაციისათვის. — საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული. VII. თბ., 1989, გვ. 37—80.

265 გეორგიკა. II. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა. თბ., 1965, გვ. 97; ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი. საქართველოს ისტორიის საკითხები. VIII. 1975, გვ. 446; მისივე. ლაზიკის ისტორიული გეოგრაფიისათვის.

ბური ლოკალიზაციის საფუძველზე ნათელი გახდა, რომ პროკოპი და მისი წყარო კი არ ცდებოდა, არამედ, უმეტეს შემთხვევაში, წყაროსადმი ჩვენი არასწორი მიდგომით იყო ყოველივე ეს განპირობებული.

ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის საფუძველზე, რაზეც ნაშრომის წინა თავშია საუბარი, პეტრას ლოკალიზაცია მოხდა ხოფასთან, რის გამოც ისტორიული მისამართი შეიცვალა ციხისძირმა. უფრო სწორად, განთავისუფლდა არასწორი დატვირთვისაგან და, ვფიქრობთ, აპრიორულად სავსებით შეიძლება მისი მისადაგება პტოლემაიოსის მეორე (აფსაროს-ფასის შუა) სებასტოპოლისისადმი. თუ შეიძლება ასე ითქვას, ციხისძირი არის პირველხარისხოვანი არქეოლოგიური ძეგლი, სადაც თითქმის ყველა პერიოდია წარმოდგენილი, ბრინჯაოს ხანიდან გვიანი შუასაუკუნეების ჩათვლით.

ციხისძირის მრავალფეროვანი არქეოლოგიური ძეგლებიდან სებასტოპოლისის ლოკალიზაციის საკითხთან დაკავშირებით განსაკუთრებით საყურადღებო ჩანს ციხისძირში 1903 თუ 1901 წ. შემთხვევით აღმოჩენილი განძი, რომელიც 1907—1908 წწ. ერმიტაჟში მოხვედრილა და ამჟამადაც იქ არის დაცული[266].

განძში ამჟამად 21 დასახელების ნივთია დაცული, მაგრამ, როგორც ჩანს, უფრო ადრე, თუნდაც ერმიტაჟში მოხვედრის დროიდან მაინც, მისი შემადგენლობა რაოდენობრივად უფრო მრავალრიცხოვანი უნდა ყოფილიყო. ამას მოწმობს თუნდაც ის ფაქტი, რომ, სამუზეუმო ჩანაწერების მიხედვით, თავდაპირველად განძის კუთვნილება ყოფილა, აგრეთვე, 35 ც. ვერცხლისა და სპილენძის მონეტა, 12 მძივი და სხვ., რომელიც დღეისათვის სადღაც არის გაბნეული და მათი მოძიება ვერ ხერხდება[267].

ამჟამად განძის კოლექციაში შედის: ოქროს შესაბნევი „აგრაფი", მასში ჩასმული ბროლით, რომელზედაც ამოკვეთილია მამაკაცის გამოსახულება მკერდამდე, ოქროს ძეწკვი, ვერცხლის ლანგარი, ცენტრში გამოსახული ღმერთქალის ფიგურით, რომელსაც მარცხენა ხელში ზევით აწეული სიუხვის ყანწი უპყრია, მარჯვენაში კი საქე, ორი ოქ-

---

მასალები. თბ., 1968, გვ. 22—23; დ. მუსხელიშვილი. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები. I. თბ., 1977, გვ. 102.

[266] Б.Б. Фармаковский. Случайные находки и приобретения. Кутайсская губерния., ОАК. 1907, с. 117.

[267] ნ. ხოშტარია. ციხისძირი. თბ., 1962, გვ. 7—8; ნ. ინაიშვილი. ციხისძირის განძი. — სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები. XVII. თბ., 1987, გვ. 144.

ოს ბეჭედი გამოსახულებიანი ქვებით, ოქროს ფირფიტა, სამი ოქროს საყურე, ონიქსი ოქროს ჩარჩოში, ოქროს გულსაკიდი, მსხვილი მძივის მსგავსი ოქროს საგანი, მასში ჩასმული წითელი ქვებით, ოქროს ფირფიტა, ადამიანის თავის გამოსახულებით, ვერცხლის დიდი ლანგრის ნატეხი, რელიეფური ორნამენტით შემკული და სხვ.

განძის პირველი პუბლიკაციები ეკუთვნის ბ. ფარმაკოვსკის, რომელმაც იგი ახ. წ. II საუკ. დაათარიღა, თუმცა მაშინ ძეგლი „ბათუმის განძის“ სახელით იყო ცნობილი[268].

ამ პუბლიკაციის შემდეგ განძში შემავალ ცალკეულ ნივთებსა თუ ნივთების ჯგუფს სპეციალური ნაშრომები მიეძღვნა როგორც რუსი[269], ისე უცხოელი[270] და ქართველი სპეციალისტების მიერ და მათი წარმომაელობის, დანიშნულებისა თუ კუთვნილების შესახებ არაერთი საყურადღებო მოსაზრება გამოითქვა[271].

უფრო მოგვიანებით, აღმოჩენიდან დაახლოებით 50 წლის შემდეგ, განძი მონოგრაფიულად შეისწავლა პირველმა ქართველმა არქეოლოგმა ქალმა ნინო ხოშტარიამ, რომელმაც დაადგინა განძის წარმომაელობა ციხისძირიდან და გამოთქვა მოსაზრება, რომ „...განძი ციხისძირიდან, სავსებით შესაძლებელია, იყოს არა განძი, არამედ სამარხის ინვენტარი, რომელიც შეიცავს უფლების ნიშანსაც (აგრაფი) და აგრეთვე ბეჭედ-საბეჭდავს პორტრეტული გვმით, დაკრძალულის პირად სამკაულს, მეორე გემიან ბეჭედს, ოქროს სარტყელსა და სხვა სამკაულს, იარაღს, აქ წარმოდგენილი ხმლის ბუნიკის სახით და ვერცხლის მოოქროვილ ჭურჭელს — ლანგრებს და სასმისებს“[272].

---

268 Б. Фармаковский. Случайные находки и приобретения. Кутаисская губерния.—ОАК. за 1907 г. СПб., 1910, с. 11—118.

269 М. И. Максимова. Античные резные камни эрмитажа.—Путеводитель. по выставке. Госуд. эрмитаж. Лен., 1926. с. 100.

270 Ph. Ackerman. Sasanian Jewelry. A Survey of Persian Art. v. I, London-New-Iork, 1938, p. 773.

271 ვ. სიკინავა. ახალი ცნობები ციხისძირი-პეტრას ისტორიისათვის (ადგილის ლოკალიზაციის საკითხი). — აჭარის ასსრ კულტურის სამინისტრო. აჭარის ასსრ სახელმწიფო მუზეუმის შრომები, ტ. II. გვ. 50—52; შარგ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე. ძველი საქართველოს გლიპტიკური ძეგლების კორპუსი. I. თბ., 1969, გვ. 123—125, 137—138; В. Леквидадзе. Богатое погребение конца V в. из. Уреки.—СА. 1975, №4, с. 197.

272 ნ. ხ ო შ ტ ა რ ი ა. დასახ. ნაშრ. გვ. 26.

თითქმის ყველა მკვლევარი, ვინც კი ციხისძირის განძის შესწავლას მოჰკიდა ხელი, უმთავრესად, ოქროს აგრაფით დაინტერესდა და ძეგლის თარიღის გარკვევისას, სწორედ, ამ ნივთის ანალიზის შედეგები გამოიყენა.

პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ბ. ფარმაკოვსკი, რომელმაც, ერმიტაჟში კოლექციის შემოსვლისთანავე, აგრაფში ჩასმულ ქვაზე გამოსახული მამაკაცის პორტრეტში რომის იმპერატორი ლუციუს ვერუსი (ახ. წ. 161—169) ამოიცნო და მასალაც შესაბამისად დაათარიღა[273].

ხსენებული მოსაზრება სავსებით გაიზიარა გლიპტიკის ისეთმა ცნობილმა სპეციალისტმა, როგორიც იყო მ. მაქსიმოვა. მისი აზრით, „მთის ბროლი, ლუციუს ვერუსის გულმკერდი პირდაპირ. გამოსახულება ამოჭრილია ქვის უკანა მხარეზე სიღრმეში და შემდეგ მოოქროვილია. მოოქრულობა შემონახულია მხოლოდ ცალკე ადგილებში. ქვა შემდეგ ჩასმულია ოქროს გულსაკიდში (ანტიკური), ძალზე იშვიათი ტექნიკაა ძველი დროისა...“[274].

ხსენებულ ნივთზე ასეთივე შეხედულებისაა ა. ამირანაშვილი[275], ო. ნეველოვი[276], ნ. ინაიშვილი[277] და ყველა სხვა მკვლევარი, ვინც კი აგრაფს შეეხებია. რამდენადმე განსხვავებული აზრი გააჩნია ქართველ გლიპტიკოს მარგო ლორთქიფანიძეს, რომელიც ინტალიოზე ამოკვეთილი პორტრეტის ლუციუს ვერუსად განსაზღვრას საეჭვოდ მიიჩნევს[278].

მკვლევართა მიერ აგრაფისადმი საგანგებო ყურადღების გამახვილება სავსებით გასაგებია, რადგან მას, როგორც ძვირფასად ნაკეთებ ხელოვნების ნიმუშს, განძის დამფარიდებელი მნიშვნელობაც ენიჭება, რაც ემყარება გემაზე ამოკვეთილ ლუციუს ვერუსის პორტრეტის თარიღს.

---

273 ბ. ფ ა რ მ ა კ ო ვ ს კ ი. დასახ. ნაშრ. გვ. 117.

274 მ. მ ა ქ ს ი მ ო ვ ა. დასახ. ნაშრ. გვ. 91.

275 ნ. ხ ო ზ ტ ა რ ი ა. დასახ. ნაშრ. გვ. 9.

276 О. Я. Неверов. Античные интальи в собрании Эрмитажа. Л., 1977, №137, с. 231.

277 ნ. ი ნ ა ი შ ვ ი ლ ი. ციხისძირის განძი. — სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები. XVI. თბ., 1987, გვ. 123—128.

278 მ ა რ გ ო ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე. ძველი საქართველოს გლიპტიკური ძეგლების კორპუსი. I, თბ., 1969, გვ. 123—125.

უკანასკნელ ხანებში განძში შემავალი ყველა ნივთი, როგორც ცალკე, ისე მთლიანობაში, მონოგრაფიულად შეისწავლა ნ. ინაიშვილმა და მიუხედავად იმისა, რომ მთელი კომპლექსი ახ. წ. III საუკუნით დაათარიღა, თვით აგრაფი მაინც II საუკუნის ნაკეთობად მიიჩნია[279].

ოქროს აგრაფთან ერთად, ნ. ხოშტარიამ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო განძში შემავალ ოქროს ბეჭედ-საბეჭდავს, რომლის იასპის ქვაზე უწვერულვაშო ახალგაზრდის თავია გამოსახული (ინტალიო) პროფილში, ახალგაზრდას წამოსხმული აქვს მოსასხამი, რომლის მარჯვენა მხარეზე დამაგრებულია შესაბნევი — აგრაფი[280].

ნ. ხოშტარიას აზრით, შესაძლოა ბეჭედ-საბეჭდავზე გამოსახული ახალგაზრდა იყოს ამ მხარის „მეფე“ ან მმართველი და სწორედ მის სამარხეულ ინვენტარს შეადგენდა განძში შემავალი ნივთები. „აგრაფი ლუციუს ვერუსის პორტრეტით, სწორედ, მისი მეფობის დროს უნდა ეკუთვნოდეს და თანაც მისი აღმოსავლეთში ყოფნის დროს (162—168 წწ.), ვინაიდან საეჭვოა, რომ უფრო გვიან გაჩენილიყო ლუციუს ვერუსის პორტრეტი, ამასთან, მშვენიერ ჩარჩოში მოთავსებული. თვით ამ აგრაფის სიმდიდრე, მისი შესრულების მაღალი ოსტატობა, არ შეიძლება არ მიგვითითებდეს იმ პირის მაღალ მდგომარეობაზე, რომელიც აგრაფს ატარებდა“[281].

მართალია, ნ. ხოშტარიას ეს ვარაუდი ძალზე ჰიპოთეტურია, მაგრამ გარკვეული საფუძველი მაინც გააჩნია. თუნდაც მარტო ამ მონაპოვრითაც ჩანს, რომ ციხისძირი, უთუოდ, ამ რეგიონის ცენტრია, სადაც სავსებით შესაძლებელია ძვ. წ. პირველ საუკუნეებში ერისთავის მსგავსი მხარის მმართველიც მჯდარიყო.

ციხისძირიდან ჩრდილოეთით (25 კმ), ოზურგეთის რაიონის ადგილ ურეკში, ზღვისპირა ქვიშიან ზოლში 1942, 1948 წლებში აღმოჩენილი იქნა ახ. წ. პირველი საუკუნეების მდიდრული და რიგითი სამარხები და ნამოსახლარის ნაშთები, რომელთა ერთი ნაწილი შეისწავლა და გამოაქვეყნა აკად. ა. აფაქიძემ[282].

ურეკის მონაპოვარში შედის: ოქროს მასიური თვალბუდიანი ბეჭედი, ორი ბეჭედი, ორი სამაჯური (თვლებით შემკული), ოქროს საავგაროზე, ოქროს დაფანჯრულკედლებიანი საკიდები — 4. ც., ოქროს

---

279 ნ. ინაიშვილი. ციხისძირის განძი. გვ. 123—128.

280 ნ. ხოშტარია. დასახ. ნაშრ. გვ. 12, 26, ტაბ. VI, 1, 2, 3.

281 ნ. ხოშტარია. დასახ. ნაშრ. გვ. 28.

282 ა. აფაქიძე. გვიანანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები ურეკიდან.— საქართველოს სახ. მუზეუმის მოამბე. ტ. XIV. 1947, გვ. 89—125. ტაბ. XI, XII.

ველსაბამი, ოქროს წყვილი საყურე, ოქროს თვალბუდიანი და 16 მძივ-საკიდიანი აგრაფი, ოქროს ბალთები — 50 ც., ორი ოქროს მონეტა (ერთი კლავდიუს ტაციტუსისა (268—270 წ.), ვერცხლის ბეჭედი, ვერცხლის ფიბულისა და ილარის ნატეხები, ვერცხლის სარტყელი, ვერცხლის ხუთი მონეტა (ოთხი ადრიანე კეისრის (117—138 წწ.) სახელზეა მოჭრილი), ქარვის, გიშრის, პასტის ინკრუსტირებული მძივები და სხვ.

მასალის ანალიზისა და განსაკუთრებით, მონეტების გათვალისწინებით, ავტორი ძეგლს (სამარხს) ახ. წ. III ს. ბოლოსა და VI ს. დასაწყისი ხანით ათარიღებს[283].

ურეკის, ქობულეთ-ფიქვნარისა და ციხისძირის მდიდრული ძეგლები აშკარა მოწმობაა იმისა, რომ ახალი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში შავი ზღვის სანაპიროს აღნიშნული მონაკვეთი წარმოადგენდა მნიშვნელოვან ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ რეგიონს მაღალგანვითარებული ცხოვრებითა თუ კულტურით[284].

განხილულის გარდა, ციხისძირის ისტორიულ მნიშვნელობაზე აშკარად მეტყველებს მოსახლეობის მიერ აქ ოქროს, ვერცხლის, სპილენძის ცალკეული ნივთებისა და მონეტების აღმოჩენების ხშირი შემთხვევები. ერთ-ერთი ასეთი სპილენძის მონეტა, ანტონინე პიუსის (ახ. წ. II ს.) სახელით მოჭრილი, ინახება ბათუმის სახ. მუზეუმში[285].

საინტერესო შემთხვევითი აღმოჩენების ჯგუფს განეკუთვნება ქობულეთში ნაპოვნი, ახ. წ. პირველი საუკუნეების ოქროს მასიური თვალდი ბეჭედი, რომელიც ფორმით ძალიან უახლოვდება ციხისძირის განძში შემავალ ოქროს ბეჭდებს[286].

შემთხვევითი აღმოჩენებიდან ციხისძირის რაობის გარკვევისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა გააჩნია აკროპოლისის ბორცვის ჩრდილო-აღმოსავლეთ კალთაზე 1924 წ. ნაპოვნ, მუქი წითელი ფერის აგურს, რომლის მარცხენა ზედა კუთხეში შტამპით დატანილია ლათინური წარწერა. პირველი ცნობა აღნიშნული აგურის შესახებ გამოაქვეყნა ს. ჯანაშიამ, რომელმაც აგურის დამღაზე ამოტეიფრული წარწერა წაიკითხა როგორც VEXEA და იგი საქარხნო მარკად მიიჩნია[287].

---

283 ა. აფაქიძე. დასახ. ნაშრ. გვ. 110—111.

284 ნ. ხოშტარია. დასახ. ნაშრ. გვ. 32.

285 ნ. ხოშტარია. დასახ. ნაშრ. გვ. 28.

286 ნ. ხოშტარია. დასახ. ნაშრ. გვ. 32, ტაბ. XII, 2.

287 ს. ჯანაშია. დასახ. ნაშრ. გვ. 43; ნ. ხოშტარია. დასახ. ნაშრ. გვ. 29.

ნ. ხოშტარიამ გაიზიარა ს. ჯანაშიას მოსაზრება, რომ „წარწერაში ლაპარაკია ვექსილაციაზე და მისი პირველი სამი ასო წარმოადგენს ამ სიტყვის შემოკლებას, როგორც ეს არც ისე იშვიათად ხდება. რას უნდა ნიშნავდეს წარწერაში უკანასკნელი ორი ასო (EA), ჯერჯერობით ძნელია თქმა, შესაძლებელია, ისინი ორი სიტყვის პირველ ასოებს ან ერთი სიტყვის დასაწყისს წარმოადგენენ"[288].

ამ აღმოჩენის საფუძველზე ნ. ხოშტარიამ გამოთქვა მოსაზრება, რომ ახ. წ. პირველ საუკუნეებში ციხისძირის გვიანდელი (ახ. წ. VI ს.) ციხის ტერიტორიაზე არსებობდა ციხე, „სადაც იდგა რომაული გარნიზონი, აგური შეიძლება ეკუთვნოდა ციხის ნაწილს, რომელიც გამაგრებული იყო აღნიშნული გარნიზონის მიერ ამ მიზნისათვის დამზადებული შტამპიანი აგურით"[289], და იქვე დასძენს, რომ „სავსებით შესაძლებელია აგრეთვე, რომ იქ ყოფილიყო მმართველის რეზიდენციაც"[290].

რომაული გარნიზონების აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ყოფნისა და მათ მიერ ჩატარებულ სასიმაგრო მშენებლობებთან კავშირში, ციხისძირის დამღიანი აგური საგანგებოდ შეისწავლა ვ. ლექვინაძემ, რომელმაც, ს. ჯანაშიასა და ნ. ხოშტარიასაგან განსხვავებით, წარწერა შეასწორა და წაიკითხა როგორც VEXFA. ვ. ლექვინაძის აზრით, შავიზღვისპირეთის რომაელთა სამხედრო რაზმები წარმოადგენდნენ კაბადოკიის პროვინციაში განლაგებული ორი ლეგიონის ნაწილს, რომელთაგან ერთი იყო XII ფულმინატიდან, რომელიც იდგა მელიტენაში, ხოლო მეორე XV აპოლინარისიდან, რომლის მუდმივი სადგომი ბანაკი იყო სატალაში. ამიტომ ციხისძირის აგურის წარწერის ბოლო ორი ასო — FA — უნდა აღნიშნავდეს ამ ლეგიონების სახელების პირველ ასოებს და ასე უნდა იკითხებოდეს (legionum XII) F(ulminatae et XV) A (pollinaris)[291].

წარწერის ამგვარი წაკითხვა შემდგომში გაზიარებული იქნა ყველა მკვლევრის მიერ, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ჰავაის უნივერსიტეტის პროფ. მ. შპაიდელს, რომლის მიხედვით ციხისძირის აგური

---

288 ნ. ხ ო შ ტ ა რ ი ა. ციხისძირი. გვ. 30.

289 იქვე.

290 იქვე, გვ. 31.

291 В. А. Л е к в и н а д з е. Римский кирпич со штампом из Цихисдзири. — Сообщ. АН Груз. ССР. XLV, 3. 1967, с. 797—800; Этоже. Понтийский лимес. — ВДИ, №2, 1969, с. 87.

დამზადებული უნდა ყოფილიყო ფასისში მდგომი სამხედრო ნაწილის სახელოსნოში, ახ. წ. II საუკუნეში[292]. როგორც მკვლევრები ფიქრობენ, ამ ჰიპოთეზას სათანადო საფუძველი არ გააჩნია (გ. ლორთქიფანიძე ნ. ინაიშვილი).

XV ლეგიონის შტამპიანი სამი აგურის ფრაგმენტი აღმოჩენილია ბიჭვინთაში და დიდი რაოდენობითაა მიკვლეული კაბადოკიის სატალაში, სადაც ლეგიონის მუდმივი სადგომი არსებობდა[293].

მიუხედავად იმისა, თუ რომელი ლეგიონის სახელოსნოებშია დამზადებული ხსენებული აგური, მკვლევართა ერთობლივი აღიარებით, ახ. წ. II—III სს. ციხისძირი შედიოდა ე. წ. „პონტოს ლიმესში", სადაც იდგა რომაული გარნიზონი, რომლის მოვალეობა უნდა ყოფილიყო აფსაროსის, ფასისის, დიოსკურია-სებასტოპოლისისა და ბიჭვინთა-პიტიუნტის გარნიზონებთან ერთად, დაეცვა რომის იმპერიის შორეული მისადგომები, აელაგმა „ბარბაროსების" მეკობრეობა და უზრუნველეყო მშვიდობიანი ვაჭრობა და ზღვაოსნობა შავი ზღვის სანაპიროს გასწვრივ[294] (იხ. რუკა).

ამრიგად, როგორც მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი არქეოლოგიური აღმოჩენები მოწმობენ, უძველესი დროიდან დასახლებული ციხისძირის შემოგარენი ახ. წ. II საუკუნიდან მნიშვნელოვან სამოსახლოდ ქცეულა, სადაც, სავსებით შესაძლებელია, ამ „ქალაქის" მმართველის რეზიდენციაც ყოფილიყო. ციხისძირის ასეთ ხასიათზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ახ. წ. II ს. მეორე ნახევარში რომაელები აქ ციხე-სიმაგრეს აშენებენ, რაც, ალბათ, კიდევ ერთი რგოლი უნდა ყოფილიყო იმპერიის ჩრდილოეთი საზღვრის დამცველ სიმაგრეთა ჯაჭვში.

ახ. წ. II—III საუკუნეებში ციხისძირის ტერიტორიაზე ქალაქისა თუ მსხვილი სამოსახლოს არსებობა, სადაც რომაული ციხე-სიმა-

---

292 მ. შ ა ი დ ე ლ ი. კავკასიის საზღვარი. II საუკუნის გარნიზონები აფსაროსში, პეტრასა და ფასისში. — მაცნე (ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია). I. 1985, გვ. 138.

293 Н. Ш. К и г у р а д з е, Г. А. Л о р д к и п а н и д з е. Т. Т. Т о д у а. Клейма XV легиона из Пицундского городища.—ВДИ. 1987, №2. с. 88—92.

294 ნ. ი ნ ა ი შ ვ ი ლ ი. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძველი ქალაქები (ციხისძირი). თბ., 1990. გვ. 38—169 (ხელნაწერი); В. Л е к в и н а д з е. Указ. соч., с. 86—92; Н. Ш. К и г у р а д з е, Г. А. Л о р д к и п а н и д з е, Т. Т. Т о д у а. Указ. соч., с. 88—92.

გრეც უნდა ყოფილიყო, არქეოლოგიური მასალებით (სამარხები, მონეტები, დამღიანი აგური) დოკუმენტურად დადასტურებულია და სავსებით შესაძლოა, რომ, სწორედ ეს იყოს პტოლემაიოსის მიერ აფსაროსსა და ფასისს შორის ნაჩვენები მეორე სებასტოპოლისი.

ციხისძირ-სებასტოპოლისის გაიგივებას სერიოზულ დაბრკოლებას ვერ უქმნის პტოლემაიოსის უშუალო წინაპარი მწერლების (პლინიუსი) ცნობებში და თითქმის თანამედროვე, ფლავიუს არიანეს (134 წ.) „პერიპლუსში" მისი მოუხსენებლობა. როგორც ჩანს, ძველისა და ახალი წელთაღრიცხვის მიჯნაზე, დაარსების პირველ ეტაპზე, ციხისძირი ჯერ კიდევ არ წარმოადგენდა ისეთ მნიშვნელოვან პუნქტს, რომ ფართოდ ყოფილიყო ცნობილი და სათანადოდ ასახულიყო წერილობით წყაროებში[295]. ანდა, შესაძლოა, ეს პუნქტი სხვა, ადგილობრივი სახელით იხსენიებოდა, რომელიც, ალბათ, უფრო გავრცელებული უნდა ყოფილიყო I—II სს., ვიდრე სებასტოპოლისი.

რაც შეეხება არიანეს, უნდა ვიფიქროთ, რომ მისი საინსპექციო მოგზაურობის დროს ციხისძირში ჯერ კიდევ არ არსებობდა საფორტიფიკაციო ნაგებობა და აქ არ იყო ჩაყენებული რომაული გარნიზონი, რომელთა სამყოფ სასიმაგრო პუნქტების ბრძოლისუნარიანობის შემოწმება იყო მისი მოგზაურობის ძირითადი მიზანი. ამ ადგილების შესახებ, სადაც არიანე ჩერდება, ალბათ, პოლიტიკური და სამხედრო, ან სხვა მიზეზების გამო, ყოველთვის მართავს მსჯელობას ციხე-სიმაგრისა და ჯარის ნაწილების საბრძოლო მდგომარეობის შესახებ, კლიმატურ პირობებზე, ადგილის სახელის ეტიმოლოგიაზე და სხვ. მაშინ, როდესაც სრული დუმილით უვლის გვერდს იმ ადგილებს, სადაც იგი არ შეჩერებულა, ან იშვიათი გამონაკლისის სახით, მათი მხოლოდ სახელწოდება და მათ შორის არსებული მანძილები აქვს მოცემული[296].

მაგალითად, ტრაპეზუნტიდან აფსაროსისაკენ წამოსული არიანე, რომელიც ჩერდება ჰისოსში და ათენში და საკმაოდ დაწვრილებით აგვიწერს მათ, არაფერს ამბობს ისეთ მნიშვნელოვან ქალაქურ დასახლებათა შესახებ, როგორიც არის ე. წ. ახალი ბანაკი, რიზე და

---

295 В. В. Латышев. Известия древних писателей о Скифии и Кавказе.—ВДИ. 1949, с. 271—356.

296 ფლავიუს არიანე. მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო. თარგმანი, გამოკვლევა, კომენტარები და რუკა ნათელა კეჭაღმაძისა. თბ., 1961, გვ. 6.

კორდილა[297]. ასევე იქცევა იგი აფსაროსიდან ფასისამდე და აქედან დიოსკურია-სებასტოპოლისამდე მოგზაურობისას.

აფსაროსიდან წამოსული არიანე ბათუმის მიდამოებში მხოლოდ მდ. ბათისს ასახელებს[298], მაშინ, როცა კასტორიუსის რუკის ე. წ. TP-ს მონაცემების მიხედვით, ბათუმის შემოგარენში Portus altus, ანუ ძველი ქალაქის არსებობა იგულისხმება[299]. ბათისის შემდეგ ნახსენებია მდინარეები: აკინასე, ისისი, მოგროსი და ფასისი; ამ უკანასკნელში ჩერდება კიდეც არიანე[300].

ქ. ფასისსა და დიოსკურიას შორის არიანე ასახელებს მდინარეებს — ქარიენტის, ქობოსს, სინგამეს, ტარსურას, ჰიპოსს და ასტელეფს, როგორც წესი, იძლევა მათ შორის მანძილებს სტადიონებით და სწვა[301]. მაგრამ აქაც, ისევე როგორც სხვა შემთხვევაში, არაფერს ამბობს სოფ. გუდავაში, მდ. მდ. ოქუმისა და ერისწყლის შესართავთან მდებარე მნიშვნელოვან პუნქტზე ზიგანეოსზე, სადაც რომაული კასტელის არსებობა არქეოლოგიური მონაპოვრებით დოკუმენტურად დადასტურებულია[302]. ამდენად, არიანეს მიერ ციხისძირ-სებასტოპოლისის მოუხსენებლობა მისი აქ არსებობის უარსაყოფად არ გამოდგება.

ასევე, დასმული საკითხის საწინააღმდეგოდ არ გამოდგება ის ფაქტი, რომ შედარებით მოგვიანო ხანის რუკებზეც, ერთი შეხედვით, თითქოს, არა ჩანს მეორე სებასტოპოლისი აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში. ამ შემთხვევაში ჩვენ მხედველობაში გვაქვს ერთი საგზაო რუკის X—XI სეგმენტი, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში Tabula Peuntingeriana-ს სახელით არის ცნობილი[303]. ეს რუკა ეკუთვნის იმ სპეციალურ ნაშრომთა რიცხვს, რომლებიც ახ. წ. IV ს. ჩნდება რომში, აღმოსავლეთთან ვაჭრობის ახალ აღმავლობასთან და-

---

297 ფლავიუს არიანე. დასახ. ნაშრ. გვ. 31—34,

298 იქვე. გვ. 34.

299 ნ. ლომოური. ძველი საქართველოს სავაჭრო გზების საკითხისათვის. — ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები. ტ. IV. ნაკ. I. თბ., 1958, გვ. 105.

300 ფლავიუს არიანე. დასახ. ნაშრ. გვ. 37.

301 იქვე. გვ. 40—41.

302 В. А. Леквинадзе. Понтийский лимес с. 84—85. рис. I; Н. Ш. Кигурадзе, Г. А. Лордкипанидзе, Т. Т. Тодуа. Клеймо XV легиона из Пицундского городища, рис. I.

303 ნ. ლომოური. საქართველოს სავაჭრო გზების საკითხისათვის. — ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები. IV. ნაკ. I. 1958, გვ. 99—118.

კავშირებით[304]. დღეს სამეცნიერო ლიტერატურაში საყოველთაოდ გაზიარებულია, რომ ეს რუკა შედგენილია ახ. წ. IV ს. რომაელი გეოგრაფოსის კასტორიუსის მიერ[305].

კასტორიუსის რუკაზე დატანილია საქართველოს ტერიტორიაზე გამავალი რამდენიმე გზაც. ერთ-ერთი მათგანი იწყება ბოსფორთან, შავი ზღვის გასწვრივ და სინოპის, ამისოს, ტრაპეზუნტის, აფსაროსის, Portu altu-ს (ძველი ქალაქი), Apasidam-ის, Nigro-ს, ფასისის, ქარიეტას, ხობოსის, ზიგანეოსის, კიანესის, ტარსურას და Stempco-ს გავლით, სებასტოპოლისში ჩადის[306].

აკად. ს. ჯანაშია ნაშრომში — „ფეოდალური რევოლუცია საქართველოში“ ეხება ამ გზას და ქ. პეტრას სტრატეგიულ მნიშვნელობასთან დაკავშირებით აღნიშნავს: „მეორე მისი უდიდესი მნიშვნელობა იმაში მდგომარეობდა, რომ იგი ჰკეტავდა უმნიშვნელოვანეს გზას, რომლითაც სამხრეთიდან (ე. ი. რომის აღმოსავლეთ პროვინციებიდან, არმენიიდან, ირანის ჩრდილო-დასავლეთ პროვინციებიდან) შემოდიოდა დასავლეთ საქართველოში“[307]. როგორც ჩანს, კასტორიუსის რუკაზე, სწორედ, ეს გზაა აღნიშნული შავი ზღვის სანაპიროს გასწვრივ[308].

ამ გზას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა მას შემდეგ უნდა მისცემოდა, როცა დასავლეთ საქართველო რომისა და შემდგომ ბიზანტიის ხელქვეით ან მათი პროტექტორატის ქვეშ იმყოფებოდა, დაახლოებით I—VIII საუკუნეებში[309].

კასტორიუსის ხსენებულ რუკაზე აფსაროსის შემდეგ აღნიშნულია პუნქტი Portus altus — „ძველი ქალაქი“, ან „ღრმა ნავსადგური“, რომელიც, კ. მილერისა და ნ. ლომოურის აზრით, თანამედროვე ქ. ბათუმის ტერიტორიაზე მოდის[310]. აქედან, რუკის მიხედვით, XII რომაულ მილზე ანუ 17,814 კმ-ზე მდებარეობს პუნქტი Apasidam, რაც ემთხვევა ციხისძირის ტერიტორიას[311].

---

304 იქვე.

305 Н. В. Пигулевская. Византия на путях в Индию. М.-Л; 1951, с. 100; ნ. ლ ო მ ო უ რ ი. დასახ. ნაშრ. გვ. 100.

306 ნ. ლ ო მ ო უ რ ი. დასახ. ნაშრ. გვ. 103.

307 ს. ჯ ა ნ ა შ ი ა. შრომები. ტ. I. თბ., 1949, გვ. 36—37.

308 იქვე, გვ. 37; ნ. ლ ო მ ო უ რ ი. დასახ. ნაშრ, 104,

309 ნ. ლ ო მ ო უ რ ი. დასახ. ნაშრ. გვ. 104.

310 ნ. ლ ო მ ო უ რ ი. დასახ. ნაშრ. გვ. 105.

311 ნ. ლ ო მ ო უ რ ი. დასახ. ნაშრ. რუკ. № 2.

გამორიცხული არ არის, კასტორიუსის Apasidam ციხისძირის ადგილობრივი ძველი სახელწოდება იყოს. როგორც უკვე ითქვა, ციხისძირი უძველესი სამოსახლოა, სადაც, გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანიდან მოყოლებული, უწყვეტი ცხოვრების კვალია დადასტურებული (წინარე ანტიკური, ანტიკური და ელინისტური) ნამოსახლარებისა თუ სამაროვნების სახით. ციხისძირით დაინტერესებულ მკვლევართა ვარაუდით ანტიკურ ხანაში შესაძლოა მას რქმეოდა პითია-ფითია[312] ან მოხორა[313], შუასაუკუნეებში კი სოტერიოპოლისი[314].

ასეთივე წარმატებით შეიძლება დავუშვათ, რომ წინარეანტიკური თუ ადრეანტიკური ხანის ციხისძირის სახელი შეიძლება ყოფილიყო პანტურა ან პანტურანი. ასეთი ტოპონიმი დადასტურებულია მდ. კინტრიშის შესართავის სამხრეთით, ციხისძირის ზონაში. ს. ჯანაშია, ქ. პეტრას ლოკალიზაციაზე მსჯელობისას, შესაძლებლად მიიჩნევს „... „პეტრა“//„პანტურანის“ დაკავშირებას: ან პირველი იქნება მეორის გააზრიანება უცხოელთა მიერ, ან უკანასკნელი — ბერძნული ფორმის ადგილობრივი განვითარება“[315].

ჩვენი აზრით, „პანტურა“ პან-ძირიანი ტოპონიმია, რომლის ანალოგები ფართოდ არის გავრცელებული საქართველოს როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ ნაწილში. ასეთია: „შორაპანი“, „ალპანი“, „ისპანი“, „პანური“, „პალური“, „პანჩური“, „პანეხი“, „პანჭოლი“, „პანკისი“ და სხვა მრავალი.

ჩვენი დაკვირვებით, „პან“-ძირიანი ტოპონიმები, უპირველეს ყოვლისა, გზებთან დაკავშირებული სახელწოდებებია და ძველი გზების მიმართულების დასადგენად საუკეთესო საორიენტირო საშუალებებია.

ასეთი ვარაუდის საფუძველს გვაძლევს ხსენებული ტოპონიმების კანონზომიერი განლაგება ქვეყნის შიდა და გარე სატრანზიტო გზების გასწვრივ და მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვან ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცენტრებთან თავმოყრა.

ამის ტიპური მაგალითია შორაპანი (ზესტაფონის რ-ნი), რომელიც ინდოეთიდან მომავალ და ქ. ფასისთან დამთავრებულ საერთაშორისო

---

312 ნ. ხოშტარია. დასახ. ნაშრ. გვ. 35—36.

313 Н. Инанишвили. Петра-Цихисдзири? Тбилиси, 1991, с. 12.

314 ნ. ხოშტარია. დასახ. ნაშრ. გვ. 35.

315 ს. ჯანაშია. ფეოდალური რევოლუცია საქართველოში. — შრომები. I. თბ., 1949, გვ. 42.

მნიშვნელობის საგზაო მაგისტრალზე მდებარეობს და თავისთავადაც მნიშვნელოვანი ისტორიული პუნქტია.

შორაპანის შესახებ, როგორც მნიშვნელოვან სატრანზიტო, სავაჭრო გზაზე მდებარე პუნქტზე, ყველაზე უფრო ადრინდელი ცნობა მოეპოვება დიდ გეოგრაფოსს სტრაბონს, რომლის მიხედვით ფასისზე აღმა ცურვა შეიძლება შესართავიდან შორაპნამდე, აქ მთავრდება სანაოსნო გზა და აქედან უკვე სახმელეთო გზით გადააქვთ საქონელი მდ. მტკვრამდე[316].

ეჭვგარეშეა, რომ ეს, მართლაც, დიდმნიშვნელოვანი გზა უხსოვარი დროიდან უნდა გაკვალულიყო, მაგრამ განსაკუთრებული ეკონომიკური მნიშვნელობა, მაინცდამაინც, ძვ. წ. VI—IV სს. უნდა მოეპოვებინა[317]. „ელინისტური ხანიდან, როდესაც ვაჭრობა იღებს „მსოფლიო“ ხასიათს და სავაჭრო ურთიერთობის პროცესში ექცევა არა მხოლოდ მცირე აზია, მესოპოტამია და ეგვიპტე, არამედ შუა აზია, ინდოეთისა და ჩინეთის შორეული რაიონებიც, იქმნება ერთიანი დიდი სავაჭრო სატრანზიტო გზა ინდოეთიდან ფასისისაკენ“[318].

როგორც მკვლევრები ფიქრობენ, ეს გზა ძვ. წ. I საუკუნის მეორე ნახევრიდან ექცევა რომის სავაჭრო ინტერესების სფეროში და ახ. წ. I—III საუკუნეებში იმდენად წინაურდება ეკონომიკურად, რომ იგი ქართლის სამეფოს განაპირა საერისთავოს პოლიტიკური ცენტრი ხდება, სადაც ზის პიტიახში (ბუზმირი), რომლის უფლებამოვალეობაში, სხვა ვალდებულებებთან (ქვეყნის საზღვრების უშიშროების უზრუნველყოფა, გადასახადების შეგროვება და სხვ.) ერთად, გზაზე სიმშვიდის და მგზავრებისათვის უსაფრთხოების უზრუნველყოფაც უნდა შესულიყო[319].

ახ. წ. IV საუკუნიდან შორაპანი, როგორც ქალაქი და საერისთავოს ცენტრი, დაქვეითებას იწყებს, რაც უნდა გამოეწვია ახალი ფეოდალური ურთიერთობის ჩასახვა-განვითარების ნიადაგზე წარმოქმნილ წინააღმდეგობებს, რასაც, თავის მხრივ, მოჰყვა მონათმფლობელური

---

316 თ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი. სტრაბონის გეოგრაფია. თბ., 1957, გვ. 128.

317 ო. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე. ინდოეთიდან შავი ზღვისაკენ მიმავალი სატრანზიტო-სავაჭრო გზის შესახებ. — საქართველოს მეცნ. აკად. მოამბე, ტ. XIX. № 3. 1957, გვ. 382.

318 იქვე. გვ. 383.

319 გ. ც ქ ი ტ ი შ ვ ი ლ ი. ანტიკური ხანის შორაპნის საერისთავოს საკითხისათვის. — საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული. II. თბ., 1964, გვ. 383.

რომის დამხობა და შესაბამისად შორაპნის საერთაშორისო გზის ეკონომიკური მნიშვნელობის დაცემა[320].

შორაპანზე გამავალი გზის მნიშვნელობაზე, მისი როგორც ქალაქისა და სტრატეგიული ცენტრის აღმავლობა-დაქვეითებაზე, საგანგებოდ იმიტომ გავამახვილეთ ყურადღება, რომ, როგორც ქვემოთ დავინახავთ, თვით ტოპონიმის სემანტიკის გახსნისათვის ამ მხარეებს არსებითი მნიშვნელობა გააჩნია.

როგორც ზემოთ ითქვა, შორაპანი „პან"-ძირიან ტოპონიმთა ჯგუფს განეკუთვნება და რიონ-ყვირილა-ძირულა-ჩხერიმელას ხეობიდან აღმოსავლეთ საქართველოში მიმავალი სატრანზიტო გზის მნიშვნელობის ზრდის პროცესში უნდა გაჩენილიყო. რადგან უშუალოდ მივადექით საკითხს, უნდა პირდაპირ დავსვათ კითხვა, რას ნიშნავს შორაპანი? ანუ როგორ გვესმის ამ ტოპონიმის სემანტიკა.

ჩვენი აზრით, „შორაპანი"[321] არის კომპოზიტი, რომელიც შედგება ორი ნაწილისაგან და ასე უნდა დაიყოს — „შორა" და „პანი". ტოპონიმის პირველი ნაწილის რაობა გასაგებია; იგი ზედსართავი სახელია და აღნიშნავს რაღაც ერთი ობიექტის დიდი მანძილით დაშორებას მეორისაგან: შორა — შორი, ახლო — მახლობლად მდებარეს საწინააღმდეგოდ, ე. ი. კომპოზიტის პირველი ნაწილი „შორა" ტოპონიმ „შორაპანში" მსაზღვრელის როლს ასრულებს და მიგვითითებს, რომ, ერთი შეხედვით, გაუგებარი „პანი" სადღაც, რაღაცისაგან შორს მდებარეობს.

ტოპონიმის შედგენილობის მიხედვით, „პანი" არსებითი სახელი ჩანს. იგი დამოუკიდებელი სახით თანამედროვე ქართულ მეტყველებაში არ გვხვდება. არც ძველ ლექსიკონებშია განმარტებული, მაგრამ კომპოზიტის სახით არაერთგზის გვხვდება სხვადასხვა სიტყვაში შერწყმულ-დაკავშირებული. ამიტომ მისი რაობის გარკვევა ამ სიტყვათა სწორად დაშლასა და გამოყოფილი ყველა ნაწილის ახსნა-გააზრებას მოითხოვს.

სამაგალითოდ ავიღოთ თუნდაც თანამედროვე ქართულ მეტყველებაში ხმარებული ტერმინი „კარაპანი". ასე ეწოდება ჯარგვალის

---

320 გ. ც ქ ი ტ ი შ ვ ი ლ ი. დასახ. ნაშრ. გვ. 102—103.

321 უკვე არსებული მოსაზრების მიხედვით, შორაპანი სპარსული სახელია — „შაჰრაბან", რაც „ქვეყნის დამცველს" ნიშნავს. იხ. ვ. გ ო ი ლ ა ძ ე. შორაპნის ეტიმოლოგია. — ისტორია, საზოგადოებათმცოდნეობა, გეოგრაფია სკოლაში. 4. 1980, გვ. 38—41.

ან ფაცხის წინა, აივნისებურ ნაწილს, რომლის გადახურვა სვეტებს ეყრდნობა და სამი მხრიდან ღია ანუ უკედლოა.

საბას ლექსიკონით „კარაპანი“ სომხურია, ქართულად არდგმული ჰქვია კალოს სახლს[322]. როგორც ჩანს, ყველა შემთხვევაში, კარაპანი მსუბუქ ნაგებობას გულისხმობს, რომელსაც სიცხეში ან უამინდობაში შეიძლება თავი შეაფაროს როგორც ადამიანმა, ისე საქონელმა. აშკარაა, კარაპანი დროებითი თავშესაფარია, მიუხედავად იმისა, განცალკევებით მდგარი ნაგებობაა იგი, თუ რაიმე ძირითადი შენობის დანამატია. ამ შემთხვევაში მხოლოდ ის ირკვევა, რომ „პანი“ ნაგებობასთან დაკავშირებული ტერმინია და მის ხასიათს, კატეგორიას, თუ დანიშნულებას უსვამს ხაზს.

ჩვენი აზრით, კარაპანი სომხური კი არ არის, როგორც ეს დიდ ლექსიკოგრაფს სულხან-საბა ორბელიანს ჰგონია, არამედ სპარსული წარმომავლობის სიტყვა უნდა იყოს, რაც დამცველს (pāna) ნიშნავს[323] და მიღებულია ძირიდან pā — დაცვა, რომელსაც ემატება სუფიქსი— ana[324]. ამგვარად ნაწარმოები სპარსული სიტყვებია: Asapāna — ცხენის დამცველი, Kaupāna — საქონლის დამცველი, Kārapāna — ხალხის — ჯარის დამცველი (kara — ჯარი, ხალხი)[325] და სხვ.

როგორც ვხედავთ, ქართული კარაპანი, როგორც გარეგნულად, ისე შინაარსობრივად, სავსებით იდენტურია სპარსული სიტყვისა (karapana), რაც მისი წარმომავლობისა და მნიშვნელობის ჩვენებურ ახსნას უპირს მხარს. როგორც უკვე ითქვა, ასეთი პან-ძირიანი ტოპონიმები ფართოდ არიან გავრცელებულნი როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში და უმეტესწილად, მთავარი საგზაო მაგისტრალების გასწვრივ არიან განლაგებულნი, რაც ამ ადგილებში ოდესღაც მგზავრთა სასვენი, თავშესაფარი, ფუნდუკის ტიპის ნაგებობების არსებობაზე მიგვანიშნებენ.

ჩვენი დაკვირვებით, მნიშვნელოვანი გზების გასწვრივ განლაგებული ასეთი პანები, ჩვეულებრივ, ერთი დღის სავალი მანძილით (25—30 კმ) უნდა ყოფილიყვნენ დაცილებულნი ერთიმეორისაგან.

---

322 ს ა ბ ა-ს უ ლ ხ ა ნ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი. ქართული ლექსიკონი. თბ., 1928, გვ. 16, 162.

323 თ ე ო ჩ ხ ე ი ძ ე. ნარკვევები ირანული ონომასტიკიდან. თბ., 1984, გვ. 39,

324 იქვე. გვ. 11, 39, 78.

325 იქვე, გვ 33, 35.

გაძონაკლის შემთხვევაში, რთული ფიზიკურ-გეოგრაფიული (მთები, ეიწრო ხეობები, ჭაობები, დიდი მდინარეები) ფაქტორების გავლენით, პანებს შორის გასავლელი დღიური მანძილი შეიძლება გაზრდილიყო. ალბათ, ასეთ გამონაკლის შემთხვევაში ემატება, ჩვეულებრივ „პანს“ მსაზღვრელი „შორა“, რაც მგზავრისათვის წინასწარ აუცილებელი ინფორმაციის მიწოდების საჭიროებითაა ნაკარნახევი, თადარიგის დაჭერის მიზნით (ადრე გასვლა, ტვირთის შემსუბუქება, ჩქარი სვლა და სხვ.), მეორე პანამდე არსებული მანძილის დროულად დასაფარავად. ასე უნდა გაჩენილიყო ტოპონიმი შორაპანი.

ასეთივე, ოღონდ უკვე სამისამართო ინფორმაციის შემცველი, ჩანს სხვა შემთხვევებში არსებული კომპოზიტები: ჯა-პანი (ხის პანი), ის-პანი (ისლის პანი), პან-ეხი (კლდოვანი ფარდული) და სხვ. ამ შემთხვევაში, მგზავრი წინასწარ აცნობიერებდა, თუ რა გეოგრაფიულ გარემოში (ტყეში, ჭაობში, კლდე-ღრეში) გაივლიდა მისი მარშრუტი და როგორი ფიზიკური ნიშნების მქონე იქნებოდა მისი ღამის სათევი ნაგებობა.

ასეთი პან-ძირიანი ტოპონიმების განლაგების თვალსაჩინო მაგალითს იძლევა შორაპანიდან მომავალი საგზაო მაგისტრალი, რომელიც აჭარა-გურიის ქედის ძირობის გაყოლებით მიემართება შავი ზღვის სანაპიროსაკენ და აქედან სამხრეთით, ტრაპეზუნტისაკენ. ამ გზაზე მდებარეობს: შორაპანი, ჯაპანი (ლანჩხუთის რ-ნი), ისპაანი (ქობულეთთან), პანტურა (ციხისძირთან), პანტურა (სარფთან), პანტურა (ხოფასთან) და პანური (რიზესთან).

ეს უკანასკნელი, როგორც ჩანს, ურ სუფიქსით გაფორმებული, პან-ძირიანი ტოპონიმია და ვფიქრობთ, ასეთივე უნდა ყოფილიყო ხოფის, სარფისა და ციხისძირის პანტურა, სადაც -ტ ან გვიანდელი განვითარების შედეგია, ანდა, ტოპონიმი პანურის გარეგნული მსგავსების გამო, ხალხის მიერ იგი მცენარე პანტის სახელთან არის დაკავშირებული.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ტოპონიმ პანტურას არაფერი აქვს საერთო პეტრას სახელწოდებასთან. მაგრამ არ არის გამორიცხული TP-ის სახელით ცნობილი რუკის ზღვისპირა პუნქტებს შორის, ბათუმის (პორტუს ალტუს) შემდეგ, დაახლოებით ციხისძირის ადგილზე დასმული პუნქტის Apasidam-ის სახელწოდება პანტურა ან ო-პან-დორის შერყვნილი, უფრო კი, მისი ელინიზირებული ფორმა იყოს. ალბათ, დაახლოებით, ასე უნდა რქმეოდა ციხისძირს, ვიდრე მას სებასტოპოლისი შეერქმეოდა.

ჩვენი წინასწარული ვარაუდით ციხისძირი მრავალსახელიანი ქალაქი უნდა ყოფილიყო, ისევე როგორც ამას ვხედავთ დიოსკურია-სებასტოპოლისი-ცხუმი-სოხუმის, პეტრა-იუსტინიანე-ხოფას[326], აფსაროს-ვალენტია-გონიოს[327], რეონ-ფასისის[328], ზიგანეოს-გუდაუვასა[329] და სხვათა მაგალითზე.

რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ძველი ავტორები ასეთ შემთხვევაში, ჩვეულებრივ, უპირატესობას აძლევენ იმ სახელს, რომელიც უფრო პოპულარულია ფართო საზოგადოებაში. მაგრამ, როდესაც ერთსა და იმავე რეგიონში ორი მსგავსი სახელის მატარებელი პუნქტის დასახელება უხდებათ, გაუგებრობისა და დამატებითი განმარტებების თავიდან ასაცილებლად ცდილობენ ერთ-ერთი მათგანი განსხვავებული, ადგილობრივი სახელით მოიხსენიონ.

ამის შესანიშნავი მაგალითი მოიპოვება პროკოპი კესარიელთან, როდესაც იგი მერმეროეს ხელმძღვანელობით პეტრადან არქეოპოლისისაკენ მიმავალი სპარსეთის ჯარის მარშრუტს აგვიწერს:

„ის (მერმეროე — გ. გ.) გაბრუნდა და დაიჭირა იბერიიდან კოლხიდის ქვეყანაში გადასასვლელი ადგილები, სადაც ფაზისის გადასვლა შეიძლება ფონში, გადალახა ეს მდინარე ფეხით, გადალახა აგრეთვე მეორე მდინარეც, სახელად რეონი — არც ეს არის იქ სანაოსნო და ფასისის მარჯვენა მხარეს რომ აღმოჩნდა, წაიყვანა ჯარი ერთი ქალაქის, არქეოპოლისის, წინააღმდეგ, რომელიც არის მთავარი და უდიდესი ქალაქი ლაზების ქვეყანაში“[330]. ე. ი. პროკოპის რადგან ერთდროულად უხდება ორი ფასისის მოხსენიება (ჭოროხ-ფასისისა და რიონ-ფასისის), პირველს ფასისს უწოდებს, ხოლო მეორეს ადგილობრივი სახელით, რეონით გვაცნობს.

ჩვენი ვარაუდით, ასევე იქცევა კასტორიუსი, როდესაც აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის რუკაზე ორი სებასტოპოლისი აქვს დასატანი. ციხისძირ-სებასტოპოლისს ძველ სახელს Apasidam-ს უწოდებს, ხოლო მეორეს — დიოსკურია-სებასტოპოლისის აღსანიშნავად, სებასტო-

---

326 გ. გ რ ი გ ო ლ ი ა. ძველი კოლხეთის საქალაქო ცენტრების (პეტრა) ლოკალიზაციის საკითხები. — საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული. VII. თბ., 1989, გვ. 37—81; გეორგიკა. ტომი მეორე. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. თბ., 1934, გვ. 198.

327 В. А. Л е к в и н а д з е. Понтийский лимес, с. 82.

328 გეორგიკა. 2. გვ. 151.

329 ს. ჯ ა ნ ა შ ი ა. შრომები. VI. თბ., 1988, გვ. 176—178.

330 გეორგიკა. ტომი მეორე, 1934. გვ. 151—152.

პოლისს არჩევს. თუმცა არც ის არის გამორიცხული, რომ, ამ შემთხვევაში, კასტორიუსის რუკებზე უფრო ძველი ავტორების მონაცემებიც იყოს ასახული.

ჩვენ ვგრძნობთ, რომ ეს მოსაზრება ჰიპოტეტურია, მაგრამ გარკვეულ საფუძველს მოკლებული არ უნდა იყოს.

ციხისძირში სებასტოპოლისის ძიების თვალსაზრისით კიდევ უფრო საყურადღებოა კასტორიუსის რუკის მეორე ნაწილი, სეგმენტი XI—XII, სადაც სომხეთის ძველი დედაქალაქიდან — არტაშატიდან— ქ. სებასტოპოლისისაკენ მიმავალი საგზაო მარშრუტია დატანილი[331]. ი. მანანდიანისა და ს. ერემიანის მიხედვით, ეს გზა ქალაქ არტაშატიდან ჩრდილოეთისაკენ, ქ. ერევნის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე პატარა ქალაქ არტარაკზე გავლით აღწევდა მდ. აბარანის ხეობას, დაახლოებით სოფ. კაშაბარანთან უხვევდა დასავლეთით, გაივლიდა სოფ. კონდაქსესზე (Condeso), შემდეგ, სოფ. კულიჯანზე (Misium) და აქედან ჩრდილოეთისკენ მიემართებოდა, ვიდრე ფარვანის ტბამდე, რომელსაც აღწევდა მის სამხრეთ კიდეზე მდებარე სოფ. პოგასთან (Pagas). აქედან, აბულის მთასთან (Apulum) გავლით, ჩადიოდა ახალქალაქის მახლობლად მდებარე სოფ. ხოსპიაში (Caspia). ეს უკანასკნელი რუკაზე აღნიშნულია ქალაქის მაჩვენებელი ნიშნით (ორი კოშკი). ხოსპიას ასეთი აღნიშვნა, ს. ერემიანის აზრით, გამოწვეული იყო იმით, რომ მის გვერდით მდებარეობდა ძველი ქართული ქალაქი წუნდა, რომელიც, ლეონტი მროველის ცნობით, უძველეს დროშია დაარსებული[332] და პტოლემაიოსსაც აქვს მოხსენიებული ოდნავ შეყვნილი ფორმით[333].

ამ ქალაქის შემდეგ, რუკაზე აღნიშნულია სადგური Ad mercurium. ამ სახელს აკად. ი. მანანდიანი ასწორებს Ad metcuri-ად, რაც მდ. მტკვართან მდებარეს ნიშნავს და პუნქტს ათავსებს ქ. ახალციხესთან. ნ. ლომოურის აზრით, ეს კონიექტურა ცოტა საეჭვო ჩანს, ძველ ბერძნულ-რომაულ წყაროებში მდ. მტკვარი ყოველთვის კირო-

---

331 Я. А. Манандян. О торговле и городах Армении. Ереван. 1954, с. 153—159; С. Еремян. Торговые пути Армении в эпоху сасанидов.— ВДИ. I, 1939, с. 90—97; ნ. ლ ო მ ო ურ ი. საქართველოს სავაჭრო გზების საკითხისათვის. გვ. 107—111.

332 ქართლის ცხოვრება. ანა დედოფლისეული ნუსხა. დასაბეჭდად მოამზადა ფილოლოგიის განყოფილებამ სიმონ ყაუხჩიშვილის რედაქციით, თბ., 1942, გვ. 6; ნ. ლ ო მ ო ურ ი, დასახ. ნაშრ. გვ. 107.

333 С. Еремян. Указ. соч., с. 92.

სის ფორმით არის მოხსენიებული[334]. თვით კასტორიუსის რუკაზედაც ეს ფორმაა შემონახული. ნ. ლომოურის მიხედვით, ეს სადგური ზეკარის ანუ „რკინის ჯვრის“ უღელტეხილის ახლოს უნდა მდებარეობდეს, რადგან ძნელი წარმოსადგენია, რომ ავტორს არ მოეხდინა ამ უღელტეხილის ფიქსაცია. ნ. ლომოურის აზრით, Ad mercurium აწინდელი აბასთუმნის რაიონზე უნდა მიუთითებდეს და შესაძლოა, ქ. ოძრხეს ან ქართული წყაროების „ციხის ჯვარს“ აღნიშნავდეს, რომლებიც, როგორც ეს „ისტორიანი და აზმანის“ ავტორის გადმოცემიდან ჩანს, ზეკარის გადაღმა უღელტეხილის უახლოესი პუნქტები იყო. ამასთან, ოძრხე, ლეონტის ცნობით, ქართლის ყველაზე უძველეს ქალაქთა რიცხვში ითვლებოდა[335]. ნ. ლომოურის აზრით, ძნელი წარმოსადგენია, რუკის შემდგენელს ის არ აღენიშნა იმ გზაზე, რომელიც, თუ უშუალოდ ოძრხეზე არა, მის სიახლოვეს მაინც გაივლიდა. ცხადია, ეს ძალზე ჰიპოტეტური მოსაზრებაა და შემდგომ დაკვირვებასა და შესწავლას მოითხოვს[336].

Ad mercurium-იდან გზა, უკვე ზეკარზე გადავლით, დას. საქართველოში შედიოდა და მდ. მდ. კერშევეთასა და ხანის-წყლის ხეობით რიონამდე აღწევდა, როგორც ჩანს, ძველი როდოპილისის ანუ ვარდციხის ახლოს, სადაც უნდა ყოფილიყო სადგური Ad fonten felicem[337]. ამ უკანასკნელის მომდევნო პუნქტი უკვე სებასტოპოლისია.

ამთავითვე უნდა ითქვას, რომ მაგისტრალის ძირითადი მიმართულების შესახებ თითქმის თანხმობა არსებობს მკვლევართა შორის (ნ. ლომოური, ა. მანანდიანი, ს. ერემიანი), თუ მხედველობაში არ მივიღებთ აზრთა მცირე სხვაობებს გზის უმნიშვნელო მონაკვეთებზე. ასეთი მდგომარეობაა მაგისტრალის მიმართულებაზე არტაშატიდან ვარდციხემდე, უკანასკნელ ეტაპზე კი მეცნიერთა შეხედულებები არსებითად განსხვავდებიან ერთიმეორისაგან. ასე მაგალითად, ჯერ კიდევ კონრად მილერი ფიქრობდა, რომ Ad fonten felicem-იდან 60 რომაულ მილზე (დაახლ. თანამედროვე 90 კმ) დაცილებული უკანას-

---

334 ნ. ლ ო მ ო უ რ ი. დასახ. ნაშრ. გვ. 108.

335 ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი. აკად. კ. კეკელიძის რედაქციით. თბ., 1941. გვ. 437; ნ. ლ ო მ ო უ რ ი. იქვე; ქართლის ცხოვრება. გვ. 9 და 17.

336 ნ. ლ ო მ ო უ რ ი. ძველი საქართველოს სავაჭრო გზების საკითხისათვის, გვ. 108.

337 ი. მ ა ნ ა ნ დ ი ა ნ ი. დასახ. ნაშრ. გვ. 131; ს. ე რ ე მ ი ა ნ ი. დასახ. ნაშრ. გვ. 92; ნ. ლ ო მ ო უ რ ი. იქვე.

კნელი პუნქტი სებასტოპოლისი-დიოსკურია-სებასტოპოლისი უნდა ყოფილიყო[338].

ამ შეხედულებას არ იზიარებს აკად. ი. მანანდიანი, რომელმაც წამოაყენა მოსაზრება, რომ ამ შემთხვევაში სებასტოპოლის-დიოსკურია კი არ იგულისხმება, არამედ რიონის შესართავთან მდებარე, ანტიკურ სამყაროში საყოველთაოდ ცნობილი ქალაქი ფასისი[339]. ი. მანანდიანის ასეთი შეხედულების უმთავრესი საფუძველია Ad fonten felicem-ისა (ვარდციხე) და დიოსკურია-სებასტოპოლს შორის რეალურად არსებული მანძილი, რომელიც თითქმის ორჯერ აღემატება TP-ზე ნაჩვენებ მანძილს (60m—90 კმ).

მოგვიანებით, ი. მანანდიანის აზრი სავსებით გაიზიარა პროფ. ს. ერემიანმა, რომელიც, ჰ. კიპერტზე დაყრდნობით, დასძენს, რომ ფასისი ტრაიანეს დროიდან (98—117 წწ.) სებასტოპოლისად იწოდებოდა[340].

ჰ. კიპერტს, მართლაც, მოეპოვება ასეთი ცნობა, მაგრამ რამდენადაც მის ნაშრომში სათანადო წყარო არ არის მითითებული, ნ. ლომოური ვარაუდობს, რომ იგი პტოლემაიოსის ხსენებული ცნობის გავლენით უნდა იყოს შექმნილი[341]. როგორც სწორად შენიშნავს ნ. ლომოური, კასტორიუსი კარგად იცნობს ქ. ფასისს და სებასტოპოლისს, ასხვავებს მათ ერთმანეთისაგან და, ამდენად, მათი აღრევა გამორიცხულია[342].

ნ. ლომოური, ისევე როგორც მილერი, ფიქრობს, რომ არტაშატიდან მომავალი გზა დიოსკურია-სებასტოპოლისში უნდა მთავრდებოდეს, მაგრამ ვარდციხედან ფასისისაკენ კი არ უნდა უხვევდეს, როგორც ამას ი. მანანდიანი და ს. ერემიანი ვარაუდობენ, არამედ ციხე-გოჯის გავლით ბორცვოვან ზოლს უნდა გაჰყოლოდა[343].

ამდენად, ნ. ლომოურის აზრით, არტაშატ-სებასტოპოლის მაგისტრალის ეს მონაკვეთი უნდა ემთხვეოდეს ისტორიულად არსებულ გზას, რომელიც, ჯუანშერის ჩვენებით, განვლო მურვან ყრუმ: „და

---

[338] Itineraria Romana, Römische Reiswege an der Hand der Tabula Peutingeriana, dargestellt von Konrad Miller. Stuttgardt, 1916. 653—654.

[339] Я. А. Манандян. О торговле и городах..., с. 134.

[340] С. Еремян. Торговые пути Армении..., с. 90—97; N. Kiepert. Lehrbuch d. alten geographie. Berlin. 1878. s. 88.

[341] ნ. ლომოური. ძველი საქართველოს სავაჭრო გზები. გვ. 108—109.

[342] იქვე.

[343] იქვე.

შემუსრნა ყოველნი ქალაქნი და სიმაგრენი ქუეყანისა ეგრისისანიცა. და ციხე იგი სამზღუდე, რომელ არს ციხე გოჯი, შემუსრა და შევლო ზღუდე, საზღვარი კლისორისა..., რომელი მას ჟამსა იყო საზღვარი საბერძნეთისა და საქართველოსა, და შემუსრა ქალაქი აფხაზეთისა და აფშილეთისა ცხუმი"[344]. თავისთავად საყურადღებო ამ ვარაუდს რამდენიმე არსებითი ხასიათის წინაღობა გააჩნია, რაც საეჭვოს ხდის ვარდციხე-სოხუმის დაკავშირების შესაძლებლობას.

როგორც ზემოთ დავინახეთ, ერთ-ერთი ასეთი წინააღმდეგობაა TP-ზე მოცემული (90 კმ.) და სოხუმსა და ვარდციხეს შორის რეალურად არსებული (160—170 კმ.) მანძილების შეუსაბამობა. მართალია, როგორც ნ. ლომოური შენიშნავს, მანძილების დარღვევის შემთხვევები სხვა პუნქტებს შორისაც შეინიშნება, მაგრამ სხვაობა აქ ისეთი მნიშვნელოვანი არ არის და, ამდენად, ეს უკანასკნელი ანგარიშგასაწევია.

გარდა ამისა, ნ. ლომოურის შემოთავაზებულ ვარიანტში მაგისტრალს ვარდციხიდან სოხუმისაკენ უნდა გაევლო ციხე-გოჯზე, ანუ არქეოპოლის-ნოქალაქევზე, რომელიც ამ დროისათვის ლაზიკა-ეგრისის სამეფოს დედაქალაქადაა მიჩნეული[345] და IV საუკუნეში, ე. ი. ეგრის-ლაზიკის სამეფოს ძლიერების ხანაში, აყვავების ზენიტში უნდა ყოფილიყო[346].

ამდენად, ძნელი წარმოსადგენია კასტორიუსს იგი გამორჩენოდა და არ მოეხსენებინა რაიმე სახელით (არქეოპოლისი) და არ აღენიშნა შესაბამისი პირობითი ნიშნით, როგორიც არის კარიბჭით შეერთებული ორი კოშკი (დედაქალაქი), ან უბრალოდ ორი კოშკი (ქალაქი). ნოქალაქევს გარდა, ამ გზაზე კიდევ არაერთი თანადროული ძეგლია დადასტურებული, გარკვეული შუალედური განლაგებით, მაგრამ, როგორც ვხედავთ, ვერც მათ პოვეს ასახვა ხსენებულ რუკაზე. ამ მიმართულებითაც, ვარდციხის შემდეგ, სებასტოპოლისი ერთადერთი და უკანასკნელი პუნქტია.

---

344 ქართლის ცხოვრება. გვ. 149.

345 ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. წ. I. 1951, გვ. 256; ს. ჯანაშია. შრომები. ტ. I. გვ. 57; ს. ყაუხჩიშვილი. ლექციები ბიზანტიის ისტორიიდან. წ. II. 1948, გვ. 189—190; ნ. ლომოური. ეგრისის სამეფოს ისტორია. თბ., 1968, გვ. 66—71.

346 ნ. ლომოური. ნოქალაქევი-არქეოპოლისი-ციხეგოჯი. — ნოქალაქევი-არქეოპოლისი. 1973—1977. თბ., 1981, გვ. 33—34, 41.

როგორც უკვე ითქვა. ი. მანანდიანის აზრით, სამდინარო თუ სახმელეთო გზა ზღვის სანაპიროზე ქ. ფასისთან უნდა გასულიყო, რაც ასევე გამორიცხულია, რადგან ამ შემთხვევაშიც შეუძლებელია ქალაქისა თუ ციხე-სიმაგრის სახით რუკაზე ფასისი არ ყოფილიყო აღნიშნული.

არის კიდევ ერთი შესაძლო ვარიანტი, როდესაც საგზაო მაგისტრალს ფასისისა და არქეოპოლის-ნოქალაქევის გვერდის ავლით შეეძლო მიეღწია დიოსკურია-სებასტოპოლისამდე, მაგრამ მას უცილობლად უნდა გაევლო კუტაია-ქუთათის-ქუთაისი, ხონი და სოფ. ნოღასთან, ცხენისწყლის ფონზე გასვლის შემდეგ, სოფ. დიდღვაბუნასთან დაკავშირებოდა ე. წ. „ზემო სამეგრელოს“ გზას.

ზემო სამეგრელოს გზა არის უმოკლესი მაგისტრალი, რომელიც მდ. ცხენისწყლის ხეობას მდ. ენგურის ხეობის შუა წელთან აკავშირებს.

ამ გზაზე მდებარეობენ ისტორიული სოფლები: დიდღვაბუნა, ინჩხურა (სალხინო), გაჭედილი, დოშაყე, ტალერი, კურზუ, ნაფიჩხოუ, ჯაია, მუხური, ჯგალი, კუხეში, ლია და პალური, სადაც არაერთი ბრწყინვალე ისტორიული ძეგლია დადასტურებული: წარმართული სალოცავის, ქრისტიანული ეკლესიის, ციხე-სიმაგრის, ნახიდარის, ნაგზაურის მეტალურგიული სადნობ-სახელოსნოსა და სხვათა სახით.

ამჟამად კოლხეთში არც ერთი სხვა კუთხე არ გვეგულება, სადაც ასე რელიეფურად იყოს გამოკვეთილი ძველი გზის ნაკვალევი. მარტო ის რად ღირს, რომ ყოველ სოფელში გვხვდება საოცარი კანონზომიერებით განლაგებული პანძირიანი ტოპონიმები, რაც გზაზე არსებული სასვენებისა და თავშესაფარი ფუნდუკების არსებობაზე მიგვანიშნებენ. მათ გვერდით კი არსებობენ ნაგზაური მონაკვეთები, მათი სიძველის აღმნიშვნელი საინტერესო სახელწოდებებით: „პომპეაშ შარა“ (პომპეუსის გზა), „ერასტოს შარა“ (იუსტინესა თუ იუსტინიანეს? გზა), „დადიაშ შარა“ (დადიანის გზა), „ჯვეში შარა“ (ძველი გზა), „გოლა შარა“ (მთის გზა) და ა. შ.[347].

ცხენისწყალსა და ენგურს შორის არსებული ძველი საგზაო მაგისტრალის მნიშვნელობას კიდევ უფრო ზრდის ის ფაქტი, რომ ამ

---

347 მთხრობელები პომპეას (პომპეუსს?) და ერასტოს (იუსტინიანეს) ბერძნების ჯარის მთავარსარდლებად თვლიან, რომლებიც სამეგრელოს დასხმიან თავზე და ამ გზაზე გაუვლიათ. იხ. გ. ელიავა, გ. ფარულავა, გ. შენგელია; ჩხოროწყუს რაიონის ტოპონიმიკის კატალოგი. თბ., 1983, გვ. 59—106; გ. ელიავა. აბაშისა და გეგეჭკორის რაიონების ტოპონიმიკა. თბ., 1977, გვ. 59—146.

გზაზე, მის დასაწყისში, ცხენისწყლის მარჯვენა ნაპირზე, სოფ. დიდ-ღვაბუნასთან არსებობს მასშტაბური ციხის ნანგრევები, რომელსაც მკვლევართა ერთი ნაწილი ადრებიზანტიური ხანის, დიდი სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე ციხე-სიმაგრის, უქიმერიონის ნაშთად მიიჩნევს[348].

ეს ციხე დგას ორი მთავარი საგზაო მაგისტრალის გადაკვეთის წერტილში, რომელთაგან ერთ-ერთი ლაზიკეს ბარს სკვიმნია-სვანეთთან აკავშირებდა[349], ხოლო მეორეთი ქუთაის-მოხირისის ქვეყანას შიდა ეგრისის აღმოსავლეთ კიდეზე გამავალი, ე. წ. „ზედა სამეგრელოს გზით“, აფშილეთსა და მისიმიანეთს უკავშირდებოდა[350].

მდ. ენგურზე პალურ-ფახულანის ფონით გადასვლის შემდეგ, ხსენებული საგზაო მაგისტრალი გაივლიდა ნოჯიხევს, ღუმურიშს, ჩხორთოლს, ნოჯიხევს, ბედიას, სოფ. ნეასთან გადაკვეთდა კოდორს და წიბილა-წებელდასთან უნდა შეერთებოდა მთავარ საგზაო მაგისტრალს, რომელიც „საავფხაზო გზის“ სახელით არის ნობილი და ზღვის სანაპიროს მარუხის უღელტეხილით ჩრდილოეთ კავკასიასთან აკავშირებს[351].

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, აშკარაა, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ხსენებულ მაგისტრალს ადრებიზანტიურ ხანაში და ალბათ, ბევრად უფრო ადრეც, რის გამოც საკმაოდ ბუნებრივი იქნებოდა TP რუკაზე ასახული სებასტოპოლისაკენ მიმავალი სახმელეთო გზის მონაკვეთი მას დამთხვეოდა. მაგრამ ეს რომ ასე არ უნდა იყოს, ამას, პირველ რიგში, ისევ ის მოწმობს, რომ მანძილი ვარდციხიდან სოხუმამდე 200 კმ-ს აღემატება, მეორე მხრივ, რუკაზე ასევე არ არის ასახული ქ. ქუთაისი, სადაც უკანასკნელ წლებში ჩატა-

---

348 ი. სიხარულიძე. „უხეიმერიონის“ ადგილმდებარეობის საკითხისათვის, წულუკიძის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესიის მასალები. II. წულუკიძე, 1968; დ. მუსხელიშვილი. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები. I. თბ., 1977, გვ. 116—117.

349 დ. მუსხელიშვილი. დასახ. ნაშრ. გვ. 117.

350 გ. გრიგოლია. ეგრის-ლაზიკის სამეფოს უმთავრესი საგზაო არტერიები. თბ., 1984, გვ. 165.

351 ს. ჯანაშია. შრომები. VI. 1988, გვ. 283; დ. მუსხელიშვილი. დასახ. ნაშრ. გვ. 118.

რებული ფართო მასშტაბის გათხრითი სამუშაოების საფუძველზე, ახ. წ. IV—VI სს. ქალაქის მონუმენტური ნაშთებია აღმოჩენილი[352].

ასევე, რუკაზე ადგილი ვერ მოენახა წებელდას, რომელიც, როგორც არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მასალები მოწმობენ, სწორედ, რუკის შექმნის თანადროული, მნიშვნელოვანი ეკონომიკური და პოლიტიკური ცენტრი უნდა ყოფილიყო[353].

ყოველივე აქედან გამომდინარე, უდავოა, რომ კასტორიუსს რუკის შექმნისას არც ეს საგზაო მაგისტრალი უნდა ჰქონოდა მხედველობაში.

ამრიგად, გამორიცხვის მეთოდის გამოყენებით, ვარდციხიდან გამოსული საგზაო მაგისტრალის დასადგენად გვრჩება ერთადერთი დასავლეთის მიმართულება, სადაც გურია-აჭარის ქედის ძირობაზე გაშავალი გზა ციხისძირთან უნდა გასულიყო ზღვის სანაპიროზე და აქედან სამხრეთით ბიზანტიონის მიმართულებით უნდა აეღო გეზი. ინტერესს არ არის მოკლებული, რომ სწორედ ამ მიმართულებით, ყოველ შემთხვევაში, მდ. რიონ-ფასისის მარცხენა ნაპირზე, რამდენადმე სამხრეთით არქანჯელო ლამბერტი, ძველად, ქ. სებასტოპოლისის არსებობაზე მიუთითებს, რომელიც ფრანგული გამოცემის რუკაზეც ჰქონია დატანილი ფოთის ქვემოთ (სამხრეთით)[354].

არქანჯელო ლამბერტის სიტყვით, ფასისის შესართავთან არსებობდა ქ. სებასტოპოლისი, რომელიც მის დროს წყლის ქვეშ ყოფილა მოქცეული[355].

ს. ჯანაშიას აზრით, ეს სებასტოპოლისი არქანჯელო ლამბერტს მოქვისა და მარმარის სებასტოპოლისთან უნდა ჰქონდეს არეული[356]. ნ. ლომოურის ვარაუდით კი, არქანჯელო ლამბერტს სებასტოპოლისის

---

352 ო. ლანჩავა. ქუთაისი წინაფეოდალურ ხანაში (ისტორიულ-არქეოლოგიური გამოკვლევა). თბ., 1975, გვ. 167 (ხელნაწერი).

353 Ю. Воронов. Тайна Цебельдинской долины. М., 1975; Ю. Воронов, О. Бгажба. Материалы по археологии Цебельды (Итоги исследований Цибилиума в 1978—1982 г. г.). Тбилисы, 1985; Ю. Воронов, В. Юшин. Новые памятники Цебельдинской культуры в Абхазии.—СА-1973, №1, с. 171—191

354 ს. ჯანაშია. შრომები. VI. თბ., 1988, გვ. 281.

355 ნ. ლომოური. კლავდიოს პტოლემაიოსი. „გეოგრაფიული სახელმძღვანელო“. გვ. 51.

356 ს. ჯანაშია. დასახ. ნაშრ., გვ. 281—283.

ლოკალიზაციის ხსენებული ვარიანტი პტოლემაიოსის გეოგრაფიული სახელმძღვანელოდან უნდა ჰქონდეს აღებული[357].

ჩვენი აზრით, არქანჯელო ლამბერტის ხსენებული ცნობის ახსნა დაუმსახურებლად არის გამარტივებული და ფაქტიურად უარყოფილია.

განა რატომ უნდა გამოირიცხოს იმის შესაძლებლობა, რომ არქანჯელო ლამბერტის კოლხეთში მოღვაწეობის დროს ხალხის მეხსიერებაში ჯერ კიდევ იყო შემორჩენილი ცნობა, სადღაც რიონის სამხრეთით ქ. სებასტოპოლისის არსებობის შესახებ, ისევე როგორც უნდა ეარსება და დღესაც არსებობს ლეგენდა დიდი ქალაქის (ფასისის) პალიასტომის ტბაში დაძირვის შესახებ[358], რომელსაც სავსებით რეალური საფუძველი გააჩნია[359].

საფიქრებელია, რომ სწორედ ასეთი რეალური საფუძველის მქონე ორი ლეგენდის შეერთების შედეგად უნდა იყოს მიღებული არქანჯელო ლამბერტის ცნობა რიონის სამხრეთით დაძირული ქალაქის არსებობის შესახებ.

უთუოდ საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ TP-ის რუკაზე ასახული საგზაო მარშრუტის ბოლო მონაკვეთი სწორედ, რიონის სამხრეთი რაიონებისაკენ მიემართება.

როგორც სწორად არის აღნიშნული, კასტორიუსის რუკის დანიშნულება იმთავითვე უნდა ყოფილიყო ვაჭრებისა და მოგზაურთათვის გზების მიმართულებისა და ცალკეულ პუნქტებს შორის მანძილების ჩვენება[360]. როგორც წესი, ყოველგვარი გეოგრაფიული რუკისათვის და განსაკუთრებით, საგზაო რუკისათვის უპირველესი ამოცანაა ცალკეული ობიექტების ადგილმდებარეობის გარკვევა, ურთიერთმიმართების ჩვენება ქვეყნის მხარეების მიხედვით და შესაბამისად, საგზაო მაგისტრალების საერთო მიმართულების დადგენა კარტოგრაფიული ხერხებით.

---

357 ნ. ლ ო მ ო უ რ ი. ძველი საქართველოს სავაჭრო გზების საკითხისათვის. გვ. 108—109.

458 გ. გ რ ი გ ო ლ ი ა. ქალაქ ფასისის ლოკალიზაციისათვის. — სამეცნიერო სესია, მიძღვნილი ქალაქ ფასისის ლოკალიზაციის პრობლემებისათვის. თბ., 1973, გვ. 54—55.

359 ჭ. ჯ ა ნ ე ლ ი ძ ე. ფასისის ლოკალიზაციის გეოგრაფიული ასპექტი. — სამეცნ. სესია, მიძღვნილი ქ. ფასისის ლოკალიზაციის პრობლემისადმი. თბ., 1973, გვ. 5—16; გ. გ რ ი გ ო ლ ი ა. დასახ. ნაშრ., გვ. 36—45.

360 ნ. ლ ო მ ო უ რ ი. დასახ. ნაშრ. გვ. 100.

რა ხასიათისაც არ უნდა იყოს რუკა და როგორი ავტორიტეტითაც არ უნდა სარგებლობდეს მისი ავტორი, არავითარ შემთხვევაში არ ეპატიება მას მიმართულებათა აღრევა და თუკი ასეთი რამ მოხდა, რუკა იქნება თუ სხვა დოკუმენტი, დაკარგავს თავის უპირველეს და უმთავრეს მნიშვნელობას.

მართალია, კასტორიუსის რუკა, პუნქტების სიგრძივად დატანის მეთოდით, გარეგნულად განსხვავდება იმ დროისათვის ცნობილი მსოფლიო რუკებისაგან (მაგალითად: ერატოსთენეს, პტოლემაიოსის და სხვა რომაული რუკებისაგან), მაგრამ გზათა მიმართულება არსებითად, სწორად არის გადმოცემული და ამ მხრივ აქ საკანგაშო არაფერია[361].

როგორც უკვე ითქვა, კასტორიუსის რუკის მიხედვით, არტაშატ-სებასტოპოლისის მაგისტრალი არტაშატიდან მოკიდებული ჩრდილო-დასავლეთისაკენ მიემართება და მიაღწევს რა Ad fonten felicem-ს (ვარდციხეს), მკვეთრად იხრება დასავლეთისაკენ და რამდენადმე სამხრეთ-დასავლეთისაკენაც კი. ყოველ შემთხვევაში, გზა ჩრდილო-დასავლეთით აღარ გრძელდება, სადაც დიოსკურია-სებასტოპოლისი მდებარეობს. ამდენად, ესეც TP-ს რუკის სებასტოპოლისისა და დიოსკურია-სებასტოპოლის გაიგივების საწინააღმდეგოდ მეტყველი კიდევ ერთი ფაქტია.

კასტორიუსის რუკის ჩვენთვის საინტერესო მაგისტრალის უკანასკნელი მონაკვეთის მიმართულების გათვალისწინებით ქალაქი სებასტოპოლისი საძიებელია ვარდციხიდან დასავლეთით დაახლოებით 90 კმ მანძილზე, როგორც ეს რუკაზეა ნაჩვენები.

ვარდციხიდან დასავლეთით, ე. ი. ჩვენთვის ამჟამად საინტერესო მიმართულებით, არსებობს სამეცნიერო ლიტერატურაში პეტრას სახელით ცნობილი ციხისძირი (იხ. რუკა).

ციხისძირი ვარდციხიდან დასავლეთით მდებარეობს, მისგან დაახლოებით 90 კმ მანძილზეა დაშორებული და ამ მხრივ სავსებით აკმაყოფილებს არტაშატ-სებასტოპოლისის მაგისტრალის ბოლო მონაკვეთის ამ მოთხოვნასაც. თუ ხსენებული მარშრუტის ჩვენებური გაგება სწორია, მაშინ მისი უკანასკნელი პუნქტი სებასტოპოლისი ციხისძირი უნდა იყოს, რაც პტოლემაიოსის რუკის მიხედვითაც ივარაუდება.

არტაშატ-სებასტოპოლისის მაგისტრალი სწორედ ციხისძირთან უნდა შეხვედროდა შავიზღვისპირეთის გასწვრივ გამავალ გზას, რო-

---

361 ნ. ლ ო მ ო უ რ ი. დასახ. ნაშრ. გვ. 100.

მელიც რომის აღმოსავლეთ პროვინციებს დასავლეთ საქართველოსთან აკავშირებდა.

ამრიგად, ციხისძირი ძალზე მნიშვნელოვანი, ძველი გზების შესაყართან მდებარე პუნქტი ჩანს და მის ხელსაყრელ რელიეფურ მონაცემებთან ერთად, ეს უკანასკნელიც განმსაზღვრელი ფაქტორი უნდა ყოფილიყო ადრიდანვე მისი ეკონომიკური და პოლიტიკური აღზევებისა.

ახ. წ. IV—V სს. ციხისძირში ქალაქის არსებობის დამადასტურებელი მატერიალური კულტურის ნაშთები მრავლად არის გამოვლენილი არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად[362], როგორც უშუალოდ ნაციხარის ტერიტორიაზე, ისე ზღვისპირა დაბლობში, ბობოყვათის უბანში[363], რაზეც ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი.

უშუალოდ ციხეზე გამოვლენილი ძეგლებიდან განსაკუთრებით საყურადღებოა სამხრეთ ბორცვზე, კოშკის ნანგრევებთან და კარიბჭის უბანში შესწავლილი IV—VI საუკუნეების კულტურული ფენები, ჩრდილო ბორცვის თხემზე გათხრილი, V საუკუნით დათარიღებული, თლილი ქვით ნაგები ხუთწახნაგა აფსიდიანი და სვეტებიანი სამნავიანი ბაზილიკა, რომლის ქვეშ შედის კიდევ უფრო ადრინდელი ტაძრის კედლები[364], ხუთგანყოფილებიანი აბანო[365], ქარვასლის ნაშთი[366], V ს. ამფორები და 1962 წ. სამნავიანი ბაზილიკის სამხრეთ კედელთან აღმოჩენილი იმპერატორ იუსტინესა თუ ანასტასის მონეტა[367] და სხვ.

---

362 ციხისძირის არქეოლოგიურ კვლევა-ძიებას სათავე დაუდო აკად. ს. ჯანაშიამ, რომელმაც 2ცირე გათხრითი სამუშაოები ჩაატარა ციხის ტერიტორიაზე (იხ. მისი შრომები. I. გვ. 44), 1962 წლიდან კი აქ სისტემატურ, ფართო მასშტაბის საძიებო სამუშაოებს აწარმოებს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური ექსპედიცია, რომელსაც ადრე სათავეში ედგა აკად. ნ. ბერძენიშვილი, შემდეგ დოცენტ ა. ინაიშვილი და ამჟამად დიდის წარმატებით ხელმძღვანელობს აკად. წ/კ. დ. ბახტაიშვილი.

363 ა. ინაიშვილი. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მუშაობის შედეგები და პერსპექტივები. — სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს კულტურა და ყოფა. II. თბ., 1974, გვ. 8—9; მისივე. პეტრა-ციხისძირში 1962—1965 წწ. ჩატარებული გათხრების შედეგები. IV. თბ., 1974, გვ. 118—153.

364 ა. ინაიშვილი. პეტრა-ციხისძირში 1962—1965 წწ. ჩატარებული გათხრების შედეგები. გვ. 125—126, 129.

365 ა. ინაიშვილი. დასახ. ნაშრ. გვ. 132—133.

366 იქვე. გვ. 141.

367 იქვე. გვ. 128.

მთელი ეს საყურადღებო მასალა იმაზე მიგვანიშნებს, რომ თვით ბორცვებზეც კი ქალაქური ცხოვრების ფესვები წინ უსწრებს VI საუკუნეს, ანუ ე. წ. „პეტრა-ციხის“ დაარსების პერიოდს. უკანასკნელი წლების გათხრებმა კიდევ უფრო საგულისხმო მასალები გამოავლინა ბორცვების ძირობაზე, ბობოყვათ-სანერგეს უბანში. აქ, ჯერ კიდევ 1959 წელს, მიგნებული იქნა IV—V სს. წითელლაკიანი კერამიკის შემცველი ფენა და სამნავიანი ბაზილიკა[368], რომლის შესწავლის დროს (1966 წ.) მოპოვებული იქნა მარმარილოს სვეტის ნატეხი, კაპიტელი, მოზაიკის ფრაგმენტები, ქვა ბოლნური ჯვრის გამოსახულებით და სხვ.[369]. განსაკუთრებით ნაყოფიერი და მრავალისმეტყველი გამოდგა ნ. ბერძენიშვილის სახ. ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ (ხელმძღვ. დ. ხახუტაიშვილი) ქ. კიევის სანერგე მეურნეობის ტერიტორიაზე 1985—1988 წლებში წარმოებული ფართო მასშტაბის არქეოლოგიური სამუშაოები, რის შედეგადაც გამოვლინდა სხვადასხვა ასაკისა და ხასიათის პირველხარისხოვანი ძეგლები, რომელთა ქრონოლოგიური დიაპაზონი მოქცეულია წინარე ანტიკური ხანისა და ადრე შუასაუკუნეების ჩარჩოებში[370].

სანერგეს ტერიტორიაზე გამოვლენილი არქიტექტურული ძეგლებიდან განსაკუთრებით საყურადღებოა ორი აბანოს აღმოჩენის ფაქტი, რომლებიც, თანმხლები მონეტებისა და სხვა სახის არქეოლოგიური მასალის მიხედვით, ახ. წ. IV საუკუნით თარიღდებიან. დაახლოებით ასეთივე ასაკისაა სანერგის ცენტრალურ ნაწილში აღმოჩენილი დიდი ზომის (600 მ²) საზოგადოებრივი ნაგებობა (სასახლე), რომელიც სხვადასხვა ფუნქციის (აბანო, ეკლესია) შენობებს აერთიანებს[371].

ციხისძირის არქეოლოგიური მონაპოვრის უმეტეს ნაწილს შეადგენს კერამიკული მასალა, რომელშიც შედის სამეურნეო და სითხი-

---

368 ა. ინაიშვილი. დასახ. ნაშრ. გვ, 149,

369 იქვე, გვ. 120, 147—148.

370 ნ. ინაიშვილი. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძველი ქალაქები (ციხისძირი). ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებელი დისერტაცია, თბ., 1990, გვ. 71—170 (ხელნაწერი); Н. А. Инанишвили. Петра-Цихисдзири?, Тбилиси, 1991. с. 1—15.

371 ნ. ინაიშვილი. ციხისძირის გვიანანტიკური ხანის აბანოები. — სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები. XVII. თბ., 1988, გვ. 118—146.

სათვის განკუთვნილი, სამზარეულო და სუფრის ჭურჭლის ფრაგმენტები.

როგორც მოპოვებული მასალის (კერამიკული ტარა ამფორების სახით, წითელლაკიანი კერამიკა) შესწავლის შედეგები მოწმობენ, ციხისძირის კულტურული ფენა, ზოგადად, ახ. წ. IV—VI სს. თარიღდება, მაგრამ აშკარად სჭარბობს IV—V სს. მასალები[372].

ციხისძირში მნიშვნელოვანი რაოდენობითაა მოპოვებული, აგრეთვე, სხვადასხვა სახის მინის ჭურჭლის ნატეხები (ნახევარსფერული ჯამები, ან ფიალები, ცილინდრული და წაკვეთილი კონუსის მოყვანილობის ჭიქები, ფეხიანი სასმისები და სხვ.) და სარკმლის მინის ფრაგმენტები.

ციხისძირში წარმოდგენილი მინის ჭურჭლის დიდი ნაწილი ფორმებით, დამუშავების ხერხებით, შემკულობის მოტივებითა და სახეებით, ახ. წ. 256 წ. შემდგომი ხანის სირიულ-პალესტინურ პროდუქციასთან იჩენს მსგავსებას, რაც, სხვა მასალასთან ერთად, მიუთითებს მის მჭიდრო პოლიტიკურ, სავაჭრო-ეკონომიკურ და კულტურულ კავშირურთიერთობაზე აღმოსავლეთ რომის პროვინციებთან, გვიანროგაულ ადრებიზანტიურ ხანაში[373].

ციხისძირის ხსენებული სანერგეს ტერიტორიაზე წარმოებული ბათხრების შედეგად (1983—1987 წწ.) გამოვლენილი და შესწავლილი იქნა 14 სამარხი (ორმოსამარხები და ამფორასამარხები). მრავალფეროვანი სამარხეული ინვენტარის — კერამიკული ჯამ-ჭურჭლის, მინის ნაკეთობათა, ტანსაცმელთან დაკავშირებული ნივთებისა და რკინის იარაღების (დანები, ცულები, შუბისპირები, სატევარი და სხვ.) — შესწავლის საფუძველზე ყველაზე ადრეული სამარხი ახ. წ. III ან IV ს. დასაწყისი ხანით თარიღდება, ხოლო გვიანდელი V ს. დასასრულითა და VI ს. I ნახევრით[374]. ამრიგად, ციხისძირში აღმოჩენილი სამარხების ასაკი, ზოგადად, ვრცელი ქრონოლოგიური პერიოდით განისაზღვრება (ახ. წ. III—VI სს.), თუმცა აღსანიშნავია, რომ მათი უმრავლესობა მაინც ახ. წ. IV—V სს. თარიღდება[375].

ციხისძირის მონაპოვართა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მრავალრიცხოვან ნუმიზმატიკურ მასალას, რომელშიც შედის

---

372 ნ. ინაიშვილი. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძველი ქალაქები (ციხისძირი). გვ. 83—97.

273 ნ. ინაიშვილი. დასახ. ნაშრ. გვ. 97—123.

374 ნ. ინაიშვილი. დასახ. ნაშრ. გვ. 123—147.

375 იქვე.

ოქროს, ვერცხლისა და სპილენძის ნაწარმი. აღნიშნული მონეტების შესწავლა წარმოდგენას გვიქმნის ახ. წ. I—VI სს. სამონეტო მიმოქცევის ხასიათზე სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, რომელიც ამ თვალსაზრისით თეთრ ლაქას წარმოადგენდა. ნუმიზმატიკური მონაცემები მეტ შუქს ჰფენს გამოვლენილი ნამოსახლარის რაობასა და ქრონოლოგიის საკითხებს.

ციხისძირის ვერცხლის მონეტები ახ. წ. I—III სს. (დომიციანე, ადრიანე, ანტონინე პიუსი, სეპტიმიუს სევერი, კარაკალა, გორდიანე III) განეკუთვნება, ხოლო მათთან ერთად აღმოჩენილი სპილენძის მონეტები III—IV სს. თარიღდება[376].

ციხისძირის სამონეტო მიმოქცევაში დიდი ადგილი უჭირავს კესარიულ მონეტებს. ნ. ინაიშვილის აზრით, ვერცხლის მონეტები, რომლებიც I—III სს. თარიღდებიან, აქ უფრო მოგვიანო ხანაში უნდა ყოფილიყვნენ მიმოქცევაში[377].

საგულისხმოა, რომ სპილენძის მონეტებში, რომლებიც III ს. ბოლოსა და IV ს. განეკუთვნებიან, არ ჩანს ტრაპეზუნტის სპილენძის საქალაქო მონეტები, რომელთა ემისია III ს. შუა ხანებში შეწყდა[378]. როგორც ცნობილია, სპილენძის მონეტები, ძირითადად, კოლხეთის სანაპირო ქალაქებში და იმ პუნქტებში იყო გავრცელებული, სადაც რომაული გარნიზონები იდგა. ნუმიზმატიკური და არქეოლოგიური მონაცემების შეჯერების საფუძველზე, ციხისძირის მიდამოებში რომაელთა დასაყრდენი პუნქტის გაჩენა III ს. მიწურულსა და IV ს. დასაწყისშია სავარაუდებელი, რასაც, გარკვეულად, მხარს უბამს ციხისძირში აღმოჩენილი შტამპიანი აგურიც[379].

როგორც გათხრების შედეგად გამოვლენილი არქიტექტურული ძეგლები მოწმობენ, რომაულ გარნიზონებს ციხისძირში ფართო სამშენებლო საქმიანობა ჩაუტარებიათ[380].

IV ს. დასასრული ხანისა და V ს. მონეტები ციხისძირის მასალებში არ არის წარმოდგენილი, რაც, ნ. იაშვილის აზრით, რომის იმპერიაში მიმდინარე ფულის დევალვაციისა და ინფლაციის შედეგით

---

376 ნ. ინაიშვილი. დასახ. ნაშრ. გვ. 147—149; ნ. ინაიშვილი. ი. იაშვილი. I—VI სს. ნუმიზმატიკური ძეგლები ციხისძირიდან. — სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები. XX. თბ., 1991.

377 ნ. ინაიშვილი. დასახ. ნაშრ. გვ. 149—150.

378 იქვე. გვ. 150.

379 იქვე.

380 იქვე.

უნდა აიხსნას, რის გამოც IV ს. დასასრულს ჯარისკაცებს შეუწყვიტეს ფულადი ანაზღაურება[381]. რომის სპილენძის მონეტები, უმთავრესად, აღმოსავლეთის ზარაფხანებშია (ანტიოქია, ქიზიკი, თესალონიკა) მოჭრილი[382]. IV ს. მეორე ნახევარსა და V ს. მონეტები ციხისძირში და საერთოდ, კოლხიდაში თითქმის არ შემოდიოდა, რაც, მკვლევართა აზრით, თვით რომის იმპერიაში არსებული კრიზისით უნდა აიხსნას[383]. სიტუაცია მკვეთრად იცვლება VI საუკუნეში, რასაც მოწმობს კონსტანტინოპოლში მოჭრილი სპილენძის მონეტების მოზღვავება[384].

ნუმიზმატიკური და სხვა არქეოლოგიური მონაცემების საფუძველზე მკვლევრები ასკვნიან, რომ ციხისძირის მიდამოებში რომაელთა გარნიზონები ფეხს იკიდებენ III ს. მიწურულს, ხოლო IV—V სს. მათ უკვე ძლიერი დასაყრდენი პუნქტი გააჩნიათ აქ, რომელიც დიდ როლს ასრულებს ეგრის-ბიზანტიის ურთიერთობაში VI საუკუნეშიც[385].

როგორც ციხისძირში მოპოვებული უტყუარი არქეოლოგიური ფაქტებით დასტურდება, წინარე ანტიკური ხანიდან დაწინაურებული ეს პუნქტი და მისი შემოგარენი განსაკუთრებით აღმავლობას განიცდის ახ. წ. IV საუკუნეში, რაც იმ საგზაო მაგისტრალების ეკონომიკური და სტრატეგიული მნიშვნელობის გაძლიერებით უნდა აიხსნას, რომელთა შეხვედრის წერტილში მდებარეობს თანამედროვე ციხისძირი, ანუ, ჩვენი ვარაუდით, გვიანრომაული ხანის სებასტოპოლისი, სადაც, კასტორიუსის მიერ შედგენილი რუკის მიხედვით, მთავრდებოდა კაბადოკიის პროვინციაში შემავალი, სომხეთის დედაქალაქ არტაშატიდან წამოსული მნიშვნელოვანი საგზაო მაგისტრალი. ყოველ შემთხვევაში, TP-ს რუკის ხსენებული საგზაო მაგისტრალის მიმართულების გათვალისწინებითა და მანძილების ჩვენებით, შავიზღვისპირეთის აღმოსავლეთ სანაპიროზე ციხისძირ-სებასტოპოლისის იდენტიფიკაციისათვის უკეთესი ვარიანტი არ გვეგულება, რასაც სავსებით უბამს მხარს როგორც შემთხვევითი, ისე მიზანდასახული მეცნიერული კვლევა-ძიების შედეგად მოპოვებული მრავალფეროვანი, ბრწყინვალე არქეოლოგიური მასალებიც.

---

381 ნ. ი ნ ა ი შ ვ ი ლ ი. დასახ. ნაშრ. გვ. 151.

382 იქვე. გვ. 154.

383 იქვე. გვ. 155.

384 იქვე.

385 იქვე.

განხილული ფაქტის სახით იმ ბედნიერ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, როცა, ნ. ბერძენიშვილის სიტყვები რომ ვიხმაროთ, ესა თუ ის პუნქტი ჩნდება მნიშვნელოვან გზათა შესაყართან, ან ამ გზების გავლენით წინაურდება, როგორც ეკონომიკური, პოლიტიკური და ადმინისტრაციული ცენტრი, რომელიც „არა მარტო გზის ყელზე იდგა, არამედ გზას თავისკენ ეწეოდა“[386]. საყურადღებოა, რომ ადგილობრივი მოსახლეობა ამ ადგილს დღესაც „ნაქალაქუარს“ უწოდებს[387], სადაც სხვადასხვა მხარეებიდან და ქალაქებიდან ნავებით მოდიოდა სავაჭრო საქონელი და აქედანაც გადიოდა გასაყიდად ბევრი რამ. „ამ ქალაქს თითქოს დუქნებიც გააჩნდა და აქ მეტწილად ვაჭრები ცხოვრობდნენ თავიანთი ცოლ-შვილით“[388]. აქ კიდევ ერთხელ უნდა გავიხსენოთ იმერეთის მეფის სარდალთუხუცესის ზ. წერეთლის მიერ 1884 წ. პოტიომკინისადმი მირთმეული წერილი, სადაც ეს ადგილი ძველ ნაქალაქარად და სავაჭრო ადგილად იხსენიება[389].

ასეა თუ ისე, ერთი უდავოა, რომ II—V სს., და, ალბათ, მომდევნო პერიოდშიც, ციხისძირი მნიშვნელოვანი ქალაქური პუნქტი უნდა ყოფილიყო. რომელიც უმოკლესი გზით უკავშირდებოდა რომის ერთ-ერთი აღმოსავლეთი პროვინციის — სომხეთის — დედაქალაქ არტაშატს, რომელიც, თავის მხრივ, ე. წ. დიდ სამეფო გზასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკვანძო პუნქტია[390].

ისეთ სტრატეგიული მნიშვნელობის პუნქტში, როგორიც ციხისძირ-სებასტოპოლისი უნდა ყოფილიყო, ციხე-სიმაგრის აგება და ჯარის ჩაყენება, რომის ხელისუფალთა მიერ გატარებული, შორს გამიზნული ადმინისტრაციულ-პოლიტიკური ღონისძიება ჩანს, რაზეც ქვემოთ გვექნება საუბარი.

როგორც ცნობილია, „პონტოს ლიმესის“ სისტემაში შემავალი ადრინდელი სიმაგრეების შესახებ სამი წერილობითი წყარო მოიპოვება. რომლებშიც მეტ-ნაკლები სისრულით ჩამოთვლილია ის პუნქტები, სადაც რომაული კასტელები თუ მათი ჯარის ბანაკები არსებობდა. ესენია: პლინიუსის „ბუნების ისტორია“, არიანეს „პერიპლუ-

---

386 ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი. ძველი თბილისის ტოპონიმიკიდან (აგარანი). — მიმომხილველი. II. თბ., 1951, გვ. 41.

387 ალ. ქ ა თ ა მ ა ძ ე. პეტრას ციხე-ქალაქის შესახებ. — საბჭოთა აჭარა. № 178, 1963, 9 სექტემბერი.

388 ალ. ქ ა თ ა მ ა ძ ე. იქვე; ა. ი ნ ა ი შ ვ ი ლ ი. დასახ. ნაშრ. გვ. 79—81.

389 ს. ჯ ა ნ ა შ ი ა. შრომები. I. 1949, გვ. 42.

390 ნ. ლ ო მ ო უ რ ი. დასახ. ნაშრ. რუკა № 2.

სი“ და ე. წ. Notitia dignitatum, რომლის სრული სათაურია: „ნუსხა, ყველა თანამდებობისა და მმართველობისა, როგორც სამოქალაქო, ისე სამხედროსი, აღმოსავლეთისა და დასავლეთის მხარეებში“[391]. პირველი ორი, როგორც ზემოთ დავინახეთ, ციხისძირის შესახებ არაფრის მთქმელია, რაც შეეხება მესამეს, მასში ჩვენთვის საინტერესო საკითხთან დაკავშირებით შეიძლება საგულისხმო ცნობები ამოიკრიფოს.

Notitia dignitatum V საუკუნის დასაწყისის ძეგლია, სადაც აღმოსავლეთის მმართველთა სიაში დასახელებულია არმენიის სარდალი, რომელსაც ექვემდებარება მთელი „პონტოს სასაზღვრო ხაზი“. არმენიის სარდალს ექვემდებარება, ერთი მხრივ, ის სამხედრო ერთეულები, რომლებიც შიდა არმენიაში დგას, ხოლო, მეორე მხრივ, პოლემონის პონტოში ჩაყენებული დანაყოფები. ამ უკანასკნელს ეკუთვნიან: ტრაპეზუნტი, რიზე, პითია, ვალენტია, ისულიმენი, კენე პარემბოლე, სებასტოპოლი, ზიგანე და მოხორა. ამ პუნქტებიდან ტრაპეზუნის, რიზეს, ისულიმენეს (სიურმენე) და კენე პარემბოლეს (ახალი ბანაკი) ადგილმდებარეობა მეტ-ნაკლებად გარკვეულია და მათი ლოკალიზაცია დავის საგანს არ წარმოადგენს[392]. რაც შეეხება დანარჩენ ხუთ პუნქტს — პითიას, ვალენტიას, სებასტოპოლისს, ზიგანეს და მოხორას — მათ შესახებ მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობა არსებობს.

მაგალითად, პითია, ნ. ხოშტარიას ვარაუდით, ქობულეთ-ფიქვნარ-ციხისძირის ძველი სახელწოდება უნდა იყოს[393]. ს. ყაუხჩიშვილის აზრით, ზიგანე გუდაყვა-ზიგანეა, პითია პიტიუს-ბიჭვინთაა, სებასტოპოლისი დიოსკურია-სებასტოპოლისია, ხოლო მოხორა ბიზანტიელი ისტორიკოსების (პროკოპი კესარიელი, აგათია) მუხურისი უნდა იყოს[394]. ამ პუნქტების ს. ყაუხჩიშვილისეული განსაზღვრა ყოველგვარი კრიტიკის გარეშე გაიზიარა ა. ლექვინაძემ „პონტოს ლიმესის“ შესწავლისას. მასვე ეკუთვნის ორიგინალური მოსაზრება ვალენტიას ლოკალიზაციის შესახებ. მისი ვარაუდით, ვალენტია უნდა იყოს აფსაროსის ახალი სახელწოდება, რომელიც უნდა შერქმეოდა მას რესტავრაციის შემდეგ, ვალენტის (364—375 წწ.) მმართველობის დროს.

---

391 გეორგიკა. I. ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცეს და განმარტებები დაურთეს ალ. გამყრელიძემ და სიმონ ყაუხჩიშვილმა. თბ., 1961, გვ. 168—170.

392 გეორგიკა. I. გვ. 175.

393 ნ. ხ ო შ ტ ა რ ი ა. ციხისძირი. თბ., 1962, გვ, 35—36:

394 გეორგიკა. IV. ნაკვეთი მეორე. თბ., 1952, გვ. 181—193; მისივე. გეორგიკა. I. თბ., 1961, გვ. 176—178.

Notitia-ს სამთავარსარდლოებისა და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ზოგიერთი პუნქტის სახელწოდებათა შორის, მართლაც, დიდია გარეგნული მსგავსება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მათ გაიგივებას ბევრი საწინააღმდეგო მხარე გააჩნია. ჯერ ერთი, სხვა შემთხვევებში წყაროები უმეტესად პიტიუნტსა და სებასტოპოლისს ერთმანეთის გვერდით ასახელებენ, აქ კი ჯერ პითიაა დასახელებული, შემდეგ ვალენტია, ისულიმენი, კენე პარემბოლე და შემდეგ სებასტოპოლისი. ეს ფაქტი, ვ. ლექვინაძეს ვარაუდით, ისე უნდა გავიგოთ, თითქოს აქ. პუნქტები დასახელებულია მათი სამხედრო მნიშვნელობის მიხედვით, რაც ნაკლებ დამაჯერებელია[395].

როგორც არქეოლოგიური მასალები მოწმობენ, IV ს. დასასრულსა და V ს. დასაწყისში ბიჭვინთა-პიტიუნტი აშკარად დაქვეითებულია და საგანგებოდ გამორჩეულ, განსაკუთრებულ სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობის პუნქტს აღარ უნდა წარმოადგენდეს. ამის მოწმობაა თუნდაც ის ფაქტი, რომ ბიჭვინთის ნაქალაქარზე, იქ, სადაც გარნიზონის მთავარი სადგომი ნაგებობაა გამოვლენილი, IV საუკუნის ბოლოს კერამიკული ქურა გაუმართავთ[396]. ასევე მკვეთრად კლებულობს მონეტების რაოდენობა და სხვ.[397].

ასეთი ფაქტიური მონაცემების საფუძველზე, გ. ლორთქიფანიძე საერთოდ გამორიცხავს V საუკუნეში აქ ბიზანტიური გარნიზონის ყოფნას[398].

ასევე ნაკლებად დამაჯერებელია „მოხორას“ მუხირისში ლოკალიზაცია. როგორც ცნობილია, ბიზანტიური ხანის მუხურისი შიდალაზიკაში მდებარეობს, სადღაც ქუთაისის ქვეყნის მახლობლად, რომელიც VI ს. სპარსელებს უჭირავთ. ჩვენ არავითარი ცნობა არ გაგვაჩნია, არც წერილობითი და არც მატერიალური, რომელიც IV—V სს.

---

395 В. А. Леквинадзе. Указ. соч., с. 82.

396 М. П. Инадзе. Причерноморские города древней Колхиды. 1968, გვ. 263—266; რ. ფუთურიძე. ბიჭვინტის შიდაციხის ცენტრალური ნაწილის არქეოლოგიური გათხრების შედეგები. — დიდი პიტიუნტი. 1, თბ., 1975, გვ. 127—131.

397 გ. დუნდუა. ბიჭვინთა-პიტიუნტი ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით. — სამეცნიერო სესია, მიძღვნილი 1962 წ. ჩატარებული საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიებისადმი. თბ., 1963, გვ. 62; მისივე. სამონეტო მიმოქცევა და სავაჭრო-ეკონომიური ურთიერთობანი ბიჭვინტაში ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით. ძვ. წ. II-ახ. წ. IV სს. — დიდი პიტიუნტი. I. თბ., 1975, გვ. 410—412; ა. აფაქიძე, დიდი პიტიუნტი — არქეოლოგიური გათხრები ბიჭვინტაში, — დიდი პიტიუნტი. I. თბ., 1975, გვ. 123.

398 გ. ლორთქიფანიძე. ბიჭვინთის ნაქალაქარი. თბ., 1991, გვ. 172.

ლაზიკაში რომაული გარნიზონების ყოფნაზე მიგვანიშნებს. ეს არის ეგრის-ლაზიკის სამეფოს ძლიერების ხანა და ასეთი რამ პრაქტიკულად გამორიცხულია.

გარდა ამისა, Notitia dignitatum-ის კონტექსტის მიხედვით აშკარად იგრძნობა, რომ წყაროში საუბარია ტრაპეზუნტის მომიჯნავე პუნქტებზე და არა ევქსინოს-პონტოს უკიდურეს ჩრდილო წერტილებზე, სადაც ჩვენი პიტიუსი, სებასტოპოლისი და ზიღანეოსი მდებარეობს.

ამის თაობაზე სწორად შენიშნა ნ. ადონცმა, რომ Notitia-ს შედგენისას პიტიუნტი და სებასტოპოლისი არ ეკუთვნოდა რომაელებს და დუკას (მმართველის) უფლებები ასე შორს არ შეიძლება გავრცელებულიყო[339]. იგი აქვე უთითებს Böcking-ს, რომელიც ასევე წინააღმდეგია ლაზიკის პიტიუნტისა და სებასტოპოლისის გაიგივებისა Notitia-ს პითიასა და სებასტოპოლისთან[400].

ჩვენი აზრით, სავსებით დამაჯერებლად გამოიყურება ნ. ადონცის მიერ შემოთავაზებული ვარიანტი ზიგანასა და მოხორას ლოკალიზაციასთან დაკავშირებით.

ნ. ადონცი ფიქრობს, რომ ნოტიციას ზიგანა უნდა იყოს ტრაპეზუნტიდან არდასაში მიმავალ გზაზე არსებული ზიგანას უღელტეხილის (6640 ფუტ.) სამხრეთ ძირობაზე მდებარე ზიგანა, რომელსაც დღესაც ასევე ეწოდება[401]. ხოლო მოხორა ზიგანას აღმოსავლეთით მდებარე სოფელია დღესაც[402]; ე. ი. ორივე ეს პუნქტი ისტორიული ჭანეთის ტერიტორიაზე თავსდება. ასევე დამაჯერებლად გამოიყურება პ. ინგოროყვას ვარაუდი პითიას ლოკალიზაციის შესახებ, რომელიც, პტოლემაიოსის გეოგრაფიული სახელმძღვანელოს 1867 წლის პარიზის ფოტოტიპიურ გამოცემაზე დაყრდნობით, ამტკიცებს, რომ პტოლემაიოსის მიერ ტრაპიზონსა და რიზეს შორის აღნიშნული პუნქტი Πιτιοῦσα (პიტიუსი) და პითია ერთი და იგივე პუნქტია და იგი ოფის ნავსადგურს უნდა ემთხვეოდეს[403].

ამ ვარაუდის სისწორეს, თითქოს, მხარს უბამს IV საუკუნის ავტორის ამიანე მარცელინეს ერთი ცნობა, რომლის მიხედვით, პონ-

---

399 Н. Адонц. Армения в эпоху Юстиниана. С., П., 1908, с. 100.

400 იქვე.

401 Н. Адонц. указ. соч., с. 100.

402 იქვე.

403 პ. ინგოროყვა. გიორგი მერჩულე, თბ., 1954. გვ. 253:

ტოს ქალაქებს შორის ტრაპეზუნტის გვერდით არსებობს სახელოვანი ქ. პატიუნტი. „ბითვინიის ნაწილს იქით პონტოსა და პაფლაგონიის მხარეებია გადაჭიმული, რომლებშიაც არის დიდრონი ქალაქები ჰერაკლეა, სინოპე, პოლემონიონი, ამისოსი, აგრეთვე ტიოსი და ამასტრისი, ყველა ბერძნების გულმოდგინე ღვაწლით დაფუძნებული, კიდევ არის კერასუნტი, საიდანაც ლუკუსმა ამ სახელის ხილი მოიტანა და ორი კუნძული, რომელზედაც არის მოთავსებული არა უსახელო ქალაქები ტრაპეზუნტი და პიტიუნტი"[404]. მართალია, ამ შემთხვევაში ამიანე უბრალოდ პონტოს ქალაქებს ჩამოთვლის, მაგრამ რამდენადაც ყველა მის მიერ დასახელებული ქალაქი სამხრეთ შავიზღვისპირეთის სანაპიროზე თავსდება, ბუნებრივია, პიტიუნტის არსებობაც აქვე ვივარაუდოთ.

ამრიგად, არმენიის სამთავარსარდლოში ნოტიციის მიხედვით დასახელებული 11 პუნქტიდან ხუთი — ზიგანა, ხაძანა, სილუანა, მოხორა და ავაძა — თავსდებიან ტრაპიზონის სამხრეთით, ტრაპიზონსა და სატალას შორის.

დანარჩენი ხუთი — ტრაპიზონი, ჰისის ნავსადგური (სურმენე), პითია (პიტიუსი), კენე პარემბოლე (ახალი ბანაკი) და ვალენტია (აფსარიოსი) — კი განლაგებულია სამხრეთ შავიზღვისპირეთის გასწვრივ, ტრაპიზონიდან ჩრდილოეთით (ნ. ადონცი, პ. ინგოროყვა, ვ. ლექვინაძე, ნ. ლომოური)[405].

ამრიგად, ნოტიციის 11 პუნქტიდან ათის მდებარეობა მეტ-ნაკლებად გარკვეულია, ყოველ შემთხვევაში, მათ შესახებ მკვლევართა შორის გარკვეული აზრია ჩამოყალიბებული, რასაც ვერ ვიტყოდით კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პუნქტის, სებასტოპოლისის, შესახებ.

როგორც ზემოთ დავინახეთ, მიუღებელია ნოტიციის სებასტოპოლისის აფხაზეთის დიოსკურიასთან გაიგივება, ისევე, როგორც გამოირიცხა პირველი არმენიის პროვინციაში, პოლემინის პონტოს საზღვარზე მდებარე სებასტოპოლისი, რომელიც დიდად არის დაშორებული ტრაპიზონის ზონას, სადაც ნოტიციას პუნქტებია დასახელებული.

---

404 გეორგიკა. I. გვ. 109.

405 В. А. Леквинадзе. Указ.соч., с. 81—82; პ. ინგოროყვა. ჯორგი მერჩულე. გვ. 253—254; ნ. ლომოური. საქართველოსა და ბიზანტიის ურთიერთობა V საუკუნეში. თბ., 1989, გვ 68—71.

არსებულ სიტუაციაში უთუოდ გასათვალისწინებელია ჩვენი კვლევის შედეგებიც, რომლის მიხედვით, პტოლემაიოსისა და TP რუკის სებასტოპოლისის არსებობას ციხისძირში ვვარაუდობთ.

თუ ჩვენი ჩანაფიქრი სწორია, ალბათ, სავსებით ბუნებრივი იქნებოდა დაგვეშვა ნოტიციასა და ციხისძირის სებასტოპოლის იგივეობა.

მართალია, ეს უკანასკნელი რამდენადმე დაცილებულია ტრაპიზონის ზონას (150 კმ.), მაგრამ რამდენადაც ციხისძირიც ზღვის სანაპირო პუნქტია, ტრაპიზონთან მისი დაკავშირება არ უნდა ყოფილიყო რთული.

გარდა ამისა, როგორც ზემოთ დავინახეთ, TP-ის მონაცემების მიხედვით, ციხისძირი უმოკლესი სახმელეთო გზით უკავშირდებოდა კაბადოკიის სომხეთის დედაქალაქ არტაშატს და სომხეთის სამთავარსარდლოს მესვეურს, ალბათ, ამ გზით შეეძლო თავისი უფლებრივი მოვალეობის განხორციელება ციხისძირ-სებასტოპოლისშიც.

საფიქრებელია, რომ ადმინისტრაციულ-პოლიტიკური ურთიერთობა კაბადოკია-ციხისძირს შორის ადრევე სომხეთის გზით ხორციელდებოდა, რაზეც უნდა მიგვანიშნებდეს ციხისძირში აღმოჩენილი ბაჯაღლო ოქროს აგრაფი, რომელშიც ჩასმულ ბროლის ქვაზე ამოკვეთილია რომის იმპერატორის ლუციუს ვერუსის გამოსახულება.

როგორც ცნობილია, რომის იმპერატორ მარკ ავრელიუსის თანამმართველმა, ლუციუს ვერუსმა თითქმის აღმოსავლეთში გაატარა თავისი ცხოვრება (162—168 წწ.) როგორც სარდალმა, რისთვისაც სენატისაგან მიიღო ტიტული — პატრიაკუსი, არმენიაკუსი[406].

გამორიცხული არ არის, რომ ციხისძირში აღმოჩენილი აგრაფი, ბეჭდებთან ერთად, მარტო სამკაული კი არა, ინსიგნია იყოს, რომელსაც, თავის დროზე, ატარებდა რომის აღმოსავლეთ პროვინციების მმართველის, ამ შემთხვევაში, ლუციუს ვერუსის ციხისძირ-სებასტოპოლისში მჯდომი მოხელე.

ოქროს აგრაფთან ერთად, ციხისძირ-სებასტოპოლისა და კაბადოკიის პროვინციას შორის არსებულ მჭიდრო ეკონომიკურ და ალბათ, პოლიტიკურ ურთიერთობაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ ე. წ. ციხისძირის განძის მთელი მასალა, მხატვრულ-სტილისტური ნიშნებით რომის აღმოსავლეთი პროვინციების კულტურის წრეში ექცევა.

---

[406] Т. Момзен. Римская история, Т. V. М., 1885, с. 396—397.

ამაზევე მეტყველებს აქ აღმოჩენილი დრაქმები, რომელსაც ცვლის, მეტწილად, აღმოსავლეთის ზარაფხანებში. ანტიოქიაში, ქიზიკში და თესალონიკაში მოჭრილი სპილენძის მონეტები; აგრეთვე, სირიულ-პალესტინური მინის ნაწარმი და მცირეაზიული წთელლაკიანი კერამიკა[407].

ციხისძირში მოპოვებული მინის ჭურჭლის დიდი ნაწილი ფორმების დამუშავების ხერხებით, შემკულობის მოტივებითა და სახეებით, აგრეთვე, მინის ხარისხითა და ფერით, გვიანდელ (ახ. წ. 256 წ. შემდეგ), სირიულ-პალესტინურ პროდუქციასთან იჩენს მსგავსებას, რაც, სხვა რიგის არქეოლოგიურ მასალებთან ერთად, აუცილებლად ადასტურებს ციხისძირ-სებასტოპოლისის მჭიდრო პოლიტიკურ, სავაჭრო-ეკონომიკურ და კულტურულ კავშირურთიერთობას აღმოსავლეთ რომის პროვინციებთან[408].

ამ ფონზე, ალბათ, სავსებით ბუნებრივია, რომ ეჩმიაძინის მახლობლად აღმოჩენილ წარწერაში იხსენიება XII ლეგიონი ფულმინატიდან და XV აპოლინარისიდან[409], ე. ი. ის ლეგიონები, რომელთა სამშენებლო საქმიანობაზე მიგვანიშნებს ციხისძირის აგური, რომლის დამღაზე ხსენებული ლეგიონების სახელებია დამოწმებული. აქვე არ უნდა დავივიწყოთ, რომ ეჩმიაძინი მდებარეობს არტაშატის მახლობლად, ე. ი. TP-ის რუკაზე აღნიშნული გზის დასაწყისში, ხოლო მისი დასასრული სებასტოპოლისშია, რომელიც, როგორც უკვე ითქვა, ციხისძირს უნდა ემთხვეოდეს.

ერთი სიტყვით, TP-ის რუკაზე დამოწმებული საგზაო მაგისტრალი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი, უძველესი არტერია ჩანს, რომელიც რომის აღმოსავლეთ პროვინციებს უმოკლესი გზით აკავშირებდა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთთან.

ამ მარშრუტის არსებობის დოკუმენტური დადასტურებაა ვ. ჯაფარიძის მიერ მდ. ხანისწყლის ხეობაში, ადგილ წყალთაშუაში აღმოჩენილი ახ. წ. I საუკუნის სამარხი, კერამიკული მასალითა და, რაც მთავარია, პოლემონ II-ს მონეტით[410].

---

407 ნ. ინაიშვილი. ციხისძირის განძი. გვ. 144—145.

408 ნ. ინაიშვილი. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძველი ქალაქები (ციხისძირი). გვ. 96—97, 103, 123, 169.

409 М. И. Ростовцев. Надпись из Эчмиадзина. — Изв. археологической комиссии, 33, СПб. 1909, с. 2.

410 ვ. ჯაფარიძე. ვარდციხის ნაქალაქარი, თბ., 1989, გვ. 141.

ავტორის თქმით, „ეს არტაშატ-სებასტოპოლისის ცნობილი გზის ყველაზე ადრეული დამადასტურებელი არქეოლოგიური ფაქტია“[411].

მომდევნო საუკუნეებში ხსენებული გზის მნიშვნელობა აშკარად იზრდება, რასაც მოწმობს ვარდციხის ნაქალაქარზე მოპოვებულ ჭურჭლებზე დამოწმებული ნიშანი № 11, რომლის უახლოესი ანალოგიები სომხეთის ქალაქ დვინში მოპოვებულ მასალებშია დამოწმებული.

ჩვენი აზრით, სწორედ ეს გზა უნდა იგულისხმებოდეს ახ. წ. V ს. ავტორის, პრისკე პანიონელის 25-ე ფრაგმენტში, რომელშიც ნათქვამია: „მის შემდეგ, როდესაც რომაელები მივიდნენ კოლხიდაში და ომი აწარმოეს ლაზების წინააღმდეგ, რომაელთა ჯარი თავის ქვეყანაში გამობრუნდა და კარისკაცები შეუდგნენ ახალი ომისათვის მზადებას; ისინი იმის ბჭობაში იყვნენ, თუ რა გზით ელაშქრათ: იმავე გზით თუ სპარსეთის მეზობელი ქვეყნის, არმენიის, გზით დაეწყოთ ომი...“[412].

სავსებით ლოგიკურია, წყაროში ნახსენები არმენიის გზა რქმეოდა TP-ის რუკაზე ასახულ არტაშატ-სებასტოპოლისის მონაკვეთს.

ამ თვალსაზრისით, ასევე არანაკლებ საგულისხმოა პრისკე პანიონელის შრომის 41-ე ფრაგმენტი, რომელიც ეხება ლაზიკის მეფის წინააღმდეგ სვანების ბრძოლას. პრისკეს ფრაგმენტის თანახმად, ლაზთა მეფე თხოვნით მიმართავს ბიზანტიის კეისარს: „...გაეგზავნა მისთვის დამხმარე ჯარები იმ ჯარისკაცთაგან, რომლებიც რომაელთა ქვეშევრდომ არმენიელთა საზღვრებს იცავდნენ“[413].

სომხეთსა და ლაზიკას შორის უმოკლესი გზის არსებობის გარეშე ასეთი თხოვნა უაზრობა იქნებოდა.

პრისკე პანიონელის ორივე ფრაგმენტის შინაარსში, ჩვენი აზრით, სწორედ ის მარჯვე და უმოკლესი გზა უნდა იგულისხმებოდეს, რომელიც კასტორიუსის მიერ შედგენილ TP-ის რუკაზეა ასახული და რომელიც, ჩვენი ვარაუდით, სომხეთის დედაქალაქ არტაშატს ზეკარის უღელტეხილისა და ვარდციხის გავლით სებასტოპოლისთან ანუ თანამედროვე ციხისძირთან აკავშირებდა.

ამრიგად, ამ გზის სტრატეგიული მნიშვნელობა რომის აღმოსავლეთ პროვინციებსა და ლაზიკის სამეფოს ურთიერთობაში, უდავოდ, თვალსაჩინოა ახ. წ. II საუკუნიდან (თუ უფრო ადრე არა) V ს ჩათვ-

---

411 იქვე.

412 გეორგიკა. I. თბ., 1961, გვ. 254.

413 იქვე. გვ. 261.

ლით, რასაც აშკარად მოწმობს როგორც არქეოლოგიური, ისე კარტოგრაფიული და წერილობითი წყაროები.

ს. ჯანაშიას აზრით, ახ. წ. VI საუკუნიდან ეს გზა უკვე სპარსელების კონტროლს უნდა დაქვემდებარებოდა და, ბუნებრივია, ბიზანტიას მასზე ხელი აღარ მიუწვდებოდა.

ჩვენი აზრით, ამ გზისადმი რომის ინტერესი უფრო ადრე უნდა შესუსტებულიყო, ყოველ შემთხვევაში, იმ მომენტიდან მაინც, როცა აღმოსავლეთ შავიზღვისპირა სიმაგრეებიდან გაყვანილი იქნა რომის გარნიზონები. თუ როდის იქნა გაყვანილი რომის გარნიზონები ლაზიკის საზღვრებიდან, ამის შესახებ მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. ერთნი ფიქრობენ, რომ ეს მოხდა V საუკუნეში[414], მეორენი ფიქრობენ, რომ, ქ. ფასისის გარდა, ამ პერიოდშიც ყველა სანაპირო სიმაგრეში რჩებიან რომაელები[415], ნაწილი კი ვარაუდობს, რომ გარნიზონები გადიან მხოლოდ ეთნიკური ლაზიკის ფარგლებიდან და კვლავ რჩებიან აფხაზეთის ტერიტორიაზე, პიტიუნტსა და სებასტოპოლისში[416]. განხილულ სამივე მოსაზრებას საკმაო სოლიდური, სათანადო არგუმენტაცია გააჩნია და ცალკეული მათგანი, თავისთავად, საყურადღებოა, მაგრამ ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები რომელიმე მათგანის სრულად გაზიარების საშუალებას არ იძლევა.

როგორც ზემოთ დავინახეთ, ჩვენი კვლევის უმთავრესი საკითხი ემყარება დიდი გეოგრაფოსის კლავდიოს პტოლემაიოსის გეოგრაფიული სახელმძღვანელოს მეხუთე წიგნის მეექვსე თავის ერთი საინტერესო ადგილის ჩვენებას, სადაც, ჩამოთვლილია რა კაბადოკიის მნიშვნელოვანი ადგილები და ქალაქები, მდ. აფსაროსისა და მისი შენაკადი ლიკოსის (ნ. ლომოურის მიხედვით, ოლთუ-ჩაი ან თორთუმი) შემდეგ დასახელებულია სებასტოპოლისი. ამასთანავე, ამ ჩამონათვალში სებასტოპოლისი სულ ბოლო მომენტშია მითითებული, რაც იმის მოწმობაა, რომ იგი ამ ქვეყნის, კერძოდ, კაბადოკიის უკი-

---

414 ნ. ლ ო მ ო უ რ ი. საქართველოსა და ბიზანტიის ურთიერთობა V საუკუნეში. თბ., 1989, გვ. 72—73; მისივე. ეგრისის სამეფოს ისტორია (წარმოქმნიდან ახ. წ. V საუკუნის ბოლომდე). თბ., 1968, გვ. 66; გ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე. ბიჭვინთის ნაქალაქარი. თბ., 1991, გვ. 172.

415 В. А. Л е к в и н а д з е. Понтийский лимес, с. 82; გეორგიკა, IV, ნაკ. II, 1952, გვ. 191—195; გეორგიკა, I, 1961, გვ. 175—178.

416 დ. მ ე ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები. თბ., 1977, გვ. 111—112.

დურესი ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილის სასაზღვრო პუნქტი უნდა ყოფილიყო[417].

კაბადოკიის პონტოს გეოგრაფიული საზღვრების აღწერისას პტოლემაიოსი პროვინციის აღმოსავლეთ საზღვრებში ასახელებს მოსხურ მთებს და კაბადოკიას ჩრდილოეთიდან შემოფარგლავს: „...ევქსინის პონტოს ნაწილით გალატიის ამისოდან ვიდრე ზღვარამდე, რომელიც მდებარეობს 72°20′—44°45′ ქვეშ“[418]. ზუსტად ამ განზოშილებაში მდებარეობს ჩვენი საკვლევი ობიექტი, ქ. სებასტოპოლისი.

სასაზღვრო აღწერილობაში განსაკუთრებით საყურადღებო ის ფაქტია, რომ აქ მოხსენიებულია „მოსხური მთები“, რომელიც ადრე მხოლოდ ჭოროხის ქვემო წელიდან, ტრაპეზუნტ-ბაიბურდის ხაზამდე გადაჭიმულ, პონტოს მთაგრეხილის ნაწილად იყო მიჩნეული[419].

უკანასკნელი წლების გამოკვლევების შედეგად, საკითხისადმი დიფერენცირებული მიდგომის საფუძველზე, ამგვარი შეხედულება რამდენადმე შეიცვალა და დღეისათვის ახ. წ. პირველი საუკუნეების მოსხურ მთებში“ იგულისხმება ღადო-ფერსათის ანუ თანამედროვე გურია-აჭარის მთაგრეხილებიც[420]. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ მიგვანიშნებს, რომ პტოლემაიოსის გეოგრაფიის კაბადოკიის პონტოს ჩრდილო-აღმოსავლეთი მონაკვეთი, ისტორიულ სამცხესთან ერთად, მოიცავდა თანამედროვე აჭარა-გურიის შავიზღვისპირეთსაც.

გეოგრაფიულ სახელმძღვანელოში კაბადოკიის შემდეგ, მისგან ჩრდილოეთით, მდებარეობს კოლხეთის სამეფო, რომლის აღწერა იწყება დიოსკურია-სებასტოპოლისით და მთავრდება ქ. ფასისით. კოლხეთს „სამხრეთიდან აღნიშნული ხაზით ესაზღვრება კაბადოკიის პონტო და მისი მომდევნო დიდი არმენიის ნაწილი[421]. ამრიგად, პტოლემაიოსის მიხედვით, კაბადოკიისა და კოლხეთის, ანუ ლაზიკის სამეფოს შორის პოლიტიკური სასაზღვრო ხაზი უნდა გასულიყო სადღაც ქ. ფასისსა და სებასტოპოლ-ციხისძირს შუა მოქცეულ ტერიტო-

---

417 ნ. ლომოური. კლავდიოს პტოლემაიოსის „გეოგრაფიული სახელმძღვანელო“... გვ. 51.

418 იქვე. გვ. 42.

419 ს. ჯანაშია. პარიადრი, სკიდისი, მოსხური მთები. — შრომები. II. თბ., 1952, გვ. 261—270.

420 ნ. ხაზარაძე. საქართველოს ძველი ისტორიის ეთნო-პოლიტიკური პრობლემები. თბ., 1984, გვ. 68—70, 71; დ. მუსხელიშვილი. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები. I. გვ. 59—60.

421 ნ. ლომოური. დასახ. ნაშრ. გვ. 45.

რიაზე, ალბათ, რაიმე მნიშვნელოვანი გეოგრაფიული ერთეულის გათვალისწინებით. სავარაუდოდ, სასაზღვრო ხაზი შეიძლება დამთხვეოდა ამ რეგიონის ისეთ მნიშვნელოვან სამდინარო არტერიებს, როგორიც არის სუფსა ან ნატანები.

შესაძლოა, დიდი გეოგრაფოსი შემცდარიყო ამა თუ იმ პუნქტის ადგილმდებარეობის განსაზღვრაში, ან დამახინჯებით ჩაეწერა, ან არასწორად გადმოეწერა ადრინდელი წყაროებიდან მისი სახელწოდება, მაგრამ წარმოუდგენელია სერიოზული უზუსტობა დაეშვა თავისივე ქვეყნის, თუნდაც განაპირა პროვინციის, სასაზღვრო ხაზის დადგენაში, მით უფრო, რომ, როგორც სწორად არის შენიშნული, პტოლემაიოსი ახსენებს კაბადოკიის პონტოს, რაც მოწმობს, რომ მას ახალი წყაროების გამოყენებით, ზოგ შემთხვევაში, მისი თანამედროვე სიტუაცია აქვს აღნიშნული[422]. როგორც ცნობილია, კაბადოკიის პონტოს პროვინცია შეიქმნა იმპერატორ ტრაიანეს დროს, II ს. დასაწყისში, ხოლო პტოლემაიოსმა შეაჯამა და ქაღალდზე გადაიტანა რომის ახალი მონაპოვარი[423].

ამრიგად, სახელმძღვანელოს მიხედვით, დოკუმენტურად დასტურდება, რომ პტოლემაიოსის ხანაში კაბადოკიის პონტოს ტერიტორია აღწევდა მდ. ფასისის მიდამოებამდე, თუმცა ფლავიუს არიანეს დროს ასეთი რამ ჯერ კიდევ არ შეინიშნება. ჩვენი აზრით, ეგრის-ლაზიკის სახელმწიფო საზღვრის გადატანა ქობულეთ-ციხისძირისა თუ ფასისის შემოგარენში უნდა მომხდარიყო ადრიანესა (117—138 წწ.) თუ მისი მემკვიდრის, ანტონინე პიუსის (138—147 წწ.) დროს და მიმართული უნდა ყოფილიყო, ერთი მხრივ, დამოუკიდებლობის გზაზე შემდგარი ლაზიკის სახელმწიფოს (თუნდაც ვასალური) მცდელობის წინააღმდეგ, ისტორიული კოლხეთის ჩარჩოებში აღედგინა თავისი ქვეყნის საზღვრები, ხოლო, მეორე მხრივ, ამ დროისათვის გაძლიერებული იბერიის სამეფოს მკვეთრად გამოხატული ტერიტორიული პრეტენზიების საწინააღმდეგოდ გადადგმული ნაბიჯი ჩანს[424].

როგორც ცნობილია, ახ. წ. II ს. I ნახევარში რომის იმპერია თანდათან სუსტდება, იბერია კი თავისი ძლიერების ზენიტს აღწევს

---

422 ნ. ლ ო მ ო უ რ ი. კლავდიოს პტოლემაიოსი. „გეოგრაფიული სახელმძღვანელო“. გვ. 56, შენ. 12.

423 ნ. ლ ო მ ო უ რ ი. დასახ. ნაშრ. გვ. 39.

424 მ. ი ნ ა ძ ე. ანტიკური ხანის საქართველოს ისტორიისათვის (ფლავიუს არიანე და მისი ცნობები საქართველოს შესახებ). საკანდიდატო დისერტაცია. თბ., 1953, გვ. 52.

და ალანთა ძალების მოშველიებით რომის წინააღმდეგ აქტიურ მოქმედებას იწყებს. ამ ვითარებაში რომი იძულებულია იბერიასთან ურთიერთობა მშვიდობიანი გზით მოაწესრიგოს, რისთვისაც იგი არ იშურებს უხვ საჩუქრებს (სპილო და 500 მეომარი) მმართველი ელიტისათვის და შეძლებისდაგვარად, აკმაყოფილებს ტერიტორიული გაფართოებისაკენ მიმართულ მათ სურვილებს არმენიის ხარჯზე[425].

როგორც ბორისა და კლდეეთის არქეოლოგიური აღმოჩენები მოწმობენ, სწორედ დროის ამ მონაკვეთს ემთხვევა ფაქტი იბერიის საზღვრების გაფართოებისა დასავლეთ საქართველოს მიმართულებითაც, სადაც სასაზღვრო ხაზი შორაპან-სკანდას სექტორზე უნდა გასულიყო და სადაც უნდა მჯდარიყო ფარსმანის ერთ-ერთი მენაპირე პიტიახში ბერსუმა (?)[427].

სწორედ, ასეთი ტენდენციების შემაკავებელ ერთ-ერთ ღონისძიებად გვეჩვენება II ს. შუა ხანებში, თუ მის მეორე ნახევარში რომის მიერ ეგრის-ლაზიკის სამეფოს ისტორიული ტერიტორიის, სამხრეთ-დასავლეთ ნაწილის ანექსია და მისი აღმოსავლეთი პროვინციის, კაბადოკიის, პონტოს შემადგენლობაში შეყვანა. შესაძლოა, სწორედ ამ მოვლენას ასახავს გიორგი სინგელოზის ცნობის ის ადგილი, სადაც ნათქვამია: „სეველემ (193—211 წწ.) დაიმორჩილა კოლხიკე ე. ი. ლაზიკეო"[428].

როგორც ზემოთ დავინახეთ, სტრატეგიული თვალსაზრისით ძალზე მოხერხებული ეს რეგიონი უმოკლესი სახმელეთო გზით (TP-ის რუკა) მარჯვედ უკავშირდებოდა სომხეთსა და აქედან კაბადოკიის ცენტრებს, რომლის წარმომადგენელი, ქვეყნის მენაპირე მმართველ-მეთვალყურეს სახით, უნდა მჯდარიყო ციხისძირში, რომლის კუთვნილებაც უნდა ყოფილიყო ე. წ. ციხისძირის განძში შემავალი ინვენტარი. ჩვენი აზრით, სწორედ ციხისძირი წარმოადგენდა კაბადოკიის პონტოს ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ საზღვარზე მდებარე გამორჩეულ პუნქტს, რომელიც კლავდიოს პტოლემაიოსის გეოგრაფიულ სახელ-

---

425 მ. ინაძე. იბერიისა და რომის ურთიერთობა II საუკუნის პირველ ნახევარში. — ისტ. ინსტ. შრომები. I. 1955, გვ. 325—327.

427 გ. ცქიტიშვილი. იბერიის საპიტიახშოს საკითხისათვის ლიხთიმერეთში.— ისტ. ინსტ. შრომები. I. გვ. 301—311; ს. ჯანაშია. იბერიის (ქართლის) სამეფოს პოლიტიკური გეოგრაფიისათვის უძველეს პერიოდში. — საქართველოს სსრ მეცნ. აკად. მოამბე. ტ. III. № 7. თბ., 1942, გვ. 726.

428 ს. ყაუხჩიშვილი. გეორგიკა. IV. ნაკვ. I. — მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის. თბ., 1940, გვ. 68.

მძღვანელოში აისახა სებასტოპოლისის სახელით და სადაც, TP-ის მიხედვით, მთავრდება არტაშატიდან წამოსული საგზაო მაგისტრალი.

ამ პუნქტის ანუ ციხისძირ-სებასტოპოლისის განსაკუთრებულ სტრატეგიულ მნიშვნელობაზე ის ფაქტიც მიუთითებს, რომ II საუკუნის ბოლოსა თუ III საუკუნის დასაწყისში რომაელებს აქ აუგიათ ციხე-სიმაგრე (ციხისძირის დამღიანი აგური), რაც, თავის მხრივ, აქვე საჯარისო ნაწილების არსებობას გულისხმობს. ციხისძირში კასტელიუმის არსებობა განსაკუთრებით იმ მხრივ არის საგულისხმო, რომ, როგორც სწორად არის შენიშნული, იგი აგებულა კასტელიუმების შენების ძირითადი პრინციპების დარღვევით (აქ არ არის ნავსადგური და ახლოა აფსაროსთან) და ვერ თავსდება აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის კასტელიუმების დისლოკაციის სისტემაში[429].

აშკარაა, ციხისძირში კასტელიუმის აგება იქვე, ახლოს ქვეყნის ახალი პოლიტიკური საზღვრის არსებობით არის გაპირობებული, რაც დოკუმენტურად დასტურდება პტოლემაიოსის რუკის მიხედვით[430].

პტოლემაიოსის რუკაზე დამოწმებული ფაქტის სისწორეს, თითქოს, ადასტურებს V ს. ისტორიკოსის ზოსიმეს ერთი ცნობა, რომელშიც ნათქვამია, რომ იმპერატორმა კონსტანტინე I (306—337 წწ.), მთელი იმპერია გაყო რა ოთხ საგამგებლოდ, ერთს „...მისცა მთელი ეგვიპტე ლიბიის პენტაპოლისამდე და აღმოსავლეთი ვიდრე მესოპოტამიამდე; გარდა ამისა, მას გადასცა კილიკიელნი და კაბადოკიელნი და არმენიელნი და მთელი ზღვისპირეთი პამფილიიდან ვიდრე ტრაპეზუნტამდე და ფაზისზე მდებარე სიმაგრეებამდე"[431].

როგორც ვხედავთ, აქაც ერთად არის მოხსენიებული სომხეთი, კაბადოკია და შავიზღვისპირეთი მდ. ფასისამდე, სადაც ამ ქვეყნების საზღვარი იგულისხმება. მართალია, ფასისთან დაკავშირებული ცნობა მოკლებულია კონკრეტულობას, მაგრამ კაბადოკიის ფარგლებში რომ მდ. ფასისის მარჯვენა სანაპირო არ იგულისხმება, აშკარაა.

ამრიგად, II საუკუნის შუა წლებში პტოლემაიოსის მიერ კარტოგრაფიულად დამოწმებული ლაზიკისა და კაბადოკიის საზღვრის არსებობა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში დასტურდება ზოსიმეს

---

429 В. А. Леквинадзе. Римский кирпич со штампом из Цихисдзири, с. 798—800; Его же. Понтийский лимес, с. 87—88.

430 ნ. ლომოური. დასახ. ნაშრ. გვ. 41—44.

431 გეორგიკა. I. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. გვ. 269.

ცნობითაც და იმავეზე უნდა მიგვანიშნებდეს, IV—V საუკუნეების ნოტიციების მიხედვით, აღმოსავლეთის მმართველთა სიაში არმენიის სარდლის გამგებლობაში არსებული ჯარის სადგომებს შორის სებასტოპოლისის მოხსენიება.

კიდევ ერთხელ უნდა გავიმეოროთ, რომ, ჩვენი დაკვირვებით, პტოლემაიოსის რუკის სებასტოპოლისი, არტაშატიდან მომავალი გზის ბოლოში მდებარე სებასტოპოლისი და ნოტიციაში მოხსენიებული სებასტოპოლისი ერთი და იგივე პუნქტი უნდა იყოს და ყველა მონაცემი (არქეოლოგიური, კარტოგრაფიული, წერილობითი) არსებობს ქობულეთ-ციხისძირის ტერიტორიაზე მისი ლოკალიზაციისა.

როგორც Notitia dignitatum-ის მიხედვით ირკვევა, V საუკუნის დასაწყისში სებასტოპოლისი ჯერ კიდევ რომის ჯარების სადგომ პუნქტს წარმოადგენს, რაც სავსებით ბუნებრივი ჩანს, რადგან II ს. მოკიდებული V ს. I ნახევრის ჩათვლით იგი პოლიტიკურად რომის იმპერიის აღმოსავლეთ პროვინციის, კაბადოკიის პონტოს, ორგანული ნაწილი უნდა ყოფილიყო. ქართველ მეცნიერთა შორის დამკვიდრებული მოსაზრების მიხედვით, IV ს. ბოლოსათვის ლაზეთის (ეგრისის) სამეფო აერთიანებს უკვე მთელ დასავლეთ საქართველოს. მისი ტერიტორია სამხრეთით მდ. ჭოროხის შესართავის სექტორამდე ვრცელდებოდა, ხოლო ჩრდილოეთით მოიცავდა თანამედროვე აფხაზეთსა და მაღალმთიან სვანეთსაც[432].

IV საუკუნის ბოლო არის ლაზეთის სამეფოს განსაკუთრებული გაძლიერების ხანა[433]. სასანურ სპარსეთთან არაერთგზის განცდილმა მარცხმა, ირანის ამიერკავკასიის ქვეყნებში დამკვიდრებამ, გუთებისა და ჰუნების შემოსევებმა რომის მესვეურები აიძულა შერიგებოდა და ხელიც კი შეეწყო ლაზიკის სამეფოს დამოუკიდებლობისა, გაერთიანებისა და გაფართოების სწრაფვისათვის[434].

ყოველივე ზემოთქმული ლაზიკის ძლიერების შესახებ ახლოა ჭეშმარიტებასთან, მაგრამ, ჩვენი დაკვირვებით, IV ს. ლაზიკის მთლიანობის აღდგენა ჯერ კიდევ არ არის დასრულებული. კერძოდ, მისი სამხრეთი საზღვრის საკითხი არა ჩანს მოგვარებული და ისტორიული კოლხეთის საკმაოდ ვრცელი ტერიტორია, მდ. ფასისის მარცხენა სა-

---

432 ნ. ლომოური. ეგრისის სამეფოს ისტორია. თბ., 1968, გვ. 75.

433 იქვე. გვ. 72.

434 იქვე. გვ. 75.

ნაპიროდან ჰოროხის აუზის ჩათვლით, რომის აღმოსავლეთი პროვინციის, კაბადოკიის პონტოს გამგებლობაში რჩება (იხ. რუკა).

როგორც წერილობითი წყაროები მოწმობენ, ერთი მხრივ, შედარებით შესუსტებული რომის იმპერიასა და, მეორე მხრივ, აღმავლობის გზაზე შემდგარ ეგრის-ლაზიკის სამეფოს შორის პოლიტიკური ურთიერთობები, მთელი V ს-ის მანძილზე, ამ ტერიტორიული საკითხების გარკვევის ფონზე მიმდინარეობს, რასაც ზოგ შემთხვევაში სერიოზული შეიარაღებული კონფლიქტიც კი გამოუწვევია.

როგორც ჩანს, გაძლიერებული ლაზიკის სამეფო ვეღარ ეგუებოდა ძველი კოლხეთის კუთვნილი ტერიტორიების დანაკარგებს და ყველა გზით იბრძოდა ისტორიული სამართლიანობის აღსადგენად. V საუკუნეში ლაზიკასა და რომს შორის წარმოქმნილი შეხლა-შემოხლისა და კონფლიქტური სიტუაციების მასშტაბების შესახებ საყურადღებო მასალები შემოგვინახა ამ მოვლენების თანამედროვე ისტორიკოსმა პრისკე პანიონელმა. პრისკეს კალამს ეკუთვნის საისტორიო თხზულება „გუთების ისტორია“, რომელიც ეხება 433—474 წლების ამბებს და რომლისგანაც მხოლოდ ფრაგმენტებია შემორჩენილი. ამ ფრაგმენტებიდან ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ის ნაწილები, სადაც მოთხრობილია ლაზთა მეფე გუბაზსა და ბიზანტიის იმპერატორს შორის მომხდარი კონფლიქტის შესახებ. „მის შემდეგ, როდესაც რომაელები მოვიდნენ კოლხიდაში და ომი აწარმოეს ლაზების წინააღმდეგ, რომაელთა ჯარი თავის ქვეყანაში გამობრუნდა და ჯარისკაცები შეუდგნენ ახალი ომისათვის მზადებას; ისინი იმის ბჭობაში იყვნენ, თუ რა გზით ელაშქრათ: იმავე გზით, თუ სპარსეთის მეზობელი ქვეყნის, არმენიის, გზით დაეწყოთ ომი და წინდაწინ პართელების მეფე მიემხროთ. ზღვით, მათი აზრით, შეუძლებელი იყო ცურვა ძნელსავალი ადგილების გასწვრივ, რადგან კოლხიდა უნავსადგურო იყო. გობაზმა ელჩები გაგზავნა პართელებთანაც და რომაელთა მეფესთანაც. მაგრამ პართელების მეფეს ომი ჰქონდა კიდარიტებად წოდებულ ჰუნებთან და ამიტომ უარი უთხრა მასთან მოსულ ელჩებს“[435].

როგორც ამ ფრაგმენტიდან ჩანს, რომაელებს დიდი ომი უწარმოებიათ ლაზების წინააღმდეგ, მაგრამ წარმატებისათვის ვერ მიუღწევიათ და ახალი ომისათვის ემზადებიან. ასევე, ემზადება ახალი ომი-

---

[435] გეორგიკა. I. გვ. 254.

სათვის გუბაზ მეფეც და როგორც რომაელები, ისევე ლაზები ცდილობენ თავის მხარეზე გადაიბირონ პართელები[436].

რომაელები მარშრუტის შერჩევისას უარს ამბობენ საზღვაო გზის გამოყენებაზე იმ მიზეზით, თითქოს კოლხეთის სანაპირო უნავსადგურო იყოს, რაც არ შეეფერება რეალურ ვითარებას. ჩვენ ჯერ კიდევ ფლავიუს არიანესაგან ვიცით, რომ კოლხეთს შესანიშნავი ნავსადგურები გააჩნია აფსაროსში და ფასისში, რომელშიც საკმაოდ მოზრდილი არმადით შეაფარა თავი არიანემ, თავისი საინსპექციო მოგზაურობის დროს კოლხეთში[437]. აშკარაა, აქ სხვა უნავსადგურო კოლხეთი, უფრო სწორად, კოლხეთის უნავსადგურო სანაპირო იგულისხმება. ასეთია ბათუმსა და ფასისს შორის მოქცეული გურია-აჭარის ზღვისპირა მონაკვეთი, რომლის ცენტრში ციხისძირი მდებარეობს. ეს სანაპირო, მართლაც, უნავსადგუროა და ამიტომ იყო, რომ პეტრას ლოკალიზაციის მცდელობისას ს. ყაუხჩიშვილი და ნ. ლომოური პეტრას ნავსადგურის ძიებამ ბათუმში მიიყვანა.

პრისკეს მიერ ნახსენები მეორე სახმელეთო გზა, რომელსაც იგი არმენიისას უწოდებს, სხვა არა უნდა იყოს რა, თუ არა TP-ის საგზაო მაგისტრალი, რომელიც სომხეთის ანუ არმენიის დედაქალაქ არტაშატში იწყება და სებასტოპოლისში მთავრდება. როგორც ზემოთ დავინახეთ, ქ. სებასტოპოლისი ჩვენ ციხისძირში გვეგულება, სადაც დამოწმებულია კასტელიუმის არსებობა და რომაული გარნიზონის ყოფნაც ივარაუდება. თუ არ ვცდებით, სწორედ აქ, სასაზღვრო ქ. სებასტოპოლისთან, უნდა მომხდარიყო პირველი საბრძოლო შეჯახება ლაზებსა და რომაელებს შორის და ხელმეორედ აქეთ წამოსასვლელად არჩევენ საზღვაო და სახმელეთო მარშრუტებს რომაელები. როგორც უკვე ითქვა, ეს ომი ლაზების წარმატებით უნდა დამთავრებულიყო, რადგან რომაელთა ჯარი იძულებული გამხდარა დაეტოვებინა კოლხეთი და ახალი ომისათვის მზადების თადარიგი დაეჭირა.

თუ რატომ მოხდა ომი, რა იყო ლაზებისა და რომაელების სამხედრო დაპირისპირების მიზეზი, პრისკეს განხილული ცნობა პასუხს არ იძლევა, მაგრამ, თუ როგორ დამთავრდა საერთოდ კონფლიქტი, ამის შესახებ საყურადღებო მასალა მოიპოვება პრისკე პანიონელის 26-ე ფრაგმენტში: „გობაზმა ელჩები გაგზავნა რომაელებთან. რომა-

---

436 იქვე.

437 ფ ლ ა ვ ი უ ს ა რ ი ა ნ ე. მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო. თბ., 1961, გვ. 35, 39.

ულებმა უპასუხეს გობაზის მოციქულებს, რომ შეწყვეტდნენ ომს, თუ ან თვითონ გობაზი გადადგებოდა ტახტიდან, ან შვილს გადააყენებდა მეფობიდან: ძველი კანონის თანახმად, არ არის კანონიერი, რომ ორივენი მეფობდეთო; ასე რომ, ერთ-ერთი უნდა იყოს კოლხიდის ტახტზე, ან გობაზი ან მისი შვილი და მაშინ შევწყვეტთ ომსო — ურჩევდა ევფემიოსი, რომელსაც მაგისტროსის თანამდებობა ეჭირა. ევფემიოსი სახელგანთქმული იყო ჭკუით და სიტყვა-პასუხითაც და მარკიანე მეფის დროს ეზოსმოძღვარი იყო... ასეთი არჩევანი რომ მისცეს გობაზს, იმან აირჩია გადამდგარიყო სამეფო ტახტიდან შვილის სასარგებლოდ და თავისი სამეფო ნიშნები გაიძრო (?) და მან რომაელთა მპყრობელს მოციქულები გაუგზავნა თხოვნით, — უკვე ერთი კოლხი მეფობს და ნუღარ ჯავრობ, იარაღი დაჰყარეო. რომაელთა მეფემ წინადადება მისცა მას გადმოსულიყო რომაელთა ქვეყანაში და მოეხსენებინა თავისი განზრახვების შესახებ. გობაზმა არ თქვა უარი გამგზავრებაზე, ხოლო წინათ, თვით გობაზთან მომხდარ უთანხმოებათა გამო, კოლხიდაში გამოგზავნილ დიონისეს მოსთხოვა სიტყვა მიეცა, რომ მას, გობაზს, უსიამოვნება არაფერი შეემთხვეოდა. ამიტომ იქნა დიონისე გაგზავნილი კოლხიდაში და სადავო საკითხებშიც შეთანხმდნენ"[438].

ამ ფრაგმენტში იმპერატორ მარკიანეს ხსენებამ საფუძველი მისცა მკვლევრებს ეს მოვლენები სწორედ იმ იმპერატორის ზეობის (450—457 წწ.) ხანით დაეთარიღებინათ[439].

ნაწყვეტში ლაპარაკია იმაზე, რომ გუბაზს თავისი ვაჟი თანამოსაყდრედ გაუხდია, რაც რომაელებს მიუღებლად მიაჩნიათ. ძველი კანონის თანახმად, ბიზანტიის კეისარი გუბაზ მეფეს ულტიმატუმს უყენებს: ან მამა ან შვილი ტახტიდან უნდა გადადგეთო. როგორც ჩანს, გუბაზს საჭიროდ მიუჩნევია ანგარიში გაეწია ამ ულტიმატუმისათვის და ტახტიდან გადამდგარა შვილის სასარგებლოდ. როგორც მოვლენების შემდგომი მსჯელობიდან ჩანს, ეს იყო მხოლოდ ეპიზოდი და არა მთავარი მიზეზი ბიზანტია-ლაზიკის ურთიერთობის გართულებისა, რადგან, გუბაზის გადადგომის მიუხედავად, კეისარი არ კმაყოფილდება ამ ნაბიჯით და მოითხოვს მის გამოცხადებას ბიზანტიაში.

---

438 გეორგიკა. I. გვ. 254—256.

439 ნ. ლ ო მ ო უ რ ი. დასახ. ნაშრ. გვ. 77.

გუბაზი პრინციპულად თანხმდება, მაგრამ უვნებლობის გარანტიას თხოულობს, რომლის მიღების შემდეგ ამ მოთხოვნასაც აკმაყოფილებს. პრისკე პანიონელის 34-ე ფრაგმენტის მიხედვით, გუბაზი კონსტანტინოპოლში ჩასულა ლაზიკაში საომარი ოპერაციების ხელმძღვანელის, ბიზანტიის სამეფო კარზე საკმაოდ მაღალი ჩინის მქონე ვინმე დიონისეს (მაგისტროსი) თანხლებით, სპარსულ ტანსაცმელში გამოწყობილი და მეშუბეებით გარშემორტყმული. „კარისკაცებმა მიღებისთანავე ჯერ გაპკიცხეს იგი რომაელთა წინააღმდეგ ამბოხებისათვის, ხოლო შემდეგ კეთილგანწყობილად მოეპყრნენ და ისე გაისტუმრეს უკან“[440].

ამ ფრაგმენტიდან აშკარად ჩანს, რომ ეს არ იყო შემთხვევითი კონფლიქტი, არამედ ეს იყო ბიზანტიის წინააღმდეგ კარგად ჩაფიქრებული, დიდი საქვეყნო მიზნებისათვის გადადგმული ნაბიჯი, რაც, მოყვანილი ცნობის მიხედვით, ბიზანტიელების მიერ შეფასებული იქნა როგორც აჯანყება, ამბოხება, თუ გადატრიალება[441].

ჩვენ სავსებით ვიზიარებთ პრისკეს ფრაგმენტებში ბიზანტია-ლაზიკის კონფლიქტთან დაკავშირებული მოვლენების ღრმა ანალიზის საფუძველზე ნ. ლომოურის მიერ გაკეთებულ დასკვნას იმასთან დაკავშირებით, რომ გუბაზის განდგომა ბიზანტიისაგან სწორედ მარკიანეს იმპერატორობის დროს მოხდა და პირველი ეტაპიც ბიზანტია-ირანის კონფლიქტისა — ბიზანტიელთა მიერ ლაზიკაში ჯარის გაგზავნა და აქ ომის წარმოება — ამავე იმპერატორის ზეობაზე (450—457) მოდის. შემდგომი მოვლენები კი უკვე ლეონ I-ის დროს ხდება და მის დროსვე, 465 წელს სრულდება“[442]. ე. ი. ეს ძალზე სერიოზული კონფლიქტი, სულ ცოტა, ათი წელი მაინც უნდა გაგრძელებულიყო, რომელიც, ბოლოს და ბოლოს, შინაგანი და გარეგანი ობიექტური მიზეზების გამო, მშვიდობიანად დამთავრებულა.

ერთი სიტყვით, პრისკე პანიონელის ფრაგმენტების სახით ჩვენ მოგვეპოვება კარგად დათარიღებული, მრავალმხრივ საინტერესო ისტორიული დოკუმენტი, ეგრის-ლაზიკის სამეფოს ძლიერებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ეპიზოდებს რომ შეიცავს, მაგრამ, სამწუხაროდ, მისი ფრაგმენტულობის გამო, ბოლომდე გაურკვევე-

---

440 გეორგიკა. I. გვ. 259.

441 ნ. ლ ო მ ო უ რ ი. დასახ. ნაშრ. გვ. 79.

442 იქვე. გვ. 77—79.

ლი რჩება მთავარი, თუ რა იყო ბიზანტიელების წინააღმდეგ ლაზების ბრძოლის კონკრეტული მიზეზი და მისი ამოცანები.

რა პრეტენზიებით მიდის გუბაზი ბიზანტიაში, რა თემაზე ესაუბრა იმპერატორს „მაღალ დონეზე" და ასე რით მოხიბლა სამეფო კარი გუშინდელმა მეამბოხემ, რომ კმაყოფილი გაგზავნეს უკან. როგორც უკვე ითქვა, პრისკე პანიონელის ფრაგმენტების მიხედვით, ეს კითხვები უპასუხოდ რჩება და პასუხი სხვა მასალებში უნდა ვეძიოთ.

ამ თვალსაზრისით, ძალზე საყურადღებოა ამავე დროისა და ზუსტად იმავე მოვლენების დასკვნითი ნაწილის ამსახველი კიდევ ერთი წერილობითი წყარო, რომელიც უშუალოდ ამ ამბების მონაწილის ცხოვრებას ასახავს და რომელიც, სამწუხაროდ, ლაზიკის ისტორიის ამ უმნიშვნელოვანესი მონაკვეთის გაშუქებისას, დღემდე სათანადოდ არ ყოფილა გამოყენებული.

ჩვენ მხედველობაში გვაქვს ერთი აგიოგრაფიული ნაშრომი, რომელშიც აღწერილია ერთ-ერთი ადრეული ხანის ქრისტიანი მოძღვრის, „დანიელ მესვეტეს ცხოვრება" და მოღვაწეობა კონსტანტინოპოლში[443], დაახლოებით 450—490 წწ. როგორც ამ ნაშრომიდან ირკვევა, დანიელს იმდენად დიდი გავლენა მოუპოვებია ბიზანტიის იმპერატორზე, ლეონ I-ზე (457—474 წწ.), რომ ეს უკანასკნელი თაყვანსა სცემდა მას, როგორც წმინდანს[444]. ხსენებული წყაროს X საუკუნის ქართული თარგმანის ჩვენთვის საყურადღებო ფრაგმენტში შემდეგი იკითხება: „მათ დღეთა შინა (ხანძრის შემდეგ — გ. გ.) მოვიდა ღობაზიანოს, მეფე აფხაზთაჲ, ხილვად ნეტარისა ლეონ, მეფისა ბერძენთაისა და წარიყვანა იგი მეფემან და აღვიდა წმიდისა მის თანა. და იხილა რაჲ უცხოჲ იგი ხილვაჲ და მოქალაქეობაჲ ანგელოზებრივი, ღობაზიონოს დავარდა პირსა ზედა თჳსსა და თქუა: გმადლობ შენ, მეუფეო ცათაო, რამეთუ ქვეყანისა მეფისა მიერ დიდთა საკჳრველთა ხილვად ღირს მყავ მე, მონაჲ შენი. და მაჩუენე. რომელი არა სადა მენახა ქუეყანასა ზედა. ხოლო აქუნდა ორთავე ამათ მეფეთა საურავი რაჲმე ქუეყანათაჲ. დაწყნარებისათჳს და ზღვათა განყოფისაჲ: სადამდის არს საბერძნეთისაჲ ანუ მეგრელთაჲ. აფხაზეთის სამეფოჲსაჲ: და უთხრეს წმიდასა და მონასა ღმრთისასა დანიელს. და იგი

---

443 კ. კეკელიძე. ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. VII. თბ., 1961, გვ. 5—8.

444 იქვე. გვ. 5.

იქმნა შუამდგომელ მათდა. და დადვეს საზღვრად ციხჲ ხუფათი: და აღუთქვეს ურთიერთას მშჳდობაჲ და სიყვარული ამისითა სიტყჳთა: და შთამოვიდა მეფე ქალაქად და განუტევა ღობაზიონ მამულსა თჳსსა, ხოლო მი-რაჲ-იწია ქვეყნად თჳსად ღობაზიონ, უთხრობდა ყოველთა მადლსა მას წმიდისასა: და რაჟამს მოციქულნი მისნი აღვიდოდიან კონსტანტინეპოლედ მეფისა, წიგნი მიუწერის ნეტარსა მისსა და ლოცვასა ითხოვნ მისგან: და ვიდრე აღსრულებამდე არ დასცხრებოდა ამისა ყობად"[445].

როგორც ვხედავთ, ეს წყარო ყოველმხრივ საყურადღებო, შეიძლება ითქვას, უნიკალური ძეგლია, სადაც პირდაპირ არის მითითებული ჩვენთვის ამჟამად საყურადღებო საკითხის შესახებ. თუ რამ გამოიწვია V საუკუნის 50—60-იან წლებში ლაზიკასა და ბიზანტიას შორის საომარი კონფლიქტი და რა შედეგები მოჰყვა მას. აშკარაა, რომ ლაზიკა-ბიზანტიის შეჯახების მთავარი მიზეზი გამხდარა ლაზიკის ტერიტორიული პრეტენზიები ბიზანტიის მიმართ. როგორც ჩანს, აღმავლობის გზაზე მყოფი ლაზიკის სახელმწიფო ვეღარ ეგუება ისტორიულ უსამართლობას, როდესაც მას ჩამოჭრილი უნდა ჰქონოდა, ალბათ, სამხრეთი ფრთა და იბრძვის ქვეყნის მთლიანობის აღდგენისათვის ძველი კოლხეთის სახელმწიფოს საზღვრებში.

ლაზიკის აჯანყება, ჩანს, აგრეთვე, დააჩქარა იმდროინდელი ბიზანტიის მძიმე საგარეო და საშინაო მდგომარეობამ, რაც გამოიხატა 30—50-იან წლებში ვანდალებისა და გუთების არაერთგზის თავდასხმებში, „მწვალებლობის", „ნესტორიანობის" და „მონოფიზიტობის" შიდა ომებმა და სხვ.[446]

ბიზანტიის ასეთი მძიმე მდგომარეობით, როგორც ჩანს, მოხერხებულად ისარგებლა გუბაზმა, რომელსაც იმედი ჰქონდა ბიზანტიის ძველი მოქიშპის, სასანური ირანის დახმარებისა და აჯანყდა ბიზანტიის წინააღმდეგ ქვეყნის მთლიანობის აღდგენის მიზნით.

ყოველ შემთხვევაში, დანიელ მესვეტეს ცნობის იმ ადგილის მიხედვით, სადაც საუბარია ქვეყნისა და ზღვათა განყოფის საურავზე, უდავოა, რომ ხსენებული ომის მიზეზი გუბაზის მიერ ბიზანტიისადმი წაყენებული ტერიტორიული პრეტენზიებია.

---

445 კ. კეკელიძე. დასახ. ნაშრ. გვ. 5—6.

446 ф. И. Успенский. История Византийской империи, т. I, с. 206; ნ. ლომოური. ეგრისის სამეფოს ისტორია. გვ. 85.

კ. კეკელიძის აზრით, კონსტანტინოპოლში ჩასულ გუბაზს გარკვეული დიპლომატიური ნაბიჯები გადაუდგამს იმ მხრივ, რომ საერთო ენა გამოუნახავს სამეფო კარზე და განსაკუთრებით დაახლოებია იმპერატორზე დიდი გავლენის მქონე მამა დანიელს, რომელსაც, შესაძლოა, შეჰპირდა კიდეც, თუკი იგი მხარს დაუჭერდა, უკან დაბრუნების შემდეგ აქტიურად შეუწყობდა ხელს ეგრის-ლაზიკაში ქრისტიანობის გავრცელების საქმეს[447].

წყაროს მიხედვით, დანიელს წარმატებით გაურთმევია თავი გუბაზსა და ლეონ I-ს შორის შუამავლის ნაკისრ ვალდებულებისათვის. აშკარაა, მისი მხარდაჭერის წყალობით, გუბაზისათვის დადებითად გადაჭრილა სადავო ტერიტორიის საკითხი და ლაზიკასა და ბიზანტიას შორის სახელმწიფო საზღვრად დაუდგენიათ ციხე ხუფათი ანუ დღევანდელი ხოფა. ამის სანაცვლოდ, უკან დაბრუნებული გუბაზიც მთელის მონდომებითა და სიყვარულით უწევდა პროპაგანდას ლაზიკაში ქრისტიანულ სარწმუნოებას და მისი სულიერი მამის, წმინდა დანიელის სასწაულმოქმედების უნარს, მისი სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე.

პრისკე პანიონელის ცნობის მიხედვით, გონიერებითა და სიტყვა-პასუხით ცნობილ ევფემიოსის რჩევით, იმპერატორს ისტორიკოსი პრისკე პანიონელიც მიუწვევია სახელმწიფოებრივ საქმეებში მონაწილეობის მისაღებად[448]. გამორიცხული არ არის, რომ პრისკეს, როგორც ისტორიკოსის, მიწვევის ერთ-ერთი მიზანი სწორედ გუბაზის მიერ წამოყენებული ტერიტორიული პრეტენზიების ისტორიული საფუძვლიანობის გარკვევა უნდა ყოფილიყო.

ამრიგად, როგორც დანიელის ცხოვრების ამსახველი დოკუმენტიდან ირკვევა, V საუკუნის სამოციან წლებში ლაზიკის სამხრეთ საზღვარი გავიდა ციხე ხუფათზე, რაც სხვა არაფერია, თუ არა თანამედროვე დაბა და ნავსადგური ხუფათი, რომელიც ამჟამად თურქეთის ტერიტორიაზე მდებარეობს (იხ. რუკა).

სამწუხაროდ, არც ეს უკანასკნელი დოკუმენტი იძლევა პასუხს, თუ საიდან იქნა გადმოტანილი საზღვარი ციხე ხუფათზე, ანუ, რაც იგივეა, თუ სად იყო ამ კონფლიქტამდე ლაზიკასა და ბიზანტიას შორის გამავალი სასაზღვრო ხაზი. ჩვენი აზრით, აქ უნდა იგულისხმე-

---

447 კ. კეკელიძე. დასახ. ნაშრ. გვ. 7.

448 კ. კეკელიძე. დასახ. ნაშრ. გვ. 6; ს. ყაუხჩიშვილი. გეორგიკა. I. გვ. 252.

ბოდეს II საუკუნის შუა ხანების ლაზიკისა და კაბადოკიის პონტოს პროვინციის გამყოფი ხაზი, რომელიც კარტოგრაფიულად ასახულია პტოლემაიოსის „გეოგრაფიულ სახელმძღვანელოში"[449].

როგორც ზემოთ დავინახეთ, II საუკუნეში დაღგენილი ეს საზღვარი უცვლელი რჩება III—IV საუკუნეებშიც და აი, ბოლოს და ბოლოს, V საუკუნის 60-იან წლებში, მას შემდეგ, რაც მთელი შინაგანი ძალების მობილიზაციის შედეგად ლაზიკამ მიაღწია თავისი ძლიერების ზენიტს ხელსაყრელი საერთაშორისო ვითარების გამოყენებით ლაზიკის მეფე გუბაზს დიდი ბრძოლითა და დიპლომატიურ ღონისძიებათა მთელი კომპლექსის გამოყენებით მოუხერხებია ეგრის-ლაზიკის სამეფოს მთლიანობის აღდგენა კოლხეთის სამეფოს ისტორიულ ჩარჩოებში, დიოსკურია-სებასტოპოლიდან მოკიდებული მდ. აფსაროს-ჭოროხის სექტორის ჩათვლით. (იხ. რუკა).

ეს არის ეგრის-ლაზიკის სამეფოს ძლიერების ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი პერიოდი და არა ლაზიკის მარცხისა და დაქვეითების დასაწყისი, როგორც ეს ივარაუდება ლაზიკიდან სვანეთის ნაწილობრივ გამოყოფის ფაქტზე დაყრდნობით[450].

ჩვენი აზრით, კონფლიქტური ურთიერთობის წარმოშობა სვანეთსა და ლაზიკას შორის ლაზიკის სისუსტის მანიშნებელი კი არა, უფრო მეტად, მისი შემდგომი გაძლიერების შედეგზე უნდა მიუთითებდეს.

როგორც ჩანს, მარტივ ეკონომიკურ ურთიერთობაზე დამყარებული კავშირი (ტყავებისა და ფუტკრის ნაყოფის გაცვლა პურზე და მარილზე), რომელიც წინა ხანებში არსებობდა სვანეთსა და ლაზიკას შორის, აღარ აკმაყოფილებს აღმავლობის ზენიტში მყოფ, ფეოდალიზმის გზაზე შემდგარ ლაზიკის სამეფოს და იგი ცდილობს უფრო მტკიცე, ბარის ფეოდალური კანონების შესაბამისი ურთიერთობების დამკვიდრებას მაღალმთიან სვანეთში, რისთვისაც იპყრობს სვანეთის ციხეებს[451].

როგორც მოგვიანო ხანის ცნობები მოწმობენ, გუბაზის მეფობაში დადგენილი ლაზიკის სამეფოს საზღვარი ხუფათი უცვლელი რჩება VI საუკუნეშიც, სადაც ბიზანტიელები ქ. პეტრას აშენებენ.

---

449 გეორგიკა. I. გვ. 255.

450 ნ. ლ ო მ ო ურ ი. კლავდიოს პტოლემაიოსი. გვ. 45.

451 ნ. ლ ო მ ო ურ ი. ეგრისის სამეფოს ისტორია. გვ. 79—85; მისივე, საქართველოსა და ბიზანტიის ურთიერთობა. გვ. 81—85; დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები. თბ., 1977, გვ. 208.

ასეთივეა იგი აფხაზეთის სამეფოს არსებობის პერიოდში[452] და განვითარებულ შუა საუკუნეებშიც[453], ვიდრე ეგრის-ლაზიკის სამეფოს, ცივილიზებული და მაღალკულტურული ბიზანტიის ნაცვლად, „ბარბაროსული“ ოტომანთა იმპერია არ დაუმეზობლდა.

ამრიგად, როგორც ჩვენი კვლევის შედეგებმა ცხადყო, უთუოდ, ნდობით უნდა მოვეკიდოთ დიდი მეცნიერი-გეოგრაფოსის კლავდიოს პტოლემაიოსის „გეოგრაფიული სახელმძღვანელოს“ იმ ადგილს, სადაც აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის სამხრეთ ნაწილში, მდ. აფსაროსსა და მდ. ფასისს შორის მოქცეულ ტერიტორიაზე მითითებულია ქ. სებასტოპოლისი.

როგორც არქეოლოგიური კვლევა-ძიების საფუძველზე დასტურდება, პტოლემაიოსის რუკის სებასტოპოლისის ქრონოლოგიურად და ხარისხობრივად შესატყვისი მდიდარი არქეოლოგიური მასალა გამოვლენილია თანამედროვე ციხისძირის (ქობულეთის რ-ნი) ტერიტორიაზე, გურია-აჭარის ზღვისპირა მიკრორაიონში. თავისი რანგით ციხისძირი პირველხარისხოვანი ძეგლია და მისი და პტოლემაიოსის რუკის სებასტოპოლისის იდენტიფიკაციას ყოველგვარი რეალური საფუძველი გააჩნია.

არქეოლოგიური მონაპოვრების მიხედვით, ციხისძირ-სებასტოპოლისი განსაკუთრებით მომდევნო (III—V) საუკუნეებში წინაურდება, როდესაც აქ რომაული კასტელიუმიც აუგიათ (დამღიანი აგური). ამ პროცესის დოკუმენტური გაფორმების ბედნიერი შემთხვევის ფაქტთან გვაქვს საქმე კასტორიუსის ე. წ. TP-ის რუკის XI—XII სეგმენტის სახით. იქ დაფიქსირებულია ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საგზაო მაგისტრალი, რომელიც იწყება კაბადოკიის პონტოს შემადგენლობაში შემავალ, ახ. წ. IV ს. სომხეთის დედაქალაქ არტაშატში და მთავრდება ქ. სებასტოპოლისში. როგორც რუკაზე დატანილ პუნქტებს შორის არსებული მანძილის მაჩვენებლებით, ისე საგზაო მარშრუტის მიმართულებით, ამ საგზაო მაგისტრალის უკანასკნელი პუნქტი უნდა იყოს ციხისძირ-სებასტოპოლისი ანუ იგივე ქალაქი, რომელიც პტოლემაიოსის რუკის მიხედვითაც აქვე იგულისხმებოდა.

---

452 გ. გ რ ი გ ო ლ ი ა. ძველი კოლხეთის საქალაქო ცენტრების (პეტრა) ლოკალიზაციის საკითხები. — საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული. VII. თბ., 1989, გვ. 37—81.

453 ს. ჯ ა ნ ა შ ი ა. შრომები. VI. თბ., 1988, გვ. 257—258; ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ტომი. III, თბ., 1983, გვ. 149.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ, არქეოლოგიური მასალის მიხედვით, ციხისძირის, როგორც ძეგლის, აყვავების კულმინაციის პერიოდი სწორედ ახ. წ. IV საუკუნეზე მოდის. ასე რომ, როგორც პტოლემაიოსის სებასტოპოლისის, ისევე კასტორიუსის ქ. სებასტოპოლისის ციხისძირთან იდენტიფიკაციის შესაძლებლობა ძალზე ახლოს დგას ჭეშმარიტებასთან. ალბათ, ნიშანდობლივია, რომ კასტორიუსის ქ. არტაშატი, საიდანაც ხსენებული საგზაო მაგისტრალი მოემართება, კაბადოკიის პონტოს პროვინციის ქალაქია, ისევე როგორც პტოლემაიოსის სებასტოპოლისი, კაბადოკიის პონტოს ფარგლებში მისი ჩრდილო-აღმოსავლეთ საზღვრის კიდეზე მდებარე პუნქტია.

ჩვენი დაკვირვებით, იგივე სებასტოპოლისზე უნდა იყოს საუბარი V საუკუნის პირველი ნახევრით დათარიღებულ, ე. წ. „Notitia dignitatum"-ში, რომელშიც იმ სამხედრო ნაწილების სიაა მოცემული, რომელნიც პოლემონის პონტოში შემავალ არმენიის დუქსს ექვემდებარებიან. ესენია: პითია, ვალენტია, უსურიპორტო, კენე პარემბოლე, სებასტოპოლისი, ზიგანა და მოხორა.

სავსებით ლოგიკური ჩანს ნოტიციის, სებასტოპოლისის, კასტორიუსის სებასტოპოლისის და პტოლემაიოსის სებასტოპოლისის იდენტიფიკაციის დაშვება, მითუმეტეს, რომ ამ უკანასკნელში (ციხისძირში) III—IV საუკუნეებში რომაული კასტელიუმის არსებობა არქეოლოგიური მასალითაც დასტურდება.

პტოლემაიოსის მიხედვით, სებასტოპოლისი პოლემონის პონტოს პროვინციის სასაზღვრო პუნქტია, რომელსაც ჩრდილოეთიდან კოლხეთი ანუ ლაზიკა ესაზღვრება. როგორც ჩანს, ახ. წ. II საუკუნის მეორე ნახევარში რომის იმპერიას ეგრის-ლაზიკის სამეფოს სამხრეთ-დასავლეთი ნაწილის ოკუპაცია მოუხდენია და იგი პოლიტიკურად პონტოს პროვინციისათვის მიუერთებია. ჩვენი აზრით, სწორედ ამ მოვლენას უნდა ასახავდეს გორგი სინგელოზის ცნობის ის ადგილი, სადაც ნათქვამია: „სევერემ (193—211 წწ. — გ. გ.) დაიმორჩილა კოლხიკე, ე. ი. ლაზიკეო"[454].

ამ დროიდან, თუ ცოტა უფრო ადრე არა, ლაზიკის ხსენებული მონაკვეთი უნდა გამხდარიყო რომის დასაყრდენი პუნქტი ჩრდილოეთიდან და, განსაკუთრებით, ამიერკავკასიიდან მიმავალი გზების მაკონტროლებელი პუნქტი და აგრეთვე, საომარ მოქმედებათა შემთხვევაში, სამხედრო რესურსების მწარმოებელ ბაზად უნდა ქცეულიყო.

---

454 ს. ყაუხჩიშვილი. გეორგიკა. IV, ნაკვ. I. თბ., 1940, გვ. 68.

როგორც წერილობითი წყაროები (კასტორიუსი, ზოსიმე, Notitia dignitatum, პრისკე პანიონელი, დანიელ მესვეტე) მოწმობენ, ლაზიკის ისტორიული გეოგრაფიის არსებული სურათი უცვლელი დარჩენილა 465 წლამდე, ვიდრე თავისი სახელმწიფოებრივი ძლიერების ზენიტში მყოფი ეგრის-ლაზიკის სამეფოს მეფე გუბაზმა და მისმა შვილმა წათემ, დიდი ბრძოლითა და დიპლომატიური ხერხების (ტახტიდან გადადგომა, დანიელ მესვეტესთან დაახლოვება, ბიზანტიონში ჩასვლა) მთელი კომპლექსის გამოყენებით არ აიძულეს ბიზანტიის იმპერატორები, ჯერ მარკიანე (450—457 წწ.) და შემდეგ კი ლეონ I (457—474 წწ.), ლაზიკის სამხრეთ-დასავლეთ საზღვარი ხოფა-ხუფათთან გადაეტანა. ე. ი. მოხერხდა ეგრის-ლაზიკის მთლიანობის აღდგენა ძველი კოლხეთის სამეფოს ისტორიულ ჩარჩოებში, დიოსკურია-სებასტოპოლისიდან მოკიდებული მდ. აფსაროს-ჭოროხის სექტორის ჩათვლით (იხ. რუკა).

დასასრულს, კიდევ ერთხელ უნდა გავიმეოროთ, რომ პტოლემაიოსის სებასტოპოლისი, კასტორიუსის სებასტოპოლისი და ნოტაციის სებასტოპოლისი ერთი და იგივე ობიექტი ჩანს. თავი რომ დავანებოთ არქანჯელო ლამბერტის მიერ ხალხის მეხსიერებაში შემორჩენილ ინფორმაციას, ქ. ფასისის სამხრეთით წყალში ჩაძირული სებასტოპოლისის არსებობის შესახებ, პტოლემაიოსის ცნობა საქართველოს შავიზღვისპირეთის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში სებასტოპოლისის არსებობის შესახებ არ შეიძლება ჩაითვალოს როგორც „მარტო მდგომი". პირიქით, ჩვენ გვჯერა, რომ ცნობები ციხისძირის სებასტოპოლისზე საკმაოდაა გაბნეული ბიზანტიურ-რომაულ წყაროებში, მაგრამ, რადგან პტოლემაიოსის სებასტოპოლისის არსებობა იურიდიულად არ იყო აღიარებული, ყოველგვარ დოკუმენტში ხსენებული სებასტოპოლისის ასოცირება ხდებოდა დიოსკურია-სებასტოპოლისთან. ამ ხასიათის მოგვიანო (VI—VII სს.) წყაროებიდან შეიძლება დავასახელოთ მოციქულების — დოროთესა და ეპიფანე კვიპრელის — კატალოგები ანდრიას შესახებ, სადაც დიდი სებასტოპოლისის (იგულისხმება აფხაზეთის სებასტოპოლისი — ს. ჯანაშია) გეოგრაფიული მდებარეობა განსაზღვრულია სიმაგრე აფსაროსისა და მდ. ფასიდის (ფაზისის) საშუალებით[455]. კონტექსტის მიხედვით, ასევე უთუოდ, აჭარის სებასტოპოლისზეა საუბარი (Chronicon Paschale-

---

455 ს. ჯ ა ნ ა შ ი ა. შრომები. VI. გვ. 256.

ში დაცული ცნობის ერთ-ერთ ფრაგმენტში, სადაც სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ თანმიმდევრულადაა ჩამოთვლილი „...სიმაგრე აფსარე და სებასტოპოლისი და ისეს ნავსადგური და მდ. ფასიდი“[456].

ეჭვი არ გვეპარება, რომ ანალოგიური ცნობები სულ უფრო მეტი და მეტი გამოვლინდება მას შემდეგ, რაც სათანადო საკითხებით დაინტერესებული მეცნიერული საზოგადოება გაიზიარებს ჩვენი კვლევის შედეგებს: აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში კლავდიოს პტოლემაიოსის რუკის სებასტოპოლისის რეალურად არსებობის აღიარებისა და მისი ციხისძირთან იდენტიფიკაციის შესახებ.

აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, ახლებურად უნდა შეფასდეს ეგრის-ლაზიკის სამეფოს პოლიტიკური და საისტორიო გეოგრაფიის საკითხები, სახელმწიფო საზღვრის გადანაცვლება მდ. ფასისის სამხრეთ სანაპიროდან ქ. ხოფას სექტორში, ეგრის-ლაზიკის სამეფოსა და ბიზანტია-რომის იმპერიას შორის II—VI საუკუნეებში არსებული სამშვიდობო და საომარი ურთიერთობები, მათი გამომწვევი მიზეზები და სამხედრო-პოლიტიკურ ურთიერთობათა მთელი პერიპეტიები.

---

456 ს. ჯ ა ნ ა შ ი ა. დასახ. ნაშრ. გვ. 257.

G. K. GRIGOLIA

PROBLEME DER HISTORISCHEN GEOGRAPHIE DES KÖNIGTUMS VON EGRIS-LASIKA

Zusammenfassung

Die Stadt-Festung Petra, als Stadtzentrum des Königtums von Egris-Lasika im VI. Jh. hat eine sehr kurze Existenzgeschichte, obwohl sie eine wichtige Rolle im politischen, wirtschaftlichen und religiösen Leben des frühbyzantinischen Lasika und in der Geschichte der politischen Verhältnisse zwischen Byzanz und sasanidischen Iran erfüllt hatte. Insofern ist die Geschichte dieser Länder und Lasika in bestimmten Zeiten eng miteinander verknüpft.

Danach ist gut zu verstehen, daß es in wissenschaftlichen Kreisen großes Interesse über die Herkunft Petra, über sein weiteres Schicksal und über seine Lage gibt. Besonders wichtig ist in diesem Zusammenhang die Frage der Lokalisierung von Petra, Seit zwei bis drei Jahrhunderten diskutiert man darüber.

Unter den Fachleuten, die sich für diese Frage interessieren, gibt es Meinungsunterschiede, aber die meisten Forscher (K. Koch, D. Bakradze, S. Dshanaschia, S. Kauchtschischwili, N. Berdzenischwili u. a.) nehmen an, daß Petra sich am Strand von Adsharien (eine Republik in Georgien) zwischen den Städten Kobuleti und Batumi befindet, wo beim Kurort Zichisziri auf einem hohen Hügel die Festungsruinen erhalten geblieben sind.

Nach der Erforschung der eindrucksvollen architektonischen Reste und auf Grund der in den letzten Jahren durchgeführten archäologischen Untersuchungen ist ohne weiteres zu bestätigen, daß an dieser Stelle in der spätrömischen und frühbyzantinischen Zeit

zweifelsfrei irgendeine Stadt oder eine große Stadtähnliche Siedlung existierte.

Dennoch ist die allgemein angenommene Frage der Identifizierung von Petra und Zichisziri in ein Widerspruchsnetz geraten und die Beweisanführungen scheint es wenig überzeugend.

Die archäologischen Forschungen, die wir in den letzten Jahren in Kolchis derchgeführt haben, und die kritischen neuartigen Analysen der schriftlichen Quellen: (Justinian Novela, Prokopios von Caesarea, Agathias, u. a.) beweisen, daß der bei Prokopios von Caesarea in Zusammenhang mit Petra angeführte Hauptorientierungs—punkt,—der Fluß Boas—Phasis oder Boas—Adsharnphasis, nicht der Hauptfluß von Kolchis Rion—Phasis gewesen war, wie bis heute angenommen wurde.

In der ersten Etappe der 20-jähigen Krieges (541—551) zwischen Byzanz und Iran für Lasika hat Prokoplos von Caesarea den Fluß Phasis immer noch für den Fluß Tschorochi (Aphsaros—Akamphsis) gehalten.

Die Bergabzweigungen aus dem Berggrat von Lasika-Ponto, die sich südlich vom Fluß Tschorochi in 25—30 km d. h. ein Tagesmarsch befinden, stechen deutlich aus dem Felsenrelief hervor und knüpfen unmittelbar an den Strand an. Hier an dieser Stelle, auf dem Territorium der heutigen Türkei, liegt die kleine Stadt Chopa, deren Topographie, strategische Angaben und auch ihre physikal-geographische Bedingungen sehr genau der Beschreibung von Petra von Rrokopios von Caesarea, entsprechen. Deshalb wurde es Petra oder Kldeeti („Klde" auf deutsch heißt Fels) genannt. s. Karte

Die bei den Gebirgsabzweigungen von Lasika bei Chopa querschließenden Strandstreifen bildeten die physikal-geographische Grenze des historischen Georgiens, die mit der früheren politischen Grenze zusammenfällt. So war es auch im Mittelalter und hier mußte vermutlich der Verteilungsstreifen zwischen den Königtümern von Rom und Lasika in V.—VI. Jh. laufen.

Chopa liegt auf der besonderen Verbindungsstelle der See—und Landwege, wo alle wichtige Fernverkehrsstraßen aus dem Norden (Lasika), dem Süden (römisches Kaiserreich), dem Osten (Iberia) und

dem Südosten (Armenia, Persarmenia) zusammentiefen. Es hat eine guten Hafen und kontrollierte auch den Seeweg. Wegen all diesen Zeichen ist Chopa der bedeutende wirtschaftliche, politische und strategische Knotenpunkt, der offenbar vom Anfang an bei den Römern das Interesse geweckt hatte hier auf einem Felshügel am Meeresufer eine Stadt-Festung zu erbauen. Auf diesem Hügel gibt es ein Kirchengebäude, welches Vermutlich die Reste der Bischofsresidenz von Petra gewesen war, und welches der Eparchie von Lasika gehörte.

Bei Chopa, im Strandviertel, wurden folgende Toponime festgestellt. Dshicha (Ziche—„Festung"), Kala-Dibi (Zichisziri—„Fuß oder Festung") und ein sehr bedeutendes Hydronim: Petrogali (Petras Zkali—„Wasser von Petra") oder Kldis-zkali („Felswasser"). Das letzte ist zusammen mit anderen Angaben ein zuverlässiger Grund für die Behauptung der Identifizierung der Stadt Petra bei Chopa.

Wenn wir diese Frage so stellen klären sich alle Widerstände und Mißverständnisse, die es angeblich im ersten Teil des Werkes Prokopios von Caesarea gab, als man die Feststellung der Lage von Petra, die Grenzzone des Königtums von Lasika, das Areal des Bischofszentrums von Petra und die Erforschung anderer Fragen im Zusammenhang mit dem Fluß Phasis-Rioni betrachtet hatte.

Nach der Identifizierung des Flusses Boas—Phasis als Tschorochi und nach der Lokalisierung der Stadt Petra als Chopa nach der Quelle Prokopios von Caesarea, scheint es ganz logisch, die Anfänge des Flusses Phasis in den Bergen von Tschaneth-Armenia zu suchen und die Beweisführung für die unregelmäßigen Siedlungen an den Flußufern, die Hauptstädte von Lasika und die Grenzenrichtungen von Iberia u. a. nach den Angaben Prokopios von Caesarea durchzuführen.

In dieser Variante werden fast alle angezweifelten Abschnitte des Werkes von Prokopios von Caesarea klar und man sollte ihm mehr vertrauen, da es sich um die zuverlässigste Quelle der Königtumsgeschichte von Egris-Lasika in der frühbyzantinischen Zeit handelt.

Ausgehend von der neuen Lokalisierung von Petra stellt man selbstverständlich eine logische Frage: was stellte sich das als früheres

Petra angenommenes großartiges Denkmal von Zichisziri heraus? Nach archäologischen Forschungen wurde dort besonders in den letzten Jahren wunderschönes Material aus der spätromische und frühbyzantinischen Zeit freigelegt.

Gerade dem Versuch der Klärung dieser Probleme ist der nächste Teil dieser Arbeit gewidmet, welcher mit den Fragen der Lokalisierung der Stadt Sebastopolis verbunden ist.

In diesem Teil der Arbeit ist das Forschungshauptfach ein Abschnitt des „Lehrbuch für Geographie" des großen Geographen Claudios Ptolemeios, in dem bei der Beschreibung der Provinz von Kabadokien eine Stelle erwähnt wurde, die zwischen den Flüssen Aphsaros und Phasis lag und im Schwarzmeergebiet als Sebastopolis bekannt war.

Wie auf Grund der archäologischen Forschungen bestätigt wurde gibt es Zeitgenössische Denkmäler, die Sebastopolis nach der Karte (11. Jh.) von Ptolemeios chronologisch und qualitätsmäßig entsprechen. Sie befinden sich auf dem Territorium des heutigen Zichisziri (Kreis von Kobuleti). In dieser Hinsicht wird die Identifizierung von Zichisziri und Sebastopolis nach Ptolemeios in allen Punkten bestätigt.

Nach der archäologischen Gegenständen stand Zichisziri-Sebastopolis besonders in den nächsten Jahrhunderten (III. —V.) hoch. als hier ein römisches Kastellum gebaut wurde (Ziegel mit Stempel). Wir haben es mit dem glücklichen Umstand zu tun, da dieser Prozess mit einem Segment des XI.—XII. Jh., mit der sog. Karte von Castorius dokumentiert wurde. Auf der Karte ist eine von den wichtigsten Fernverkehrsstraßen bezeichnet, die in der Hauptstadt von Armenien in IV. Jh. n. Chr. in Artaschat ihren Ursprung nahm (es gehörte damals zu Ponto von Kabadokien) und in Sebastopolis beendet wurde. Der letzte Punkt dieser Fernverkehrsstraße mußte nach den zwischenörtlichen Entfernungen und nach den Marschrichtungen, die auf der Karte angegeben sind, Zichisziri-Sebastopolis sein oder jene Stadt, die nach der Karte von Ptolemeios hier an dieser Stelle angenommen wurde.

Wir müssen nicht vergessen, daß die Blütezeit von Zichisziri nach den archäologischen Materialien mit IV. Jh. n. Chr. zusammen-

fällt. Also, die Möglichkeit der Identifizierung von Sebastopolis nach Ptolomeios, wie auch von Sebastopolis nach Castorius mit Zichisziri liegt sehr Nah an der Wahrheit. Bemerkenswert ist, daß die Stadt Artaschat eine Provinzstadt von Pontokapadokien ist, von der die obenerwähnte Verkehrsstraße ausgeht. So gehört auch Sebastopolis nach Ptolemeios zu Ponto-Kapadokien und liegt an seiner Nord — Ostgrenze.

Nach unserer Beobachtung handelt es sich um dieselbe Stadt Sebastopolis im sog. „Notitia dignitatum", die in der I. Hälfte des V. Jh. datiert ist und in dem die Liste der Militärtruppen angegeben ist, die dem Herrscher von Armenia untergeordnet waren, welches zum Pontos Polemonos gehörte. Das sind: Phithia, Valenzia, Usuriporto, kene Parembolo. Sebastopolis, Sigana und Mochora.

Ganz logisch scheint die Annahme der Identifizierung von Sebastopolis nach „Notitia dignitatum", nach Castorius und Ptolemeios, um so mehr, als in Letzterem (in Zichisziri) nach den archäologischen Materiallien ein römisches Kastellum aus III.—IV. Jh. gefunden wurde. (s. Karte).

Nach der Meinung von Ptolemeios ist Sebastopolis ein Grenzpunkt der Provinz von Pontos Polemonos, den an den Norden Kolchis d. h. Lasika angrenzt. Vermutlich hat das Römische Kaiserreich in der II. Hälfte des II. Jh. n. Chr. das Königtum von Egris-Lasika okkupiert und es politisch der Provinz von Ponto angeschlossen. Unserer Meinung nach wiederpiegelt gerade dieses Ereignis ein Abschnitt aus der Mitteilung von Georg Singelos: „Severius (193 — 211) hat Kolchike d. h. Lasike unterworfen".

Seit dieser Zeit, wenn nicht schon früher, wurde der obenerwähnte Teil von Lasika ein Standpunkt für Rom, kontrollierender Ort für die Straßen, die aus dem Norden und besonders aus Transkaukasien kamen, und verwandelte sich während des Krieges in eine Waffenherstellungsbasis.

Wie es die schriftlichen Überlieferungen (Castorius, Zossim, „Notitia dignitatum", Priske aus Panion u. a.) bezeugen blieb das existierende historisch-geographische Bild von Lasika bis 465 unverändert, bis der König des Königtums Egris-Lasika, Gubas und

sein Sohn Zathe (damals befand sich Lasika auf der Höhe seiner politischen Macht) die byzantinischen Kaiser Markiane (450—457) und dann Leon I (457—474) durch Kämpfe und mit politischen Mitteln gezwungen haben die süd—westliche Grenze von Lasika nach Choph-Chupha zu verlegen. So gelang die Wiederherstellung der Unversehrtheit des alten kolchischen Königtums in seinem historischen Rahmen von Dioskuria-Sebastopolis bis Aphsaros-Tschorochigebiet.

Zum Schluß müssen wir noch einmal wiederholen, daß Sebastopolis nach Ptolemeios, Sebastopolis nach Castorius und Sebastopolis nach „Notitia dignitatum" ein und dasselbe Objekt sein mußte, sogar dann, wenn wir die volkskundlich überlieferte Information von Arkandshelo Lambert ausser Acht lassen, daß südlich der Stadt Phasis ein im Wasser gesunkene Stadt Sebastopolis existierte. Trotzdem müssen wir die Angabe von Ptolemeios über die Existenz von Sebastopolis im südwestlichen Teil des Schwarzmeergebietes nicht als „aleinstehende Theorie" betrachten. Im Gegenteil, wir hoffen, daß es genügend Angaben über Sebastopolis von Zichisziri in den byzantinisch-römischen Quellen gibt, aber fast in allen Urkunden wurde dieses Sebastopolis mit Dioskuria—Sebastopolis assoziert, weil Sebastopolis nach Ptolemeios nicht „juristisch" erklärt wurde. Aus späteren Quellen dieser Art sind die Kataloge der Aposteln von Dorotheos und Epiphanos aus Zypern über Andreas zu erwähnen, in denen „die geographische Lage des großen Sebastopolis (hier ist Sebastopolis von Abchasien gemeint, S. Dshanaschia) durch die Festung Aphsaros und Fluß Phasidi (Phasis) lokalisiert ist".

Nach dem Inhalt handelt es sich in einem Fragment der Mitteilung, die in Choronikon Paschale aufbewahrt ist, und in der der Reihe nach aufgezählt sind „... Festung Aphsaros und Sebastopolis, Hafen von Isis und Fluß Phasidi", zweifellos um Sebastopolis von Adsharien.

Es unterliegt keinem Zweifel, daß die analogen Fakten mehr und mehr zum Vorschein kommen werden, nachdem die Wissenschaftler, die sich für die entsprechenden Fragen interessieren, unsere Forschungsergebnisse über die reale Existenz, von Sebastopolis nach der Karte von Ptolemeios im süd-westlichen Teil des Ostschwarz-

meergebietes und über seine Identifizierung als Zichisziri teilen werden.

Ausgehend davon muß man folgendes neu bewerten: die politische, historisch-geographische Lage des Königtums von Egris-Lasika, die Verlegung der Staatsgrenze vom Südufer des Flusses Phasis in den Kreisabschnitt der Stadt Chopa, die friedlichen und kriegerischen Verhältnisse zwischen dem Königtum von Egris-Lasika und den Kaiserreichen von Rom und Byzanz in II.—IV. Jh., die Kriegsursachen und alle Peripetien der militär-politischen Verhältnisse.

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ
ᲬᲘᲠᲔᲚᲘ
ᲛᲐᲠᲯᲕᲔᲜᲘᲡᲘ
ᲬᲧᲐᲠᲝᲔᲗ

შინაარსი

შესავალი	3
ეგრის-ლაზიკის ციხე-ქალაქი პეტრა	11
ციხისძირი-სებასტოპოლისი	78
რეზიუმე (გერმანულ ენაზე)	145

Гурам Константинович Григолиа

ПРОБЛЕМЫ ИСТОРИЧЕСКОЙ ГЕОГРАФИИ
ЭГРИС-ЛАЗИКСКОГО ЦАРСТВА

(на грузинском языке)

ТБИЛИСИ
«МЕЦНИЕРЕБА»
1994

დაიბეჭდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის
სამეცნიერო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

სბ 6032

გამომცემლობის რედაქტორი ლ. ჯ ე ე ბ ე ნ ა ვ ა
ტექრედაქტორი ნ. ბ ო კ ე რ ი ა
კორექტორი ა. გ ო გ ე შ ვ ი ლ ი

გადაეცა წარმოებას 3.2.1994; ხელმოწერილია დასაბეჭდად 20.6.1994;
ქაღალდის ზომა 60×84 1/16; ქაღალდი № 2; ბეჭდვა მაღალი;
გარნიტურა ვენური; პირობითი საბეჭდი თაბახი 8.84;
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 8.03;
ტირაჟი 250; შეკვეთა № 83;

ფასი სახელშეკრულებო

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, დ. გამრეკელ[illegible] ქ. 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Д. Гамрекели, 19

საქართველოს მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი 380060, დ. გამრეკელის ქ. 19
Типография АН Грузии, Тбилиси, 380060, ул. Д. Гамрекели, 19